ლიტერატურული ალმანახი

ხოჩინაბეგი

აგვისტო 2020

5 წლისთავისა

№ 9

ალმანახ „ხორნაბუჯს"

ხუთი წლისა გახდი, მაგრამ,
სახელი, ხომ, დიდი გაქვს?..
მკითხველის გულს, სიხარულით,
შენს ფურცლებზე იზიდავ.

ხორნაბუჯის სეხნია ხარ,
გფარავს მისი მადლი და...
„ხორნაბუჯი", – ერთგულებით
დრომ, ხომ, უკვე, ადიდა.

მზე სიმშვიდით დაგნათოდეს,
დაგცქეროდეს წყნარი ცა...
ალმანახის ხუთ წელს ვლოცავთ,
მოგველოცოს, – ასიცა.

ნუნუ ძაძუკაშვილი

ლიტერატურული ალმანახი №9

„ხოჩნაბუჯი“

აგვისტო | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა | 2020 წელი

სარჩევი

მილოცვა 2

პოეზია
ლევან ალავერდაშვილი 7
თენგიზ ავსაჯანიშვილი 8
თამაზ წიკლაური 10

პროზა
ვანო ჩხიკვაძე
ინანიშვილის გმირები 11

პოეზია
მზია ხუთაგური 18
ჯუმბერ უორუთაშვილი 19
ქრისტინე ჩიხლაძე 21

პროზა
გივი სომხიშვილი
უჯიგრო ქიტა 22
თემო ჭახნაკია
დედაშვილობა 25
არყის გამოხდა 26
უშუქობა... 26
ბავშვობის ტკბილი მოგონებები 27
ჯემალ მეხრიშვილი
დიადი კუთხე 28
ლია მარტიაშვილი
მარია 30

გახსენება
მგელიკა ჭინჭარაული 32

ახალი სახელები
ემზარ ბუჩუკური 33

დრამატურგია
ლანა მანველი
მზის ჩასვლა 34

თარგმანი
ევგენია იანიშიჩი 39
ლინა კოსტენკო 39
ვოლოდიმირ ლუჩუკი 40
ათაოლ ბეჰრამოღლუ 40
სენურ სეზერი 40
მავჯუდა ჰაქიმოვა 41
ჯონ კიტსი 41
ხორხე ლუის ბორხესი 42
არტურ კლარკი 44

პუბლიცისტიკა
ალექსანდრე ელერდაშვილი
პლანეტების აღლუმი „ვეფხისტყაოსანში“ 47

დედოფლისწყაროს გამოჩენილი ადამიანები
დავით ჭელიძე
ძიუდოისტების პაპა - ბიძინა მაზიაშვილი 51
დალი ბაღაშვილი
სადაურსა სად წაიყვან..... 59

ხსოვნა
ნანა ჭიჭინაძე
გიორგი შენგელაია..... 62

ალმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ბატონ ილია მარტყოფლიშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:
გიორგი ნატროშვილი

ალმანახის ქუდის ავტორი:
სერგო ქართველიშვილი
დაიბეჭდა გამომცემლობაში „ვერჟე“

გარეკანი გაფორმებულია:
თემურ პოპიაშვილის ფოტოთი

მობ: 591 04 66 96, 557 64 85 95 **Email: gionatro0@gmail.com** **ISSN 2346-922X**

„ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲘ“ 5 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ!

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮ „ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲡ“ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ!

ეს დრო შეიძლება ძალიან მცირეა მარადისობასთან მიმართებაში, მაგრამ საკმარისი იმისათვის თავდადებული და უანგარო შრომით თავი შეაყვარო ლიტერატურის მოყვარე საზოგადოებას, რაც შეძლო „ხორნაბუჯმა“.

ალმანახის რედაქტორსა და შემოქმედებით ჯგუფს ვუსურვებ პროფესიულ წინსვლასა და ლიტერატურულ წარმატებებს, რომ „რასაც მსახურებენ მას ერთგულად კვლავ ემსახურონ“.

თქვენთვის მლოცველი ხორნაბუჯისა და ჰერეთის
ეპისკოპოსი დიმიტრი.

ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲔᲚᲔᲑᲝ, ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲗᲐᲠᲘᲦᲡ!

მსურს ჩემი ღრმა პატივისცემა გამოვხატო ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ შემოქმედებითი გუნდის მიმართ. მისასალმებელია, ჩვენს რეგიონში ლიტერატურული გამოცემების არსებობა, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მკითხველი საზოგადოების ლიტერატურისადმი კიდევ უფრო დაახლოებისა და ცნობადობის ამაღლების საქმეში. განსაკუთრებით, როცა ახალგაზრდა თაობა ნაკლები ენთუზიაზმით ეკიდება ქართული პოეზიისა და ლიტერატურის მდიდარ მემკვიდრეობასა და აწმყოს. თქვენ, ამ ყველაფრის მიუხედავად, მყარად დგახართ ქართული სიტყვის სამსახურში.

მოხარული ვარ, რომ მერგო პატივი, ჩემი გულწრფელი დამოკიდებულება გამომეხატა თითოეული იმ ადამიანის მიმართ, ვინც ენერგიას არ იშურებთ და ერთგულად ემსახურებით ქართული ლიტერატურული გამოცემის საქმეს.

ხურნაბუჯელებო, გილოცავთ საიუბილეო თარიღს! მეამაყებით და გისურვებთ მრავალი საინტერესო ინიციატივის განხორციელებას შემოქმედებით საქმიანობაში.

ირაკლი ქადაგიშვილი
კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲘ“ 5 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ!

გილოცავთ! მიუხედავად თქვენი ახალგაზრდული ასაკისა, უკვე ბევრი კარგი საქმის ავტორები ხართ. ლიტერატურული სივრცე წლების განმავლობაში ვაკუუმს განიცდიდა დედოფლისწყაროში. მიუხედავად იმისა, რომ რაიონს ბევრი ნიჭიერი შემოქმედი ჰყავდა, მათ არ შეეძლოთ თავიანთი ნაწარმოებები მკითხველისთვის გაეცნოთ. ამ ფაქტორის გამო ბევრი მათგანი ჩრდილში რჩებოდა. შექმნილ სიტუაციაში სინათლის სხივის ტოლფასი იყო გიორგი ნატროშვილის ინიციატივა ლიტერატურული ჟურნალის დაარსების თაობაზე. ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ეს იდეა რეალობად იქცა! ბევრი ახალგაზრდა ავტორი „ხორნაბუჯის“ ფურცლებიდან გაიცნო ფართო აუდიტორიამ და შეიყვარა. გილოცავთ საიუბილეო თარიღს. მრავალი წარმატება და იუბილე გეზეიმოთ!

პატივისცემით,

ირაკლი შიოლაშვილი,
დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮ „ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲡ“ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ!

ალმანახი 2015 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით პოეტმა გიორგი ნატროშვილმა დაარსა.არსებობის განმავლობაში ალმანახმა მრავალ დამწყებ და ცნობილ დედოფლისწყაროელ ლიტერატორს გაუწია პოპულარიზაცია.

გამოცემამ მკითხველს დედოფლისწყაროელ მოკალამეებთან ერთად მთელი ქვეყნის მასშტაბით მოღვაწე პოეტებისა და მწერლების შემოქმედებაც გააცნო.

დღევანდელ რეალობაში „ხორნაბუჯის“ არსებობა ერთ-ერთი ნათელი წერტილია ბეჭდურ მედიაში და საამაყოა, რომ ეს პროექტი ჩვენი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერითა და ფინანსური ხელშეწყობით ხორციელდება.

მუნიციპალიტეტის მერია და მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ულოცავს ალმანახს 5 წლის იუბილეს და უსურვებს მას ხანგრძლივ არსებობას, ბევრ მკითხველს და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ბევრ საინტერესო შემოქმედს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

ვუსურვებ წინსვლას და შემოქმედებით წარმატებებს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი დაარსებიდან 5 წლის იუბილეს ულოცავს ლიტერატურულ ალმანახ ,,ხორნაბუჯს“.

ალმანახმა საუკეთესოდ წარმოაჩინა დედოფლისწყაროელი პოეტებისა და მწერლების შემოქმედება და დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი მუნიციპალიტეტის სამწერლო ცხოვრებაში. ლიტერატურული გამოცემა დღესაც წარმატებით განაგრძობს მოღვაწეობას და ჩვენი საზოგადოებისათვის ლიტერატურული სიახლეების გაცნობას.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ მას იუბილეს და ვუსურვებთ მას წინსვლას და შემოქმედებით წარმატებებს.

ნუგზარ პაპიაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

წარმატებებს გისურვებთ!

მე იმ ადამიანების რიცხვს მივეკუთვნები, რომელთაც ბეჭდური სიტყვის ძალა და ფასი კარგად ესმით. განსაკუთრებით მეამაყება დედოფლისწყაროში მოქმედი ბეჭდური გამოცემები, რადგან მიმაჩნია, რომ რეგიონული მედიის როლი უფრო საინტერესოა. სწორედ მათი გაძლიერების მიზნით დავბრუნდი დედაქალაქიდან დედოფლისწყაროში. მახსოვს, ჩვენს რაიონში ბევრჯერ იყო ლიტერატურული გამოცემების შექმნის მცდელობა, თუმცა ყველა შემთხვევა ხანმოკლე გამოდგა. უჭირდათ პერიოდულობის დაცვა და თავის გატანა.

,,ხორნაბუჯმა“ დროს გაუძლო და მყარად დაიკავა ადგილი. რაც მთავარია, რეგიონული გამოცემების გავრცელების პრინციპი დაარღვია. იმდენად საინტერესო ფორმატი აღმოჩნდა, რომ მისი გავრცელების არეალი რეგიონს გასცდა.

იუბილეს გილოცავთ ავტორებს, მკითხველს და ყველაზე მეტად ალმანახის რედაქტორს, ბატონ გიორგი ნატროშვილს!.. გვინდა, კიდევ მრავალი წელი ერთგულად ემსახუროთ ამ კეთილშობილ საქმეს. ძალიან მომწონს, რომ ,,ხორნაბუჯის“ ერთ-ერთი ფუნქცია ახალი სახელების წარმოჩენა და მათი პოპულარიზაციაა, რასაც მშვენივრად ახერხებთ.

დღეს, როცა საკუთარი ბეჭდური პროდუქციის გამოცემა იაფი სიამოვნება არ გახლავთ, ჩვენი ლიტერატურული ალმანახი ავტორებისთვის შესანიშნავი ასპარეზია, დღის სინათლეზე გამოიტანონ და მკითხველს წარუდგინონ საკუთარი ძველი, თუ ახალი შემოქმედება. ამ ხუთი წლის განმავლობაში დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია ყველაზე აქტიურად ახერხებდა შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას. ეს კი სწორედ ,,ხორნაბუჯის“ ფურცლების დახმარებით მოხერხდა. ვამაყობ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი იმ იშვიათ გამონაკლისთა შორისაა, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან აფინანსებს და მხარს უჭერს მწერალთა ასოციაციას.

წარმატებებს გისურვებთ!.. დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრი კვლავაც თანადგომას გიცხადებთ და სამომავლოდ ეცდება ,,ხორნაბუჯის“ განვითარებას ხელი კიდევ უფრო შეუწყოს.

ილია მარტყოფლიშვილი,

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი

გილოცავთ!

სასიხარულოა, რომ ჩვენს ლიტერატურულ ალმანახ ,,ხორნაბუჯს“ 5 წელი შეუსრულდა. ამ პერიოდის განმავლობაში, მან მრავალი გულშემატკივარი და მკითხველი შეიძინა.

გისურვებთ, კიდევ მრავალი წელი გაგეხარებინოთ ლიტერატურის მოყვარე ადამიანების გული.

პატივისცემით,

თქვენი ერთგული მკითხველი და წარმატების მოსურნე,

აკაკი ნატროშვილი,

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დირექტორი

ქართული სულის ერთგულება!

ხუთი წელია, რაც ჟურნალი „ხორნაბუჯი“ დაიბადა და ნიჭიერი, საქმისადმი ერთგულებით გამორჩეული რედაქტორის გიორგი ნატროშვილის წყალობით, მან უკვე მოიპოვა გემოვნებიანი მკითხველის პატივისცემა. იგი იქცა არა ერთი კონკრეტული კუთხის, არამედ მთელი საქართველოს საყვარელ ჟურნალად. სიტყვა „ხორნაბუჯი“ ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის ბავშობის ზმანებებიდან მომყვება. მახსოვს ის განცდა, როცა პირველად, 3-4 წლის გოგონა ამიყვანა მამამ მაღალ მთაზე, ხორნაბუჯის ციხეზე. მაშინ პირველად დამეუფლა ფრენის სურვილი.

ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი სიმტკიცის, სიმაღლის, ქართული სულის უკვდავების სიმბოლოა. მინდა ჟურნალ „ხორნაბუჯს“ და მის შემოქმედებით კოლექტივსაც იგივე ვუსურვო: სიმაღლე, სიმტკიცე, ქართული სულის ერთგულება.

მაყვალა გონაშვილი
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთებით...

მსოფლიოს ტექნიკური სასწაულების ეპოქაში, — როცა სულიერებამ უკანა პლანზე გადაიწია და ... ცხოვრება, ლამის, კაპიტალზეა გადამჯდარი და, ლამის, ღმერთიც შეცვალოს, გლობალიზმით ამღვრეულ ფონზე, დედოფლისწყაროში, კიდევ, ერთი, მხატვრული სიტყვის ოაზისი, — ალმანახი „ხორნაბუჯი“ გამოჩნდა, რომელმაც თავიდანვე მიიქცია ყურადღება, წრფელი, ალალ-მართალი მიზნით, რომ... ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბებაში, ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს მწერლობას, რომ, — შეუცვლელი და უზენაესია მისი როლი. „ხორნაბუჯის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან ხუთი წელი გასულა, უკვე, და ... დროის ამ მონაკვეთში, ალმანახის მთავარი რედაქტორის — გიორგი ნატროშვილისა და (იგი ამავე დროს, თავმჯდომარეა დედოფლისწყაროს მწერალთა ორგანიზაციის) დედოფლისწყაროს სამწერლო კოჰორტის პატრიოტული სულისკვეთებით, „ხორნაბუჯი“ ქართული, ეროვნული სულიერების მძიმე ჯაპანს ეწევა.

„ხორნაბუჯის“ დაბადების ხუთი წლის თავზე, მისი უფროსი მეგობარი, — მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ იუბილარს ულოცავს ენერგიულ შემოქმედებით მოღვაწეობას და ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს ქართული მწერლობის წინსვლისა და აღორძინებისათვის...

ფარნა რაინა
მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე

მჯერა თქვენი თავდადებისა!

ძვირფასო „ხორნაბუჯელებო“, გულითადად გილოცავთ ალმანახის საიუბილეო თარიღს, რომლის ფურცლებიდანაც ასე ლამაზად და შთამბეჭდავად არის დანახული ჩვენი ქვეყნის დიდებული წარსული, აწმყო და მომავალი. მისაბაძია რედაქციის მოღვაწეობა, რომლის დაუღალავი შრომით იქმნება მძლავრი ლიტერატურული ნაწარმოებები, იწერება ქვეყნის მატიანე, იჭედება საიმედო მომავალი. წარსულის ძლიერი დვრიტა კიდევ უფრო ძლიერდება ერისა და ბერის საკეთილდღეოდ, ახალ ნერგებს ახარებენ, გზას უკვალავენ და საოცნებარს უხდენენ.

რა შესანიშნავია საქართველოს სხვადასხვა კუთხესთან თქვენი შეხმიანება, განვრცობა, სულიერი გამდიდრება. ერთიანი საქართველოსთვის ბრძოლაში ერთად ყოფნისა და გამარჯვების გზაზე სვლა, შემოქმედებითი სიხარული. მჯერა თქვენი თავდადებისა, თქვენი გზის ჭეშმარიტებისა. თავგანწირვის გარეშე ასეთი ლიტერატურა არ იქმნება. ასეთი მაღალმხატვრული ჟურნალები არ გამოიცემა.

უფალმა გაგაძლიეროთ სამშობლოს საკეთილდღეოდ და როგორც ჩვენს წინაპრებს სჩვეოდათ, ისე გეშენებინოთ ციხე-ქალაქი „ხორნაბუჯისა“.

ანა ერისთავი
საქართველოს მწერალთა აკადემიის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე

რწმენით — მომავლისაკენ!

ალმანახი „ხორნაბუჯი“ ჩემთვის ძალზე სიმპათიური და საინტერესო ლიტერატურული გამოცემაა, რადგან მას ქმნიან გონიერი და საინტერესო ადამიანები, რომლებსაც სწამთ ქართული სიტყვის მადლი და ძალმოსილება, სწამთ კულტურის გამაკეთილშობილებელი ძალა და, რაც მთავარია, სწამთ, რომ თავიანთი შრომითა და ენთუზიაზმით ჩვენი ქვეყნის მომავალს უყრიან საფუძველს.

ვულოცავ ალმანახს ამ თარიღს და ვუსურვებ ღირსეულად აესახოს დრო და თვითონაც ასახულიყოს დროში.

ივანე ამირხანაშვილი
გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი

მზიანი სიტყვა დაეგედოს!

„ხორნაბუჯი“ 5 წლისაა, ჩვენს ულამაზეს და ფესვძლიერ ქიზიყში დაბადებულ-აღმოცენებული ჟურნალი... ძველი ციხე-ქალაქის მოსახელე, როგორც მზის ბურჯი და „მზის საყრდენი“... რომ მზიანი სიტყვა შეაშველოს გზააბნეულ სულებს... დიდი თამარის დროშად შლილი სასოებით მოგვევლინოს და ჩვენც გვასაზრდოოს უკეთესი მომავლის რწმენით!

ჟურნალ „ანეულის“ სახელით ვულოცავ „ხორნაბუჯს“ იუბილეს და ვუსურვებ მკითხველთა სიყვარულსა და სიმრავლეს!

თამარ შაიშმელაშვილი,
ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი, ფილოლოგიის დოქტორი.

ესეც დიდებული ხუთი წელი!

ძვირფასო კოლეგებო! ახლახან შევიტყვე, ხუთი წელი ჩამომთავრებულა თქვენი ლიტერატურული ალმანახ „ხორნაბუჯის“ გამოცემიდან! ჩემთვის დიდად გასახარია, რომ არსებობს მშვენიერი, მაღალი დონის, გემოვნებით შერჩეული მასალებით დამშვენებული კრებული!

ალმანახის თითქმის ყველა ნომერი წაკითხული მაქვს! „ხორნაბუჯის“ ავტორებიდან არაერთი იმსახურებს მაღალ შეფასებას! უფალი ფარავდეს თქვენს კალამს!

დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟურნალი „ამერიმერი“ და მისი თანარედაქტორთა საბჭო გულღიად გილოცავთ დაბადების დღეს!

ვაჟა ჩორდელი
„ამერიმერის“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი

გიორგი, შენ ამას შეძლებ!

ლიტერატურული ალმანახი „ხორნაბუჯი“ 5 წლის გამხდარა. ამ ხნის მანძილზე ალმანახის რედაქტორმა — გიორგი ნატროშვილმა ბევრი რამის გაკეთება მოასწრო: ალმანახს აქვს საკუთარი სახე, როგორც ვიზუალურად, ისე შინაარსობრივად; დედოფლისწყაროელი ავტორების გარდა „ხორნაბუჯის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებიან ცნობილი, სახელმოხვეჭილი ავტორები; ალმანახმა აღმოაჩინა რამდენიმე ნიჭიერი, აქამდე უცნობი ავტორი; „ხორნაბუჯში“ ქვეყნდება ღირებული ლიტერატურა, საინტერესო ისტორიული და ეთნოგრაფიული წერილები, კარგად შერჩეული სხვა მასალები.

ეს ხუთი წელი ალმანახისთვის დამაჭრების წლები იყო, მომდევნო ხუთ წელიწადში „ხორნაბუჯმა“ დაღვინების რთული გზა უნდა გაიაროს და თუკი რამ ნაკლი აქვს ფსკერისკენ წაიღოს.

გიორგი, შენ ამას შეძლებ! წარმატებები!

აკაკი დაუშვილი
ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ მთავარი რედაქტორი

საიუბილეო მილოცვა!

ხუთი წელი ჟურნალისათვის (როცა ასი წლის ჟურნალებიც გვაქვს) ბევრი არ არის, მაგრამ არც თუ ცოტაა, მით უფრო, თუ მკითხველი, ყოველ ახალ ნომერს გულისფანცქალით ელოდება.

ჟურნალ „ხორნაბუჯს“ არა მარტო რეგიონში, დედაქალაქშიც და სხვაგანაც (ქუთაისშიც) სიამოვნებით კითხულობენ.

მინდა წარმატებები ვუსურვო ჟურნალ „ხორნაბუჯს“, მის რედკოლეგიას და გიორგი ნატროშვილს (რედაქტორს).

გიზო თავაძე
ჟურნალ „მწვანეყვავილას“ რედაქტორი

უცვლელ წარმატებას გისურვებთ!

ალმანახ „ხორნაბუჯის“ რედკოლეგიასა და მის დაუღალავ რედაქტორს, გიორგი ნატროშვილს ვულოცავ საიუბილეო თარიღს. მისასალმებელია, რომ ალმანახი „ხორნაბუჯი“ მყარი პერიოდულობით გამოიცემა და ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველებს შინაარსიან და საგულისხმო პოეტურ და პროზაულ ნიმუშებს სთავაზობს. მრავალ წინსვლასა და უცვლელ წარმატებას გისურვებთ „ისინდის“ რედაქციის სახელით, პატივისცემითა და საუკეთესო სურვლებით

იკა ქადაგიძე
ჟურნალ „ისინდის“ რედაქტორი

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲙᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮᲘ „ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲘ“ 5 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ!

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ, სამეცნიერო-პოპულარულ და საზოგადოებრივ ჟურნალ „არავის“ სარედაქციო საბჭო დიდი პატივისცემით გილოცავთ იუბილეს!

ალმანახი „ხორნაბუჯი“ არა მარტო კახეთის რეგიონის, არამედ სრულიად საქართველოს ლიტერატურული სამყაროს საყვარელი ჟურნალია. ტრადიციული ჟურნალების გვერდით, თვალსაჩინოა მისი წვლილი ჩვენი საზოგადოების შემოქმედებითი ატმოსფეროს გამდიდრების, ქართული კულტურის წინსვლის და კულტურულ ურთიერთობათა აღორძინების საქმეში; იგი ახალი სახელებისა და ახალი რუბრიკების წარმოჩენითა და გამრავალფეროვნებით ქართული სამწერლო ცხოვრების ღირსეული გამგრძელებელია და მიგვაჩნია, რომ რეგიონის ლიტერატორთა საინტერესო შემოქმედებით უწინდებურად გაახარებს ერთგულ მკითხველებს!

ყოველთვის ორმხრივ სასიამოვნოა იუბილის აღნიშვნა! კიდევ და კიდევ გილოცავთ და სიამაყითაც გაუწყებთ, რომ მიმდინარე წელი, მართალია ჟურნალ „არავისთვის“ არა, მაგრამ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის არის საიუბილეო – 30 წლისთავი! და გვჯერა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის მსგავსად, ჟამი ასეთივე ზეობისა ალმანახ „ხორნაბუჯისთვისაც“ დადგება!

ჟურნალ „არავის“ სარედაქციო საბჭო.

ᲐᲛᲐᲡᲝᲒᲐᲨᲘ, ᲮᲣᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲡᲣᲚᲐ..

ჩვენში ამბობენ: სხვისი ბავშვი ჩქარა იზრდებაო! ამ თქმისა არ იყოს, სხვისი ჟურნალი სწრაფად, თვალდახელშუა იზრდება. დავწერე სიტყვა „სხვისი“ და მეჯამუშა. აბა, როგორ შეიძლება კარგი, ქართული ლიტერატურული ჟურნალი იყოს „სხვისი“ და არ იყოს ჩვენი, ყველასი...ყველასი, ვისაც კი ლიტერატურა გვიყვარს, ყველასი, ვისაც სიცოცხლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მიგვაჩნია კარგი ლექსი და მოთხრობა... ჩვენ, ყველას ვინც ერთხელ მაინც დავბეჭდილვართ ჟურნალ „ხორნაბუჯის“ გვერდებზე, დიახაც ჩვენად მიგვაჩნია და დიახაც, ჩვენს თავსაც ვულოცავთ, ჟურნალის იუბილეს. მაგრამ, მე მაინც თავს ვერ შევიკავებ პერსონალური მილოცვისაგან. მინდა, გულითადად მივულოცო ჟურნალის დაარსებიდან გასული ხუთი წლისთავი მის რედაქტორს, ბატონ გიორგი ნატროშვილს. მხოლოდ რედაქტორს შეუძლია გაიგოს, თუ რამხელა შრომას უკავშირდება თითოეული ნომრის გამოცემა! პასუხისმგებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ. რედაქტორი არც ლიტერატურული ნოვაციების წინააღმდეგია და არც ძველსა, მაგრამ თანადროულს ფიწყებს. მოკლედ, ის აქტიური მკვლევარიცაა სიძველის და სიახლის აქტიური მომწოდებელიც. ყველა, ვინც ჩემზე კარად იცნობს ბატონ გიორგის უკეთესად წარმოაჩენს მის პიროვნებასაც და ღვაწლსაც. მე კი დავამატებ იმას, რისი მოწმეც გავხდი წლების წინ და შთაბეჭდილება დღემდე არ გამნელებია. მაშინ, კულტურის სამინისტროს პროექტ „ცოცხალი წიგნების“ მონაწილე ვიყავი და ამ მისიით, სხვა მწერლებთან ერთად, აღმოვჩნდი კახეთში. არასოდეს დამავიწყდება გიორგი ნატროშვილის გიდობა წმინდა ელიას სახელობის ტაძარში: როგორ გულითადად გვიმასპინძლა, რამხელა ინფორმაცია მოგვაწოდა, როგორ ყვებოდა...სრულიად თვალსაჩინო იყო პირადად ჩემთვის, თუ როგორ უყვარს ამ ადამიანს თავისი ქვეყნის წარსული, კულტურა და ისტორია. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი არც თუ ხშირი, მაგრამ პოზიტიური ურთიერთობა. ბევრი მიზეზი მაქვს საიმისოდ, რომ მომწონდეს „ხორნაბუჯი“ და მეიმედებოდეს მისი მომავალი.

მე ჟურნალ „რიწის“ რედაქტორი ვარ. სოხუმში დაბადებული ეს ჟურნალი 45 წლისა გახდა წელს. ანუ „ხორნაბუჯზე“ ორმოცი წლით უფროსია. მაგრამ ასაკს რა მნიშვნელობა აქვს ან სიყვარულისთვის ან მეგობრობისთვის?! ძალიან მინდა ლიტერატურული ხიდები გავდოთ. ხიდები, რომლებიც ჩვენი მკითხველების გულებს დაეყრდნობიან.

მინდა წარმატება, წინსვლა ვუსურვო ჟურნალსაც და მის რედაქტორსაც. გისურვებთ თავდაუზოგავ შრომას, რომელიც ჩვენს საქმეში ყველაზე დიდი ბედნიერებაა; გისურვებთ ლიტერატურულ სამკალს; გისურვებთ მკითხველთა ერთგულებას!

იმედი მაქვს რაღაც საერთოს, ერთობლივის შექმნასაც შევძლებთ და ეს არ გაგვიჭირდება, რადგანაც ყველა ღირსეული ლიტერატორის საქმის საბოლოო მიზანი – ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობა და საუკეთესო მერმისია, ამისთვის კი ნამდვილად ღირს ბრძოლაც და შრომაც. გამარჯვებით გევლოთ, საბოლოო გამარჯვებამდე, რომელიც სამუდამო ფასეულობაა!

ნანა ქარდავა.
ჟურნალ „რიწის“ მთავარი რედაქტორი.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ „ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲡ!“

ალმანახ „ლიტერატურული სიღნაღის“ რედაქცია გილოცავთ ჟურნალ „ ხორნაბუჯის“ დაარსებიდან ხუთ წლისთავს! თქვენი ჟურნალი ვრცელდება მთელს საქართველოში და მას ჩვენს რაიონშიც სიამოვნებით კითხულობენ, რამეთუ მასში მშვენიერი ლექსები, მოთხრობები და სხვა სახის ძალზე მაღალი დონის ლიტერატურა იბეჭდება.. გისურვებთ შემდგომ წინსვლას და არაერთი შესანიშნავი ნაწარმოების გამოქვეყნებას. წარმატებები „ხორნაბუჯს!“

ანზორ სიფრაშვილი
ალმანახ „ლიტერატურული სიღნაღის“ რედაქტორი

ლევან ალავერდაშვილი

ლევან ალავერდაშვილი ამა წლის 2 ივლისს 49 წლის შესრულდა. ვულოცავთ მეგობარ პოეტს დაბადების დღეს და გთავაზობთ მის ახალ და გამოუქვეყნებელ ლექსებს:

სათვალე

გუშინ ლურჯ ძარღვებს სითბო უვლიდა,
დღეს კი დავეძებ მხოლოდ ნაკვალევს...
და შთაგონებით გახსნილ შუბლიდან
„ბრმა თვალებისკენ“ ვუშვებ სათვალეს,
რომ მოგიწერო, შენს ძვირფას ბაღში,
რა მხვევდა თავბრუს მოტკბო-მომწარეს,
რომ მარადიულ ტკივილად დამრჩი,
აი აქ, მკერდში, მარცხენა მხარეს,
რომ მე სათვალე გზებს მისანთელებს,
ლამობს თვალების მოვლას, თუ დაცვას
და უფრო მისთვის მიყვარს სათვალე,
რომ თვალში ვერვინ შემაყრის ნაცარს...
და როს პოეტის დავტოვ საბუდარს,
მარტის თოვებად გადავითოვებ,
მაშინ სათვალეს, როგორც საკუთარ
თვალების თვალებს აქ დაგიტოვებ...
და ბოლოს, როცა ღამის რტოები
ჟამს სასიკვდილოდ გამისამართლებს,
მაშინ შენ მოხვალ განმარტოებით
და ყველაფრისმთქმელს მომხსნი სათვალეს.

ნ–ს

მიყვარს ბახუსის ხელადა
მაგ ტუჩებივით ცვრიანი,
მკერდის ზღვაურად ღელვა და
ზედ კაბა იისფრიანი.
გულით ნაღვარი რითმები,
სიტყვა თაფლიან-რძიანი,
თითები, შენი თითები
ბროლ-ბადახშ-მინანქრიანი.
ბილიკი შენსკენ სავალი,
მე, მგზავრი დანაგვიანი,
დალალი, შენი დალალი,
გაუვალ მაყვალიანი.
წარბთა მომთვარო რკალები,
შუბლი ავდრიან-მზიანი,
თვალები, შენი თვალები
ზეაწვდილ წამწამიანი...
და ისევ ღვინის ხელადა,
მაგ ბაგესავით ცვრიანი,
მკერდის ზღვაური ღელვა და
ზედ კაბა იისფრიანი.

სარკესთან

„ვიცი დამღუპავს მტვერი დაფნისა,
და მოძალება ისეთი ცრემლის,
რომელსაც ახლავს სიტკბო თაფლისა,
თან მომწარობა ისრიმი მტევნის“.

ლ. ალავერდაშვილი

როცა სიბილწემ ყველა ლექსი დამიკლა ფერხთან,
გამკვირვებია, ვით ვიგუებ პოეტის ტიტულს,
ვდგავარ სარკესთან (მე ცოდვილი) კაცთან თუ ღმერთთან
და ვაჩერდები დორიანის მანკიერ ფიტულს.
დუღს ანარეკლი და როგორაც ბნელ ხრამში ზვავი
ჩემში იხრწნება მოძალება გრაციულ ფერთა,
ეს მე არა ვარ, მე ასეთად არ მახსოვს თავი.
და იმ „ვარდებზეც“ ეს კი არა ლევანა წერდა.
აზრებს მიგველავს ატეხილი ჟინის ძახილი,
ძარღვჩაწყვეტილი საფეთქლების ენებდები როკვას,
მეგონა, მძლავრი პოეზიის ერქვა სახელი
გარყვნილ გენიდან გამოწოვილ ზებილწ ეპოქას...
ჰოდა, თუ იშვა სულგაცლილი ჩემი სხეული,
ჩქამი ნუგეშიც არ მომიგდოთ, თუნდაც სამადლოდ,
ღმერთს ვერ შევხედო, გამათრიეთ თვალახვეული,
რომ ტაძრის კარზე „კახპასავით“ გამასამართლოთ.

კორიდა

შენი სიცოცხლე არის კორიდა,
სადაც ჭიდილი და სისხლი გმართებს,
სად ეთხოვები ყველას შორიდან,
როგორც სამხრეთით გაფრენილ ბატებს.
დასიცხულ მიწას მგელივით დახრავ,
მოპარული ხარ ეჭვებით ისე,
თითქოს სამყაროც გაჩოქებს, მაგრამ
სიცარიელეს ვერაფრით ივსებ.
ირიბად უმზერ აყრილ მაგიდას,
ვით მატიანეს მძიმე წლებისა,
კითხულობ „მერის“ და მხრებთან გიდგას
„ბედი, რომელიც შენ არ გეღირსა“.
თითქოს წარსული ნოტები ქარის
აგიცახცახებს უფერულ თითებს
და აგატირებს, რაც აღარ არის,

დრო, შურდულით რომ დასდევდი ჩიტებს.
სიოც დაგღუნავს ნაშტორმალ აფრას,
საფეთქლებს ცივი გაჟონავს სისხლი,
დღე ხვალინდელი გპირდება დაფნას,
მაგრამ იმ დაფნას რა თავში იხლი,
როცა სიცოცხლე შენი — კორიდა,
შემოგახსენებს, რომ სისხლი გმართებს
და ეთხოვები ყველას შორიდან,
როგორც სამხრეთით მინაფრენ ბატებს.

ვაშლი

ყველაფერი მაშინ თეთრად ჩანდა,
რა ვქნა წარსულს დღეით ვეღარ წავშლი,
ის ბავშვობა დამიბრუნე, ან და
იმ სიბავშვით მოპარული ვაშლი.

* * *

მითხარ, რად ბორგავ, გულო, ამჯერად,
ვინ გაგიწონა ცოდვის ბოძალი,
ისევ ფეთქავ და მაინც არ გჯერა,
რომ ისევ იბრძვი და ხარ ცოცხალი.
ნეტავ შენ, თვალო, რაღას ამჯერად
ამაო ცრემლი რაღატომ ღვარე,
ზეცას უმზერ და მაინც არ გჯერა,
რომ მზე მზეა და მთვარე კი — მთვარე.
იქნებ შენც მყვედრი, სისხლო, ამჯერად,
თუ მგოსნის ძარღვებს თბილად ეგები,
დედას გაფიცებ, შენ კი არ გჯერა,
რომ სადიდგოროდ მეიმედები.
შენ რასღა იტყვი, ლევან, ამჯერად?!
მონავ ზეცის და მიწის მშვენების...
გმადლობთ, გმადლობთ! რომ თქვენით არ მჯერა
ქართლის დაჩოქებ-გადაშენების.

გაზაფხული

ციცი იაშვილს

შენი სუნთქვით რა ახლოა ზეცა,
შენი სუნთქვით ავდარს შეცვლის დარი,
შენი სითბო მკერდზე გადამექცა
და მოვითქვი სული ყინვით მკვდარი,
მაგრამ რად ხარ ძნელად საძებნელი?!
ტკბილო დარდო, ნექტრად დანაგუბო,
უშენობით მელოდება ბნელი,
მესაფლავე, საფლავი და კუბო...
გაზაფხულით მოეფერე ატმებს,
შენი სუნთქვით ავდრებს შეცვლის დარი...
არ სთქვა — ვცნობო — თუ მიპოვეს სადმე
შენს ქუჩაზე უშენობით მთვრალი.

თეენგიზ ავსაჯანიშვილი

ზებერი არწივის ბალადა

დაბერდა მთების არწივი,
ას წელს არს მინატანები,
რო ბოინობდა მის აჩრდილს
გულზე იხატდნენ ჭალები,
ზეციდან როგორც მზის სხივნი,
ყველგან უწვდოდნენ თვალები,
იყო ლაღი და ამაყი,
უჭრიდნენ ნისკარტ-ბრჭყალები,
თავისი ნანადირევის,
სად არ ეფანტა ძვალები,
არწივის ნასუფრალითა,
მუდამ ძღებოდნენ სვავები,
მას ეპყრა დაბლა ხევები,
მაღალი ზეცის კარები,
მგელნიც ისევე უფრთხოდნენ,
როგორც შუნნი და კრავები.
ახლა დაბერდა, დაზანტდა,
მხრებით ამ ზეცის მტარები,
ბრჭყალნიც დაუცვდა და ფრთებშიც
დაუცხრა ნიავქარები,
სამი დღეა ფრენს მშიერი,
ლუკმასაც ვერ გამკარები,
მსხვერპლს ვეღარ იჭერს ხნიერი,
აღარ აქვს ძველი ძალები,
ნადირობს,ხევებს შამაჰფრენს,
ამ ყოფით განაწამები,
ძირს ხევში, რაღაც დალანდა,
საკბილოს მინამგვანები,
ჩაფრინდა ყინჩად მიმსვლელი,
არა ჩუმ-ჩუმად მპარები,
იქ დახვდა ლეში ჯიხვისა
საშინლად ანამყრალები,
მეტად აწუხებს შიმშილი,
ლეშისკენ იწევს ბრჭყალები,
„შეჭამე!“— კუჭი აცდუნებს,
წამებით გადის წამები,

ან უნდა მოკვდეს შიმშილით,
ან ძმად იგუოს ყვავები.
და უცებ თოფმა იქუხა,
ბინდით დაუვსო თვალები,
ამაიყივლა არწივმა:—
მსროლელო, გენაცვალები,
მაინც არ მაკადრებინე,
ვაჟკაცთა არსაკადრები,
არწივის ყოფით ვიცხოვრე,
ღმერთსაც არწივად ვბარდები!“
კვდება დაჭრილი არწივი,
უქრება მკვესი თვალები,
ვით ვაჟკაცს იარაღები,
ამშვენებს ნისკარტ-ბრჭყალები,
ფრთები კი მკერდზე აწყვია,
როგორც მეომარს ფარები,
ისეთი სანახავია,
ცრემლს დააღვრიან ქალები.
თავს დასდგომია სიკვდილი —
ყველა ტკივილის მწამლები,
სისხლის სუნი თუ აისხეს,
მოფრინდნენ გუნდად ყვავები
(შავს დღეში გაჩენილები,
ჯოჯოხეთივით შავები),
არწივს თავს დაჰყრანტალებენ:
„ყვავთ ნადიმს არ გვიხარებდი,
ჩვენს სუფრას სულ დასცინოდი,
ახლოსაც არ გვიკარებდი,
არწივო,სულელ ჩიტივით,
რა კაკანათში გაები?!
ჩვენ ვართ მეფე და გიბრძანებთ,
შენ მუდამ ტყუილს ბრძანებდი,
არაფრით არ შეგიბრალებთ,
ახლა ჩვენს ბრჭყალებს დანებდი!
წამაიწია დაჭრილმა,
რისხვით აენთო თვალიო,
ყვავთა გუნდს ერთიც გაჰკივლა
(კლდეებმაც მისცეს ბანიო):
„მე რას მედრებით მყრალებო,
არ მიძარცვია მკვდარიო,
ჯობს, ვიყო მკვდარი არწივი,
მანამ ცოცხალი ყვავიო.“
არწივის სული გაფრინდა,
ღვთისკენ გაეხსნა ცანიო,
მკვდარს დეეფინა ყვავთ გუნდი,
როგორც უკუნი შავიო.

* * *

ისე თოვს,
ღმერთივით თეთრი სამყაროა,
თოვლმა მთლად დაფარა
დარიალ-გერგეტი,
მარტო ვარ ისევე,
არავინ არ მოვა,
ამ თოვლში
არავინ არ მოვა
შენს მეტი.
ო,ასეთ თოვაში
რა სამწუხაროა
მარტო ვარ,
თუ შენაც ამაოდ მოგელი,
შენი ხმა
მწყურვალი ამ გულის
წყაროა,
ეგ მზერაც
მტანჯველი ჟრუანტლის
მომგვრელი.
ისევ თოვს,
ღმერთივით თეთრი სამყაროა,
მთლად გადაქათქათდა
ყურო და გერგეტი,
მარტო ვარ ისევე,
არავინ არ მოვა,
ფიფქებად არავინ არ მოვა
შენს მეტი.

* * *

სათქმელი სიტყვა
უფალმა მანდო,
მინდოოდა მეთქვა
სიტყვაზეც მეტი,
ჩემი სიცოცხლით
რასაც ვერ ვამბობ,
ა, იმას ჩემი
სიკვდილით გეტყვი.
სული უფალთან
დაფრენს ჩიტივით,
სხეულს მიწიერს
მიწა ღებულობს,
ჩემს სამარესთან
მეტყვის სიკვდილი:
„შენ გაიმარჯვე
დამარცხებულო!“
ეს ყველაფერი
ქართული მიყვარს,
სულსაც ქართული
სიტყვა მოსავდა,
რომ დამმარხავენ
მშობლიურ მიწას,
ტანზე მოვირგებ
ქართულ ჩოხადა.

* * *

მზექალო, შენა მგონიხარ
გვირილაი, თეთრად გაშლილი,
ხშირი მაღალი ბალახი-
შენი ნაწნავი ჩაშლილი.
ამ მთის კალთაზე რო ვზივარ
ქვეყნის საცქერლად მაცლილი,
ჩემივ საფლავის ლოდი ვარ,
სიკვდილის თარიღ წაშლილი.

* * *

მემდური,
ისე მემდური
ლამის უმძრახად
დამადგე,
მეც დავალ
გაბრაზებული,
მოსაგებელი წავაგე.
ჩემ ცას მზესავით
გადივლი,
მზედ ნეტა
ვის ცას ემადლე?
ვერ შავამცირე
მანძილი,
უშენობიდან შენამდე.

* * *

სასაფლაოზეც ხარობენ
ენძელები და იები,
ეს გაზაფხულის ასულნი,
ჩემი უმცროსი დიები,
ჩემს
საფლავზედაც
ამოვლენ?
მითხარ, მომეცი იმედი,
ყვაყილთ მაისხამს მზექალო,
რასაც
შენ
დეეწვიმები.



თამაზ წიკლაური

* * *

ვერც სული ვერ დავიამე
დრო-ჟამი მამდევს ყეფითა,
ამ წუთისოფლის სიავე
სულ ტანზე შამამეფლითა.
ზურგს მაქცევს ქვეყნის გამჩენი,
თვალს მარიდებენ ღმერთები,
არც სიკვდილი ჩანს ამ ჩემი
სიცოცხლით დანაფეთები.

* * *

შემოეხვევა საღამოს ბინდი
შენს აივანზე დახრილ ჩინარებს,
ეს გაზაფხულიც ძველი გზით მიდის
შენ კი რა ბედი გაუჩინარებს?!
გადამიყოლებს ჟამი ტრფობისა,
თუ მოხვალ, თვითონ უნდა მიშველო,
დრო დადგა შენი დედოფლობისა,
რად იგვიანებ თვალებგიშერო?!
ისევ გელი და ისევ ვინახავ
ლექსებს, რომელთაც ვწერდი საშენოდ,
ვინახავ, მაგრამ არსად მინახავს
ლოდინი გრძელი და უსაშველო!

* * *

სად დამეკარგე ქალავ,
ვაი, დამიდგეს თვალი,
შენს გზა-ბილიკებს ვკვალავ
ახლა ირემი ცალი.
მგზავრი შავ-ბნელი ღამის
სად წავალ, სად გავიქცე,
ისევ შენ გიმღერ, ლამის
შენზე სიმღერად ვიქცე.
შენს მზეშერეულ სიცილს
ახლა შორიდან ველტვი,
თუ მთხოვ ბავშურად ფიცილს,
ფიცსაც ლექსებად გეტყვი.
„მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ!“
ვფიცავ უწმინდეს სურვილს;
ვერც გულს ვერაფრით ვძლიე,
ვერც მონატრების წყურვილს.
ჩემს ძილ-ღვიძილებს ერთობ
სიზმრად ოცნებად შვენი,
ვერც შენ სავალ გზას ვერ ვთმობ
მეხოტბე მხოლოდ შენი.
მომავლის შენით მჯერა
თვალად შვლის ნუკრის დარო,
არ მომაშორო მზერა,
ცა არ გამიავდარო!

ღამეს ვათენებ, რომ კვლავ
ლექსი რამ გითხრა მცირე,
თუ მონატრებით მომკლავ,
გთხოვ, გულით დამიტირე!

* * *

ოცნებით შენთან ვბრუნდები,
კვლავ შენთან ყოფნა მინდა.
ჰაი, ჰაი, რომ მწყურდები,
როგორც მთის წყარო წმინდა.
ჰაი, ჰაი, რომ გშვენოდა
გამოქნეული წელი,
ვაი, რომ ვერას მშველოდა
გულისთქმა გულდამწველი.
სად ხარ თვალშურთხო, წარმტაცო,
ქალავ, ქცეულო ღმერთად,
ვაი, თუ გულიც წარმტაცო
ძვირფას გრძნობასთან ერთად.
სიზმრიდან ვეღარ გამომყავს
თავი ცხადში, თუ ძილში,
ალბათ, ამიტომ გამომყვა
შენი დაკარგვის შიში.
სევდის ფიქრებით მოცულო,
მოდი, გენუკვი ამად,
მე შენს ხატებას ვლოცულობ
მარტო ჟამითი ჟამად.
მარტო ოცნებას ვუნდები
და მხოლოდ შენთან მინდა,
ჰაი, ჰაი, რომ მწყურდები,
როგორც მთის წყარო წმინდა.

მამლუქი

ჩემი წარსულის ჭრელი გზა-კვალი
მახსოვს და მიყვარს, როგორც მიყვარდა,
ლამაზი ცისფერთვალება ქალი
ატირებულ ყრმას გულში მიკრავდა.
იმ ქალის მადლი სულ თან დამდევდა,
სიზმრებთან ერთად ვერსად გავწირე,
საქართველო და მშობელი დედა
შორს დამრჩა, როგორც ის სიყმაწვილე.
რაც თან გამომყვა სისხლი თუ გენი
„დედის ნანას“ და „ნანილო“-სია,
დღეს სხვა კაცი ვარ, სამკვიდრო ჩემი
ცხელი უდაბნო და ნილოსია.
კაცის კვლა მე არ მომიგონია,
მიმზერს აფრიკა შიშით შეშლილი,
სხვა სული მქონდა, მაგრამ მგონია
მარტო სისხლისღვრით ვარ დაგეშილი.
ახლა ამ მკერდში, ალბათ, ქვა მიდევს,
რა ვთქვა სხვა მიწის მცირე ნაწილმა,
ბევრჯერ ვაჩვენე ამ პირამიდებს
ომში ქველობა და თავგანწირვა.
სახელ-დიდება აქ არ მაკლია,
მამლუქთა ლაშქარს თავში მივუძღვი,
ალ-ლაჰ ღმერთია, თუ ეშმაკია,
ჩემს ცოდვებში რომ ბრალი მიუძღვის?!
სული სფინქსივით აქ გამიყინეს
ყურანის სჯულით ამოშანთული.
კითხვა სისხლშიც კი აღარ მიყივლებს:
აქ რად მიხმება ფესვი ქართული,
სად არის ჩემი ადგილის დედა,
რად გახდა უცხო და შორეული,
ან, იქნებ, სულაც გამიცამტვერდა
და შველას ითხოვს მტერმორეული,
ჩემი ედემი რაში გავცვალე,
ან ეს სიცოცხლე რა გრიგალია,
თავი ეგვიპტეს რად ვანაცვალე,
ან ჩემი ხვედრი ვისი ბრალია?!

ᲕᲐᲜᲝ ᲩᲮᲘᲢᲕᲐᲫᲔ

ინანიშვილის გმირები



მივდივართ კი არა, მივღოღავთ. ალაგ-ალაგ, ნაურმალი რომ გატკიცინდება, იქ თუ ავუჩქარებთ, თუ არა, ხტუნავს ქვა-ღორღზე ვილისი, გვტანჯავს და იტანჯება, ყელში გვადენს რაც ახლობლებთან სტუმრობით ვისიამოვნეთ.

დედაქალაქისკენ წამოსასვლელად საბადურზე უარი ვთქვით, აქეთ, საარაგვოსკენ ავიღეთ მოკლეზე გეზი.

გამოვცდით ჩაბნელებულ თიანეთს, ძველი ნაგზაურიდან თანდათან მაღლა-მაღლა, უდაბურ სიჩუმეში შევედით და ვიღაცას მივადექით, შუა გზას დამდგარი, ხელკეტიანი რომ მილაყუნობდა.

მადლი ვქნათ, დავიმგზავროთო, მითხარი.

დავიმგზავროთ-მეთქი.

უცნობი თავის ჯოხიანად უკანა საკარძელზე მოთავსდა.

სალამიო — მოგვიგდო მოკლედ და, ალბათ გზაში დაწყებული ღიღინი გააგრძელა.

მოვდივართ. არც ორმოები თავდება, არც ოღრო-ჩოღ-

როზე ნაწვალები, გაწელილი ხმა.

— ბულბულო, სიმღერა და რადიო რომ მდომოდა, მაგნიტოფონი აქ არა მაქვს? სამღერლად კი არ ჩაგსვი...

— რა გშურს თუ მეღიღინება... ამ დედანატირებ ცხოვრებაში კაცს ემღერებოდეს და როგორ უნდა დაუშალო... მიაყე გვერდზე, უნდა, ჩავიდე!

— რო არ მივაყენო?

— კაი კეტს გამომტყუებ!

— ეე, აჰა, მოდი და მადლი ქენი... ხო გითხარი, არ ჩავსვათ, შარს წავეკიდებით-მეთქი, — ვითომ მე შემომწყერი.

— დაყვედრებული მადლი რაღა მადლია.

— შორს მიბრძანდებით? — შეცვალე „პლასტინკა“.

შორს არა, მაგრამ არც ახლოსაო, თანაც მივბრძანდები კი არა მივეთრევიო, ეგრე უფრო შეჰფერის ჩვენს ძაღლუმადურ ყოფასო.

— ეგრე რათ გველაპარაკები, გულმოსული, შენ თუ დალიე, განა ჩვენ მატყლი კი არა ვჩეჩეთ... რატო არ გაგვეცნობი...

უჭიქოდ გაცნობა არა მწამსო, თანაც ამ შუაღამეში ერთმანეთს დავიხსომებთ თუ რააო! — აჭრაჭუნებულ სავარძელზე გვერდი მოინაცვლა, ვილისმაც ღონივრად ჩაჰკრა ორმოში და გაბრაზებულმა დაიღრინა, გაგრძელებული ბოყინით ხრაკის სუნი ამოიქარვა.

მივხედე. მართლაც რა უნდა დაინახო, როგორ დაიმახსოვრო, ზის მხრებში მოხრილი, კეტჩაბღუჯული, თითქოს ეშინია არ წავართვათ და მარტო თვალები უბრიალებს ღუმელთან ნაწოლი კატასავით.

— ძიაკაცო, სადაური ხარ, ეგ მაინც გვითხარი, — არ ეშვები.

— სადაური ვიქნები, აქაური, ფშაველი, ლაპარაკზე მაინც ვერ მატყობ?

— სად აქაური, იმ ადგილს სახელი არა აქვს?

— რატომ არა აქვს, იმის მტერსა და დამაწყევარს ნუ ჰქონია... საქართველო ჰქვია.

— სადაც დაიბადე, ფეხი აიდგი, სოფელ-ქვეყანა იცანი, ეგ მაინტერესებს, თორე, საქართველო დიდია.

— ეჰ, ნეტამც დიდი იყოს... სიდიდისა რაღა ეტყობა! — ისე ამოიოხრა, გული ჩამწყდა.

(გახსოვს, ტუშურო, იმ ჩვენს თანამგზავრს მაშინ ეპატარავა საქართველო და ახლა რაღას იტყოდა)

— საქმეზე ვიყავი — ქვრივ, მარტოხელა ნაცნობ დედაკაცს ტომარა ფქვილი მივწოდე და არაყი გამოვახდევინე... მერე არ მომეშვა, ქადები დააცხო... თუ გაქვთ რამე, ახლაც დავლევ, თუ არა და ჩემთან ჩავიდეთ.

— სად ჩავიდეთ, ამ ტრიალ მინდორსა და ხევ-ხუვებში?

— თქვენთვის არის ტრიალი, თორემ, ჩემთვის...

ამონათდა ბადრი მთვარე, გაღმა-გამოღმა ერთიანად გადანაცრისფერდა.

— რაო, იმ ნაცნობმა ქვრივმა, არაყი და ქადა გაკმარა მარტო? — არ უსვენებ.

— აბა, აბა, დაუკრეფავში ნუ გადადიხარ!

— რათა, დაუკრეფავში, მადლია... მოპარულ ხილს სხვა გემო აქვს.

— დახრჩობაც იცის იმ მოპარულმა ხილმა.

— ეგრე თუ ვიფიქრეთ.

— თუ არ ვიფიქრეთ, რაღა განსხვავებაა ჩვენსა და საქონელს შორის. არ გამაბრაზო, ბალღო, პირი არ აიმყრალო!

— რათა, არ ეკადრება?

— ჩემგან არა... ყველას კი არ შეუძლია კამკამა წყალში ტალახიანი ხელი ჩაყოს.

— ვინ არის ის ქვრივი, ეგრე ცივ ნიავს რო არ აკარებ... გამოტყდი!..

— კარგი ვაჟკაცის თანამეცხედრე იყო... რო კვდებოდა, უღონო თითები მაჯაზე მომიჭირა, მე თუ მივდივარ, შენ ხო აქ რჩები, ყურადღებით იყავ, ვინმემ სირცხვილი არ მაჭამოსო... „ვინმე“ იქვე იდგა და გამლღვალი სანთელივით დნებოდა... მე ფქვილი მივუტანე, იმან წინდები დამახვედრა, შენთვის დავქსოვე, ზამთარში არ გამიცივდეო... და-ძმობა გვაქვს ნათქვამი... რა ვქნათ, სინდის-ნამუსს თუ არ გავაძლებინეთ, გადაგვივლის დაუნდობელი ცხოვრება... ვიდრე თოვლი ჩაგვკეტავს, კიდევ ვინახულებ, მარტოხელობას არ დავაჩაგვრინებ...

ხმა ვეღარ ამოვიღეთ.

თავი გადააქნიე და ჩამჩურჩულე, ხედავ რა ჯიგარი ვინმე ყოფილაო?

რა უნდოდათ, რას დაეძებდნენ იმ ყიამეთში, ვერ გეტყვი — საიდანღაც აღავღავებული ძაღლები აგვედევნენ, კარგა ხანს გვდიეს, კბილების ღრჭენით და ვაი უშველებელით, ჩვენ რომ ვერ მოგვწვდნენ, ვილისს ლამის გვერდები გამოაცალეს.

ჩამოგვრჩებიან და ისევ გვეწევიან, ებღოტებიან მანქანას, თანგირა ქვაბების ძირივით თავებს საქარე მინას უხათქუნებენ.

მიდით, იხმაურეთ, იგნიასეთ, მტერმა არ იფიქროს რომ გვძინავსო, ეს ჩვენი თანამგზავრი აქედან აქეზებს გაავებულ მყეფარებს.

უცებ — გამიჩერეთ, ჩემ ჩასახვევს უკვე გამოვცდითო.

გავიხედ-გამოვიხედე, არსად სინათლე ან სიცოცხლის ნიშანწყალი არ ჩანს, როგორ მიხვდა სად უნდა ჩასულიყო, ვერ გავიგე.

ყნოსვითაო, განა მშობელს თვალდახუჭული ვერ იცნობო? — მკითხა.

ხელები ავუწიე, ცამდე მართალი ბრძანდებით-მეთქი.

გამიჩერეთ, სადღა მიგყევართო.

— ამ გაველურებულ ძაღლებს გავერიდოთ, თორემ ეგრე გაგვგლეჯენ, ჩვენგან ამოსაცნობსაც არ დატოვებენ.

გაგვგლეჯენ რა, განა შინაურ-გარეული არ იციან, გადავალ და აბა ნახეთ, თუ შემჭამენო.

მანქანა გზისპირზე, მოსახვევთან მიაყენე.

ფარებმა სიპი ქვით ამოყვანილ თაღში, მილიდან გადმოჩქეფილი წყარო გაანათეს.

ჩამორჩენილმა ძაღლებმა ისევ „აკრიფეს“ სიჩქარე, მოცვივდნენ, მაგრამ ამან ჯერ დაუყვავა, მერე დატუქსა, როგორ ვერ მიცანითო და იმათაც ტონი შეცვალეს, თითქოს დაიმორცხვეს, კუდი აუქიცინეს, ფეხებზე გაეგლისნენ, ალერსიანი წკმუტუნით მუხლებზე აებღოტნენ.

მისი ხათრით აღარც ჩვენ გვიუცხოვეს.

კაცმა უბიდან ქვრივისგან გამოტანებული ბოთლი ამოაძვრინა, თქვენზე კაი ხალხთან ვისთან დავლევო, შენ კიდევ მანქანიდან დედას გამომცხვარი მხლოვანა გადმოიღე და მეტი რა გვინდოდა.

ვიღაც მადლიანს წყაროს თავზე თუნუქის „კრუშკაც“ შემოედო.

გავიმართეთ წელში, ჩამოვასხით არაყი.

ორ-ორი დავლიეთ და წაიღიღინა არაყის პატრონმა.

ჩვენც ავყევით.

ვდგავართ წყაროსთან, სამი კაცი, ორი ოთხფეხი და ვმღერით თუ შევყმუით მთებზე, საშემოდგომო ტყეებზე დამხობილ კუნაპეტ ცას, სივრცეებში გაჭრილ სარკმელივით, გაფერმკრთალებული მთვარის ოვალით რომ იტაცებს ჩვენს ხმას და უსაზღვროებაში მიაფრენს.

— ჰე, ჰე, ჰეე!.. — გავძახეთ და, ოი, დიდება შენდა ღმერთო, ვიღაც გამოგვეპასუხა, საიდანღაც, მარცხნიდან თუ მარჯვნიდან, წინიდან თუ უკნიდან, იქნებ ოთხივე მხრიდან.

აგვყვა, აგუგუნდა უტყვი მდუმარება.

უფრო ომახიანად შევუბერეთ.

ჩემი რა ვთქვა, მაგრამ თქვენ კი მართლა კარგად მღეროდით.

— ეე, ბიძაჩემო, ეს რა დაგვემართა, ლამის მტრებად არ დავშორდით? — გადაეხვიეთ ერთმანეთს.

აბა, აბა, ლამის სირცხვილი არ ვჭამეთო, ყურის ბიბილო მოფერებით მომისრისა და ვიგრძენი ნაჯაფი თითების „ხაო“.

„დავაყუდეთ“ ის შვიდასგრამიანი ბოთლი.

წამოდით, ოჯახი გამიხარეთ თქვენი სტუმრობითო.

ვიუარეთ, სხვა დროს იყოსო.

გამოთხოვება ხანგრძლივი იყო და მთვრალების კვალობაზე სევდიანიც.

წავიდა კეტის კაკუნით, ღიღინით, ქვა-ღორღზე აბრაგანებული, ადევნებული ძაღლებით.

მაშ საკვირველი არ იყო, ეგრე ჩავთავეთ ფეხზემდგომელა „სუფრა“ (ახლა ლანჩს რომ ეძახიან), არც იმას უკითხავს სახელი და არც — ჩვენ. სულ ძიათი და ძმისშვილოთი მივმართავდით ერთმანეთს.

ერთი ის ვიცოდით, რომ დურგალი იყო...

რა მოგასვენებდა, მაინც გაიკითხე და გაიგე ჩვენი თანამგზავრის ვინაობა — იგივე გზაზე, ჟინვალიდან წამოსულმა, იმ წყაროს სიახლოვეს, საკვირაო ბაზრობაზე მიმავალი დედაკაცები დაიმგზავრე.

მწირი, „ამოსაცნობი“ ნიშნების ჩამოთვლის შემდეგ, ერთ-ერთი მთლად მისი მეუღლე გამოდგა.

რათა ჰკითხულობთ, მომიკვდეს თავი, ცოტა მძიმე სიმთვრალე აქვს და ხო არაფერი გაკადრათო, შეწუხდა თურმე ქალი, მერე — ჰოო, როგორც აღწერეთ ჩემი კაცია, იმ ღამეს ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდა... სახელები კი ვეღარ გაიხსენა, კაი ბიჭებთან დავლიეო...

— არ გვითქვამს და როგორ გაიხსენებდა.

— ანდა კაი ბიჭებს რაღა სახელები უნდათ... თვითონაც კაი ბიჭია! — მანქანიდან მიაყარა ქოქოლა, — მაგის ხელში რას უნდა მოვეწიო, არ ვიცი... ეზოს წინ, შეშა რომ ვიყიდეთ, დახერხა და გასაშრობად დააწყო. შევხედე ერთ დღეს და, ვხედავ, ცალ მხარეს აკლია, — მიუბრუნდა ქალებს, — ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი, მაგრამ ეგეთი თვალი მაქ... მეორე დღესაც... მესამე დღეს — დავუყარაულოთ-მეთქი... დამანებე თავი, არაფერიც არ აკლიაო, მაგრამ მოვეშვებოდი?.. ბოლოს და ბოლოს ფულია გადახდილი... ტყეში ვცხოვრობთ და შეშასა ვყიდულობთ, გაგიგონიათ? ეგეთია, ისედაც გაჩეხილ ჩვენი ტყის ნედლ ხეს ცულს როგორ დავკრავო... ვდგევართ მოფარებულში და უკვე მებუზღუნება, შენ უყარაულე, მე აქ გამჩერებელი აღარა ვარო, რომ გავიხედოთ და, არ მინდა სახელი ვთქვა, ქურდი ღობე-ღობე მოიპარება.

ხო უნდა ვაცალო, რა ვიცი, ეგებ თავის გზას ადგას.

რომელ თავის გზასა, გაშალა სახორბლე „მეშოკი“ და მიადგა დახორავებულ შეშას.

წავკარი მუჯლუგუნი, რაღას ელოდები, დასჭყივლე მაინც, თორემ, დაიზურგება და გააძუგძუგებს-მეთქი.

მოიცა, ქალო, მოიცაო, — დგას შელოცვილივით გარინდებული.

ვლანძღავ, ვჩმეტავ გვერდებში, დაბდურო, რისთვის გინდა ეგ დასადუნებელი მკლავები, ეგრე განიავდა შენი ცხოვრება, შინაურებისაგან თუ გარეულებისაგან-მეთქი, მაგრამ ესმის?

გაჩე ქალო, ცოტა ბნელში მიდექ, არ დაგვინახოსო.

ამან სუ გამაგიჟა, მპარავენ და კიდევ მე დავიმალო-მეთქი.

აბა, ამ ხნის კაცს საქვეყნოდ ხო არ გამოვაჭენებთო... ისე რო გაუჭირდება, იღლია შეშას მოიპარავს, საბრალო და ცოდვაა... ამის გამო ქვეყანას უნდა შერცხვეს, ქვეყანასო.

შერცხვეს, მაშ! აგე, სირცხვილით სუ სახე ეწვის, მიდი, მიეხმარე, მეორე იღლიაც მიაშველე-მეთქი.

მივაშველებდი, მაგრამ იუხერხულებს... წამოდი, თავი გაანებეო! — აბრუნდა სახლისკენ და მეც რა უნდა მექნა... სუ ეგეთი იყო, ახალგაზრდობაშიც და ძველგაზრდობაშიც და ახლა როგორ შევცვალოვო, დაამთავრა მონოლოგი ქალმა.

ვაპირებდით, მოვინახულოთ, თითო ტომარა შეშა ეგებ ჩვენც არ დაგვაყვედროსო, მაგრამ დღესა-ხვალაობაში ეგრე გაგვიქრა წლები, ვერ მოვახერხეთ.

მართალი ყოფილა, გადადებული ეშმაკისაოო...

მაშინ რა საქმეზეც ვიყავით, მობილურით რომ მოგვეგვარებინა, გავიცნობდით იმ კაი კაცს? ამით თითქოს არაფერი შეგვმატებია, მაგრამ განა ცოტაა იმედი რომ მოგვეცა, რაკი ასეთი კაცები დადიან, ქვეყანაც უნუგეშოდ თავზე არ ჩამოგვექცევაო?

იმ შეხვედრას რომ ვიხსენებ, იცი კიდევ რასა ვფიქრობ ხოლმე? — სამყაროს ცენტრი „მოძრავია“.

ვაჟა-ფშაველა როცა ჩარგალში იყო, სამყაროს ცენტრი სწორედ ამ პატარა, მიყრუებულ სოფელში გადაინაცვლებდა, აქაურობას დანათოდა მოგვების მონიშნული ვარსკვლავივით, აქ ჩუხჩუხებდა ადამიანის აზროვნების ყველაზე სისხლსავსე არტერია. მაშინ, წყალუხვი ამაზონი კოჭამდეც ვერ მისწვდებოდა პატარა ჩარგლულას, ვერა!..

ბევრს უნდა, მაგრამ უფლის კალთიდან ვერ გადმოგვყრიან და ვერ დაგვკარგავენ, იმ ჩვენი „უცნობი ნაცნობი“ კაცის საძირე ისევ აიტანს ზეციურ უსასრულობამდე, ერის უკვდავების კენწეროს.

* * *

მეტყვი, კალამი გაგექცაო.

შეიძლება ასეც იყოს, მითუმეტეს სერვანტესს თუ დავუჯერებთ, კალამი სულის ენა ყოფილა. თუ გამექცა, სულის მიზეზით მომხდარა და მე არაფერ შუაში ვარ, რაც ამომძახა, ის დავთესე ფურცელზე, აი, ეგრე, ხელუკუღმა

მოვაფრქვიე.

რა ვქნა, რაც ამოვა, ამოვა.

განა ჩვენ კი, ვისაც ჯანმრთელობის ცნობა გვიდევს მარცხენა გულისჯიბეში, გამუდმებით სიბრძნისა და სიგიჟის გზაწვრილს არ ვადგავართ? თანაც სახედარზე ამხედრებული ჩვენი ჩალხანა საჭურველმტვირთველი ჩრდილივით მოუცილებლად არ მოგვყვება?

მაშ რად გვიკვირს იმათი სიგიჟე, ვინც ჩვენ არ გვეთანხმება ანდა ჩვენნაირად არ ფიქრობს?

განა რამდენ კაცს სჯეროდა წმინდა მამა გაბრიელის ღვთის რჩეულობა!

ჩვენს თვალწინ ღვაწლს შემდგარი გულისნადებს სიყალბით არ ნიღბავდა, ადამიანთა ფიქრებს შეუმცდარად კითხულობდა, ბილწ სურვილებს ამხელდა, სულმდაბალ ზრახვებს ჭუჭყიანი თეთრეულივით აგვიფრიალებდა ხოლმე და მაინც არ ვუჯერებდით... თუმცა, რა გასაკვირია, მაცხოვარს არ დაუჯერეს და განა ორიათასი წლის შემდეგ უკეთესები გავხდით, დონ-კიხოტის ანდა მამა გაბრიელის რომ გვერწმუნა?

რატომაო?

იმიტომ, რომ ჩვენში დაშრეტილია ის სულიერი ენერგია, რაც ღვთისა და ერის რჩეულთ გააჩნდათ, არ შეგვეძლო, არათუ მათი მკაცრი ცხოვრებით გვეცხოვრა, არამედ გვეთანაგრძნო მაინც, თავთავისი გოლგოთისკენ მიმავლებისთვის უმადური მზერა არ გაგვეყოლებინა.

საითკენ მივდივართ, საით გვეწევიან ჩვენი უმწეო, ცოდვილი სულები? დღევანდელი იორდანე ივარგებს ახალი ღვთისშვილის მოსანათლად?

აქ ტრივიალურ მოძღვრებაზე, სიკეთეზე ან ღვთისა და ეშმაკის მონიშნულ ორიენტირებიდან რომელს ავირჩევთ, ამაზე არ არის ლაპარაკი. ეგებ არის მესამე, იქნებ მეოთხე, მეხუთე გზაც („გზას ვიტყვით, თორემ რა გზაა“)?

ანდა ქვრივთან მიტანილი ტომარა ფქვილი თუ იღლია შეშა, განა დიდების კვარცხლბეკზე შემოვდეთ და საქვეყნო ზარი დავარისხეთ — ქრისტიანი კაცი მაშ როგორ უნდა მოქცეულიყო, რა უნდა ექნა, რატომ უნდა გაგვკვირვებოდა და შეგვესხა ხოტბა!

კაცობრიობას საარაყე ქვაბის ზარფუშივით დაახურეს მორიგი, კიდევ ერთი, საერთო ტყუილი, ამ ტყუილის ქვეშა ვართ მოქცეული რაოდენობრივად მცირე ერები, ვიწვით, ვიხრუკებით, მაგრამ ქვაბის ახალი პატრონი შეშას თუ მიამატებს, თორემ ქვაბს ცეცხლს არასდიდებით არ გამოუკეთებს!

სსრკ-ს სანაგვედან თავგამოყოფილებმა ხეირიანად ვერ მოვასწარით თავისუფლების ჰაერის ჩასუნთქვა, მაშინვე ნისკარტში წაგვწვდნენ, მეტი არ მოგვიდეთ, შეუჩვეველები ხართ და ფილტვები დაგისკდებათო.

მაშინ თუ კრემლის კურანტების კარნახზე უნდა აგვწყო ნაბიჯები, „მონობიდან თავდახსნილებს,“ „მემრე“ იმდენი პატრონი გამოგვიჩნდა...

ახალმა მსოფლიომ, „ორთქლი“ რომ არ გამოიპაროს, საგულდაგულოდ დაატალახა ზარფუში, ჩვენი ვითომ დაცული უფლებების გამონასკვულ ყულფში თავი გაგვაყოფინა და ველოდებით სკამს ფეხს როდის გამოჰკრავს.

იმ გზაზეც აღარც ჩვენ გავივლით და აღარც ის კაცი, მეგობარსაც და მეგობრის ქვრივსაც მობილურით მოვიკითხავთ, ვალს მოვიხდით მხოლოდ და ასე თანდათან გაცივდება გრძნობები... მაშინდელი ნაგაზების შთამომავლები, ახლა დაკოდილი, ჩამოქალაქებული ძაღლებიც ვეღარ იყეფებენ ისე ომახიანად...

მოკლედ, იცი რას გეტყვი, ასე მგონია „იზლერის ბაღები“ მართლა არ გინახავს, თორემ მობილურის შესაძლებლობებს როგორ გააფეტიშებდი, ახალი ზარფუშის სიკეთეს როგორ დაიჯერებდი — რა მნიშვნელობა აქვს, ნოინი სად იჯდება, ოკეანის გადაღმა თუ გადმოღმა, ყარა-ყორუმში თუ სპასკის კოშკთან, მაცხოვრის ტაძრის სიახლოვეს.

ტარიბანას გახსენებამ ძველი გრძნობები ამოადუღა — მიჯნისყურე, ჭაჭუნა, ივრისპირები, ელდარი... მწვანე ბალახზე რძესავით შედედებული თეთრი ფარები.

შემოდგომის ფერებშეპარული კორომების აკვარელი. ჯაგებზე წითელასავით გამოფენილი კუნელი და ბოშა ქალების საყურესავით დაკონწიალებული, დილის ნამშეუმშრალი კოწახური... კიდევ, საღსაღაჯის ლურჯი, გამჭვირვალე ალი.

ღონიერი, ქვასავით მკვრივი ხის ნაკვერჩხალს წვიმაც ვერ აქრობს, ნაცარში წახვეული ისევ ანთებული ხვდებათ სამწყემსურიდან დაბრუნებულებს.

გამაოგნებლად ძვირფასი და მშობლიური —

„ეგ არის, ბალღო, შენი სამშობლო!“

ჩემი როა, მერე რათ მეცილებიან?

გიმეორებ, იზლერის ბაღები არ გინახავს, თორემ მაგ კითხვას არ დასვამდი!

არც ჰაიდ პარკი!

არც ელისეს მინდვრები!

არც ოფლით გაზინზლულ მონღოლური ცხენის ზურგიდან დაქნეულ მათრახის ფოჩს აუფცქვნია ტყავი ხერხემალზე!

არც...

რომელი ერთი ჩამოვთვალო:

არ დაგილევია იმ მუცელღმერთა სამოვარის ჩაი, კოჭლი დენშჩიკის დაჭმუჭნულ ყელიანი ჩექმა რომ დაუბერავდა ხოლმე და სამოვარს ციებიანივით ააცახცახებდა.

არც იმ შაქრის კვინწი გიგემია, ილიას „აფიცრის“ საშაქრეში დამალული, ყვითელმუცელა ბუზი რომ ყარაულობდა.

სამაგიეროდ იორს გაყოლებული, მინგეჩაურამდე გაგრძელებული, ერთმანეთს მიბმული მინდვრები, საძოვრები, კლდოვანი მთები, ფარეხები, ბინები, ნაკრძალი და ვენახების ახალშენები გინახავს... შენი ჯიგარი აქ ადუღებულა, შენნაირად აქაურობისთვის ვერავის შეუხედავს, მოსიყვარულე თვალი ვერ გადაუვლიათ, ვერ დაუჩოქებიათ საამბორებლად და ცრემლმორეული, ტუჩებით ხრიოკს ვერ დაკვდომიან!

გახსოვს!

რაც გინახავს, იმას როგორ დაივიწყებდი:

ვითომ სანადიროდ, სინამდვილეში, სწორედ თვალის გადასავლებად ვიყავით კახეთს გადავარდნილები.

ავახმიანეთ, გამოვაღვიძეთ სამშობლო თოფების ბათქაბუთქით და ჩრდილში გაშლილ, სახელდახელო მაგიდასთან მოვგროვდით.

შორიახლო ორთქლი ასდიოდათ ზედადგარზე შემოდგმულ სახორცე ქვაბებს...

რა თქმა უნდა, იქაც გოგლა გაგვახსენდა:

„როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი...“

პლასტმასის ვებერთელა ჯამში, ხახვსა და მარილში ჩაბასტურმებულ სამწვადეს, შინდის გალოპრილ შამფურებზე აგებენ.

იორზე გადაყუდებულ წნორზე ობოლი მწყემსი ბიჭის გაფხუკული გუდასავით ჰკიდია გუგულის ბუდე.

მზე გადადის და ხეების ჩრდილებიც მიდი-მოდიან, მოძრაობენ — ახლა სამხრეთ-დასავლეთიდან შემოგვჭყიტინებს მნათობი.

ერთი მნათობი სუფრასთანაც გვიზის — ბრდღვიალა, ალისფერ კაბიანი ქალბატონი, მთავარი დედაქალაქიდან მოვლინებული, TACC*-ის თანამშრომელი, თბილისელმა კოლეგა ქალებმა კახეთისკენ რომ „გამოიტყუეს“ და რაიკომის იდეოლოგიის მდივნის თანხლებით, სადაფისფერი ღვინის „ტოლჩებით“, სახინკლე, ჩაქაფულითა და ხაშლამის ჯამ-ჭურჭლით გაძეძგილ მაგიდასთან დაგვისვეს.

ასაკით თუ ვიმსჯელებთ, ქალბატონს სიბრძნე და გამოცდილება არ უნდა ჰკლებოდა — არც გაჰკვირვებია რაიმე, უცნობი, აქამდე დაუგემოვნებელი ვერაფერი შევთავაზეთ, ხოლო ხინკალს კოხტა, გამომწვევი ტუჩებით ისე ოსტატურად ჩააფრინდა წვეთი არ დაჰქცევია, და რომ არ მომრიდებოდა, ოვაციით შევხვდებოდი.

ეჭვი არ იყო, ქალბატონი კარგად იცნობდა დიდი რუსეთის ერთ-ერთ უმცროს, შეთამამებულ ძმას. უწყინარი სამსახურის იარლიყს ამოფარებული, ალბათ საიდუმლო სამსახურისგანაც დავალებული, რაღაც სხვა მისიასაც ასრულებდა, რომელიც სუფრის წევრთა უმრავლესობისათვის უცნობი იყო მისი ნამდვილი ვალდებულება „სამშობლოს წინაშე,“ შეიძლებოდა, რაიკომის მდივანმა და იმ შავმა კაცმა იცოდა, უშიშროების თვალი და ყური რომ ერქვა რაიონში.

ეს შავი კაცი, ანუ ამხანაგი მიშა, როგორც უწოდებდნენ, ყველაზე მეტს იცინოდა, ოხუნჯობდა, თამამი ანეკდოტებით ამხიარულებდა სუფრას, მაგრამ დრო და დრო, უღრუბლო ცაზე ელვასავით გამომკრთალი ფხიზელი, გამჭოლი მზერით გვაგრძობინებდა, რომ „ის აქ იყო“.

ჩემს გვერდით მონკავშირის ადგილობრივი გაერთიანების თავმჯდომარე, ულვაშაბიბინებული ჯეელი იჯდა. ჯეელი — ხუმრობით, თორემ თავმჯდომარეს არ აკლდა „ვერცხლი“ მარჯვნიდან მარცხნივ გადავარცხნილ, ბულულივით თმაში.

ამ ბატონმა, მწყემსების ნაბინავართან გაჩერებული ორხიდიანი ვილისი სუფრასთან ახლოს მოაყენა, მუსიკას ხომ არ ინებებთო, დაეკითხა რაიკომის მდივანს.

იმანაც, თავის დაქნევით მოწყალება როცა მოიღო, მაგნიტოფონი ჩართო და ერთბაშად ეგეთმა დახტა-დუბარამ გადმოხეთქა, მონკავშირის შეფს თავისთავად გაეშალა მკლავები, გახუნებულ მიჯნაზე ცერი გაუსვა, სუფრას შემოურა და სტუმარი ქალბატონის წინ ხარივით კისერი მოიდრიკა.

ქალმა იუარა, არ მეხერხება ქართული როკვაო, მაგრამ დროულად შეაფასა კახური მოთმინებისა და სიჯიუტის უსაზღვროება, ხელსახოცით მოიმშრალა ტუჩები და ვარდისფერი ხანძარი საცეკვაოდ გამოგოგმანდა.

რაიკომის მდივანმა, რომელმაც ჩვენი თხოვნის გარეშე შეითავსა თამადობა, ჰალსტუხი ჯერ მოიხალვათა, მერე ჯეელმა კიდევ ერთხელ, საერთო ჯამში მესამედ რომ ააცალა გვერდიდან სტუმარი ქალბატონი, საერთოდ მოიხსნა და ჯიბეში ჩაიკუჭა.

— ზნაჩიტ, დათვრა! — თვალი ჩამიკრა ერთმა ჩვენმა საერთო მეგობარმა — სადაცაა ტარი გამოსძვრება.

— განა მდივნებიც თვრებიან? — „გავიკვირვე“.

— თვრებიანო?!

ზედადგრებზე შემოდგმულ ქვაბებთან მოტრიალე მზარეულმა, პატარა, ყურიანი ქოთნებით მწვანილ და ნიორმოყრილი კახური ყავა — ბატკნის წვენის თათარიახნი ჩამოარიგა.

„ყავას“ ორი, თეთრი გუნდასავით მოხარშული დუმაც მოაყოლა და თამადას მიართვა.

თამადამ დუმა დაჭრა, ერთი მოზრდილი ნაჭერი ცეკვიდან მობრუნებულ ქალბატონს შესთავაზა, რომელმაც მაშინვე დააგემოვნა, თავი მოწონებით დაიქნია და მერე იკითხა რა არისო.

ქართულად ვუთხრა თუ რუსულადო, გაუთამამდა მდივანს ოფლით შუბლდაცვარული ჯეელი.

რუსულად, ქართულად რას გაიგებსო, „ურჩია“ ჩვენმა საერთო მეგობარმა.

გამხიარულდა სუფრა.

ქალი ხან ერთს მოგვაცეცებს თვალს, ხან — მეორეს, რა ხდება, რა თქვით სასაცილოო, და ისევ უშიშროებამ ივაჟკაცა, რაღაც მიუკიბ-მოუკიბა.

მდივანმა შემატყო დუმას ალმაცერად რომ ვუყურებდი, ჩემი ჩანგალი დაარჭო თიმთიმა ნაჭერს და მომაწოდა, მიირთვითო.

როგორ გეკადრებათ, მაგას რა შემაჭმევს-მეთქი (გულმუცელი დამგვრიმა, იმის გლუვი სიმსუქნე როცა წარმოვიდგინე, როგორ ჩადიოდა ყელში).

ძალიან გთხოვთ, უნდა მიირთვათო... როგორც ნიგოზი, ეგეთია... აი, ხო ეგეთი შეხედულება აქვს, ნახეთ, რა, გულით გთხოვთ...

ჩაერია უშიშროება, ნიკოლიჩ, თუკი არ უნდა, ნუ დავაძალებთო.

შენ როდის დაგავალე შუამავლობაო, არც უშიშროებას შეეპუა.

ვერ მოგეშვებიო, გამომიწია ყელი, სულ ცოტა და, ისე მოგეწონებათ, შეიძლება მერე სხვა რამე აღარც მიირთვათ ამ სუფრაზეო.

გიჟია, ჭკვიანია, ამას ვის გადავეკიდე-მეთქი, დანით ცოტა ჩამოვჭერი, თან ცალი ფეხი ძელსკამიდან გადმოვდგი, გული რომ ამერიოს, მარცხი აქვე არ დამემართოს და ამდენ ხალხში არ შევრცხვე.

როგორც იქნა, გავღეჭე, მივაყოლე ბლომად პური. მართლაც ძალიან გემრიელი იყო და თავის შეხედულებას არ ამართლებდა.

როგორიაო.

ავუწიე ცერა თითი, კარგია-მეთქი.

— მეც ეგრე ვიყავი, დასანახადაც ვერ ვიტანდი. მწყემსებმა მაჭამეს ძალით, ელდარზე... აი, ასე, არ მომეშვნენ, განსაკუთრებით ერთი გადამეკიდა — თუშ მეცხვარეში რომ თამაშობს, პანტო თათარაიძე, დუმა კი არა ნედლი ნიგოზიაო და პირველმა მდივანმაც გადმომიტრიალა თვალები, ეს პატიოსანი ხალხი როდემდე უნდა ახვეწიოო... რა

** საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტო 1925-92 წწ.*

უნდა მექნა, დავხუჭე თვალები და... აბა, კიდევ გაუბედე. მართლაც ნიგოზსა სჯობია, თან დიეტურია...

პირი მაინც ვეღარ დავაკარე. ხო იცი, თვალი ოხერია — კარგია, მაგრამ გუნებამ მაინც ვერ მიიღო.

ქალბატონი მიხვდა ჩემს გასაჭირს და ახლა ის მაქეზებს — ჩემი ხათრით მეორე ნაჭერიც რომ „დაამუშავა“, ისევ შემოუარა ცეკვა-ცეკვით შეზარხოშებულმა ჩოყლაყმა სუფრას და სტუმართან თავმოდრეკილი გაირინდა.

მაცალეო, ქალმა ტკაცუნით გახსნა ხელჩანთა, სუნამო იპკურა ყურის ბიბილოებთან და ფრანგული ბრენდის (მაშინ იშვიათმა) სურნელმა დროებით ჩაახშო ღობემონგრეული ფარეხიდან მონაბერი სუნი.

ერთხანს, მასპინძლებმა, ყურადღება მოადუნეს, სამშობლოს სადღეგრძელომ ჩაგვიყოლია, ყველას ერთნაირად აგვიდუღდა ჯიგარი, დროებით მაინც ყველა ერთი სადარდებელით ავივსეთ. მოცეკვავეები მაშინღა გაგვახსენდა, ვალსის ხმა რომ ჩაგვესმა და მონკავშირის თავმჯდომარის მკლავებში მომწყვდეული, კისერზე დაკონწიალებული ქალბატონი დავინახეთ.

შეკრეს წარბი მდივანმა და უშიშროებამ ¬— მიზანი კი კარგი ჰქონდა მონადირეების ლიდერს, მაგრამ „სასხლეტზე“ თითის გამოკვრას ვინ აცლიდა.

მოუხმეს ფეხზე მოტრიალე ბიჭს:

ეგაო, ცოტა ჭკუაზე მოვიდეს, თავის ყველაყისას ნუ მიირთმევს, თორემაო...

— ეყოფა, დაყენდესო! — დაუსვა ბეჭედი მდივნის ნათქვამს უშიშროებამ.

მივიდა ბიჭი, აუხსნა ჩოყლაყს საქმის ვითარება, ცეცხლს ნუ ეთამაშები, ცოტა სახიფათო ქალია, თანაც უფროსობა განაწყენდაო.

საწყენს რას ჩავდივარ, ქალს უნდა თორე მე რააო.

ახირდა, მშობელ დედას დავთმობ და ამას ვერაო, ძარღვებში აჩქროლებულმა სისხლმა იმძლავრა, ზღვამოვლილი ქალბატონის ხორბლისფერ, ჯერ კიდევ სინორჩეშემორჩენილ ყელიდან ასხლეტილი „შანელის“ სურნელმა წაართვა სიფრთხილის სადავეები, მოწყვეტილი ზვავით ვერ შეაჩერა, ვერც ბიუროს შიშმა და ვერც ბელადის თავიანმა, სიმწრით მოპოვებულმა პარტიულმა მანდატმა... არა, ხვალ, გამოფხიზლებულზე შეიძლება ინანოს კიდეც, მაგრამ ახლა ვლადივასტოკამდე უკან არ მოიხედავს, გაჰყვება, გაედევნება ჩრდილოეთის ციალივით ბრიალა ნათებას.

ისევ შუამავალმა ივაჟკაცა, მაგნიტოფონი გამორთო, მანქანის კარი ხაზგასმულად მიაჯახუნა და ხელი ხელსაც ტკაცუნით გაჰკრა, მორჩა და გათავდაო.

რაღას იზამდა, მიაცილა ქალბატონი დანიშნულების ადგილამდე, გვერდულად დამიჯდა და ცხვირსახოცით ხვითქი შეიმშრალა....

— დამღალა, კაცოუ!.. მე და დაღლა? მაგრამ მაინც დამღალა...

— რუს ქალებს შენნაირები დაუღლიათ?.. მოდი ეხლა მწვადს მიეძალე, ხვალ უფროსობა „პარში“ გაგატარებს და ენერგია დაგჭირდება! — შამფური წინ დავუდეთ.

უშიშროება განაწყენებული გადმოიხარა:

— კაცი რო გაიცნო რვა ფუთი მარილი უნდა შეჭამოო, ნათქვამია! — თვალი თვალში გაუყარა.

— ერთ ჯერზეო, თუ...

— ერთ ჯერს მოგცემ მე შენა!.. იქიდან შემოთვალეს, — გამართული ცერით ზურგს უკან, ალბათ კრემლისკენ ანიშნა, — მაგ ქალს ბუზი არ აუფრინდეს, თვალის ჩინივით მოუფრთხილდითო... შენ კიდევ, ტარაბუა დაახვიე... ეგრე რო არ იყოს საქმე, შენ დაგვასწრებდი?

— ჰო, მართალს გეუბნება!.. — დაეთანხმა რაიკომის მდივანი.

— ამაზე მეტად როგორ მოვუფრთხილდე...

— კაცოუ, იცი, შენ ერთხელ ნათქვამს აღარ ვიმეორებთ!

— გიგეე? — თუშურად მოუქცია ჩვენმა მეგობარმა, — კომუნისტებმა მიეთ-მოეთი არ იციან... „ფრთხილად იარე ძოღანა, აქ ცუდ გზებ იცის ზოგანა“.

ატყდა სიცილი.

შევხედე კავალერს, აინუნშიც რომ არ აგდებდა თანამესუფრეების შეგონებას და ლექსადვე დავამატე:

— „ცუდ გზებით“ ვერ შეაშინებთ
თუ ქალს გააძრობს ფოხანას.
აი, ხარხარი მაშინ უნდა გენახათ.
ვიღაცამ იკითხა, ეგ ფოხანა რაღაააო.

რა და, ჟერარ ფილიპმა, მოსკოვიდან პარიზში რომ ჩაიტანა, ეს აცვიათ რუს დედაკაცებსო, — განვუმარტეთ და რაიკომის მდივანს ნამცეცი სასულეში გადასცდა, გვეხრჩობოდა კაცი.

ასე ემართება ხოლმეო, მოვარდა მძღოლი, რამდენჯერმე ისე დასცხო ბეჭებზე გაშლილი ხელისგული, ლამის ფილტვები ამოაყრევინა.

სად გაქრა ის მშვენიერი დღე?

რომელმა ქარმა მოჰფინა მინდვრებს აფუებული, ზედადგრების ძირში დაზვინული ნაცარი?

რომელმა ტალღამ წაიღო წნორის ხიდან ჩამოწყვეტილი გუგულის ბუდე?

ან ჩვენ სად წავედ-წამოვედით...

როგორ ტყუილად გვჯეროდა, რომ იგივენი ვიქნებოდით და ვიქნებოდით... არა, ძმისავ, არა, არა, წარმოსახვაში გადაიფრინა იმ ერთმა დღემ და წარსულის კენწეროზე შემოჯდა..

გახსოვს, მაინც როგორ სხიოდნენ ჩამავალი მზის სხივებზე შეთრთოლებული წნორის ფერშეცვლილი ფოთლები, ნატვრის ხის ფერადი ნაკუწებივით.

იწვა კალაპოტში მღვრიე, ლამიანი იორი...

ახლაც იქა წევს, ოღონდ კიდევ უფრო შემღვრეული და ინანიშვილის ხევსურივით ჭანჭყობის ქინქლა დახვეული.

ისიც ხომ გახსოვს, იმდენი იძახეს და იანგლეს, რომ საკავშირო საიდუმლო სამსახურის მომხიბვლელმა „ყურმაც“ კი იკითხა, „ჩტო ტაკოე პოხანაო“.

ქალს ეჩქარებოდა, თორემ, ადრე თუ გვიან „აუხსნიდნენ“, უფრო ხატოვნად და გასაგებად — ქიზიყში თუ ვერ მოასწრებდნენ, ქვეყნის მთავარ დედაქალაქში თბილისიდან მაინც ისე როგორ გაუშვებდნენ, ევრისპირებში მოგოგმანე უცხო ხოხობს...

წავიდეთ, ძმისავ, ერთხელაც...

ბოლოს და ბოლოს, ოცდაათი ლიტრი ბენზინის დედაც...

ცხოვრების მიმწუხრზე მაინც „იზლერის ბაღები“ არ უნდა ნახო?

* * *

ისევ იორზე უნდა გითხრა, ოღონდ დინებას უფრო ზემოთ, სათავისაკენ ავყვეთ და დაბას მივადგეთ.

ჩასული ვარ რედაქციის დავალებით. იქაური მეგობრები, როგორც წინა დღეს შევთანხმდით, ადგილზე დამხვდნენ. ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ჩავინიშნე რაც მაინტერესებდა.

მასპინძლებმა მთხოვეს, სადილად ერთ ოჯახში გველოდებიან და ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდეო.

თქვენ კი, მაგრამ ჩემი სტუმრობა, უცხო ხალხთან უხერხული არ იყოს-მეთქი.

რას ამბობ, გუშინ შემთხვევით შეესწრო იმ ოჯახის პატრონი ტელეფონზე რომ გელაპარაკებოდით და სიხარულით ცას ეწია, ოღონდ ეგ მწერალი გამაცანით და ხვალ ზღაპრულ პურ-მარილს ვკისრულობო... აგე, მანქანით რო დაგვყვება, მაგის ბიჭია, მამაჩემმა — სხვაგან არ წახვიდეთ, ყელი არ გამომჭრათ, უთენია თოხლი წამოვაქციე და გელოდებითო.

რა დაგიმალოთ და სიამოვნების განცდამ მეც გული გამითბო, ვიღაცას, როგორც მწერალი ვყვარებივარ და რატომ არ უნდა გავიცნო.

საიდანღაც შენც გამოჩნდი და მასპინძელმა თამადად დაგნიშნა.

მთელი ოჯახი თავს გვევლება.

რაკი ეს კაცი მოგვიყვანეთ, რაღა მოგვკლავსო, მოაქვთ და მოაქვთ ნაირ-ნაირები, ხაჭაპურს, ჩაქაფულს და ხაშლამას შეციებას ვინ აცლის.

ღვინოც სანაქებოა, რა თქმა უნდა.

შემოდგომის პირია. გატკბა ღუმელი და იქიდან წამოსული სითბო.

გავიხედოთ და შემოიყვანა მასპინძელმა ასაკიანი, ნიკაპთან თავშალგამონასკული დედაბერი, ღუმელთან სამფეხაზე დასვა, აქ დაბრძანდი, ჩემო მეორე დედიკო, თბილათა და ლამაზათაო. მერე ჩემსკენ გამოახედა, ამის მიზეზით არის დღევანდელი სუფრა გაშლილიო და აუხსნა ვინც ვიყავი.

კოპებშეკრულმა, ღუმელს კრუხივით მიყურსულმა დედაკაცმა პასუხად რაღაც ჩაილაპარაკა.

გავგიჟდები, თუ ეს ბებრუხუნაც მიცნობს და ჩემი თაყვანისმცემელია-მეთქი.

— გაუფრთხილდი, არ შეგიცივდეს სიდედრი! — მაყალიდან წამოკრეფილი შამფურები შემოიტანა მასპინძლის მამამ, — ასე დედას რო მოფრთხილებოდი, აქამდე ხომ ცოცხალი გვეყოლებოდა!

— კარგი, კაცო, სიდედრიც ადამიანია!

— ადამიანი კი არა, ადამიანის მეგობარია...

— ეს მეგობარი იყეფს, იყეფს, ხანდახან გიკბენს კიდეც — თქვენზე კარგად ვის მოეხსენება, — მხარზე ხელი შინაურულად მომითათუნა მასპინძელმა.

ტყემალზე დავჯექი, მე საიდან და რატომ უნდა მოეხსენებოდეს, ვერ გავიგე, მაგრამ ვერაფერი ვთქვი, ველოდები „კვანძის გახსნას“.

— უმადურები ნუ ვიქნებით, ძმებო, ამ ჩვენმა სიდედრებმა გააჩინეს, გაზარდეს ის ქალები, ვისთანაც ოჯახები შევქმენით... — ასწია ჭიქა, — აბა, ამ ქალბატონს გაუმარჯოს, დიდი ამაგი დასდო ჩვენს რაიონს, ორდენოსანი მემინდვრეობის მერგოლური იყო... გაგიმარჯოთ, დეიდა...

— შაკიკა-თქო, ნამდვილი სახელი აღარც თვითონ ახსოვს! — შეგაწყვეტინა მასპინძლის მამამ და მე მომიბრუნდა, — გეხსომებათ, ხალხური შელოცვა, „შაკიკი შემომჯდარიყო, სათიბისა ბოლოსაო, ისე სჭამდა რკინასაო, როგორც ხარი თივასაო“... ხო წარმოგიდგენია, როგორ უნდა უყვარდეთ ჩვენებურებს ეს ჩემი მძახალი, სატკივარის სახელი რო დაარქვეს... დაიხსომეთ, ეგებ გამოიყენოთ...

ვაჰ, რაში უნდა გამოვიყენო, ვერ გავიგე, რა ქარაგმებით მელაპარაკებიან.

იმ საღამოს კულმინაცია, ლექსები იყო, სკოლიდან დაბრუნებულ, მეხუთეკლასელ ბიჭს რომ წააკითხეს.

მიდის ტაშის გრიალში პოეზიის საღამო.

— არ გეგონოს ვაძალებთ, თავისით სწავლობსო... — მამამ მოფერებით წამოარტყა კეფაში ხელი — რასაც „ნიანგში“ ბეჭდავთ, ყველაფერი ძალიან მოგვწონს, მაგრამ განსაკუთრებით, სიდედრებზე, ეგრეევ შიგ ცხრიანში არტყამთ, რა...

— რატომ ცხრიანში და ათიანში არა! — „გაუწყრა“ ძმა.

— კარგი, ბატონო, თუ გინდა თერთმეტიანი იყოს.

ბიჭოს, რა „ნიანგი“, რის „ნიანგი“, რაღაცები კი მაქვს დაბეჭდილი, მაგრამ სიდედრებზე — არაფერი.

დაეჭვებულმა გადავქექე მეხსიერების ფურცლები.

არა, ღმერთი, რჯული!

რა დაგიმალო, ძალიან კი „გამიტყდა“, თითქოს ტოტი ჩამოიხლიწა და ძირს მოვადინე ზღართანი, როცა როგორც იქნა გავხსენი „კვანძი“ და ახლა იმაზე დამწყდა გული, როდესაც მივხვდი ერთი სიდედრის თემაზე დახელოვნებული სატირიკოს-იუმორისტის „დაფნის გვირგვინი“ რომ მივისაკუთრე.

იუმორისტთან მხოლოდ ერთიდაიგივე სახელი და გვარში ერთნაირი თანამიმდევრობით დალაგებული ხმოვნები მქონდა საერთო. ჩემი ძვირფასი „ნიანგის“ მკითხველები ამ სამწუხარო მსგავსებამ შეიყვანა შეცდომაში.

ჩემს უხერხულობას თავმდაბლობაში მითვლიან, მთხოვენ რაიმე წავუკითხო, ახალი, რა თქმა უნდა, სიდედრის „რეპერტუარიდან.“

დამთავრდა სუფრა, ავიშალეთ. შეიწია ტუშურო ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, ვეთხოვებით მასპინძლებს, მაგრამ ისე როგორ წავიდე, ყელზე მადგას მთელი პურ-მარილი, ოჯახის პატივისცემა, თითქოს ვიღაც გავძარცვე, ვიღაცის კუთვნილი დიდება მივითავისე.

რა ვქნა, ჩემი სტუმრობით გაბედნიერებული ოჯახი როგორ დავამწუხრო.

ყველაფერი მასპინძლის ბოლო ფრაზამ გადაწყვიტა — მეორედ რომ გვესტუმრებით, ასე ვეღარ გაგიშვებთ, თქვენი იუმორისტული წიგნები უნდა გვაჩუქოთ და, მაშინ მაინც, ლექსებიც წაგვიკითხოთო.

გვერდზე გავიხმე და ვუთხარი, მაპატიეთ, მაგრამ მაგ სურვილებს ვერ აგისრულებთ, რადგანაც ვინც თქვენ გგონივართ, ის პიროვნება არა ვარ-მეთქი.

— აბა ვინ ხართ, მეხუმრებით? — გაოცდა მასპინძელი.

— არ გეხუმრებით. მწერალი კი ვარ, მაგრამ ის არა...

„ის არა“ რას მიქვიაო.

ავუხსენი საქმის ვითარება.

ძალიან გაუტყდა, უცებ გამოფხიზლებულმა კბილები დააკრაჭუნა და დაბოღმილმა გახედა სამსართულიან სუფრას.

მოკლედ, მაგრად „დავგრუზე“, სამაგიეროდ მე მომეშვა გულზე.

წარმომიდგენია, რომ მოუყვებოდა, ოჯახის დანარჩენი

წევრები რა დღეში ჩავარდებოდნენ.

დედაბერთან მივედი.

დამჭკნარი, თბილი ხელები ხელისგულებში მოვიქციე.

რა გქვიათ, ქალბატონო-მეთქი.

ბარბარეო, გახსნა მოღუშული სახე.

დიდმოწამე ბარბარეს სახელი გრქმევიათ! — ვუთხარი და ხმამაღლა გამოვაცხადე, — აბა, შეხედეთ, რა სჭირთ შრომით გამშვენიერებულ, ამ ნაჯაფარ ხელებს „ჭ-ე“ კლასის იუმორისტის გასატრიზავებელი და შაკიკთან შესადარებელი... ძალიან გთხოვთ, ვიდრე ოჯახიდან გახვალთ, იგივე მოიმოქმედეთ, რასაც მე გავაკეთებ-მეთქი.

დავიჩოქე და ნაამაგარ მემინდვრეობის მერგოლურს, ქალბატონ ბარბარეს, ორივე ხელის ნებზე ვეამბორე.

დედაკაცის სახეს სიხარულისა და სიმორცხვის ალმურმა გადაჰკრა.

რა უნდა ექნათ, არცთუ დიდი ხალისით სხვებმაც მომბაძეს.

გახსოვს, ტუშურო?

შრომას და მშრომელ ხელებს თუ ავიგდებთ, თუნდაც ისინი სიდედრებს ეკუთვნოდეთ, ადრე თუ გვიან მოგვკითხავს უფალი-მეთქი, გითხარი.

აკი მოგვკითხა კიდეც!

მზია ხეთაგური

„საზღვარი“ – ჩემი პანთეონი

(ანდერძი)

ჩემი ბავშვობის სასუფეველო!
გულნატყვიარო ჩემო ცხინვალო!
ჩემო ოსებო და ქართველებო!
ზღუდრის საყდარში სანთლის ციალო!
ერთმანეთს ქვები რომ დავუშინეთ,
მტერი ზეიმობს სახემცინარი!
თამარს მისტირის თამარნაშენი,
მავთულ-ხლართებში ტყვეობს ცხინვალი!
დამასაფლავეთ ზედ იმ „საზღვარზე“,
ამ სიყვარულის უსაზღვროებით!
გულის ჭიშკარი მე ვერ ჩავრაზე
აქ – ქართველების, იქით — ოსების!
დამასაფლავეთ ფარდაახდილი,
ზურგში მახვილით, ცით გაფრენილით!
დამასაფლავეთ, როგორც სამხილი,
როგორც მანდილი – ძირს დაფენილი!
დამასაფლავეთ ნიშნად სირცხვილის,
ნიშნად ლაჩრობის, ნიშნად მტრობისა!
დამასაფლავეთ, როგორც სიკვდილი,
თავლაფდასხმული ჩვენი ძმობისა!
დამასაფლავეთ როგორც სინდისი,
სიმართლეს თავი რომ ვერ არიდა,
დამასაფლავეთ როგორც „სიმდი“ და,
როგორც „ჩაკრულო“, ან „ვარაიდა!“
უსამართლობით გულშემზარავი –
დაასაფლავეთ თავად საზღვარი –
ჩვენი წარსულის უღვთოდ მპარავი,
სისხლით და ცრემლით გაუმაძღარი!
გულში დაჭრილი, ჩექმით მღაფავი,
ვერ გადავდივარ ძმებთან ალავერდს!
დაასაფლავეთ ჩემი საფლავიც
და, ეს ლექსებიც დაასაფლავეთ!

აღარ ვარ...

აღარ ვარ პოეტი, აღარც საყვარელი,
აღარც შესაშური, აღარც საოცნებო ...
აღარც დასახატი ფანქარ-აკვარელით,
და ძველი სილაღეც აღარ საოცრებობს!
აღარ ვარ პოეტი, არც მუზა პოეტის,
გამვლელ-გამომვლელის აღარ ვარ სამიზნე!
აღარც სიყვარულით გზავნილი კონვერტი,
არც ერთის ნაცვლად რომ მანთებდა სამი მზე!
აღარ ვარ ...

ისარი

მკერდს არ სურს ეგ თქვენი ჯინჯილები,
გულში თუ სიკეთის სხივით ვბრწყინავ!
ვფხიზლდები ღვთისმშობლის მიძინებით,
მტრის მზეს კი ჩემი მზის ჩრდილში სძინავს!
ხემს აკრთობს ხის გულის ტყაპატყუპი,
სულს ტაში არ ხიბლავს მქუხარებით!
გულწრფელ ცრემლს თუ არ ღვრი ღაპაღუპით,
გუბეა, თავად ზღვაც, მწუხარების!
ეგ თქვენი ისარი, ჩემკენ სროლით,
ცალ ფილტვში ჰაერის ტიხარია...
მამაღლებს მუსიკა მენდელსონის
და კვდომაც – ასე რომ მიხარია!

ხავსი

ნედლი ტკივილით ცრემლის ყლაპვას თავს არ ვარიდებ,
მაინც უმწეოდ გეჭიდები, უმწეო ხავსო ...
ამაოდ ვცდილობ გადარჩენას — ვიცი, ჩამითრევ,
თუმცა ეს ჩემი თავგანწირვაც არაფრად ფასობს!
ხავსიან იმედს უიმედო სურნელი ასდის,
დღევანდელ კივილს დამავიწყებს ხვალის დუმილი ...
დაცინვით უმზერს ჩემს ჩაძირვას უმსგავსოთ მსგავსი,
მე კი ხმას ვუხშობ ყურსმომდგარი „ალილუიიით!“
დაუსაბამოდ იქცა სულის ხორცთან აღრევა,
ვეღარ იპოვა აზრმა სიტყვა და სიტყვამ – აზრი ...
ფრთებს მივიწებებ და მოვასწრებ, ვიდრე გალღვება,
უფრთებო ყოფა გადავშალო ფრთიანი ხაზით!
აედევნება ხავსიანი სიცარიელე
დევნილთა ბედის ბნელ ჭაობში გადასახლებას ...
ხავსიან მკერდზე, ჩამავალი მზე რომ იელვებს,
საყდარშედგმული სიტყვა მაინც არ დახავსდება!
ხავსიან იმედს ხავსიანი სურნელი ასდის!

ᲐᲚᲘᲚᲣᲘᲐ

ვაჟა გაფრინდაშვილს! – ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულს, საქართველოდან მოკვეთილი კუთხეების აღდგენასთან შეჭიდებულს, ნამდვილ პატრიოტსა და რაინდს, რომელმაც ის ნაბიჯი გადადგა, მე რომ ვაპირებდი და ბედნიერი ვარ, რომ ჩემზე ჯანმრთელმა და გაბედულმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო!

ქართველთა შესვლა სოხუმ-ცხინვალში
აკრძალულია! – ალილუია!
იქ ჩვენი „ძმობა“ დაკრძალულია!
ალილუია, ალილუია!
საზღვარს შევცქერით ზარბაზნ-ლულიანს!
ალილუია, ალილუია!
ბარბარუსული სასწაულია! –
ალილუია, ალილუია!
გული ეკლებად გადარგულია
ალილუია, ალილუია!
ხელები ცისკენ აღმართულია!
აღმართულია, აღმართულია!
იქნებ ეს, მტრობის დასასრულია?
დასასრულია, ალილუია!
შენი სახელი და შენი გვარი
დიდი მგოსნებით დაღდასმულია –
გაფრინდაშვილი ვალერიანი
და ვაჟაც ცრემლით დანამულია!
ეს გულსაკლავი ფსევდო-საზღვარი
ვანო მაჩაბლის სახლი — ლუვრია!
იქნებ აქ არის მისი საფლავიც,
ო, იქნებ, იქნებ... ალილუია!
არ შედრკე, ვაჟა გაფრინდაშვილო,
თუ დღეს სიმართლე მიჩქმალულია!
ოსი ვარ, – უნდა გადაგარჩინო,
იქ, სადაც რუსის ჩექმას უვლია!
ვიხსენებ გია აბესაძესაც, *
რომ დაივიწყა, ბევრმა, სრულიად,
ცეცხლს რომ მიანდო ხორცის წამება
სულგანწმენდილმა! ... ალილუია!
დადიხარ ნაცვლად ხელისუფლების
იმ გზით, თევდორე მღვდელს რომ უვლია ...
შობის წინ, სულით ნამარხულევით,
აღსდგება ქრისტე! — ალილუია!

•გია აბესაძე – ექიმი, რომელმაც 90 – იან წლებში პროტესტის ნიშნად მთავრობის სახლის წინ თავი დაიწვა! ეს პროტესტი გამოიწვია ეროვნულ მოძრაობაში მონაწილე ქართველთა ერთმანეთთან სისხლიანმა დაპირისპირებამ!

ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲣᲗᲠᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

* * *



რაც თავი მახსოვს, სულ მუდამ
უფლის მცნებებით ვიარე,
ჩემს ტკივილს ვერა ვშველოდი,
სხვას ვუამებდი იარებს.
თვითონ სულ თვალცრემლიანმა
მოძმისთვის ვიმგლოვიარე.
როგორც ქართველს და ქრისტიანს
ჩემად მიმაჩნდა სხვის ჭირი,
მოყვასის გულისტკივილით
გული მტკივა და მეც ვტირი.
დარდებს ლექსებად ვაკვნესებ,
ხან მიმუნჯდება მე პირი.
გულის სალბუნი მეგონა,
ლექსი მით დავიმეგობრე,
მუზაც კი სიმშვიდეს მპარავს,
როგორც ქურდი და მეკობრე.

ᲞᲝᲔᲢᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ

ლექსი პოეტის სულის ასლია,
ლექსში ჩანს მგოსნის ზნე და თვსება,
თუ პოეტს ყავლი ჯერ არ გასვლია,
ლექსი ლამაზი რითმით ივსება.
ჭეშმარიტ პოეტს დარდს რა დაულევს,
დარდი ხომ გულში ცეცხლივით ბოლავს,
დაგჩხავის მუზა, როგორც აულებს
მინარეთიდან უძილო მოლა.
პოეტს ტკივილი ალაპარაკებს,
მამულის სენიც ასევდიანებს,
ლექსში ღიმილი დაიბანაკებს,
ხალხებს თუ ხედავს სახემზიანებს.
პოეტის გული ისე ნაზია,
ფეხაუდგმელი, ვით ბალღი თოთო.
პოეტს აქვს ფიქრი და ფანტაზია,
ლექსი რითმებით, თუ როგორ მორთოს,
ბედი და ჟამი პოეტს არ სწყალობს,
პოეტს ხედავენ სიკვდილის მერე,
ოღონდ გახსოვდეს, ფუჭად არ წვალობ,
თუკი ნამდვილი ლექსები წერე.

* * *

მუხლი ჯერ არ მეურჩება,
მუზაც ხშირად მოდის ხოლმე,
გულს ტკივილი მოურჩება,
როცა ლექსით ავაკომლებ.
რის სიბერე, რა სიბერე,
რითმებს დავდევ ყმაწვილურად,
წერით გული ვერ ვიჯერე,
მუზა ჯერ არ გაწბილულა.
ძილშიც, ცხადშიც ლექსზე ვფიქრობ,
სიტყვას ვკინძავ, როგორც ჯაგნებს,
დარდს და ვარამს წერით ვიქრობ,
რითმებს ყნოსვით ვეძებ, ვაგნებ.
მომისაჯა ღმერთმა წერა,
წერაში ვარ სულ გართული,
ის გაიგებს ჩემს ლექსს, მჯერა,
ვინც კი არი სულქართული.

* * *

მივყვები დიდი ფიქრის ქარავანს,
მამულის მკერდზე სახეტიალოდ,
დავეჭიდები მუზას — ფალავანს,
რადგან მსურს ლექსი დავწკრიალო.
სამშობლოს მთა-ბარს გადვიბალახებ,
ვით დამშეული ფარა ცხვრებისა,
ქართულ მიწა-წყლის ტურფა სანახებს
ეტყობა კვალი ვერაგ მტრებისა.
მადლიან მიწის ლამაზ სხეულზე
ვხედავ უამრავ წყლულს და მუწუკებს,
ვტირი და ვკვნესი იმ დრო წყეულზე,
ქართველებს სულს რომ ახლაც უწუხებს.
მივქრივარ ჩემი ფიქრის ტაიჭით
ხან დარდიანი და ხან მღიმარი,
გულს მიკლავს მწარე ბოღმა და იჭვი:
სამშობლოს მხსნელი, აბა, ვინ არი?!
თუმცა არა ვარ ერეკლე მეფე
და არც იმისი ბრძენი მსაჯული,
თუ არ ვიფხიზლე, თუ არ ვიყეფე,
ცოლსაც წამართმევს უცხო, სხვა რჯული.
მწარე ფიქრების ტყვე ვარ მე ისევ,
არსაით მოჩანს გზა საიმედო.
ღმერთო, ცხოვრების დიდო მეისრევ,
დასაღუპავად არ გაგვიმეტო!

* * *

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

მინდა, რომ ლექსით მოგეალერსო
და შენს შესაფერ რითმებს დავეძებ,
ჯერ მსურს გრძნობები გულში გავლექსო,
რადგანაც გული ულექსოდ ვერ ძლებს.
გვაშორებს წლები ერთიმეორეს,
მხოლოდ ლექსით მსურს გაგეტრფიალო,
არად ჩავაგდებ ბრიყვების ჭორებს,
ოღონდაც გრძნობამ გულში იალოს.
არავინ შემრჩა მანდილოსანი,
ხვაშიადი რომ გავუზიარო,
ერთი ბეჩავი ბერი მგოსანის
გზაზე არავის სურს რომ იაროს.
შენ შემოგჩივლე ტკივილი, დარდი,
ვით ავადმყოფმა თავის მხსნელ-მკურნალს;
ხარ გაფურჩქნული შირაზის ვარდი
და აფრქვევ ირგვლივ საამო სურნელს.

* * *

ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲧᲐᲜᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

აჰა, მოვუხმე მუზას და რითმებს,
რომ აგიჯაგნო ლექსად ისინი.
ვინ იცის, გული რამდენ დარდს ითმენს,
როდესაც გესმის ბრიყვთა სისინი.
თანასოფლელო, პატარა ბალღო,
შენი საფერი ლექსი რა გკადრო,
რომ გაიღიმებ, დარდ-ნაღველს ალღობ.
იმედის სხივად მოსულო ავ დროს.
დაკარგული მაქვს წერის ხალისი,
ხან ლექსის წერას მუზა მაძალებს,
გაფრინდა ჩემი აპრილ-მაისი,
როცა ვებრძოდი ბრიყვს და ავ ძალებს.
შენი ტოლების ჟამი დგას მწიფე,
ჯერ უნდა თესოთ, მოიმკათ მერე,
იქნები შენი დროის ხელმწიფე,
თუ უფლის მცნებებს მისდევ, იჯერებ.

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ

ᲚᲣᲮᲐᲜᲔᲠᲐ

არ მტკივა...
მტვრიან გზატკეცილებს გააქვთ ტკარცალი,
გზათა ტევრებში ტავერნები სოკოებს ჰგვანან,
შეხედვა გეზი, საგუმანო და დამქანცავი,
ო, ლუხანერა,
ზაფხული ხარ, ან ქალი, განა,
მომერეოდა განა ქალი, საზოვველს, ტარიგს?
მეხდაცემული ხეებიდან ცეცხლით დამდაგე.
ვეომო როგორ, სამტრო მზერა მივაგო რარიგ,
შენს თბილ სხეულში აფეთქებულ ღალატს გადამდებს,
მხრებზე სვირინგი გადაგრახტავს თვალებნამზეურს,
მე ამ საღამოს ნაღალატარს, ხრამის პირს მკლავენ,
შენ, ლუხანერა, შავი შარფი გაამზეურე,
კასტანეტები შეაბნიე შავგვრემან მკლავებს.
დედამიწაზე სადმე, მაინც უნდოდა ფესვი,
აქ დააშინეთ სამარით და მიწაში დაფლვით,
ჩემი სხეული, შენს ნატვრაში მთვლემარე ვეფხვი
და სისხლი შენი, ლუხანერა, მოცხარის თაფლი.
ღამეს უყვარდი, ლუხანერა, მასაც უყვარდი,
მსურხარ ...
ზურგს მაქცევს ახლა უფალიც,
ამ გზებს, შარაგზებს გადათელვას იგი უქადის,
შენ ქალღმერთი ხარ, სამზევე ხარ და დედუფალი.
შეხედვა – გეზი, საგუმანო და დამქანცავი,
ო, ლუხანერა,
მომაგებე სიკვდილი წყნარად.
შენს სისხლს და მტვრიან გზატკეცილებს გააქვთ ტკარცალი,
აქ მოზიმზიმე ტავერნები სოკოებს ჰგვანან.

* * *

ყვითელ ფოთლების რემებს და ფარებს
გადაერევი ქარების არვე,
შემოდგომების მედინადენ ფრთებს შეეფარე,
ყვითელ ფოთლებით მზერაში კარვებს
ღრუბლები კრავენ ულოებით ხმელი ტოტების.
მე მეშინია, გიორგობისთვე მოვარდება მღვრიე ავდრებით,
გადარეული სივრცეების აცამტვერებით და აოტებით,
ეცოტავება ფერწასული უტყვი კადრები
(გარდაცვალებით თუ გაოცდებით)
მას ჩვენი მზერაც არ ებევრება,
ქარვა – ყვითელის დამთავრება შიშის ტევრებად,
მოგვიტეონ, მოგვიტეონ უნდა ქარებმა,
მოვა ქარებით შემოდგომა და ქარივით მოგეფერება.
რაღა დაშთება? სინგურისფრად ფერილი არე,
აქ დამთავრების მაჟორები რეკავენ მწარედ,
გადაერევი მესაფლავე – ქარების არვე.
ყვითელ ფოთლების რემებს და ფარებს

* * *

აყოლილი ვარ დღეთა ტყუილ თენებ-ღამებას,
უწყლო კალაპოტს დარჩენილი თევზი ვარ, მართა,
ქერეჭებივით მოჭრიალე დალალ-კავებმა
მთვარის ქიმებზე ღრუბლების დართვა
მომთხოვეს, მართა,
შენ, ერთს, შუადღის ნათელივით
უეჭველს, მართალს,
შენ – აუმღვრეველს, დედაბოძს და კერის ანთებას,
(შევეფარები შენს მფარველ კალთას),
მართა, მითხარი, შენ, არავინ არ გენატრება?
არ გტკივა, მართა, ამ დღეების თენებ-ღამება?
არ ჩაგისახლდა მზე მზერაში და არ იწვები?
ყოფნის მთავარი ეპითეტი, გყოფნის წამება,
ფეხქვეშ სათელად... მის მზერაში ერთხელ მიწები
ჩასახლებული, გაიმეტო ფეხქვეშ სათელად?
დღეების რიგებს გაჰყვე, როგორც ტანჯვის ლიანდაგს,
მართა, მითხარი, რა დავარქვა წუხილს სახელად,
გულს რატომ მიჭამს ეს მზე ნიადაგ.
....აყოლილი ვარ დღეთა ტყუილ ღამე-თენებას.

ᲒᲘᲕᲘ ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲯᲘᲒᲠᲝ ᲥᲘᲢᲐ

– კაცო? მიტოს ბავშვი ავად ყავს, ქალაქში უწევთ, იქნებ შენ წაგეყვანა, მაინც იქით მიდიხარ და ...

– ხომ არა თქვი, დედაკაცო, რომ ქალაქში მივდივარ?! ცოტა გრძელი ენა გაქვს და კარგი იქნება, დაიმოკლო!

– რა მოხდება, ადამიანო, ცოტა ბარგიცა აქვთ წასაღები, ავტობუსში გაუჭირდებათ!

– რა ჩემი საქმეა! ქრისტე ხომ არა ვარ, ყველა დავრდომილს ხელი გავუწოდო?! რაც უნდათ, ისა ქნან!

– იქნება ერთხელ შენც დაგჭირდეს მეზობლების დახმარება, მაშინ არ შეგრცხვება?! რათა ხარ სულ ეგრე მურჩამოსმული, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი? მართლა იგრე ხომ არ გინდა, რომ მეზობლებმა მთლად აიღონ ჩვენზე ხელი. შენი ეგეთი საქციელის გამო სირცხვილით ხალხში ველარ გავდივარ, უჯიგროს განა ტყუილად გეძახიან!

– ყველამ თავი დამანებოს! წადი შენც, მამცილდი, თუ ჩემი ვერ გაგიგია! არც არავისი მინდა რა და არც არავის არაფერს მივცემ! თავი დამანებოს ყველამ, ბიჭოს!

– ეჰ! შენი გამოსწორება არ იქნება! – ჩაიქნია ხელი თებრომ და თავის ქმარს – ქიტას, არდაბრუნება უსურვა.

ქიტამ გარაჟიდან მანქანა გამოაგორა. ძრავა ჩართული დატოვა, გარშემო შემოუარა. კარგად შეამოწმა. ცოტა მოიცადა, სალონი გაათბო. ჩაჯდა შიგ და მანქანა ნელა დაძრა ადგილიდან. – ხვალ საღამოს დავბრუნდები, – მიაძახა ცოლს. იმანაც არ დააყოვნა: „კისერიც გიტეხია“-ო, და სახლის კარები მიიჯახუნა.

სოფლის ბოლოს, ავტობუსის გაჩერებასთან, მიტო და მისი მეუღლე, დიდი კალათით ხელში, სიცივისაგან აძაგძაგებულები ქალაქში მიმავალ ავტობუსს ელოდებოდნენ.

ქიტამ ისინი შორიდანვე დაინახა. მანქანას სიჩქარე მოუმატა, თან სხვა მხარეს დაიწყო ყურება, თითქოს მეზობლებს ვერა ხედავდა.

მიტომ იცნო ქიტას მანქანა, იმედიანად გამოქანდა მისკენ, თებრომგან იცოდა, შეიძლება ქიტა ქალაქში წავიდესო, ხელიც დაუქნია, მაგრამ ქიტამ ისე ჩაუქროლა, მისკენ არც გაუხედია. მიტოს ხელი მოწყვეტილივით ჩამოუვარდა, მობრუნდა და ავტობუსის გაჩერებისკენ გასწია, სადაც სიცივისაგან მოკუნტული ცოლი ელოდებოდა.

– მამაცხონებულები, მზამზარეული უნდათ ყველაფერი, რა მოვალე ვარ, რომ ეგენი ქალაქში ჩავაბრძანო. თამამად კი გამოქანდა, ალბათ იფიქრა, ვერ დამინახაო, ეგრეც იყო, ვერ დავინახე, – თავი დაიმშვიდა ქიტამ.

– დაინახე! დაინახე! თვალი კი განგებ აარიდე, ხომ შეგრცხვა ქიტავ, ხომ შეგრცხვა? ხომ არ მოიქეცი სწორედ?! გალახდილად თქვი, აქ ხომ მარტო მე და შენა ვართ! – ედავებოდა ქიტას საკუთარი სინდისი.

– მომცილდი, ერთი! – ხელი აიქნია, – არაფერიც არ დამინახია, ბიჭოს! – ჯავრობდა ქიტა და მანქანას მიაქროლებდა.

მანქანაში სასიამოვნოდ თბილობდა. ქიტამ პალტო გაიხადა და უკანა სავარძელზე გადადო, პიჯაკის ღილებიც შეიხსნა, სიამოვნებისაგან გაიზმორა, სავარძელში მოხერხებულად შესწორდა და მანქანის სიჩქარეს უმატა.

საბურავის ქვეშ გაყინული თოვლი მინასავით ტკაცუნობდა. გზის ორივე მხარეს ახვეტილ თოვლზე ყინული ეყარა.

გზაზე სიცოცხლის მაჯისცემა იგრძნობოდა, თუმცა მოძრაობა საგრძნობლად შემცირებულიყო, მაგრამ რა შეაკავებს ყველაზე აუცილებელი საქმისაკენ ადამიანების სწრაფვას.

ქიტას აქა-იქ გაჩერებული ავტომობილი ხვდებოდა. აგერ ერთ მანქანას საბურავი დაშვებოდა, მძღოლს ეტყობოდა სათადარიგო საბურავი არ ქონდა, ძველს შლიდა გათოშილი, წვალობდა: დიდი ოსტატი არ ჩანდა.

„ჩემს მტერს, ამ ყიამათში საბურავის დაშვება“, – გაიფიქრა ქიტამ; უსიამოვნოდ შეაჟრჟოლა.

– ეხლა ვინმე ღვთისნიერი რომ მოეხმარებოდეს, კარგი იქნებოდა, – შეახსენა სინდისმა, – შეიძლება არც კამერა აქვს, ქიტა, მიდი, მიეხმარე, შენი კამერით გაუმართე ხელი! – არ ასვენებდა სინდისი.

– გიჟი ხომ არა ვარ?! – გაუბრაზდა ქიტა, – რა ჩემი ბრალია, მაგან თუ გაუმართავი მანქანით გაბედა ამ ყიამათში, ამხელა გზაზე წამოსვლა!

მანქანას გაუსწორდა. კაცი ისე ჩაჰკირკიტებდა თავის საბურავს, რომ მაღლა არ აუხედია, ქიტამ გზა განაგრძო. სარკეში დიდხანს უყურებდა უკან დარჩენილ მანქანას, აგერ შემხვედრი მანქანა გაჩერდა, იქიდან კაცი გადმოვიდა და ორივე აფუსფუსდნენ დაშვებულ საბურავთან.

– უშველის ალბათ, – არ ასვენებდა სინდისი.

მანქანა მიგორავდა მოყინულ ასფალტზე. გარეთ ყინვა და ცივი ქარი მძვინვარებდა, სალონში კი სასიამოვნოდ თბილოდა.

მანქანის სავარძლის საზურგეს მიყუდებული ქიტა განცხრომაში იყო. გარეთ სურათები ერთმანეთს ცვლიდნენ. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ყოველივე ამას კინოს ეკრანზე უყურებდა და ამ ამბავს მასთან არავითარი საერთო არ ჰქონდა.

ქარი გაძლიერდა. თოვლის კორიანტელი დააყენა ჰაერში, მანქანის ძირას დროდადრო ძალუმად მიასაკდებოდა, შეატოკებდა და ზუზუნით ახლა სხვა მიმართულებით მიქროდა. ალაგ-ალაგ თოვლის ნამქერი გაჩნდა, მანქანა ზოგან ძნელად მიიკვლევდა გზას. ქიტას ხასიათი წაუხდა. ცოტა შიშიც შეეპარა გულში.

აგერ, გზის გვერდზე გადაყენებულ მსუბუქ ავტომობილს ქარი თოვლს დაუნდობლად აყრიდა: „თუ არ წავიდა, ორ საათში სულ დამარხავს“, – გაიფიქრა ქიტამ. იქვე მანქანის გვერდით კაცი იდგა, ქიტას ძრავის ვენტილიატორის გაწყვეტილი ღვედი აჩვენა, ანიშნა, ხომ არა გაქვსო? ქიტამ ხელი გაუქნია, არაო და გზა განაგრძი.

– ხომ გქონდა, კაცო, რატომ არ მიეცი, თანაც ხომ დაინახე, მანქანაში ქალი და ბავშვი უსხედან, ასე რომ დარჩნენ ქარბუქში, ამოიხრჩობიან, – შეედავა ქიტას სინდისი.

– მე რომ გამიწყდეს, ვიღა მომეხმარება! – გაჯავრდა ქიტა, – მამაცხონებულს, შინიდან რო წამოვიდა, არ უნდა ეფიქრა ამაზე?!

– კაცო, ვინ იცის, რა გაჭირვება ჰქონდა.

– რა ჩემი საქმეა, ყველას კისერი უტეხია!

ქიტას სინდისი დადუმდა, მაგრამ მაინც აწუხებდა თოვლში დარჩენილთა ბედი.

მანქანამ გზაზე სრიალს უმატა, ერთი დაუდევარი მოქმედება და ისიც გზის გვერდზე თოვლში ჩაფლული აღმოჩნდებოდა.

ერთი მანქანა გზიდან გადასულიყო, ეტყობოდა, თოვლში ბევრი ებუქსავა. ქალი საჭესთან დაესვა, მამაკაცი ავტომობილს უკანიდან აწვებოდა, ძალ-ღონეს არა ზოგავდა, სულ ცოტა იყო საჭირო და მანქანა გზას დაადგებოდა, მაგრამ ის სულ ცოტა არა ჰყოფნიდა და ასე, ეტყობა, დიდხანს წვალობდნენ.

მამაკაცმა, როგორც კი ქიტას მანქანა დაინახა, საქმეს თავი ანება, ხელი აუწია, ანიშნა, მოგვეხმარეო.

ქიტას მისკენ არც კი გაუხედია. ჩვეულებრივი სიჩქარით გაიარა. კაცს ხელი ჰაერში გაუჩერდა.

ქიტამ თავი გაიქნია, თითქოს არასასიამოვნო ფიქრები მოიცილაო, მერე თავისთვის ჩაილაპარაკა: „რა ჩემი საქმეა, კისერიც უტეხია“.

ქარი გაძლიერდა. დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა, თითქოს იმუქრებოდა, თითქოს ქვითინებდა.

თოვლში ნახევრად დამარხული მანქანიდან ორი დათოვლილი, გაფითრებული ადამიანი გადმოვიდა, ქიტას ყელის გამოწევით ანიშნეს, იქნებდა ცოტა ბეზინი მოგვცეო.

– აბა, მაგათ ჭკუა აქვთ, – გაიფიქრა ქიტამ, – ჯერ ერთი, ბენზინს არ მივცემ, ამაზე წინასწარ უნდა ეფიქრათ, მეორეც, ამ ყიამათში სულელი ვარ მანქანა გავაჩერო და გარეთ გავიდე?!

– შე კაი კაცო, სავსე კანისტრა გაქვს საბარგულში, არც დაგჭირდება, ისინი კი შეიძლება გაიყინონ, რა მოხდებოდა დახმარებოდი.

– ოჰ, ერთი! – კვლავ მოიცილა უხეირო ფიქრები ქიტამ.

ამინდი გაუარესდა, ისეთი ქარბუქი ტრიალებდა, ქიტა იძულებული გახდა პატარა ფარები ჩაერთო. გზას ნელა მიიკვლევდა. მოძრაობა გაძნელდა. „არა უშავს რა, – გაიფიქრა ქიტამ, – შუადღემდე ჩავალ ქალაქში და ყველაფერი რიგზე იქნება“.

ძრავამ ჩაახველა. ქიტა გველნაკბენივით შეხტა, ძრავამ ხველას უმატა, კიდევ რამდენიმე ჩახველება და ძრავა ჩაქრა. „რა ოხრობა დაემართა?“ – გაიფიქრა ქიტამ. ერთხანს ასე იჯდა, სხეულში სიცივის ბრჭყალი იგრძნო, გააჟრჟოლა, მანქანის კარის გაღება სცადა, ქარმა დაიღრინა და თოვლი სალონში შეაფქვია, სასწრაფოდ მიკეტა კარები; სალონში უკვე საკმაოდ აცივდა.

სხვა გზა არ იყო, ქიტამ პალტო ჩაიცვა, კარი გააღო.

ძლივს ახადა კაპოტი, ქარმა აქაც წაიბალახა, ყინულივით ცივი ნაკადი შეუძვრა სხეულში და კაწრავდა.

ბევრი იჯახირა, როგორც იყო გამოცვალა კონდენსატორი. ისე გაეყინა ხელები, თითები აღარ ემორჩილებოდა. ძლივსღა შეძვრა მანქანაში, ქარმა თოვლი შეაყარა შიგ. თოვლის გადახვეტა არ ხერხდებოდა, რამდენსაც გარეთ ყრიდა, ქარი ათი იმდენს უკანვე უბრუნებდა.

შეეშვა ამ ცდას. ძლივს მოიხურა კარი. ძრავა აამუშავა და სიჩქარე ჩართო. გაზს მოუმატა. მანქანა ადგილიდან არ დაძრა, კიდევ მოუმატა გაზს, უკანა თვლებმა წივილი დაიწყეს; მანქანა ბუქსაობდა.

– თფუჰ, შენი! – შეიგინა ქიტამ, – კაცს ბედი რომ არ ექნება.

კარი გააღო და გადმოვიდა. მანქანა სანახევროდ თოვლში იყო დამარხული.

ძლივს მივიდა საბარგულთან, ქარბუქი აღრჩობდა, ხელები აღარ ემორჩილებოდა. ამოიღო მოკლე ტარიანი ნიჩაბი და თოვლის გახვეტა დაიწყო.

ძალა მთლად გამოელია, მანქანის წინ ჩაიჩოქა და ფრთას მკერდით მიაწვა.

რაღაც მანქანა გამოჩნდა: „ადექ, ქიტა, სთხოვე მოგეხმარებიან, თორემ აქ დაიმარხები“. – წასჩურჩულა თავის გადარჩენის ინსტიქტმა.

– არა, ეგენი ისინი არიან, შენ რომ ბენზინი არ მიეცი,— შეედავა სინდისი.

– ამ მდგომარეობაში რომ მნახავენ, უთუოდ გაჩერდებიან, – გაიფიქრა ქიტამ.

ძლივს აითრია სხეული, შეძვრა სალონში და ძრავა აამუშავა. თითქოს არაფერი უჭირდა. მანქანამ ჩაუქროლა.

ქიტამ მოიკრიბა ძალ-ღონე, დიდხანს იმუშავა, თოვლი გახვეტა, ჩაჯდა მანქანაში და ...

სულ ცოტაღა უნდოდა, რომ გადაელახა ეს დაწყევლილი ადგილი.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მანქანა, ქიტამ დაძლია მოკრძალება, იფიქრა, გავაჩერებ, მომეხმარებიან, სულაც ერთი კაცი ეყოფა და მეც გზაზე დავდგებიო.

მანქანა მოუახლოვდა, ის იყო ხელის აწევა დააპირა,

რომ გველნაკბენივით უკან გადახტა და თავის მანქანასთან დაიწყო ფუსფუსი. იცნო,ის კაცი იყო, ყელის გამოწვევით რომ ეხვწებოდა, მანქანის დაძვრაში მომეხმარეო.

ქიტა მარტო შეება სტიქიას. კიდევ გაიარა რამდენიმე მანქანამ. იქით აღარ იყურებოდა, ცოფიანივით იქნევდა ნიჩაბს და დაბადების დღეს იწყევლიდა.

– ეჰ, – გაიფიქრა, – მიტო რომ წამომეყვანა, ასე არ დამემართებოდა.

ბევრი იწვალა, ისე დასცხა, პალტო გაიხადა, ბოლოს დაღლილმა მანქანის კარებთან ჩაიჩოქა, თავი მიადო გაყინულ რკინას, სიცივე ვერ იგრძნო, თვალებზე ბინდი გადაეფარა, ხელი მოისვა, თითქოს უნდოდა ბინდი გაეფანტა, ხელი ჩამოუცურდა და უღონოდ თოვლის გროვაში ჩაეფლო ...

* * *

– გაყინულა ეს უბედური, აბა, ავიყვანოთ და ჩვენს მანქანაში გავათბოთ.

– არა, ბიჭო, ჯერ თოვლით მაგრად უნდა დავზილოთ...

– ოჰო! თოვლმა უშველა, თვალები გაახილა, ახლა ჩქარა მანქანაში! – ბრძანებას იძლეოდა ბრგე ტანის კაცი.

გაფიჩხული ქიტა მძღოლის გვერდით გადაწეულ სავარძელზე დააწვინეს და ზედ უხეში, თბილი ტყაპუჭი დაახურეს.

– რა მაგრად დაუმარხია ამ ოხერ ქარბუქს ეს მანქანა, კაცო!

– აბა, ოთხივემ ერთდროულად ავწიოთ და ამოვაგდეთ საფლობიდან, – ბრძანებას იძლეოდა ერთი ...

ორივე მანქანა გზაზე იდგა, ღამეს დღე გაეძევებინა და გამარჯვებას ზეიმობდა. უმთვარო უკუნეთში ცოფიანი ქარბუქი მძვინვარებდა.

– ვახტანგ, ჰკითხე ერთი სადაურია, სად წავიყვანოთ?!

– რა უნდა ვკითხო, თუ ძმა ხარ თვალები კი გახელილი აქვს, მაგრამ კრიჭა ისე შეჰკვრია, სიტყვა ვერ უთქვამს.

ერთი ქიტას მანქანაში შეძვრა, პიჯაკის ჯიბეში საბუთებს დაუწყო ძებნა, მალე მობრუნდა.

– გაიგე, ვინ არის? – ჰკითხა ერთმა.

– როგორ არა, ქიტა ნაჭუჭაშვილია, სოფელ კლდისპირიდან.

– თვითონ ვერ შეძლებს მანქანის მართვას? – იკითხა ერთმა.

– სულელი ხომ არა ხარ! ჯერ ერთი, კაცი ბიუსტივით არის გაშეშებული, მეორეც, რომ შეძლოს წავიდეს და გზაში რაღაც დაემართოს, მთელი ჩვენი სიცოცხლე მაგის ცოდვა უნდა გვეკიდოს ზურგზე?!

– არადა, კარგი ასოცი კილომეტრით უნდა დავბრუნდეთ უკან, – ჩაიწუწუნა ერთმა.

– ეგ არაფერი, ჩემო დათა, ხომ გაგიგონია, კარგი ქენი ქვაზე დადე, გაივლი და წინ დაგხვდებაო, – ანუგეშა მეორემ.

– ოჰ, ხვალვე ეგ ნაჭუჭაშვილი სამმაგად გადაგვიხდის, – გაიხუმრა მისამართის აღმომჩენმა.

– აბა, ბიჭებო, გვეყოფა, შევარცხვინე ისეთი კაცი, ვინც სიკეთეს სამაგიეროს მიღების გულისათვის ჩაიდენს. კაცს უჭირს და უნდა მივეხმაროთ, მორჩა და გათავდა, გვეყო ხუმრობა!

– დათა და ვახტანგი ნაჭუჭაშვილის მანქანას წამოიღებენ, ჩვენ უკან მოგყვებით! – ბრძანებას იძლეოდა ჯმუხი მამაკაცი ...

შუაღამე გადასული იყო ქიტას სახლს ორმა მანქანამ მიაყვირა, ქიტა უკვე კარგად იყო და ლაპარაკს ახერხებდა.

– ჩაიბარე შენი ქმარი, ქალო! – უთხრა აქოთქოთებულ თებროს ჯმუხმა მამაკაცმა და ხელში ატატებული ქიტა ტახტზე ჩამოსვა.

ბიჭებს მანქანა უკვე მოებრუნებინათ, ჯმუხიც ჩაჯდა წინ საბარძელში.

– კარგად იყავ, ნაჭუჭაშვილო! – ყველამ ერთხმად დაიძახა და ღამის სიბნელეში ციცინათელასავით შეიჭრნენ გაჩახჩახებულ ფარებიანი მანქანით.

გათოშილებმა სოფლის ბოლოს დაკეტილ სასადილოს კარებს მიუკაკუნეს. ბურტყუნით აღებდა მებუფეტე კარებს, ნეტა რა ეტაკათ ამ შუაღამისასო.

– ჩემო ძმაო, კარები რომ ჩამოიღე, მე აქ სასტუმრო ხომ არა მაქვს?! – ჯავრობდა მებუფეტე.

– რაცა გაქვს, ძალიან კარგად ვიცით! ეხლა შენ ბუხარი აგვინთე, გაციებულები ვართ, ღვინო და სულ ცოტა საუზმე მოგვიტა, შენც ჩვენთან დაჯექ, მარტო კაცი ცოდვა ხარ, – უთხრა ჯმუხმა.

– პირველი ჭიქით ქიტა ნაჭუჭაშვილს გაუმარჯოს! – ფეხზე ადგომით თქვა ჯმუხმა.

ჭიქები მიუჭახუნეს, მებუფეტე ყოყმანობდა.

– დალიე კაცო, გაციებულები ჩვენა ვართ, შენ რა მოგივიდა?! თქვენებური ქიტას სადღეგრძელოა! – მიაძახეს ერთხმად.

„რით მოხიბლა ეს გადარეული ხალხი უჯიგრო ქოტამ, მისი კაიკაცობა არავის გაუგონია, ესენი კი პირველს მის სადღეგრძელოს სვამენ, კარგი სულები არ უნდა იყვნენ!“ – დაასკვნა თავისთვის და უხმოდ დალია ...

გათენებამდე ისმოდა სასადილოდან ქეიფის და ჭიქების ჭახუნი. ყველაზე ბევრს კი საქმის კურსში ჩამდგარი მებუფეტე მხიარულობდა ...

– ნეტა ვინ იყვნენ ის კეთილი ადამიანები შენ რომ გადაგარჩინეს? როგორ დავიბენი, შინ კი ვერ შემოვიპატიჟე, – წუწუნებდა თებრო, – ნეტა როგორ იმგზავრებენ ამ უხეირო ამინდში?

– კისერი უტეხიათ! – წაიბურტყუნა ქიტამ და საბანი დაიფარა.

– მაინც როგორ გადავრჩი, ბედი მქონია, – გაიფიქრა თავისთვის და ძილი დააპირა, რომ იდუმალი ხმა მოესმა:

– ბედი კი არა ქიტა, იმან გადაგარჩინა, რომ ამ ქვეყანაში მარტო შენნაირი უჯიგრო ხალხი არ ცხოვრობს, – კიდევ რაღაც უნდა ეთქვა სინდისს, მაგრამ ქიტას უკვე ეძინა.

თემო ჭახნაპია

დედაშვილობა

მთავარი ქირურგის კაბინეტის თეთრ კარზე მორიდებით დააკაკუნა. შემოდით, – ბოხი ხმა მოისმა ოთახის შიგნიდან.

– გამარჯობათ! შეიძლება შემოვიდე, ექიმო?

– დიახ, შემოდით და აქ დაბრძანდით, – უთხრა თეთრხალათიანმა მელოტმა კაცმა და თავის მაგიდასთან მდგარ შავ სკამზე ხელით მიუთითა.

– ექიმო, რა დიაგნოზი დოუსვით ჩემ შვილს? – ფრთხილად ჰკითხა ონკოლოგს გურულმა ქალმა და ცნობისმოყვარე, ნაღვლიანი მზერით მიაცქერდა ცისფერ თვალებში.

– თუ შეიძლება დაბრძანდით ქალბატონო და მოგახსენებთ, – ექიმს მოწყენილი მზერა ჰქონდა, – დაბრძანდით, დაბრძანდით, – გაუმეორა ექიმმა.

ქალი არ ჯდებოდა, საგრძნობლად ნერვიულობდა.

– ექიმო, მითხარით, რა ჭირს ჩემ ბიჭს, სანამ მოთმინება დემეკარგა მთლათ, – გაცხარდა ქალი.

– ქალბატონო, სამწუხაროდ, – ამ ცუდისმომასწავებელ სიტყვაზე ქალს სახე საბრალოდ დაემანჭა და სიმწრის ნერწყვი გადაეყლაპა, – თქვენს ბიჭს მუცლის ღრუს სიმსივნე დაუდგინდა, – უსურვილოდ განაგრძო ექიმმა.

– ნენაა, ჩემი შვილი, ჩემი სიმწრით გამოზდილი ვაშკაცი, – შეიცხადა ქალმა, ჯავრის გორგალი ყელში გაეჩხირა, ერთიანად აცახცახდა, სახის ხოკვა დაიწყო, მუხლები მოეკვეთა და სკამზე მოწყვეტილი დაეცა.

– გთხოვთ, დამშვიდდით ქალბატონო, ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება, – უცებ წამომდგარი ექიმი მალევე ჩაჯდა თავის სავარძელში.

– წყალს ხომ არ ინებებთ, – ექიმმა ჭიქაში წყლის დასხმა დაიწყო.

ცა ღრუბლებს მოექუფრათ. წვიმდა.

– გადამირჩენთ ექიმო? უშველით ექიმო? – აქვითინებულ დედას თვალთაგან ცრემლები ღაპა-ღუპით სცვიოდა.

– ვუშველით, დამშვიდდით, ქალბატონო. მთავარია, ქიმიოთერაპიის სრული კურსები ჩაუტარდეს და ძვლის ტვინის გადანერგვის ოპერაცია გაუკეთდეს. მერწმუნეთ, შესაძლებელია ამ დავადების განკურნვა. მთავარია, სახსრები მოიძიოთ.

* * *

მეტროსადგურ დიდუბის ბაქანზე შევნიშნე, გრძელი, შავი კაბა ეცვა და ჭაღარა თმაზე შავი მანდილი მოეხვია. ხელში პლასტმასის ყუთი ეჭირა, რომელზეც ახალგაზრდა ბიჭის ფოტოიანი, დიაგნოზის ტექსტიანი და ანგარიშის ნომრიანი პლაკატი იყო დაკრული. მოწყალების გაღებას მორიდებით ითხოვდა, თითქოს რცხვენოდა კიდეც.

მგზავრობისას ხშირად ვხედავდი ხოლმე მეტროს ვაგონებში ძაძებით შემოსილს. აშკარა იყო, რომ ნელ-ნელა იცვლებოდა. ერთ დღეს მეტროს ვაგონში ქაქანით შემოვარდა. ხალხს ანჩხლი მზერა მოავლი, კართან ატუზულ დაცვის პოლიციელთან მიიჭრა, მომხედე შენო, – მკლავზე უხეშად წაავლო ხელი და მოახედა, – ე, იგენი, ჩემსაით ყუთებით რომ დადიენ, იტყუებიენ, დეიჭირეთ, მაი დამპლები, მე მართლა მიკვტება შვილი, ყველამ ნახეთ, ჩემი გიორგიო, – ყუთი მაღლა ასწია, რათა უკეთ დაენახათ. თან თვალები აუწყლიანდა. პოლიციელს არაფერი უპასუხია, თავი უხალისოდ ჩაქინდრა. ისეთ ფაქტსაც შევესწარი, მისი სიბრალულით გულაჩუყებულ ვიღაც უცხო ქალს რომ აეტირა და სახე ხელებში დამალა, რათა სხვებს არ შეემჩნიათ, მისი ცრემლმდინარი თვალები. მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა, მეტროსადგურ დიდუბის ბაქანის სკამზე ვიჯექი, ხმა მეცნო, გავიგონე ბილწსიტყვაობდა, ვიღაცებს გამწარებული აგინებდა, ყურებს არ დავუჯერე. მყისიერად მისკენ გავიხედე. უდავოდ ფსიქიკურად შეშლილიყო. ლოყები ჩაცვენოდა, გამხდარ სახეზე მკვეთრად დასტყობოდა გამობერილი ყვრიმალები, ქუთუთოები შეშუპებოდა. შემნიშნა, რომ დაჟინებით ვუყურებდი, მოვიდა, გვერდით მომიჯდა, გაძვალტყავებული ხელები უკანკალებდა, სიგარეტი ამოიღო, სპიჩკა თუ გაქვსო, – მკითხა, ხმაამოუღებლად მოვუკიდე სანთებელათი. ღრმა ნაფაზი დაარტყა და თითით ფოტოზე მიმანიშნა, – შეხედე რავალი ვაშკაცი მყავს, მარტოხელამ გავზარდე სოფელში, ოზდასამი წლისაა, შეყვარებულიც ყავსო. ჩემი ერთადერთი შვილია, ახლა მიკვტება, მთავრობის დახმარება არ ყოფნის ოპერაციასო, აეტირა. ხო ხედავ ვმათხოვრობ, რა მჭირდა მე სამათხოვრო, დედაშენზე ნაკლები ქალი კი არ ვიყაიო. ვინმეს, რომ გაეგონა უეჭველი იფიქრებდა, ალბათ მის დედას იცნობსო. დამცინიენ, მაგენი მეიქცენ ჩემი შვილივითო, – დაიწყევლა და უცბდ გაჩუმდა.

ამასობაში მატარებელიც მოგრუხუნდა. როგორც კი მეტროს ვაგონში შევედი, მოვიხედე, ახველებდა. თვალები ამღვრეოდა და აწრიალებოდა. ღვთისმშობელს ჰგავდა, თავისი შვილის წამების მაცქერალ ღვთისმშობელს. შვილის ავადმყოფობას ძალიან გაეტეხა და დაებეჩავებინა.

ერთი სული მქონდა შინ როდის მივიდოდი, რომ გულიანად მეტირა. ბინის კარი როგორც კი შევაღე, შეკავებული ცრემლები წამსკდა.

ისე მორჩა სასწავლო წელი, მისთვის თვალი ერთხელაც არ მომიკრავს. ერთ-ერთ საღამოს ახალ ამბებში გამოაცხადეს, – მეტროსადგურ დიდუბის ბაქნიდან შაოსანი, გურული ქალი, რომელსაც ხელში მოწყალების ყუთი ეჭირა, მოძრავ მატარებელს ლიანდაგში ჩაუხტა და დაიღუპაო.

არყის გამოხდა

არყის კუსტარული წესით გამოხდა ცხონებულმა ბებიაჩემმა მასწავლა, როცა 13-14 წლის ვიქნებოდი. ჩემთვის ეს იყო რაღაცით საინტერესო და არამომაბეზრებელი რიტუალი. სოფლის ეზოში გულდედავას ჯიშის ტყემლის დიდი ხეები გვედგა. ხილის დამწიფებამდე პოლიეთილენის პარკჩაფენილ რკინის კასრებს მე და მამა აგურებზე შემოვდგამდით და გავამზადებდით ტყემლის ჩასაყრელად. ივლისის დასაწყისში, დახუნძლულ, გაწითლებულ და კარგად დამწიფებულ ტყემალს მამაჩემი გრძელი ბამბუკის ჭოლოკით ჩამოფერთხავდა. გულდედავათი ავსებული სათლები კასრებთან მიგვქონდა და შიგ ვაპირქვავებდით. ავსებულ კასრებს ცელოფანს გადავაფარებდით და კაპრონის ძაფს შემოვუჭერდით. 30-40 დღეში ხილი საკმარისად დადუღდებოდა, მანამდე კი ცხენისწყლის მიერ ჩამოტანილ ხმელ შეშას შევაგროვებდით, ცხენშებმულ ურიკებით შინ მოვზიდავდით და საცეცხლედ ვამზადებდით. ჩვენ ყოველთვის სპილენძის ქვაბით ვხდიდით არაყს, ბებიაჩემი ამბობდა ალუმინის ქვაბში გამოხდილს ეს სჯობიაო. რის საფუძველზე ამბობდა ამას, ვერ გეტყვით. რკინის სამფეხზე შემოვდგამდით კონუსის ფორმის ქვაბს, სათლებით ჩავყრიდით ნადუღარი ხილის ფაფას და წვენს, მერე ზარფუშს დავახურავდით, ხოლო ზარფუშის ცხვირს შევუერთებდით გეჯის ე.წ. თუნუქის საწყლე ყუთის მილს. ქვაბისა და ხუფის შეერთების ადგილს ბებიაჩემი სამჭადე ცომით ამოწებავდა, შემდეგ ქვაბს ცეცხლს შეუნთებდა და გეჯას ცივი წყლით ავავსებდით. არყის გამოხდის შინამრეწველურ წესს საქართველოში დიდი ტრადიცია გააჩნია, რომელიც ვგონებ ასი წლის შემდეგაც ტრადიციად დარჩება. როგორც ვიცი კომუნისტების დროს კანონით ისჯებოდა ეს საქმიანობა. დაახლოებით ორმოც წუთში, როცა ტყემლის ფაფა ადუღდებოდა და აორთქლებას დაიწყებდა, კონდენსირებული ორთქლი მილიდან წანწკარით წამოვიდოდა და თხილის ნახევრადგადატეხილ, საწრუპის სიმსხო ტოტს მოჰყვებოდა, ქვემოთ ჯორკოზე კი ძაბრჩადებული ხუთლიტრიანი მინის წვრილყელიანი, თხილის ტკეჩშემოწნული ჭურჭელი გვედგა, ძაბრის ყელში ბებიაჩემი ბამბას და ნახშირს დებდა გაფილტვრის მიზნით. რახის წამოსვლის შემდეგ მთავარი იყო, ცეცხლის რეგულირება, რომ ქვაბს არ წაეღებინებინა. ასევე, თუნუქის ყუთში, როცა წყალი გაცხელდებოდა, ცივით უნდა შეცვლილიყო, რომ გაცხელებული მილიც გაგრილებულიყო. როცა ქილა რახით შეივსებოდა, ოცლიტრიან ბოცაში ვასხამდით და ცარიელ ჭურჭელს ისევ შევუდგამდით. ერთი დღის განმავლობაში მხოლოდ სამი ქვაბის გამოხდა ესწრებდოდა. გამოხდილ, ცალნახად, რბილ რახს კარგად გახეხილ და გარეცხილ ქვაბში ჩავასხამდით და იგივე ფორმით ვხდიდით არაყს. სითხის ადუღების შემდეგ წამოსვლას იწყებდა 90%-იანი სპირტი, მილიდან ხშირი ორთქლის გამოსვლისას ბებია ხუფზე სველ ნაჭერს აფენდა, ორთქლი რომ არ დაკარგულიყო მილის ბოლოზე ვაშლს ვამაგრებდით ისე, რომ მხოლოდ სითხის გამოსასვლელ პატარა ღრიჭოს ვტოვებდით. სითხის გრადუსი თანდათან მცირდებოდა, რომელსაც ცეცხლში შესხმით ამოწმებდა ბებიაჩემი. სანამ სითხე ცეცხლს აალების ნაცვლად წყალივით არ ჩააქრობდა, მანამდე ვხდიდით.

ორი-სამი დღის შემდეგ ემალის დიდ და ბრტყელძირიან ქვაბში მამაჩემი სხვადასხვა გრადუსის სითხეს შეაზავებდა. როდესაც სპირტის გრადუსის საზომი 60 გრადუსამდე ჩაიძირებოდა ცეცხლივით არაყი დასალევად მზად იყო. ტყემლის არაყს სპეციფიური, არომატული გემო აქვს და მე პირადად დასალევად ჭაჭისა და თაფლის არაყს მირჩევნია, თუმცა არაყს სათრობად არ ვსვამ.

უშუქობა...

გუშინდელი დღესავით მახსოვს 1999-2003 წლები, როცა 7-8 წლის სკოლის მოსწავლე ყმაწვილი ვიყავი. ეს გახლავთ „ვარდების რევოლუციამდელი“ ბნელი პერიოდი, უშუქობა, შიმშილი, უმუშევრობა, უგზოობა, უგაზობა, ხრიალა რადიოები, კომპაქტ-კასეტიანი მაგნიტოფონები, პატრუქიანი ნავთის ლამპები, რომლის შუშასაც შუაში მრგვალად ამოჭრილ ტყუპ ფურცელს აბაჟურივით ჩამოვაგებდი ხოლმე და მის მკრთალ შუქზე ვსწავლობდი გაკვეთილებს, რკინის გავარვარებული ღუმელის გვერდით მდგარ მაგიდასთან მისკუპებული. იმ პერიოდში, ვისაც გიცხოვრიათ, დამეთანხმებით, სოფლებში სიდუხჭირე გაცილებით უფრო მძვინვარებდა, ვიდრე ქალაქებში. ხალხს პურის ფქვილის საყიდელი ფულიც კი არ ჰქონდა, რომ პური გამოეცხოთ და უმრავლესობა მჭადს ჭამდა ხოლმე. მაშინ თითქმის ყველას ჰქონდა „რეკორდის“ მარკის შავ-თეთრი ხის ტელევიზორი. საქართველოში ახალი გავრცელებული იყო „კორფუჯის“ მარკის ტელევიზორი, სოფლამდე კი გაცილებით გვიან მოაღწია. შესაბამისად ჩემს ქუჩაზე მხოლოდ ორ ოჯახს გვქონდა ის შავი პლასტმასის მაგიური ყუთი (მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდით ფერად, პლაზმურ ტელევიზორს, „მოტოროლას“ ტელეფონი კი სოფელში არავის ჰქონდა). უშუქობის ხანაში „რეკორდისგან“ განსხვავებით, „კორფუჯის“ შავ-თეთრი ტელევიზორი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა, რადგან მისი შეერთება სპეციალური სადენებით და სარჭებით მანქანის 12 ვოლტიან აკუმულატორზეც შეიძლებოდა. მაშინ მამაჩემს წითელი „ჟიგულ 2111-ის“ მარკის ავტომობილი ჰყავდა და ჩვენი აკუმულატორი ხშირად დატენილი იყო, ასევე დაზღვევისთვის გვქონდა ხის ტელევიზორის ტრანსფორმატორიდან გაკეთებული აკუმულატორის დამტენი, რომელიც ერთ საათში სრულად ტენიდა დამჯდარ აკუმულატორს.

იმ პერიოდში, საქართველოში ბრაზილიურ ტელესერიალს „კლონი“ სამაუწყებლო კომპანია „იმედი“ საღამოს ეთერში აჩვენებდა, რომელშიც მოთხრობილია გათხოვილი მუსლიმი გოგონას ჰადესა და ბრაზილიელი ბიჭის ლუკასის შესახებ, რომლებსაც ერთმანეთი მაროკოში შეუყვარდებათ. მეტად სევდიანი და სულის ამაფორიაქებელი შინაარსის მქონე სერიალი იყო ჩემთვის. ჰოდა, სანამ ამ სერიალის მორიგი სერია დაიწყებოდა 10-15 წუთით ადრე მთელი სამეზობლო, დიდიან-პატარიანად ჩემთან იყრიდა თავს. ზოგი დივანზე იჯდა, ზოგი სკამზე, ზოგი იატაკის ნოხზე, ზოგი ფეხზე იდგა, ოთახის სიბნელეში კი ჩანდა 50 სმ-იანი დიამეტრის მქონე თეთრი ეკრანი და ერთი საათის განმავლობაში ყველანი ზედ ვიყავით მიციცინებულნი, მეტიც, შიგ შესულნი და გასუსულნი, მხოლოდ მომაბეზრებლად ხანგრძლივი რეკლამების დროს გამოვძვრებოდით ეკრანიდან, რა დროსაც იწყებოდა ხმამაღალი ყაყანი, ხორხოცი და პროგნოზების კეთება, იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდებოდა სერიაში მოვლენები. ამ დროს მე ღუმელთან ახლოს ფეხმორთხმით ვიჯექი ხის იატაკზე და გაუმაძღარ „ფეჩს“ ვჩრიდი და ვჩრიდი დაპობილ შეშას გავარვარებულ ხახაში. სერიალის მორჩენისთანავე ყველანი თავიანთ სახლებში გაიკრიფებოდნენ და მეც ვუბრუნდებოდი რეალურ სამყაროს. გავიდოდი საძინებელ ოთახში,

სადაც ღუმელის ოთახთან შედარებით საკმაოდ ციოდა. დავწვებოდი, გადავიფარებდი თავზე მატყლის სქელ საბანს და ასე საბანში თავჩარგული დავიძინებდი ჰადესა და ლუკასის ტრაგიკულ სიყვარულზე და ხვალინდელ გაკვეთილებზე ჩაფიქრებული. გარეთ სამარისებურ სიჩუმეს ძაღლების ყეფა თუ დაარღვევდა, თოვლი კი თეთრად ბარდნიდა და ბარდნიდა.

ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲥᲙᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ჩემი დედულეთის სოფელი მთაგორიან ადგილას, ჩოხატაურის და სამტრედიის საზღვარზე მდებარეობს. საზაფხულო და საზამთრო არდადეგებს იქ ვატარებდი ხოლმე. შესაბამისად ბევრი იმდროინდელი ტკბილი მოგონება ჩამებეჭდა გონებაში, რაც მოთხრობებად და პროზაულ ჩანაწერებად იქცევა პერიოდულად, ამოუწურავი მადანია. ვინ იცის, იქნებ იქაურობამ განაპირობა ის, რომ ასე ძალიან მიყვარს მთაგორიანი სოფლების ფიქლის ბოკონებზე შემდგარი ფიცრული ოდა სახლები, გრძელი აივნებით და ჩარდახებით, აგურის გაჭვარტლული ბუხრით, საკეცე მაშითა და რკინის შომპოლზე ჩამოკიდებული საქვაბე ნაჭით, თიხის კელამიდებით, სათხე ქართებით, სიმინდის შესანახი ნალიებით, უზარმაზარი ჭურებით, ფუტკრის სკებით, გოლეულით, ურმის დასაყენებელი ლაფაროთი, ლითონის სალტეშემორკალული ხის ბორბლებიანი ურმებითა და ჟღარუნაზარიანი, დიდთვალებიანი, ატოტვილრქებიანი ხარებით, მოუთვინიერებელი, ველური ცხენებით, ვეებერთელა, დათოვლილი მთებით, ხასხასა იალაღებით, თვალწარმტაცი პეიზაჟებით, ხევის ანკარა ნაკადულებით, ცივი და გამჭვირვალე მდინარეებით, ჩანჩქერებით, ორაგულზე თევზაობით, გარეულ ცხოველებზე ნადირობით და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ჩემთვის ძვირფასი რამით.

ცხონებულ ბაბუაჩემს ორი ნიშა ხარი ჰყავდა, ერთი წაბლისფერი, ხოლო მეორე შავი, შუბლზე თეთრი კიოფით. ეს ხარები, როცა პატარა ხბოები იყვნენ ხონის ცხოველების ბაზარში უყიდია, რადგან, მართალია, ქართული მთის ძროხა გამოირჩევა ამტანობით, კარგი წველადობის უნარით, რძის ცხიმიანობით, მაგრამ ტანით პატარაა და მისი მოგებული ხბოებიც პატარები იზრდებიან, განსხვავებით ბარის დიდი ჯიშის ძროხის ხბოებისაგან.

ერთი წლისები როცა გახდნენ, დაუკოდავს და მომდევნო რამდენიმე თვეში უკვე გამწევ სახარეებად გაზრდილნი გახედნა ბაბუაჩემმა. კარგად მახსოვს მათი დაჭედვის და გახედვნის პროცესი. ხარის ნალებს თხელი ლითონის ფირფიტიდან ჭრიდა ხოლმე ბაბუაჩემი, ჩლიქის ფორმასა და ზომაზე, ხოლო ლურსმნებს ქალაქის სამჭედლოში ყიდულობდა, თოკით ხარს გაბორკავდა და ნალებს დააკრავდა. ქედზე დაადგამდა თავის გამოთლილ იფნის ხის უღელს, ტაბიკებზე აპეურებს გაუნასკვავდა და წავიდოდით ტყეში, საბუხრე შეშის მორების ჩამოსათრევად. მაშინ 10-11 წლის ვიქნებოდი, ბენზო ხერხი სოფელში არავის ჰქონდა. ამიტომ ქართული ბასრი ნაჯახებით ჭრიდნენ და მორავდნენ ხეებს. კარგად მახსოვს, ბაბუაჩემს მინიმუმ ნახევარი საათი სჭირდებოდა რომ მსხვილი და მაღალი თხმელის ხე მოეჭრა. ნაფოტები პანტა-პუნტით ცვიოდა ირგვლივ. ხე ზღართანს გააღენდა, დაწოლილს გაკაფავდა, დამორავდა სამ ნაწილად და ჯაჭვის ერთ ბოლოს მორებს გამაბამდა, ხოლო მეორე ბოლოს უღლის ცენტრალურ ნაწილს. შემოსძახებდა ხარებს, ამოო, ხარეეეო... რომელი ხარიც დაიჩოქებდა და დაწვებოდა ზურგზე სახრის არაერთი გადაჭირება გარანტირებული ჰქონდა წამოდგომამდე, ამ პროცესის ყურება ჩემთვის მეტად მძიმე იყო, გულს მიჩუყებდა და აწყლიანებული თვალებით ვთხოვდი, ნუ ურტყამ, ცოდოა ბაბუთქო. რამდენიმე ასეთი საჭირო პროცესის შემდეგ ხარები იხედნებოდნენ და ნელ-ნელა ეჩვეოდნენ მორების ზიდვას მთის უსწორმასწორო გზებზე. მაშინ პატარა საყანე ახო გვქონდა, სოფლის განაპირას, ტყის შუაგულში, რომელიც ეკლის ნახეთქი მესრით იყო შემოღობილი. პირველად იქ მომაკიდა ბაბუაჩემმა ერქვანს, რომლის ტარს დაძაბული ჩავჭიდებოდი ახალბედა გუთნისდედა. რკინის გამოკვერილი სახნისი მიწას ჭრიდა, ხის ქუსლი კი გლეჯდა, შავი მიწა ტრიალდებოდა და ბელტებად იფხვნებოდა, ხოლო მსხვილჩლიქებიანი ხარები დინჯად, ზლაზვნით მიიწევდნენ წინ, თითქოს უმსუბუქეს ბამბას მიათრევდნენ, არათუ დედამიწის მაგარ ზურგს ხნავდნენ. იმ ახოში ერთ წელს დათვი ჩაპარულა, ღობის ირგვლივ, მხოლოდ ნაპირთან ახლოს დაუტოვებია სიმინდის ღეროები, შუა გულში კი ერთიანად შეუჭამია. ბაბუაჩემს ეს რომ უნახავს, თან გუნებამოშხამული ყოფილა, თან გაოცებული დათვის ამ ეშმაკური ხერხის მოფიქრებით თავისი დანაშაულის დროებით დასაფარად. მერე დადარაჯებია და თავის სიმინდით გამოზრდილი ორასკილოიანი ბაცაცა იმ ახოშივე მოუკლავს, იმ დათვის ტყავი, თავისი საძინებელი ოთახის კედელზე ჰქონდა გაკრული.

როდესაც საფქვავი გამოილეოდა, წისქვილში წასვლამდე, ბაბუა უღელდადგმულ ხარებს შეაბამდა ურემში, ზედ საღერღილე და სამჭადე ფურაჟით სავსე ჯვალოს ტომრებს დაყრიდა, დამსვამდა რბილ ტომარაზე, რომელიც ურმის სამკუთხედის ფორმის ყუთის წვერისკენ ეგდო. ხელნას კარგად ჩაეჭიდეო გამაფრთხილებდა, მეც ორივე ხელს შემოვაჭდობდი ჩხირას. დარწმუნდებოდა, რომ უსაფრთხოდ ვიჯექი და შემოუძახებდა პირუტყვებს, ამო, ხაროო.... გავუდგებოდით ვიწრო ორღობეს წყლის წისქვილებისკენ ურმის ღერძ-ბორბლების ღრჭიალ – კივილით, ბორბალზე დაკრული რკინის ფერსო ქვაზე გადავლისას კრიჭინის ხმას გამოსცემდა ხოლმე და ყურს უსიამოვნოდ ხვდებოდა. ერთ ხელში ანწლის წკეპლა ეჭირა,მეორეში კი ხარების რქებზე გამობმული სამართავი ბაწარი. თვითონ არასდროს მინახავს ურემზე მჯდარი, სულ ფეხით დადიოდა ხარებთან ერთად. ერთხელ ვუთხარი, — ბაბუ, ამო, შენც დაჯექი-მეთქი. არა, ბაბუ, ცოდოები არიან, მე კიდევ რატომ დავამძიმოო. შავი, გახუნებული სამხედრო კიტელი ეცვა ხოლმე ბაბუაჩემს. მივდიოდით... სოფლის შარაგზაზე კი ურმის სამუხრუჭე ფრჩხილების ნაფხოკიალები, კლაკნილი კვალი რჩებოდა, რომელთა შორის ჩვენი კავკასიური ნაგაზი „ბამბურა“ მოგვყვებოდა ძუნძულით, მედიდურად, რომელიც ჩემი შეხედვისთანავე კუდს ააქიცინებდა, კეთლგანწყობის გამოსახატავად.

ბამბურა მგლებს დაუგლიჯავთ ერთ-ერთი ცივი და თოვლიანი ზამთარის ღამეს, ღრენა-ყეფის ხმაზე და ერკემლების, ცხვრების, თხების, ვაცების და ციკნების განწირულ კიკინზე ბაბუაჩემი საძინებლიდან თოფით გავარდნილა და თხების ქართასთან მწოლიარე ბამბურა, სისხლში მოსვრილი და ჯერ კიდევ თბილი ჩაკვდომია ხელებში. ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ, მეორედ მაშინ შევამჩნიე ცრემლი თვალზეო, – ბებიაჩემმა მითხრა. ორ დღეში კი იქვე ახლოს ხევში ბაბუაჩემს მკვდარი მგელი უპოვნია, ყელზე ნაკბილარით და ბამბურას სისხლიანი თეთრი ბეწვებით.

ჯემალ მეხრიშვილი

დიადი კუთხე

2015 წლის 24 ნოემბერს, შაბათს, დღის პირველ საათსა და ოცდათორმეტ წუთზე სტუმრად მიმავალი ჯემალ მეხრიშვილი მეტროდან სპორტის სასახლესთან რომ ამოძვრა, მოულოდნელად გაცხადდა, თავს საზარელი უბედურება დასტყდომოდა – ორღილიანი ინგლისური ტვიდის კოსტიუმის ზედა ღილი აწყვეტაზე მისულიყო და ჩამომხრჩვალივით ქანაობდა!

ჯერ ხომ იმაზე დაიმეხა, რომ ამწყვეტოდა, მერე ზუსტად ასეთივე ღილი სადღა უნდა მეძებნაო! ახლა საკუთარ თავზე აეღრინა გული, რადგან გაახსენდა – თავისი დაურღვეველი ჩვეულებისამებრ, შინიდან გამოსვლისას ღილები დაკვირვებით არ მოუსინჯავს! არა, ღილი შეიძლება ჯერ გაჭედილ ავტობუსში, მერე კი მეტროს ვაგონშიც დაუბოშდა და ჩამოეკონწიალა, მაგრამ თავის თავზე აღშფოთებული მწერლისთვის ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: შინიდან გამოსვლის წინ მას თურმე გასამხედროებული ყურადღება მოსდუნებოდა!!!

ახლა რაღა წყალს მისცემოდა?! ღილი სულ აეწყვიტა?! მაგრამ მწერალი კაცი იმდენ სტუმრებს ღილაწყვეტილი როგორ გამოსცხადებოდა?! არ აეწყვიტა და მით უარესი – თავს გაისასაცილოებდა!

ღილის დასაკერებლად ისევ შინ ხომ არ გავარდნილიყო?! მაგრამ ვეღარ მოასწრებდა, დაგვიანებით თავმოჭრას კი ისევ მიუსვლელობა ერჩია!.. ან იქნებ ჯერ მასპინძლის რომელიმე მეზობელი შეეწუხებინა და.. მაგრამ არც ეს დაუჯდა ჭკუაში!.. დრო კი სადისტურად ეწურებოდა!..

უცებ საკუთარი მოუაზრებლობის შეგნებამ გული შეუკრთო – როგორ შეიძლება, ამდენ მანდილოსნებში ნემსი და ძაფი არავის ჰქონდესო! მიჰყვა და ვის აღარ შესჩივლა თავისი გასაჭირი: მეტროპოლიტენის სადგურის მოსამსახურე, სენდვიჩების კაფე „საბვეის“, ქუჩის წვრილ-მსხვილ დახლებთან თუ ფეხზე მოვაჭრე ქალებს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ – ნემსი და ძაფი არავის ჰქონოდა!

არა, უქონლობაც თავისთვის იყოს! ყველა მათგანი ისეთი გულგრილი გამომეტყველებითა და ტუჩების უთანაგრძნობო ბურცვით პასუხობდა, თითქოს გაჭირვებაში ჩავარდნილი ჰალსტუხიანი უცხო მამაკაცი ნემსსა და ძაფს კი არ ითხოვდა, არამედ, ვთქვათ, ნარკოტიკებს... ცეცხლსასროლ იარაღს... ყალბ ფულს... კერამიკულ ბებუთს* არაყს ან არყის ფულს თუ... თუმც აქ შეჩერება სჯობს!

ღმერთო, ნაპოლეონი რომ ნაპოლეონი იყო, ეგერთა პოლკის მუნდირის ლაცკანქვეშ ნემსსა და ძაფს ყოველი შემთხვევისთვის ისიც კი ინახავდა და მთელი დღე სამსახურში მყოფ ან გარემოვაჭრე ქალს ნემსი და ძაფიც თან რომ ჰქონდეს, ამით რა დაშავდებოდა?! რა იცი, რა ხდება – მოულოდნელად იქნებ თვითონ მას დასჭირდეს ან გასაჭირში ჩავარდნილს გაუმართოს ხელი!...

აქ ოზაანელს ეჭვი უფრო აწამებდა – როგორ შეიძლება, ნემსი და ძაფი არავის ჰქონდეს, მაგრამ ძაღლუმადური ყოფა-ცხოვრებისგან ვაითუ ჩვენი ხალხი უკვე იმზომ არის გატანჯულ-გაღიზიანებული, მადლის გამოჩენის სურვილი და ხალისი აღარავის შერჩენიაო!



ანდა, ნაპოლეონის მაგალითი რად უნდოდა! ახალგაზრდობისას, ბალტიისპირეთიდან ბაიკალამდე, არხანგელსკიდან მოკიდებული, ვიდრე არაქსამდე და სამარყანდამდე რომ დახეტიალობდა, ზურგჩანთის კუნჭულში ყოველთვის ედო მამაკაცის მაჯის საათისოდენა პლასტმასის კოლოფში კოპწიად შემომწკრივებული შვიდფეროვანი ძაფები და ნემსები... თანაც 2-3 კომპლექტი!.. ეჰ, ეხლა რაღა მოსთვლის, თვალგადაუწვდენელი საბჭოეთის ტურისტულ გზა-ბილიკებზე რამდენი მანდილოსნისა თუ მამაკაცის გაკვირვება, აღტაცება და მადლიერება დაუმსახურებია, გაჭირვების ტალ-კვესად რომ მოვლენია!.. მაგრამ ეს იყო ოდესღაც... იმ ეპოქებმა გადაიქუხა და ბურუსიან შორეთს ჩაბარდა!.. დღეს კი, თანაც თბილისის ცენტრში... ეეეჰ!... მაგრამ რას იზამ – კაცი ბედგამწყრალი რომ იქნება, იქნება!

უბედურმა მწერალმა უცებ ისეთი ძალმოწყვეტა იგრძნო, ახლა ღილი კიდეც რომ დაეკერებინა, სტუმრად მილასლასების ილაჯი აღარც შესწევდა! ან თუგინდ როგორმე მიჩანჩალებულიყო, სალხენად მიპატიჟებულებს ასეთი ღანღალაგამოლეული რა პირით უნდა სჩვენებოდა?!.. მაგრამ მხვნელ-მთესველთა ჩამომავალი თავის ბედუკუღმართობასთან შეუბმელად გაყრას არ აპირებდა – მოდი, ბარემ „საბვეის“ იქით, აგერ, იმ პატარა მარკეტშიც, „სპარი“, შევიხედავო, მაგრამ როგორც გონებააფორიაქებულს თავიდან მოეჩვენა, იქ კიდევ თითქოს შეფარული ირონიით შეხვდნენ!

ორი გოგონა მარკეტის სავსე დახლების თავიანთებურად მოწესრიგებას ის-ის იყო, ამთავრებდა. მესამე, სახიერი ქალიშვილი კი დახლთან იჯდა და რაღაც ნაბეჭდ სიაში ჩაიცქირებოდა.

— უკაცრავად... – ენა ებმებოდა პირგამშრალ მწერალს, – შემთხვევით... ნემსი და ძაფი... ხომ არ გექნებათ?

ქალიშვილმა შველივით აიღო თავი.

— რა ფერის გნებავთ?

ილაჯგაწყვეტილ ოზაანელს თავდამცირების ალმური შემოეკიდა – ეს კიდევ სულ მამახსარავებსო, მაგრამ რაღას იზამდა! კოსტიუმის კალთა უმწეოდ აუწია და თან ორი თითით ღილიც აჩვენა.

— შემთხვევით წეღანღა შევნიშნე... სტუმრად მივდივარ

** კერამიკული ცივი იარაღის აღმოჩენა დეტექტორით არ ხერხდება. (ავტორი).*

და...

ქალიშვილმა დახლქვეშ ხელი შეყო და მუყაოს პატარა, მკვიდრი კოლოფი ამოიღო. მერე მთხოვნელის კოსტიუმს ერთი გამოხედა და შესაფერი ძაფი ნემსს ხელგაწაფულად გამოუბნია. ესეც ბედისწერა იყო – ამფერი ძაფიც სწორედ აქ გათავდა და მარკეტის პრინცესამ ცარიელი სანასრელა სადღაც ჩააგდო!

— მომეცით, დავაკერებ!

— არა, არა, თქვენ ისე ვერ დამიკერებთ! – ენიდან თავისით მოსწყდა მწერალს, – მე თვითონ!!!

გაკვირვებულმა ქალიშვილებმა ერთმანეთს თვალებითღა გაუღიმეს – კაცმა ჩვენზე უკეთ როგორ უნდა დააკეროსო! მაგრამ რაღას იზამდნენ: გასაჭირში ჩავარდნილ სტუმარს მხსნელმა ზრდილობიანად გადმოაწოდა ძაფგაყრილი ნემსი.

ოზაანელმა იქვე მდგარი მსუბუქი სკამი აიღო და მარკეტის შორეულ კუთხეში განცალკევდა. მერე კოსტიუმი გაიხადა, ცალ მუხლზე დაიშალა და თავის საქმეს გულხმიერად შეუდგა.

მწერალი არამცთუ უცხოს, თავისი ნებისმიერი ტანსაცმლის ღილებს თვით მეუღლესაც კი არ აკარებს! ეს მხოლოდ მისი კითხულია, ვინაიდან ღილებთან ყოველდღიური თუ ყოველწუთიერი შეხება მის გუნება-განწყობილებასა და წერისადმი ლტოლვას უწესრიგებს!

ღილი თუ ძალიან მჭიდროდ არის მიჯღანებული, გახსნა-შეკვრისას აწვალებს და აღიზიანებს. თან ეს ღილი თავის გარშემო ნაჭრის ორივე მხარეს ნაადრევად და ულაზათოდ ცვეთს! ამიტომ ღილი ნებისმიერ ტანსაცმელზე ცოტა თავისუფლად უნდა „იჯდეს“! მაგრამ არც ისე, გრძელყუნწა კაკრა ლეღვივით იყოს ამოშვერილი, პატრონს პირველი შეხებისთანავე არ დაემორჩილოს და თითებში მოუხელთებელ ლიფსიტასავით სრიალებდეს! ეს უკვე მეორე უკიდურესობაა!... შეიძლება ზოგჯერ თვითონაც ვერ დაიკეროს ისე, როგორც სურდა, მაგრამ გრძნობს – მოთმინება და მონდომება არ დააკლო, მაგრამ ოსტატობამ უმტყუნა! ასეთ შემთხვევაში ღილს ისევ ააჭრის ხოლმე და თავიდან იწყებს მის მიკერებას! მაგრამ თუ სხვის ნახელავი არ ეჭაშნიკა, მტრისას – ჰგონია, რომ ან თვითონ ვერ აუხსნა გასაგებად, ანდა მისი „ახირება“ გულთან ახლოს არ მიიტანეს და ვალმოსახდელი მიფუჩუჩებით მოიშორეს თავიდან!..

და საერთოდ, სხვამ ღილი ისე ზუსტად როგორ უნდა დაგიკეროს, როგორც შენ გინდა!.. ღმერთო, მთელი სიცოცხლის მანძილზე ჯერ ისედაც რამოდენა დრო მიაქვს ამოდენა ღილების შეკვრა-გახსნას და ახლა უხეიროდ მიჯღანული ღილი ან გაფართოებული ღილკილო თან თუ გაწვალებს და გაღიზიანებს კიდეც, მაშინ... ახალნაყიდ პერანგსაც ჯერ მთელი ღამით ჩაალბობს ხოლმე, მერე კი ჩრდილში აშრობს, რათა რაც მოსაკლებია, მოიკლოს! მისი საყელო თითქოს კარგადაც რომ ადგეს, სულ ერთია, ზედა ღილს თუგინდ ორიოდე მილიმეტრით მაინც გადაადგილ-გადმოაადგილებს ხოლმე, ჩვეულებრივი საცმელი ლიტერატურული ჯარისკაცის მუნდირის უნაკლოდ მორგებულ საყელოდ რომ აქციოს!

ერთი სიტყვით, მწერლის წარმოდგენით, ღილების გახსნა-შეკვრა უნდა ჰგავდეს არა რეგვნული ნაკვანძის წვალება-წვალებით გამოხსნას, არამედ უნაკლოდ აწყობილი როიალის კლავიატურაზე გენიალური პიანისტის გრძნეული თითების გაწაფულ ასრიალ-ჩასრიალებას!.. თუმც არა მარტო თავისი ტანსაცმლის ღილები!

ადამიანური ყოფნა-ცხოვრების ყოველი წვრილმანი თავისებურად ისე აქვს გადალაგ-გადმოლაგებული და გათავისებული, რომ სულ არ ეხამება მათ ტრადიციულ გაგებას, ხშირად კი საშინელ წინააღმდეგობაშიც მოდის! მაგრამ მწერალს ეს დიდად არ აღელვებს: მთავარია, შემოქმედებით მუშაობაში ხელი არ შეეშალოს, ხოლო თავისივე მიზეზით მოყენებული მუდმივი სატანჯველის შინაგანი მოთხოვნილება ბუნებრივად უჩნდება, ვინაიდან ეს ინტელექტუალური ტანჯვა მერე შემოქმედებითი პროცესის გადმოუცემელი სიამოვნებით უჯილდოვდება!.. მაგრამ როგორ გინდა, ეს სხვებსაც გასაგებად აუხსნა?!. ამიტომ ხშირად თვით თავის საახლობლოსთვისაც კი გაუგებარი და აუტანელია!.. მაგრამ რას იზამ – ასეთია თუგინდ უმნიშვნელო შემოქმედის ხვედრი!..

დახლს იქიდან მტრედებივით შეჯგუფებული თეთრხალათა ქალიშვილები თვალს არ აშორებდნენ ღილის მიკერებით თავდავიწყებულ უცხო მამაკაცს.

მწერალი მორჩა თავის საქმიანობას, კოსტიუმი ისევ ჩაიცვა, მოირგო და ღილი მოსინჯვით რომ შეიკრ-გაიხსნა, შვებით მაშინღა ამოისუნთქა! მერე სკამი თავისივე ადგილას მიიტანა, ძაფდალეული ნემსი კი პატრონს ჩააბარა.

— უღრმესი მადლობა!

ოზაანელი გამოტრიალდა და შემინულ კარს მარჯვენა ისე გაუწოდა, თითქოს ხელი უნდა ჩამოართვასო. მაგრამ უკანასკნელ წამს, ეტყობა, თვით განგებამ მიახვედრა – საბედისწერო შეცდომას უშვებდა, რომლის უცოდინარობას, ცხადია, საფლავში დამშვიდებული სინდისით ჩაიყოლებდა და მარადისობაში ჩაიკარგებოდა. ამიტომ მხსნელს ისევ წამოუტრიალდა და თავისდა გასაკვირად, უცებ შენობით მიმართვაზე გადავიდა.

— რა გქვია, შვილო... რა გვარისა ხარ?

— ნუნუკა ბიკაშვილი.

— ბიკაშვილი?!. სადაური ბიკაშვილი ხარ?

— დედოფლისწყაროელი.

მწერალს მოეჩვენა, მარკეტის კედლებმა ქანაობა დაიწყო.

— წარმოშობით მეც დედოფლისწყაროდანა ვარ... ოზაანელი... ოზაანი გაგიგონია?

ნუნუკას სახეზე წრფელმა ღიმილმა გადაუთამაშა.

— კი, როგორ არა!..

მწერალმა თავისი გამოცდილებით კარგად იცოდა – საუბარი აქვე უნდა შეეწყვიტა, თორემ თავისი გვარისა და საქმიანობის დასახელებაც რომ გამხდარიყო აუცილებელი, შეიძლება ამას ორთავენი უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა!

— ნახვამდის, შვილო!.. ღმერთმა სულ სიკეთის გზით გატაროს!..

ხალხით სავსე ქუჩაში რომ გამოვიდა, ახალდაკერებული ღილი რამდენჯერმე ისე გაიხსნა და შეიკრა, თითქოს კარაბინის დაზეთილ ჩახმახს ამოწმებსო!

საათზე დაიხედა – დაუგვიანებლად მისვლას ასწრებდა!.. უცებ ისეთი შეუოკებელი აღმაფრენა დაეუფლა, ეგონა, ფეხით თუგინდ ნებისმიერ პოლუსამდე შეუსვენებლივ ვივლიო!.. ღელვიანი სიხარულისაგან მიწაზე ფეხი აღარ ედგმებოდა!.. თითქოს ჰაერ-ჰაერ მიტივტივებდა და თან ეჩვენებოდა – ტყუილია, დედამიწის ზურგზე ქიზიყისთანა მეორე კუთხე, ალბათ, სხვაგან არსად მოიძებნებაო!!!

ლია მარტიაშვილი

მარია

მოცეკვავესავით ტანკენარი, მსუბუქი და ჰაეროვანი ქალი იყო მარია. წვრილად მოწინწკლულ ჩითის გრძელ, განიერ ქვედაკაბაში და მაქმანებით გაწყობილ თეთრ, ქათქათა ბლუზაში გამოწყობილი, ისეთი სასიამოვნო დასანახი იყო, ათას ქალში გამოარჩევდა თვალი. თეთრი, მშვიდი, თაფლისფერთვალებიანი, ნაზტუჩებიანი სახე ნამდვილ ღვთისმშობელს მიუგავდა. მკერდი, ტანი და ფეხები — კარგი ხელოვანის მიერ ჩამოსხმულ ქანდაკებას. გული, გონება და სულიც გარეგნობასთან უზადოდ შერწყმული ჰქონდა და თუმცა, მთელი სოფლისათვის საიდუმლო იყო მისი ვინაობა, ერთი რამისა მაინც აშკარად სჯეროდა დიდსა და პატარას — ჭეშმარიტი ქრისტიანი, ღვთის მოშიში და ღვთისმოსავი ქალი გახლდათ მარია. ერთთავად ჯვარი უმშვენებდა მაღალ, მოხდენილ ყელს და დილა-საღამოს პირჯვრის წერასა და ლოცვაში ატარებდა. დადიოდა ჩუმად, ფეხაკრეფით; ფრთხილად და ნაზად აკეთებდა საქმეს. მაგალითად, ხილის მოკრეფისას, თითქოს თითოეულს ეფერებაო, კალათში უხმაუროდ და მსუბუქად აწყობდა ნაყოფს, გალიცლიცებული წყლიანი სათლი რომ მოჰქონდა წყაროდან, აღმართზე ისე ამოიტანდა, წვეთს არ დაღვრიდა. სახლ-კარი — დაგვილ-დასუფთავებული, თავისი ხელით გაკეთებული ნივთებით ჰქონდა დამშვენებული. კერვა, ქარგვა და ქსოვა ისეთი იცოდა, მის ნახელავზე უარს არ იტყოდა საგამოფენო დარბაზი. ნამცხვრები? სხვა საჭმელები? ამ ყველაფერსაც საოცარი გემოვნებით აკეთებდა და წინასწარ დაპატიჟებულ თუ უცბად შესწრებულ სტუმარს შეთავაზების გარდა, ყველაფრის გამზადების რეცეპტსაც მონდომებით ასწავლიდა. ცოცხალი ყვავილები უყვარდა განსაკუთრებით, ტოტიდან მოუწყვეტ ვარდებს ბავშვივით ეფერებოდა და ყნოსავდა. ერთი სიტყვით, ცით ჩამოვარდნილი ანგელოზი იყო მარია, თავისი ბუნებით და ყოფაქცევით სოფლის ქალებში გამორჩეული.

მარია გერმანელი იყო, 23 წლისა, ომის ქარტეხილს, არავინ იცოდა რა გვარად და როგორ, მოეხვედრებინა თბილისში, მშობლებსა და ახლობლებს დაკარგული, აქედან კი ქიზიყში, ჩემს მშობლიურ სოფელში წამოეყვანა და ცოლად შეერთო თავისზე კაი ოცი წლით უფროს რუს ხელოსანს. ამ კაცის ხელში ტყვეობას უფრო წააგავდა მშვენიერი მარიას ცხოვრება, ვიდრე ჩვეულებრივი მეუღლისას. სოფლის მაღაზიაშიც კი უკრძალავდა გასვლას ეჭვიანი ქმარი. როგორც ლამაზ, ძვირფას და გასაფრთხილებელ ნივთს, უფრო ისე ექცეოდა, ვიდრე მოსიყვარულე მეუღლე — ცოლს. მარია ყველაფერს შესჩვეოდა ორი რამის გარდა: უსამშობლობასა და აქ, საქართველოში ქართული ენის უცოდინრობას. ქმართან დამტვრეული რუსულით ლაპარაკობდა მუდამ.

...გერმანია, ომი და გაჭირვება ჭირის დღესავით სძულდა ომ-ვარამ გადატანილ სოფელს, გერმანელი მარიაც მოსვლის დღიდანვე დიდად არ ეპიტნავებოდა, მაგრამ დროს თავისი გაჰქონდა. უფრო სწორედ, მარია აკეთებდა თავის საკეთებელს. იგი დღითიდღე მშვენდებოდა, მის გერმანულ აღზრდას, განათლებასა და სხვადასხვა საქმეში ოსტატობას ანგელოზისებური ქცევაც ერწყმოდა. მარია დიდ-პატარასთან კეთილი დამოკიდებულებით, სიყვარულითა და მზურნველობით, თითქოს ბოდიშს უხდიდა სოფლელებს თანამემამულეთა ჩადენილი სისხლისღვრის გამო. შეცოდებისა და ყურადღების ნიშნად, ომში შვილი, მამა და ძმა რომ დაჰკარგვოდა, იმ ოჯახებს მეუღლის ჩუმად ხან კარტოფილს გაუგზავნიდა, ხან ხილს და ნამცხვარს. გერმანელს, წამალ-ექიმობაც შესანიშანვად ეხერხებოდა და თუ ვინმეს რამე გაუჭირდებოდა, იქვე, მთის ფერდობზე მოკრეფილი ბალახებით უმზადებდა მოსარჩენ მალამოს.

ლღვებოდა სოფლელთა გუნება-განწყობა და მარიას მიმართ დღითიდღე მრავლდებოდა სიკეთის, სიყვარულისა და სითბოს სხივები, რაც, მას, როგორც ქალს, კიდევ უფრო უზადო არსებად აჩენდა.

გადიოდა წლები, ცივგომბორის კუზიან მთებს ხან გაზაფხულის ია-იები და ლურჯთვალა კესანეები უმშვენებდნენ მკერდს, ხან, ნაშემოდგომევს, სოფლის მწყემსთაგან მორეკილი ცხვრის ფარები.

ნელ-ნელა, მაგრამ მაინც უშუშდებოდა სოფელს ომის იარა. ჭირშიც გაუტეხელი, შავძაძებიანი, ქიზიყელი ქვრივები მაინც იმედიანი ნაბიჯებით მიუყვებოდნენ ზვრებისკენ მიმავალ გზებს, ობლებს არ ამშვედნენ, პურის ლუკმას არ ულევდნენ.

ამასობაში მარია მარტო როდი იყო... შინ დარჩენილ მამით დაობლებულ გოგო-ბიჭებს დედები რომ დაუტოვებდნენ, ისე ჰპატრონობდა, როგორც საკუთარს, ეფერებოდა, ასმევდა და აჭმევდა. თან მათთან ურთიერთობაში ქართულსაც ითვისებდა და შინდაბრუნებულ დედებს ბავშვებისგან ნასწავლი ისეთი ქართული ფრაზებით ესაუბრებოდა, ქალები ჰკვირვობდნენ. საღამოობით იქვე, ორღობეში, ამ ქალებთანაც დაჯდებოდა და ქართულად ებაასებოდა მათ, რაგვარადაც შეეძლო.

ომისა და გერმანელების მაწყევარ სოფელს შეუყვარდა მარია. მისი თანდასწრებით ვეღარ ბედავდნენ წყევლასა და ლანძღვას. ერიდებოდათ ამ ღვთისნიერი ქალისა, რომლისგანაც მხოლოდ სიკეთისა და სიყვარულის სწავლა შეიძლებოდა. მეზობლებს განსაკუთრებით მარიას ჩიქორთული საუბარი ართობდა და ხშირად ტყუილუბრალოდაც ალაპარაკებდნენ, რომ გაეცინათ. მარიას არა სწყინდა,

მათთან ერთად იღიმებოდა და თან ოდნავ შემცბარი კითხულობდა — „რა, ვერა ვლაპარაკობ ქართული სწორად?“ სოფელს სწორედ ამგვარად ქართულმოლაპარაკე მარია მოსწონდა.

ასე შეეთვისა და შეერწყა სოფელს გერმანელი მარია. იგი თითქოს პირველი გერმანელი დესპანი იყო ჩვენს ერთ-ერთ ქართულ სოფელში გამოგზავნილი, ვისაც აშკარა წარმოდგენა უნდა შეექმნა მასპინძლებისათვის თავის ქვეყანაზე. და მაინც, ცნობისმოყვარე სოფელს ერთი სული ჰქონდა, თავად მარიასგან მოესმინა კაცეჭამია გერმანიისა და გერმანელების შესახებ, ამიტომაც უკვე გაშინაურებულს, ყოველ საღამოს დაკითხვასავით უწყობდნენ.

—ქა, მარი, ეგეთია შენი სოფელი გერმანიაში, როგორიც ჩვენი? ან იმ ამოსაწყვეტ თქვენს ქვეყანაში ეგეთი ჩაცმულ-დახურული ხალხი დადის როგორიც ჩვენთან? რათ დაგვიწყეთ ომი, ქა?

სამშობლოს მონატარებულ მარიას სევდით დანისლულ თვალებს კიდევ უფრო მოეძალებოდა ფიქრი და განსწავლული მოძღვარივით თანმიმდევრულად, ამომწურავად პასუხობდა შეკითხვებზე ქალებს.

—ჩვენს სოფლებში ეგრე უსწორმასწორო კი არა, სულ რიგზე მიყოლებით არის სახლები, ქუჩები და ხეივნები, იქ ხალხი შვილივით უვლის ხეხილსა და ცხოველს, ახლა ომმა იქაც მიწასთან გაასწორა ბევრი რამ... და უბრალო გერმანელი ადამიანებიც ისევე ტირიან დაკარგულ ახლობლებს, როგორც თქვენ. აბა, როგორც მე დავრჩი უპატრონოდ, რამდენია ასეთი, იფიქრეთო... საკუთარ თავზე ლაპარაკისას უკვე ცრემლები ახრჩობდა მარიას, მერე ასე, სახეზე ცრემლჩამოდენილი იხსენებდა მშობლებს, ძმებსა და ახლობლებს. საიდუმლო ტონით, ჩემმა მეუღლემ არ გაიგოსო, ახლო მეზობლებს შეყვარებულის სახელსაც ეუბნებოდა და მასთან გატარებული ბედნიერი დღეების შთაბეჭდილებებს სინანულით უზიარებდა უბნელებს.

სოფელს მარიას მონაყოლის სჯეროდა, სჯეროდა მისი ერთი და იგივე მტკიცებისაც — ომს ხალხი, ერები კი არა, ერთი და ორი სისხლისმსმელი, უბოროტესი ადამიანი აჩენს და დადგება დრო, როცა გამარჯვებული და დამარცხებული ქვეყნები შერიგდებიან, წარსულის ამ სამარცხვინო ისტორიაზე დაფიქრდებიან და მეგობრულად იცხოვრებენო. ლოცვით, პირჯვრისწერით, ზეციისაკენ ხელების აპყრობით დაამთავრებდა თავის სათქმელს მარია, ღამე მშვიდობისა, ქალებოო, ქართულად ეტყოდა მეზობლებსა და გაემართებოდა სახლისაკენ, სადაც არავინ და არაფერი ეგულებოდა მშობლიური, ნაცნობი თუ ახლობელი. ცოტა ხანში, ასეთიც აღმოაჩინა უსამშობლო ქალმა — ეკლესიაში დაიწყო სიარული შაბათ-კვირას. კოპწიად გამოწყობილი მიეშურებოდა წმინდა გიორგის სახელობის ტაძრისაკენ, თითქოს ახლობლებთან შესახვედრად მიდისო. გზადმიმავალს ბავშვების გუნდიც მივდევდით. მთის ბილიკებზე გაჩერებული, სოფლისაკენ გაგვახედებდა მარია და გვეტყოდა — აი, ასეთია ჩემი სამშობლოც, ფერადი, ლამაზი, მთაგორიანი, მდიდარი... ეჰ, თქვენ იცით, რა არის სამშობლო? აი ეს, რასაც აქედან ხედავთ, სადაც დარბიხართ და თამა-შობთ, სადაც აი ის, გუმბათიანი ეკლესია მოჩანს... სამშობლო ისაა, რის მსგავსსაც სხვაგან ვერსად იპოვი... მერე დაფიქრებულებს თავზე ხელს გადაგვისვამდა და სინანულნარევი ხმით დასძენდა — მე ვეღარასოდეს ვნახავ სამშობლოს, აქ, ამ მთებში უნდა დავიმარხოო.

მერე, ეკლესიაში შესული მარია ორ სანთელს აანთებდა და ჩვენ იქვე გაჩერებულებს მისი გაფერმკრთალებული სახიდან ჩამონადენი ცრემლების ხილვისას ქალის ჩუმი ლოცვაც გვესმოდა ორ ენაზე.

მშვიდობა მიეცი საქართველოს...

წლები კვლავ ჩვენსა და მარიას დაუკითხავად გარბოდა. ჩვენი სოფლის სერებზე წამოზრდილ ტყეებში ათასჯერ დაიდეს და აიყარეს ბინა ბებიაჩემის ფანტაზიით მონაგონმა ჭინკებმა და ანგელოზებმა, ათასჯერ იყმუვლეს თოვლით გადათეთრებულ ტყეებში ნამდვილმა მგლებმა და ტურებმა, საქართველოს მიწამაც ომის ქარტეხილის შემდეგ ბევრი ჭინკის, მგლისა და ტურის შემოსევას გაუძლო, ყველაფერი გადაიტანა, მოშენდა, გამრავლდა და გამდიდრდა, აქ შემთხვევით მოხვედრილ ბევრ სხვა ეროვნების ადამიანსაც უპატრონა და მოუარა მარიასავით, უსამშობლობა არ აგრძნობინა და ქართული მიწა მშობლიურივით შეაყვარა, სამწუხაროდ, ერთ რამეს ვერ გადაურჩა მხოლოდ, ძმათა ღალატს და მტრობას. საკუთარ სახლში ატეხილ ომში დამარცხდა და თანამემამულე ქართველი ხიზნად ექცა.

...უშვილძიროდ დარჩენილ გერმანელ მარიას მოხუცებულობამ უწია. მეუღლე ადრევე გარდაეცვალა და იგი, მარტოდშთენილი, ერთგული დარაჯივით შერჩა ქმრის დანატოვარ სახლ-კარსა და ბაღ-ბოსტანს, ფუტკარივით ირჯებოდა ხანში შესულიც, ნაამაგარს, ბოსტნეულსა თუ ხილს ისევ მეზობლის გოგო-ბიჭებს უნაწილებდა. მეზობლები ცივ ნიავს არ აკარებდნენ, სახლში ეპატიჟებოდნენ და მარტოობას უმსუბუქებდნენ.

მერე... სასწაული მოხდა... მარიას კარის მეზობლის ბიჭი, მარიას ხელში გაზრდილი და დაჭაბუკებული, სამხედროში გაიწვიეს და გერმანიის ტერიტორიაზე მყოფ საბჭოთა ჯარების ნაწილში ამსახურეს თითქმის სამი წელი. ამ ხნის განმავლობაში ჭაბუკის მიერ მშობლებთან გამოგზავნილ წერილს მარია ისე ელოდებოდა, როგორც მონატრებული — მონაკითხს თავისიანებისგან. თვითონ ჯარისკაცი რომ ჩამოვიდა და იქაური ამბები და საჩუქრები ჩამოიტანა, სულ გადაირია მარია იგრძნო, სიგიჟემდე მონატრებოდა მშობლიური ქვეყანა და ერი. სოფელმაც იგრძნო მარიას გაუყუჩებელი ტკივილი და დაიწყო ძიება გამოსავალი გზისა. ზოგმა ჭირნახული გაყიდა, ზოგმა — უცვეთ-ნაცვეთი და მარიას ფული შეუგროვა სამშობლოში გასამგზავრებლად. საბუთების მოგროვება-შედგენაში მარიას მოსკოვში მცხოვრები თავისი გერი ქალიშვილი დაეხმარა და დადგა განშორების წუთიც — ტირილ-ღიმილით ემშვიდობებოდნენ მარია და სოფლელები ერთმანეთს — მისი წასვლა ენანებოდათ, თან უხაროდათ მისი სიხარული — იცოდნენ, რისთვისაც მიდიოდა მარია გერმანიაში, მშობლიური სოფლის მიწაში დასამარხად მიეშურებოდა აგრერიგად გახარებული და ტკივილგაყუჩებული.

მისმა შემხედვარე გოგო-ბიჭებმა პირველად ვიგრძენით, რა იყო სამშობლო და ძახილი სამშობლოდან თუ სამშობლოსი.

...მას მერე აღარ გვინახავს მარია, მისი სახე კი ბავშვობის უდარდელ ღამეებში სასიამოვნოდ მოსმენილი ზღაპარივით შერჩა მეხსიერებას, რომელმაც ბევრჯერ გამომიკვება სული ქალური რწმენის, გამძლეობის, მოთმინებისა და მიზანსწრაფვის ძალმოსილებით.

მგელიკა ჭინჭარაული

მგელიკა ჭინჭარაულს თანამემამულეთა უმრავლესობა თავისი სპორტული წარსულიდან გადმოყოლილი თიკუნით — „ტოპკა“, იცნობდა და დღესაც ასე მოიხსენიებს. გელა (იგივე მგელიკა, პაპის მოსახელე) ჭინჭარაული 1936 წლის 7 იანვარს დაიბადა ხევსურეთში, ბარისახოში. ის მრავალშვილიანი ოჯახის უფროსი შვილი იყო. 1951 წელს მთავრობის გადაწყვეტილებით ხევსურები შირაქის ველზე ჩამოასახლეს; თუმცა წლების შემდეგ მგელიკა ჭინჭარაული უკან ბრუნდება და ხევსურეთში რჩება. იგი მთის ტრადიციებზე აღიზარდა და ცხოვრების დიდი ნაწილიც იქ გაატარა ამაყი და ხშირად პირქუში მთების გარემოცვაში; თუ არ ჩავთვლით წლებს, როცა გისოსებს მიღმა იმყოფებოდა და მისი ლექსების დიდი ნაწილი სწორედ იქ დაიწერა. ის მეგობრობდა გურამ რჩეულიშვილთან, რომელთანაც ფიცვერცხლი აკავშირებდა.

მგელიკა ჭინჭარაული გარდაიცვალა 1998 წლის 18 მარტს.

მისი ლექსების მხოლოდ ერთი მცირე კრებულია გამოცემული. დღეს ორი ლექსით გავიხსენებთ მგელიკა ჭინჭარაულის შემოქმედებას.

მთაში

რქებს რომ გადიყრის მხრებზე ხარლაღი
და აღმოსავლეთს დაუწყებს ცქერას,
ცისპირს გატეხავს თეთრი ალმასი,
არ გატეხილა, იფიქრებს ჯერაც.
აგოგმანდება კლდის ქიმზე შურთხი,
სმენას მოგტაცებს იმისი სტვენა
და უკვდავებად იფეთქებს სულში
დაუვიწყარი მიჯნურის მზერა.
ბილიკს გაჰყვება ვაჟკაცი ჯიქურ,
ბევრჯერ ეხებში ღამის მთევარი,
ნადირთა რემას უმწყემსოდ მისულს
ტყვია დახვდება და სატევარი.
გაახმიანებთ ჭიუხთ თოფის ხმა,
მოწმე იქნება დილის სისხამი
და მონადირე საგზალს მოსინჯავს
ნანადირევის გვერდზე მიმჯდარი.
თითით გადითვლის რქებზე ნაჭდევებს
და გაოცება შეიპყრობს უცებ,
ყოველდღე ტყვიის მომლოდინენი
ოცდახუთ წელსაც ცოცხლობენ თურმე.

წერილზე მინაწერი

მე ვაჟას მთების ცრემლი ვარ
და აყეფება არაგვის,
მაშინ რად მინდა მარჯვენა
თუ ბოროტებას არა გვის.
თუ სიმართლისთვის მაჯაზე
შემოგასალმეს ბორკილი,
გაუძელ ტანჯვას, არ გახდე
ცრემლების მონა-მორჩილი,
გაუძელ, ჭირი, ვარამი
ერთ-ურთზე დაადუღაბე,
იბრძოლე, ვიდრე არ მიხვალ
შენ ნატრულ სასწაულემდე!

ემზარ ბუჩუკური

ემზარ ბუჩუკური წითელლწყაროს (დღევანდელი დედოფლისწყარო) რაიონის სოფელ არხილოსკალოში 1962 წლის 30 ივნისს დაიბადა. 1979 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1989 წელს კი — ხაბაროვსკის მხარის ქალაქ ამურის კომსომოლსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ 1990-1992 წლებში ინჟინრად მუშაობდა იორწყალმშენში. ლექსებს ყრმობიდანვე წერს, მაგრამ ასეთი ფართო საზოგადოების წინაშე პირველად წარდგება.

* * *

სიფრიფანა ჩაგიცვია კაბა,
მოშრიალე, ვით ფოთოლი ვაზის
და გიხდება ეგ ფეხები სადა,
როგორც დილას სინათლის სინაზე;
მოკრძალების გაგაყოლე თვალი,
ჩამიარე, როგორც ცელქმა სიომ,
ბაგეზე კი დაგთამაშებს ლალი,
ვით მდელოებს მარწყვი შეესიოს;
გაზაფხული ირგვლივ სურნელს ღვრის და
მზე ოქროებს უხვად გადმოისვრის,
მხოლოდ შენი თვალის მზერა მინდა,
მხოლოდ შენი და სხვა არავისი;
მოვიწყინე, სვე არსაით მოჩანს,
ჩანს წუხილში ჩავეფლობი მალე,
მოვა ღამე, მომცემს ფიქრის ხონჩას,
უძილობას ღვინოსავით დავლევ,
გავზავდები, როგორც წვეთი ზღვაში,
ცივ ღრუბლიდან მოყოლილი დელგმას.
იყოს ღამე, სჭექდეს, ქუხდეს მაშინ,
შენს ჩურჩულს კი გავიგონებ ყველგან.
საამურად იყვავილა შინდმა,
მთა „სალაღოს“ მიეპარა ნისლი,
მხოლოდ შენი ხმის მოსმენა მინდა,
მხოლოდ შენი და სხვა არავისი;
თუ შევძელი სონეტი ან ლექსი,
შენ მოგიძღვნი, არ დავაწერ სახელს,
გეტყვი, რომ ხარ ყოვლად უამესი;
სიყვარულის ვერ გავექეც მახეს.
შვენის ჯვარი ანანურის გუმბათს,
წავალ, მოვალ და დავანთებ სანთელს,
გული რომ გაქვს უბიწო და სუფთა,
ამ საგანძურს ვერავინ წამართმევს,
რომ ოცნება გადუშალო ციდა,
იქნებ შველის გამიხადოს ღირსი,
მხოლოდ შენი სიყვარული მბინდავს,
მხოლოდ შენი სიყვარული მინდა,
მხოლოდ შენი და სხვა არავისი!

ლანა მანველი

მზის ჩასვლა

ერთ მოქმედებიანი დრამა XIV სურათად

მოქმედი პირნი:
ქალი
კაცი, ქალის ქმარი
გოგონა – 7 წლის, ქალის შვილი
გოგონა – 12 წლის, ქალის და კაცის შვილი
ექთანი
ორი ახალგაზრდა ქალი, კაცის დები
კაცის დედა
კაცის მამა
სამი მოხუცი ქალი
სკოლის დირექტორი, კაცი
სკოლის ექიმი, კაცი
სანიტარი
რამდენიმე ქალი და კაცი (კაფეს კლიენტები)

I სურათი

ფარდა იხსნება. სცენა სანახევროდაა განათებული. მუსიკა დაბალ ხმაზე. ავანსცენაზე, მაყურებლისგან ზურგშექცევით ინვალიდის ეტლში, თეთრებში შემოსილი ქალი ზის. შემოდის ექთანი წამლებით და ჭიქით ხელში, ეტლს შემოატრიალებს, წამლებს ასმევს. წასვლას აპირებს, მაგრამ ქალი მაჯას უჭერს.

ქალი. (ჩურჩულით) აქ შეშლილს მეძახიან! ადრე სხვა სახელი მერქვა, ახლა, შეშლილი... (გადაიხარხარებს)

ექთანი. (გულგრილად) დამშვიდდი!

ქალი. (ექთნის ხელს ჩაეჭიდება და თავთან მიაქვს) აი, აქ სულ პეპლები დაფარფატებენ, ზოგჯერ მსუბუქად, ხანდახან კი, ისე მძაფრად მირტყამენ ბუსუსებიან, ჭრელა – ჭრელა ფრთებს, რომ მაგიჟებენ!.. სწორედ მაშინ მაგონდება ყველა ტკივილი!!!

ექთანი. ეცადე არ გაიხსენო...

ქალი. (თბილი ხმით) ყველანი აქ არიან, ჩემთან – ბებია, პაპა, მამა, (თანდათან ხმა უმკაცრდება) დედა! ძმა! ქმარი!.. კიდევ ერთი ახლობელი, მერე გამოჩნდა... ჰო, გამახსენდა – ნახევარი და, ჩვენზე უფროსი რამდენიმე წლით, დედაჩვენის პირველი, უიღბლო ქორწინებიდან! (ექთანს მხრებში ჩაეჭიდება) ო, როგორ მიჭირს მოფუთფუთე პეპლებთან ბრძოლა, საით გავიქცე?!

ექთანი. კარგზე იფიქრე, მხოლოდ ნათელზე...

ქალი. (თანაგრძნობით შეათვალიერებს ექთანს, იცინის) შენ ნუ იდარდებ. (ხელზე ეფერება) მოიცა, იქნებ შევძლო, ტკივილისგან გადამხმარ ტვინის უჯრედებს გამოვტაცო რაიმე კარგი...

(პროჟექტორი იასამნისფერ, ვარდისფერ ფერებად ანათებს ერთ – ერთ კუთხეს)

შეხედე! (აღფრთოვანებით) მგონი ის მე ვარ, პაწაწინა გოგო, შეხედე, ბებიის სახლში იპრანჭება დედის სამოსით. ეს ის დროა, მშობლის მიმართ უზომო სიყვარულით ჯერ კიდევ რომ გაძაგძაგებს. (ნაზად) მისი ხალათის სითბოთი გაძინებს ბებო. (შეშინებული) ღამეული კოშმარები გიტანჯავს პატარავ გამჭვირვალე სულს, დედას დაეძებ სიზმარეულში, ვიღაც ბოროტი, ცუდი განზრახვით დაბოდიალობს, ყვირილით ცდილობ გააფრთხილო დედა, ხმა არ ამოიღოს, ცრემლები გილბობს ჯერ კიდევ ბევრის უნახავ თვალებს. დედას გტაცებენ! სულით ხორცამდე გეგლიჯება სიზმარეულის შემზარავი კუპრივით ფარდა! (ყვირის) მე ახლა უკვე შეშლილი მქვია!..

ექთანი. ნუ ყვირი! ლამაზი დღეები გაიხსენე, კარგზე იფიქრე...

ქალი. კარგი დღეები... ლამაზი დღეები... (ხმა უთრთოლდება) ჩემი შვილები... (ექთანს ქალი ეტლით მიჰყავს) კარგი დღეები... ადრე სხვა სახელი მერქვა... შვილები (თავს აქეთ – იქით ატრიალებს, თითქოს შვილებს ეძებს, ექთანს მოეჭიდება ორივე ხელით) შვილები... შვილები... (ყვირის) სად არიან ჩემი შვილები? . .

(სცენა ბნელდება)

II სურათი

(სცენა ნათდება. კაფე, ისმის აღმოსავლური მელოდიები. ქალი კლიენტებს ემსახურება, მაგიდებთან მიდის და შეკვეთებს იღებს. კუთხეში მდგარ მაგიდასთან ზის კაცი, რომელიც ქალს თვალს არ აშორებს).

კაცი. ერთი წუთით თუ შეიძლება!

ქალი. (მის მაგიდას მიუახლოვდება) გისმენთ, რა გნებავთ?

კაცი. ერთი ჩაი, თუ შეიძლება და ორი ნაჭერი ბაქლავა.

ქალი. პორციაში, რომ ოთხი ნაჭერი შედის?

კაცი. (გაიღიმებს) კარგი, იყოს ოთხი ნაჭერი.

(ქალი შეკვეთას ამზადებს და მიაქვს, მაგიდასთან მიახლოებისას წაიბორძიკებს და სინი გადმოუტრიალდება, კაცს ტანისამოსი ესვრება, ქალი ხელსაწმენდებს აწვდის)

ქალი. (შეწუხებული სახით) მაპატიეთ, ჩემი ბრალია, მუშაობა ახალი დაწყებული მაქვს და ჯერ ვერ შევეჩვიე, ძალიან გთხოვთ უფროსებთან არ მიჩივლოთ, სამსახური ძალიან მჭირდება, ბავშვს უმამოდ ვზრდი.

კაცი. ნუ გეშინია, არ ვიჩივლებ. (ქალს სახეში ჩახედავს) შენი ქმარი სადაა?

ქალი. გარდაიცვალა.

კაცი. სად ცხოვრობთ შენ და ბავშვი?

ქალი. ნაქირავებში.

კაცი. ბავშვი ახლა სადაა?

ქალი. მეზობელს დავუტოვე.

კაცი. ხვალიდან სამსახურში აღარ მოხვიდე, მე დაგეხმარები.

ქალი. როგორ გეკადრებათ!

კაცი. ცუდი არაფერი მიფიქრია, თანახმა თუ იქნები ჩემს ქვეყანაში წაგიყვან ბავშვთან ერთად, ცოლად მოგიყვან...

III სურათი

(სცენა ნათდება. აღმოსავლური მუსიკა და ასევე, აღმოსავლურად მოწყობილი ოთახი. სცენის შუაში დგას ქალი. შემოდიან ახალგაზრდა ქალები, რომლებიც რიტმული მოძრაობებით მუსულმანურად მოსავენ მას და გადიან. შემოდიან დედამთილ – მამამთილი და სამი მოხუცი ქალი. ძირს დაგდებულ ბალიშებზე ფეხმორთხმით სხდებიან. ქალი მათთან მიდის და ყველას სათითაოდ ჯერ ხელზე ეამბორება, მერე შუბლთან მიაქვს მათი ხელი. ახალგაზრდა ქალებს სინებით შემოაქვთ ტკბილეული, ჩაის ჭიქები და ჩაიდანი. ერთ – ერთი მათგანი ჩაიდანს ქალს აჭერინებს, რომელიც ძირს, ხალიჩაზე უხერხულად ჯდება. შემოდის მისი გოგონა და გვერდით უჯდება. ქალი, ჩაის პატარა ჭიქებს პატარა და დიდი ჩაიდნებიდან ავსებს. ვიდრე ბოლოში გავა, დაცლილ ჭიქებს ისევ ულაგებენ, ისიც ავსებს და ავსებს. ბოლოს ჭურჭელი გააქვთ, ქალი შვილთან ერთად ქმრის გვერდით ჯდება, კაცი სასწრაფოდ იცვლის ადგილს)

კაცი. (თვალებს ზევით აღაპყრობს) ალაჰ, შემინდე!

ქალი. რატომ ადექი?

კაცი. (ჩუმად) მამაჩემის თანდასწრებით, შენი ჩემთან ჯდომა სირცხვილია.

დედამთილი. არა უშავს, თანდათან ისწავლის ჩვენს ადათ – წესებს.

(ქალი ბავშვს იხუტებს და ქალების მხარეს გადაჯდება. კაცი ძველ ადგილს უბრუნდება. სცენა ბნელდება)

IV სურათი

(სცენა ნათდება. ქალი, ორ ახალგაზრდა მუსულმან ქალთან ერთად საუზმეს ამზადებს. გოგონაც ეხმარება. შემოდიან ქმარი და დედამთილ-მამამთილი. ყველანი დაბალი მაგიდის ირვლივ სხდებიან უფროს-უმცროსობის მიხედვით. ქალი ისევ ჩაიდანთანაა. გარედან ისმის ხმა)

-ჰეი, სახლში ხართ?

(ახალგაზრდა მუსულმანი ქალები, სუფრიდან სასწრაფოდ აყენებენ ქალს, თავისი თეფშიანად და ოთახიდან გაჰყავთ. გოგონასაც უნდა დედას გაჰყვეს, მაგრამ ქალები ისევ ადგილზე სვამენ, სცენა სანახევროდ ბნელდება. ავანსცენაზე თეფშით ხელში შემოდის ქალი. თეფშს ძირს აგდებს, იქვე ჩაიმუხლებს და ღიღინს იწყებს)

ქალი. „ჟუ – ჟუ – ნა წვი – მა მო – ვი – და, დი – დი მინ – დო – რი და – ნა – მა, და – ნა – მა, და – ნა – მა, და – ნა – მა, დი – დი მინ – დო – რი და – ნა – მა, ვინც ჩვენ – ზე ცუ – დი რა – მე თქვას, გუ – ლი გა – უპოს და – ნა – მა... “

(უეცარი სიჩუმე. ქალი უცბად წამოხტება)

ქალი. შვილო! (ყვირის) დედიკო, სად ხარ?..

(გამოჩნდება დედამთილი)

დედამთილი. (პირზე თითს იფარებს) შშშ... ჩუმად, რა გაყვირებს, კაცები გაიგონებენ!

ქალი. ბავშვი სადაა? ჩემი ქმარი?

დედამთილი. ყველანი ჩანჩქერთან წავიდნენ, შენი გოგოც მათ გაჰყვა.

ქალი. მე რატომ არ მითხრეს?

დედამთილი. გეძინა და როგორ ეთქვათ? სადაცაა დაბრუნდებიან. საღამოს ლოცვის დროა.

(ისმის ხმები. შემოდის გოგონა, რომელსაც აცვია თეთრი სარაფანი, წითელი ლაქით, ერთი ხელი ჯიბეში აქვს ჩადებული)

ქალი. (ჩაიმუხლებს და ბავშვს ჩაიკრავს, უცბად ლაქას შენიშნავს, ნერვიულად) ეს რა არის? რა დაგემართა?

გოგონა. არაფერი, დე...

ქალი. (ხელს უსინჯავს) სად გაიჭერი?

გოგონა. (ჩაეკვრება) ვაშლის გაჭრა მინდოდა...

ქალი. (ბავშვი ჩახუტებული ჰყავს გულში, ისე დგება) მერე, ბაბას რატომ არ უთხარი, ხომ მოგხედავდა?

გოგონა. შემრცხვა დე...

(ვიდრე გავლენ, იქვე მდგომი დედამთილი მიაძახებთ)

დედამთილი. ბავშვია! ხან დაეცემა, ხან რამეს გაიჭრის, რა მოხდა? თითქოს ჩვენ არ დავზარდეთ შვილები!..

(სცენა ბნელდება)

V სურათი

(შემოდის ქალი, სარაფნით ხელში, მოყვება ახალგაზრდა მუსულმანი ქალი)

მუსულმანი ქალი. სარეცხი უნდა გარეცხო, რძალო?

ქალი. (სარაფანს აჩვენებს) წყაროზე ვრეცხე, დიდხანს იდინა წყალმა წითლად... (წყრომით) როგორ ვერ მიაქციეთ ყურადღება ბავშვს! ან რატომ წაიყვანეთ უჩემოდ?

მუსულმანი ქალი. ჩემს ძმას გამოჰყვა, შენ გეძინა.

ქალი. არ მეძინა, ჩემთვის ვიყავი ოთახში.

(მუსულმანი ქალი მიბრუნდება და დიდ ტაშტს შემოაგორებს, უკან მეორე მუსულმანი ქალი მოჰყვება, ხელში სარეცხის გროვით. ტაშტში წყალს ასხამენ, სარეცხს ერთ მხარეს დაახვავებენ და იქვე მდგომ, გაოცებულ ქალს უხმობენ. ქალი ჩაიმუხლებს, მუსულმანი ქალი სარაფანს ართმევს და ხელში შარვალს აჩეჩებს, ქალი უნებურად ართმევს და რეცხვას იწყებს)

მუსულმანი ქალი. რძალო! ჩემს თავსაბურავებს შენ მოგცემ, აღაბეიმ ახლები მიყიდოს.

ქალი. ბატონო? (თავისთვის ჩაილაპარაკებს) თ ა ვ ს ა ბ უ რ ა ვ ე ბ ი! (ჩაიცინებს) მე არც ძველები და არც ახლები არ მინდა!

მუსულმანი ქალი. (ქალს თავსაბურავს შეუსწორებს) სადაცაა, მეჩეთიდან კაცები ჩამოივლიან და სირცხვილია! რეცხვასაც ავუჩქაროთ, ხვალ სტამბოლში მიდიხართ!

(ქალები სარეცხს რეცხავენ. აზიური მუსიკა. სცენა ბნელდება).

VI სურათი

(სცენა ნათდება. სცენის შუაში სასტუმრო ოთახი. ავანსცენაზე მარჯვნივ სკოლის დირექტორის კაბინეტია, მარცხნივ ექიმის. ოთახის შუაგულში გახსნილი ჩემოდნები და ბარგი. ქალი რაღაცას ეძებს, ქმარი პერანგის ღილებს იკრავს, გოგონა დედასთან დგას შორიახლოს)

ქალი. ბავშვის დაბადების მოწმობას ვერ ვპოულობ, სად უნდა იყოს? ყოველთვის ხელჩანთაში მიდევს ხოლმე საბუთები, როდესაც ვმგზავრობ.

ქმარი. (მშვიდად) არა უშავს, ახალ დაბადების მოწმობას

ავიღებთ, ჩ ე მ ი გვარით!

ქალი. (ძებნას ანებებს თავს) გარდაცვლილი მამისგან მხოლოდ გვარი დარჩა, მხოლოდ გვარი...

კაცი. ჰმ... მაგის მამა ახლა მე ვარ! დროზე, გვიანდება!

(წინ კაცი მიდის, უკან მიჰყვება ქალი ბავშვით. გადიან. დირექტორის კაბინეტის კარზე მორიდებული კაკუნი.

დირექტორი. შემოდით!

(კარი გარედან იღება, ჯერ კაცი შემოდის, შემდეგ ქალი გოგონასთან ერთად. სხდებიან. ერთმანეთს ესალმებიან. დირექტორი კაცს ხელს ართმევს, ქალს და ბავშვს მოშორებით მდგომ სკამებზე მიუთითებს. კაცი მის ახლოს ჯდება.)

დირექტორი. კეთილი იყოს, გისმენ!

კაცი. ხოჯა, ახლა აგიხსნით მდგომარეობას. ბავშვმა პირველი კლასი საქართველოში დაამთავრა...

დირექტორი. (ბავშვს შეხედავს) შენი შვილია?

კაცი. (ქალზე ანიშნებს) არა, ჩემი ჰანუმის, ბავშვის მამა გარდაიცვალა.

დირექტორი. ალაჰმა აცხონოს!

კაცი. ამინ!

ქალი. (შეცბუნებით) გმადლობთ...

დირექტორი. გისმენთ, როგორც ვხვდები, ბავშვის ჩვენს სკოლაში მოყვანა გინდათ...

ქმარი. დიახ, აქვე ვცხოვრობთ და...

დირექტორი. საბუთები მაჩვენეთ, დაბადების მოწმობა.

ქალი. იცით, მოწმობა ვეღარ ვიპოვე, მაგრამ განმეორებითს გამოვაგზავნინებ საქართველოდან.

დირექტორი. (ქალს არც უსმენს და არც უყურებს. კაცს მიმართავს) საბუთები!

(ქალი უხერხულად იშმუშნება)

კაცი. სხვა კიდევ რა საბუთია საჭირო, მოწმობის ამბავს მოვაგვარებ.

დირექტორი. ჯანმრთელობის ცნობა. ექიმის კაბინეტი დერეფნის მეორე მხარესაა.

კაცი. (წამოდგება და დირექტორს ხელს ართმევს, ქალი და ბავშვიც მაშინვე დგებიან) დროებით, კარგად ბრძანდებოდეთ!

დირექტორი. მალე მოაგვარეთ მოწმობის საქმე, თორემ მერე, ადგილები აღარ იქნება.

(გადიან. სცენას უკანა მხრიდან შემოუვლიან. კაცი, ექიმის კაბინეტის კარს შემოხსნის)

კაცი. შეიძლება? ბატონმა დირექტორმა გამოგვგზავნა.

ექიმი. მობრძანდით!

(ყველანი შედიან, ისევ ისეთი განლაგებით ჯდებიან, როგორც დირექტორის კაბინეტში)

ექიმი. გოგონა უნდა გავსინჯო.

(ქალი ბავშვთან ერთად ექიმთან ახლოს მდებარე სკამზე ჯდება და მაიკის აწევას ცდილობს)

ექიმი. (კაცს მიმართავს) გოგონა თქვენ ჩაისვით, მამა ხართ ხომ?

კაცი. დიახ.

ქალი. მე დედა ვარ, ჩემი შვილია.

ექიმი. (კაცს) მობრძანდით!

(ქალი ბავშვს თვალს არ აცილებს)

ექიმი. (მხოლოდ კაცს მიმართავს) სამოსის აწევა საჭირო არაა. (გარედან სინჯავს, უსმენს გულისცემას, ფილტვებს, ცდილობს პირი გააღებინოს)

ქალი. დედიკო, პირი გაუღე.

ექიმი. (კაცს) რა ენაზე ლაპარაკობენ?

კაცი. ქართულად.

ექიმი. აა, გურჯისტან! ბევრი გურჯი შემოვიდა, რაც საზღვრები გაიხსნა. (ალმაცერად გადახედავს ქალს. ქალი თვალს უსწორებს. ისმის ქალის ნამღერის ჩანაწერი – „ვინც ჩვე – ნზე ცუ – დი რა – მე თქვას, გუ – ლი გა – უ – პოს და – ნა – მა, და – ნა – მა, და – ნა – მა, და – ნა – მა, დი – დი მინ – დო – რი და – ნა – მა...“ სცენა ბნელდება)

VII სურათი

(სცენა ნათდება. შემორბის გოგონა)

გოგონა. დედიკო, მეძახდი?

(ქალიც გამოჩნდება მუცელგამობერილი, ორსულადაა. ხელში წითელი სარაფანი უჭირავს)

ქალი. არ გეძახდი, განიშნებდი.

გოგონა. და რატომ არ დამიძახე, უფრო მალე არ ამოვიდოდი?

ქალი. არ მინდოდა კაცებს გაეგოთ ჩემი ხმა.

გოგონა. (გაოცებით) დედიკო? იმან აგიკრძალა?

ქალი. მამამ.

გოგონა. (ამოიოხრებს) ჰო, მამამ აგიკრძალა?

ქალი. არ ამიკრძალა. მითხრა.

გოგონა. ეზოდან დედას რომ გეძახი, ჩემი ამხანაგებიც იმეორებენ და მიხარია.

(ქალი თავზე ხელს უსვამს)

დე, (სევდიანად) თავზე სულ მოხვეული უნდა გქონდეს? (მუცელზე ფრთხილად ადებს ხელს) ჩემი და რომ გაიზრდება, მანაც უნდა მოიხვიოს?

ქალი. (ჩაიმუხლებს, გოგონას გულში იკრავს და ჩურჩულებს) შენ არა, შენ არა... ოდესმე აუცილებლად დაბრუნდები საქართველოში. შენი და... (მუცელზე იდებს ხელს) ნახე, რა გიყიდე.

(აცმევს, გოგონას უხარია, ტრიალებს. კარზე ზარი, ქალი მიდის გასაღებად. შემოდის კაცი, ხელში სავსე ცელოფნებით)

კაცი. გამომართვი, უნდა ვილოცო და სადგურში წავიდე, ხომ იცი, დედაჩემი და ჩემი და მოდიან სტუმრად. (ქალი ტვირთს ართმევს. კაცი, გოგონას სარაფანს შენიშნავს) ეს ახალია?

ქალი. არაფერი აღარ ჰქონდა...

კაცი. მასე ვერ გავა გარეთ, ზემოდან რამე მოიცვას ხოლმე.

ქალი. ჯერ ბავშვია...

(გოგონა აიწურება)

კაცი. რელიგიურად არაა სწორი.

ქალი. ჩვენ მუსულმანები არ ვართ!

კაცი. ამ ქვეყნად ყველა მუსულმანია!

(ყვირის და გადის. ქალი გოგონას იხუტებს და ისე გადიან)

VIII სურათი

(ქალი დაბალ მაგიდაზე შლის სუფრას. შემოაქვს თეფშები, ჭიქები, დანა – ჩანგალი და ქვაბებით საჭმელი, შვილიც ეხმარება. კაცი, დედას და დას შემოუძღვება)

კაცი. მოდი დედა, აქ დაჯექი. (დასაჯდომად ბალიშს უშზადებს, დაც იქვე ჯდება)

დედამთილი. (ქშენით ჯდება) ოჰ, როგორ დავიღალე! ფეხები მტკივა, რევმატიზმები მაწუხებს. ასპირინს ვსვამ დღეში სამჯერ. (რძალს გასძახებს) რძალო! წყალი მომიტანე, წამალი უნდა დავლიო!

(ქალს წყალი მოაქვს, თან გოგონაც მოჰყვება. კაცის დედა წამალს სვამს)

რა უგემური წყალია! ერთი ჩვენი წყაროს წყალი მომცა ახლა! ვნახოთ, ერთი რა გაამზადა შენმა ცოლმა! (ქვაბებს სახურავებს ხდის)

კაცი. (ჯერ დედას უღებს საჭმელს, მერე დას, გოგონას ეკითხება) შენ რა გინდა?

გოგონა. ჩორბა.

კაცი. (ცოლს გასძახებს) სალათას როდისღა მოიტან?

ქალის ხმა. ახლავე.

(უფროსები ჭამენ სწრაფად და ბევრს, უკვე მეორედ იღებენ ქვაბებიდან საჭმელს)

გოგონა. ცოტა დედასაც დაუტოვეთ.

დედამთილი. შენ ენა მოიმოკლე.

(გოგონა ტირილს იწყებს და სამზარეულოსკენ მიდის)

კაცი. დაჯექი!

(გოგონა არ უჯერებს, კაცი მის თეფშს იღებს და ესვრის, ზუსტად ამ დროს შემოდის ქალიც, გასროლილი თეფში მას ხვდება, ხელიდან სალათის თეფში უვარდება. ბავშვი მის უკან იმალება. კაცი ყვირილით დგება და ოთახიდან გადის.

დედამთილი. არ შეაჭამეთ კაცს საჭმელი, მთელი დღე შრომობს.

კაცის და. (ირონიული ღიმილით) რძალო! დაგიგვიანდა სალათის შემოტანა.

(სცენა ბნელდება)

IX სურათი

სცენა ნათდება. კაცის დედა დივანზე ფეხმორთმით ზის და არაბულ ლოცვებს კითხულობს. ქალი სახლს ალაგებს, მოზრდილი მუცლით უჭირს მოძრაობა.

დედამთილი. დღეს რა უნდა მოამზადო? მშივრები მოვლენ.

ქალი. ძალიან დავიღალე. თვალთ მიბნელდება.

დედამთილი. თქვენ რა გიშავთ, ახლანდელ ქალებს? ჩვენ დროს სათესში გვიწევდა მშობიარობა. გამოვკრავდით ერთი დღის ბავშვებს და მუშაობას ვაგრძელებდით!

ქალი. (მუცელზე იდებს ხელს) მგონი ტკივილები მეწყება.

დედამთილი. (არ უსმენს და თავისას აგრძელებს) ჩემი დედამთილი პურს და შაქარს გვიმალავდა, მშივრები დავდიოდით.

ქალი. (წამოიკივლებს) მიშველეთ! თქვენს შვილს დაურეკეთ! ბავშვს დაუძახეთ, ეზოშია! (სიმწრისგან ჩაიმუხლებს)

დედამთილი. არავინ არ გჭირდება, ხომ გითხარი, მე თვითონ ვაჩენდი ბავშვებს. ცხრა გავაჩინე, ცხრა!.. ერთი ვერ გაგიჩენია?

ქალი. მეორე.

დედამთილი. მე ჩვენსაზე ვამბობ. პირველი გიაურია.

ქალი. (ტკივილისგან იკრუნჩხება) ჩემთვის თქვენ ხართ გიაურები...

დედამთილი. ნუ სცოდავ!

ქალი. (ტირის) ღვთის გულისათვის, სასწრაფო გამოიძახეთ!

დედამთილი. ზედმეტი ფულის ხარჯვა საჭირო არაა, მე დაგეხმარები.

(ქალი კივის, სცენა სანახევროდ ბნელდება, კაცის დედა აქეთ – იქით დარბის, რაღაცეები შეაქვს და გამოაქვს, ქალის გახშირებული სუნთქვა და კივილი, ისმის ახალშობილის ტირილი. კაცის დედა ტელეფონთან მირბის)

დედამთილი. მისამართი ჩაიწერეთ, სისხლდენა აქვს, ახლახანს იმშობიარა... მოყვანა ვერ მოვასწარით!

(სცენა მთლიანად ბნელდება. სასწრაფო მანქანის სირენის ხმა. სიჩუმე).

X სურათი

(სცენა ნათდება. სამშობიაროს პალატა, ქალი წევს, გოგონაც იქვე უზის საწოლთან, დედას ხელზე ეფერება. კაცს ხელში ახალშობილი უჭირავს).

კაცი. (სახე ბავშვთან მიაქვს და სამჯერ უმეორებს) შენი სახელია აიშე, შენი სახელია აიშე, შენი სახელია აიშე.

(ისმის ახლად დაბადებული ბავშვის ტირილი. კაცს პატარა ცოლთან მიჰყავს და საწოლის თავთან დგება. ქალი შვილს გულში იხუტებს. იავნანის მელოდია. სცენა ბნელდება).

XI სურათი

(სცენა ნათდება. ინტერიერი. კაცი წინ და უკან ბოლთას სცემს. დედამისი ბალიშზე ზის ფეხმორთხმით).

დედამთილი. როდისღა, როდის?

კაცი. ველოდები.

დედამთილი. რად უნდა ამდენი ლოდინი, აგერ ბავშვიც გაჩნდა.

კაცი. ცოტაღა დარჩა!

დედამთილი. (გამოაჯავრებს) ცოტა! ის ხოჯა უნდა შეგერთო ან სხვა, ჩვენებური. ახლა ელოდე, როდის მიიღებს ჩვენს რწმენას. ქრისტიანის რძეს ჭამს შენი სისხლი და ხორცი!

კაცი. დაველოდები, ასი წელიც რომ დამჭირდეს დაველოდები!

დედამთილი. იქნებ ჩუმად ბავშვიც მოგინათლოს, შენ ელოდე, ელოდე! ღმერთო შენ დაგვიფარე!.. (ხელისგულებს შლის და მავედრებელი თვალებით მიაჩერდება ჭერს. ბავშვით ხელში შემოდის ქალი, თავზე მოსახვევით).

კაცი. (ბავშვს ართმევს) ბავშვს როცა აჭმევ, ეგ ჯვარი მოიხსენი.

ქალი. რატომ?

კაცი. არ მინდა გეკეთოს, როცა ჩემი შვილი გიჭირავს!

ქალი. (ხმა აუკანკალდება) შენი შვილი?

კაცი. დიახ, ჩემი შვილი! (ცბიერად) იქნებ არაა ჩემი შვილი?

ქალი. ბავშვი, უფრო მეტად დედას ეკუთვნის.

დედამთილი. (ისევ ხელებს აღაპყრობს ზემოთ) სად შეევპასუხებოდი ჩემს ჰაჯის, ალაჰმა დაგვიფაროს!..

კაცი. მიპასუხე! – იქნებ არაა ჩემი შვილი? (ქალს და ბავშვს უახლოვდება, ქალი ცდილობს თავი აარიდოს, კაცი გზას უღობავს) მოიხსენი ჯვარი!

ქალი. არ მოვიხსნი!

კაცი. მოიხსენი!..

(ქალი თავის დაღწევას ცდილობს, კაცი ბავშვს ხელიდან გამოგლეჯს და დედამისს აძლევს, ქალი ცდილობს ბავშვს მიწვდეს, კაცი გზას უღობავს)

ქალი. მომეცით, უნდა ვაჭამო!

კაცი. ჯვარი მოიხსენი!

ქალი. ბავშვი მომეცით!

(კაცი არ უშვებს, ქალი ვედრებით)

ჩემი შვილი მომეცით...

დედამთილი. არ უნდა შენი რძე, ჩემს შვილიშვილს!

(ხმაურზე გოგონა და კაცის და შემორბიან, გოგონას თავზე მოსახვევი აქვს მოხვეული).

ქალი. (ჯერ თავის მოსახვევს იხსნის, მერე გოგონას აძრობს თავიდან და ყვირის) ჩემი შვილები არიან, მე გავაჩინე, მე! თუ მინდა ორივეს მოვკლავ!..

(კაცი, ძლიერად ჰკრავს ხელს, ქალი წონასწორობას კარგავს და ძირს ვარდება)

დედამთილი. რას შვრები, გაგიჟდი?!

კაცის და. (ყვირის) ძმაო!..

(სცენა ბნელდება, ისმის სასწრაფოს და პოლიციის სირენების ხმა).

XII სურათი

(სცენა ნათდება. თეთრი პალატა. საწოლზე უმოძრაოდ ზის ქალი. ექთანს შემოჰყავს კაცი)

ექთანი. დიდი ხანია, რაც ასე ზის.

კაცი. (გაშლილ ხელისგულებს მაღლა აღაპყრობს) ალაჰმა უშველოს.

ექთანი. მე ახლოსვე ვიქნები, დიდხანს მაინც ნუ დარჩებით.

კაცი. გასაგებია, გმადლობთ.

(კაცი ქალს უახლოვდება, წინ უდგება და აკვირდება. ქალი ჯერ ვერ ამჩნევს, მერე უცბად ყელზე იტაცებს ხელს და გადაიხარხარებს)

ქალი. ჯვარს არ მოვიხსნი!

კაცი. ნუ მოიხსნი, გქონდეს... (თბილად) გახსოვს კაფეში, რომ გნახე პირველად, ყველაზე ლამაზი შენ იყავი, ლამაზი და სხვანაირად მშვენიერი... დაწყნარდი, გთხოვ...

ქალი. (იცინის) წყნარად ვარ, გიაურები წყნარად არიან ჩემო ბატონო! (ხარხარებს) ჩემო ბეი! (თავზე ხელს ისვამს) მაპატიოს ალაჰმა თავშიშველი, რომ დაგიხვდი. (ბალიშს პირს აძრობს და თავზე იხვევს) ნახე, მიხდება? (ხელი საკუთარ მკერდზე მოუხვდება, ერთხანს გაყუჩდება, მერე თითქოს რაღაც გაახსენდება, გაჟღერდება ნაწყვეტი იავნანის მელოდიიდან) ბ ა ვ შ ვ ი! ბ ა ვ შ ვ ე ბ ი!!! (კაცს მივარდება) სად არიან ჩემი შვილები! უკვე დამარხე? მზე ხომ ჯერ არ ჩასულა! (ყელში ხელებს წაუჭერს) სად დამარხე ჩემი შვილები? ისინი მე გავაჩინე, ჩემები იყვნენ!..

კაცი. (ცდილობს თავი გაინთავისუფლოს, ყვირის) ექთანო!..

ქალი. (არ უშვებს) გულთან ვატარე! მე გავაჩინე! საკუთარი რძით გამოვზარდე ორივე! შემდეგ? (უცბად ხელებს უშვებს კაცს, ექთანი და დამხმარე სანიტარი შემორბიან ნემსით ხელში, ქალი საკუთარ ხელებს აკვირდება, შემზარავი ხმით) ამ ხელებით მოვკალი ჩემი შვილები! (ისევ კაცისკენ გაიწევს) შენ მომაკვლევინე! (ექთანი და სანიტარი აკავებენ და დამამშვიდებელ ნემსს უკეთებენ, ქალს ხმა აუკანკალდება) ჩემი ბარტყები... ერთადერთები...

ექთანი. (კაცს მიმართავს) ახლა ჯობია წახვიდეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვები აჩვენეთ, დარწმუნდეს, რომ ცოცხლები არიან. შეგატყობინებთ.

(ყველანი გადიან. ვიდრე გაითიშება ქალი იავნანას ღიღინებს. სცენა ბნელდება).

XIII სურათი

(სცენა ნათდება. ზარი. კარს, თორმეტიოდე წლის თავსაფრიანი გოგონა აღებს. შემოდის კაცი)

გოგონა. მოხვედი ბაბა?

კაცი. (ფეხსაცმელს იქვე ზღურბლთან იხდის, თან შარვლის ტოტებს იკეცავს) ლოცვის დროა. აიშე, შენ ილოცე?

გოგონა. ჩემი ძმა დავაძინე ახლახანს, მეც შენთან ერთად ვილოცებ.

კაცი. ახლავე გამოვალ, სალოცავი ხალიჩები გაამზადე. შენი ახალი დედა სად არის?

გოგონა. მეზობელთან ჩავიდა, ყურანის ხოჯაა მოსული. საღამოს სტუმრები მოდიან მამა, ჩემი და უნდა გვესტუმროს ქმარ – შვილით.

კაცი. კარგი.

(კაცი გადის, გოგონა სალოცავ ხალიჩებს შლის. მუსიკის დასაწყისი. სცენის სიღრმეში ეკრანზე გამოჩნდება ქალის ძველი ფოტო, გოგონასთან ერთად, ხელში ჩვილით. მუსიკა გრძელდება).

XIV სურათი

(ავანსცენაზე ეტლით შემოდის უკვე გაჭაღარავებული ქალი. მუსიკის დასასრული)

ქალი. ისევ ეს წყეული პეპლები. თავს არ მანებებენ! იქ, საქართველოში სულ სხვანაირი პეპლები იყვნენ, ჩიტებიც სულ სხვანაირად ჭიკჭიკებდნენ... (თავზე იტაცებს ხელებს) ოჰ, ოჰ, როგორ აფარფატებენ ფრთებს!

მახსოვს, ბებიაჩემის ეზოში ვთამაშობდი. ბალახზე, გალავნის ძირში, ჩემი ბავშვობის დროინდელ ლეიბს ვაფენდი, ბზის ფოთლებს ვკრეფდი, ვიდრე „საჭმელი'' გამზადდებოდა, შვილებს ვაძინებდი. (დაფიქრდება) ჰო, დედაშვილობას ვთამაშობდი!

(შეშფოთებული) სად არიან ჩემი შვილები? მზეც უკვე ჩავიდა! (ყვირის) რა ხანია ჩავიდა! ყველანი დაიმარხნენ!.. მეც დავიმარხე! გიაურებს მზის ჩასვლის შემდეგაც მარხავენ!

(უცბად მშვიდდება) თუმცა, ბავშვობის მერეც იყო, რაღაც თბილი გრძნობა... მგონი, ერთს ვუყვარდი, ძალიან დიდი ხნის წინ, ძალიან ვუყვარდი... კეთილი იყო... სახელი? სახელი, აღარ მახსოვს... მერე, მან პატარა გოგონა დამიტოვა და წავიდა... მზის ჩასვლამდე წავიდა... (ვედრებით) როგორ მინდა მეც იქ წასვლა, როგორ მინდა!.. ჩუ!.. ვაი, პეპლები გაჩუმდნენ, აღარ აფართხალებენ საზარელ ფრთებს...

(სიმღერის დასაწყისი „ჟუჟუნა წვიმა“)

ეზოში ყვავილებიც იყო, ყველაზე ძალიან ცისფერი სუმბულები მიყვარდა. კიდევ, ქვის გალავანი, კიპარისი, კარალიოკის და ალუბლის ხეები. მსხალი, რომელიც გალავნის კუთხეში იდგა და გარეთ გახედვას მიშლიდა. თუთა, თუთით მოსვრილი თითები და ჩემი ოცნებები... ლაფში ამოსვრილი ოცნებები!.. (ნელ-ნელა აჰყვება სიმღერას) ვინც ჩვენ – ზე ცუ – დი რა – მე თქვას, გუ – ლი გა – უ – პოს და – ნა – მა, გუ – ლი გა – უ – პოს და – ნა – მა...

(სიმღერას შეწყვეტს და თავი უკან გადაუვარდება. სცენა ბნელდება. სიმღერა გრძელდება).

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

გთავაზობთ **ლიტერატურის მთარგმნელთა ასოციაციის (Literary Translators' Association)** წევრების მიერ შესრულებულ რამდენიმე თარგმანს.

ეს ასოციაცია უკვე შვიდი წელია არსებობს და ეწევა ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას, თარგმნის, ატარებს კონკურსებს... გამოცემული აქვს უკვე რამდენიმე წიგნი:

1. რუდაქი – „სიბერის ელეგია“, ყაზალები და რობაიები (2014)
2. ფირდოუსი – „ზურაბის თავგადასავალი“ („შაჰნამედან“) (2014)
3. ომარ ხაიამი – 404 რობაი 4 ენაზე (2014)
4. უილიამ შექსპირი – სონეტები (2014)
5. ჯალალ ედ-დინ რუმი – ყაზალები და რობაიები, მესნევი (2014)
6. ფრანჩესკო პეტრარკა – სონეტები (2014)
7. საადი – რჩეული პოეზია (2017)
8. პოეტური თარგმანის ანთოლოგია (2017)
9. შეყვარებულთა წიგნი (2018)
10. თურქული პოეზიის ანთოლოგია (2018)
11. რუსული პოეზიის ანთოლოგია (2019)
12. „წვიმის ელეგია“ (პოეტური კრებული) (2020)

გამოსაცემად მზადდება ბელორუსი პოეტის, იანკა კუპალას სონეტები და ზოგადად ბელორუსული პოეზია, ასევე თანამედროვე თურქი პოეტის – ათაოლ ბეჰრამოღლუს ლექსების კრებული.

ამჯერად გთავაზობთ ასოციაციის წევრების მიერ 2020 წელს შესრულებულ ნათარგმნს, რომელიც პირველად იბეჭდება:

ევგენია იანიშიჩი (1948-1988)

ბელორუსი პოეტი ქალი

მიხმე, ძვირფასო, ოღონდაც მიხმე
და დავიბანგოთ ჩუმ ლერწმიანში,
სიყვარული ზრდის სიცოცხლის იმ ხეს,
მარად რომ ყვავის ნაჩვევ შრიალში.
ფართო შარაზე ამ წუთისოფლის,
გულს არ დაატყო ოდნავაც ბზარი,
სიყვარულია საწყისი ყოვლის –
სამყაროს აღქმის, პირველი პწკარის.
და ბულბულებიც ტრფობით სერავენ
შორეთში საფრენ თვალუწვდენ ხრამებს,
სიყვარული ხომ ბადებს ყველაფერს,
რაც კი გტკივა და გიცრემლებს თვალებს.
მიხმე და მოვალ, მოვყვები აისს,
ჩემს განთიადებს შენი მზით ვკვებავ,
სიყვარულია აკვანი ნათლის,
უსიყვარულოდ სიცოცხლე კვდება.

თარგმნა მეგი მოლოდინმა

ლინა კოსტენკო

უკრაინელი პოეტი ქალი

„მიყვარხარ!“ – ჩემთვის თვალებით ითქვა,
სულში კი ენთო სევდის სანთელი...
ბროლივით წკრიალს ელოდა სიტყვა,
ის ართქმული კი დარჩა სათქმელი...
ვცხოვრობდი ასე – მალვით და კრძალვით,
დუმილიც მკლავდა – ყოვლის შთანმთქმელი...
მე ბევრი სიტყვა დავწერე კალმით,
ის ართქმული კი დარჩა სათქმელი...
ღამეც ღამეობს, დღენიც დღეობენ,
ვდევ ბედისწერის ბილიკს გათელილს...
ზოგჯერ სიტყვები ენამზეობენ,
ის ართქმული კი დარჩა სათქმელი...

თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა

ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲘᲠ ᲚᲣᲩᲣᲚᲘ (1934-1992)

უკრაინელი პოეტი

ჩვენ არყოფნიდან მყოფობამდე გზა განვლეთ რთული,
ორთა არსება ქვეყნიურ შუქს იტევს სრულებით.
ნუ შეგაშინებს ეს შეკითხვა მარადიული:
ათასწლის მერე შეხვდებიან ჩვენი სულები?..
მხოლოდ ღიმილი გქონდეს ნაზი, ისე ფარული,
თვით ზენაარსსაც, მის შემყურეს, ზარი დაეცეს,
რომ არა მხოლოდ ერთხორცია ეს სიყვარული,
რომ თვით სამყაროს სისრულესთან ვიყოფთ სარეცელს.

თარგმნა ია ხასაიამ

ᲐᲗᲐᲝᲚ ᲑᲔᲰᲠᲐᲛᲝᲦᲚᲣ (1942)

თურქი პოეტი

ოლეანდრა და გაზაფხული

ზაფხულის ღამე, ოლეანდრით სავსე სიოთი,
თავბრუს მახვევდა, მდუღარ სისხლში გრძნობებს აშლიდა.
ტკბილი შხამივით ჩემს ძარღვებში შემოდიოდი,
ვნებით რომ ვკრეფდი ოლეანდრებს შენი ბაგიდან.
ვარდისფერ თითებს – აბრეშუმებს, საყვარელ თვალებს –
ბავშვურ სიწრფელით განათებულს, ფართოდ გახელილს,
კვლავ ვკოცნი ვნებით, კვლავ ზაფხული ახელებს ალერსს,
შემომხედავ და ჩამიდგება სულში ნათელი.
ღამეც კი კვნესის ოლეანდრის სურნელით მთვრალი,
შენს ბავშვურ სახეს ვლანდავ შუქში იდუმალ მთვარის,
ვნების ხე ჩემში იზრდება და განიტოტება.
რადგან ვარდისფერ ოლეანდრის სინაზით მკოცნი,
ველარ დავრჩებით ცხელ ზაფხულში მშვიდნი და მორცხვნი,
გონებას გვირევს სიყვარულის ჰორიზონტები.

თარგმნა მაია მიქაიამ

ᲡᲔᲜᲣᲠ ᲡᲔᲖᲔᲠᲘ (1943)

თურქი პოეტი ქალი

დედაჩემი და ჩიტები

არ მიფიქრია, სურათი რომ გადამეღო დედაჩემისთვის,
არც მაშინ, როცა სევდად ჰქონდა ჩიტების ცქერა,
ანდა, მდუმარედ, როცა კატებს ეფერებოდა...
ჩვენ არ შემოგვრჩა სურათები აღარც ქოთნების,
აღარც ყვავილთა...
და დედაჩემიც ცხოვრებიდან ადრე წავიდა,
დამთავრდა ომი, იმ წელიწადს ძალზე აცივდა,
ათასცხრაასორმოცდაექვს – ორმოცდაშვიდში,
ესქიშეჰირში *...
ვიცოდი, ძმა რომ უსათუოდ მეყოლებოდა,

დედა კი, თვითონ კაფანდარა, იმას დარდობდა,
რომ ვახველებდი და ეგონა,
ვერ მივხვდებოდი, –
როცა ქათამი ერთიც არ გვყავდა,
ვეღარც ის ხორცი გვექნებოდა,
მე რომ ექიმმა დამინიშნა ყოველდღიურად...
ჩვენ ქალაქგარეთ ვცხოვრობდით მაშინ
და უხვად გვქონდა სიქათქათე თოვლიან გზების...
გარეთ ციოდა, როცა საცერი ხაფანგივით გამართეს სახლში...
გარეთ ციოდა და ფანჯრიდან ათოვდა საცერს...
ათოვდათ ჩიტებს, მშივრებსა და ძალიან გამხდრებს...
იმ ცივ ზამთარში ვიწვებოდი მე მათი ცოდვით,
ფრინველის ხორცით გვიმზადებდა დედა ცხელ წვნიანს,
— ნახეთ, ქათამი მოვუხარშე ჩემს გოგონასო,
იგი ჩვეული მზრუნველობით იტყოდა ხოლმე
და მე კი ალბათ, ვერაფრით ვერ გადავყლაპავდი,
იმ უმარილო, უცხიმო ლუკმებს,
რომ არა დედის დიდი თხოვნა და დაჟინება...
მერე კი დედა მთელი წელი კვებავდა ჩიტებს
და ვალს იხდიდა ცივ ზამთარში დახოცილების...
მე არც კი მითქვამს, რომ ხაფანგად ვნახე საცერი,
ვერც თვითონ მიხვდა და გაგრძელდა ისევ ოინი...
ძმაც დაიბადა იმ წელიწადს, ბედად ჩენილი....
და მე არც მაშინ არ მიფიქრია,
არ მიფიქრია, სურათი რომ გადამეღო დედაჩემისთვის...

თარგმნა ბადრი სულაძემ

***ესქიშეჰირი – ქალაქი თურქეთში**

ᲜᲝᲜᲐ ᲯᲘᲢᲡᲘ (1795-1821)

ინგლისელი პოეტი

სონეტი

როდესაც ვშიშობ, ადრეული სიკვდილი მოვა
მანამდე, სანამ დაალაგებს კალამი აზრებს,
სანამ სიტყვებით გაივსება წიგნების გროვა,
როგორც ბეღელი, მომწიფებულ მარცვლებით სავსე...
როდესაც ვხედავ, ცა ვარსკვლავთა კარნავალს მართავს,
და ამაღლებულ, რომანტიკულ ღრუბელთ ფორიაქს,
როდესაც ვხვდები, რომ ვერასდროს ჩავწვდები მათ არსს,
შემთხვევით, თუნდაც მისტიური ეიფორიით.
და როდესაც ვგრძნობ, რომ ამაქვეყნად მოსული სტუმრად,
ვეღარ ვიხილავ კიდევ ერთხელ, რასაც დღეს ვუმზერ,
რომ ვერ დავტკბები სიყვარულით ისე უჩუმრად,
ჯადოსნურ ძალით... მაშინ მდგარი სამყაროს ზღურბლზე
ვფიქრობ, რომ ყოფა უიმედო გზა-სავალია,
რომ დიდებაც და სიყვარულიც წარმავალია.

თარგმნა დარეჯან დანელიამ

ᲛᲐᲕᲯᲣᲓᲐ ᲭᲐᲥᲘᲛᲝᲕᲐ (1932-1993)

ტაჯიკი პოეტი ქალი

კავკასიონის მთებს

ამაყო მთებო, კავკასიონის
ჰგავხართ ბრწინვალე კრებულს მეფეთა..
თურმე ყოფილა არაიოლი,
რომ ხოტბა ლექსად შემომებედა..
დღემდე მდევს სითბო, რაც მომანიჭეთ,
ეს ჰგავდა შუქით სულის ავსებას...
უკვდავებისფერ ზურმუხტ ხალიჩებს
ფეხქვეშ მიგებდით ფიანდაზებად..
ვიხსენებ სოფლებს, საოცარ ხედებს,
წყაროს, ნაკადულს, ნისლის მანტიებს..
ვერ მოგეფერეთ, რაც ლექსით დღემდე,
მთებო, შემინდეთ და მაპატიეთ!

თარგმნა რონა ბუბუტეიშვილი

ᲮᲝᲠᲮᲔ ᲚᲣᲘᲡ ᲑᲝᲠᲮᲔᲡᲘ (1899-1986)

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ

ᲞᲐᲠᲐᲪᲔᲚᲡᲣᲡᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲘ

სარდაფის ორ ოთახში განლაგებულ ლაბორატორიაში პარაცელსუსი თავის ღმერთს – ანუ სულერთია, რომელ ღმერთს – ევედრებოდა, რომ მისთვის მოსწავლე გამოეგზავნა. ბინდდებოდა. ბუხრის ცეცხლის მკრთალი სინათლე ირგვლივ ჩრდილებს აფენდა. მავედრებელს ძალა არ შესწევდა, რომ ამდგარიყო და რკინის შანდალზე სანთელი აენთო. მალე პარაცელსუსს დაღლილობა ისე დაეუფლა, რომ თავისი ვედრებაც გადაავიწყდა. ღამეს უკვე მთლად წაშლილი ჰქონდა კოლბებისა და სინჯარების მოხაზულობა, როცა კარებზე კაკუნი გაისმა. ძილშეპარული მასპინძელი ადგა, მაღალ, ხვეულ კიბეს აუყვა და კარი გააღო. სახლში უცხო კაცი შემოვიდა. ისიც ძალზედ დაღლილად გამოიყურებოდა. პარაცელსუსმა მას სკამისკენ მიუთითა, სტუმარი დაჯდა და ლოდინი დაიწყო. ერთხანს ისინი ხმას არ იღებდნენ.

პირველად მასწავლებელმა დაძრა სიტყვა.

– „მე ვიცნობ, როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ წყობას სახისას, – სიამაყე არ დაჰკლებია ამ ფრაზას – მაგრამ შენი სახის შეცნობა მიჭირს. ვინ ხარ და რას ელი ჩემგან?“

– „ჩემი სახელი თქვენთვის არაფერს ნიშნავს, – უპასუხა მოსულმა – მე სამი დღე და ღამე გზას ვადექი... მინდა, შენი მოსწავლე ვიყო; აი, თან წამოვიღე, რაც კი რამ მებადა“.

მან აბგა მოიხსნა და მაგიდაზე გადმოცალა, მონეტები ოქროსი იყო და თანაც – ბევრი. მან ეს ქმედება მარჯვენა ხელით მოიმოქმედა. პარაცელსუსი განზე გადგა, რათა სანთელი აენთო, მაგიდასთან მობრუნებულმა კი დაინახა, რომ სტუმარს მარცხენა ხელში ვარდი ეჭირა. ამ ვარდმა მეცნიერი ააღელვა.

იგი მოხერხებულად დაჯდა, ხელის თითები გადააჯვარედინა და თქვა:

– „შენ იმედოვნებ, რომ მე შემიძლია შევქმნა ქვა, რომელსაც შეეძლება ოქროდ აქციოს ყველა ბუნებრივი ელემენტი და საამისოდ მთავაზობ ოქროს... მაგრამ მე ოქროს არ ვეძებ და თუ შენ ოქრო გაინტერესებს, ვერასოდეს გახდები ჩემი მოსწავლე!“

– „მე ოქრო არ მაინტერესებს, – უპასუხა მოსწავლემ – ეს მონეტები მხოლოდ და მხოლოდ დასტურია იმისა, რომ მზად ვარ სამუშაოდ. მე მინდა, რომ შენ მეცნიერება შემასწავლო. მე მინდა, შენთან ერთად გავიარო ქვისკენ მიმავალი გზა“.

პარაცელსუსმა ნელინელ ჩაილაპარაკა:

– „გზა თავად არის ქვა. ადგილი, საიდანაც მოდიხარ... ესეც ქვაა. შენ თუ არ გესმის ამ სიტყვების აზრი, ესე იგი ჯერ არაფერი გაგეგება. ყოველი გადადგმული ნაბიჯი არის მიზანი“.

სტუმარი მეცნიერს ერთგვარი უნდობლობითი უმზერდა. მან გარკვევით თქვა:

– „ასე რომ... მიზანი მაინც არსებობს“.

პარაცელსუსს გაეცინა.

– „ჩემი მაგინებელნი, რომელთა სიმრავლეს აშკარად ვგრძნობ, ამტკიცებენ, რომ მიზანი არ არსებობს და მატყუარას მიწოდებენ. მე ამის თაობაზე ჩემი მოსაზრებანი მაქვს, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ თავს ილუზიებით ვიტყუებ. ჩემთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ არსებობს გზა“.

ერთხანს სიჩუმე გამეფდა. ბოლოს ისევ სტუმარმა თქვა:

– „მე მზად ვარ, ეს გზა შენთან ერთად გავიარო და თუ საჭირო გახდა, ამას წლებიც შევწირო. ნება მომეცი, უდაბნო გადავლახო. ნება მომეცი, თუნდაც შორიდან დავინახო აღთქმული მიწა და დაე, არ მეღირსოს მასზედ ფეხის დადგმა. მაგრამ სანამ იქითკენ გავეშურებით, ერთი რამით მაინც დამარწმუნე შენს ოსტატობაში“.

– „როდის?“ – აფორიაქდა პარაცელსუსი.

– „დაუყოვნებლივ!“ – მოულოდნელი გაბედულებით მოითხოვა მოსწავლემ.

დასაწყისში ისინი ლათინურ ენაზე საუბრობდნენ, ახლა კი – გერმანულად.

ჭაბუკმა ვარდი მაღლა შემართა.

– „ამბობენ, რომ შენ, შენი მეცნიერების შემწეობით, შეგიძლია დაწვა ვარდი და შემდეგ ის ფერფლიდან აღადგინო. ნება მომეცი, ამ საოცრების მოწმე გავხდე... აი, ეს არის ჩემი თხოვნა და ამისთვის მთელ სიცოცხლეს შემოგწირავ.

– „შენ ზედმეტად მომენდე. – თქვა მასწავლებელმა – მე ნდობას არ ვსაჭიროებ, ჩემთვის რწმენაა მთავარი“.

მოსული თავისას არ იშლიდა.

– „არა, მე სულაც არ გენდობით და ამიტომაც მსურს,

თავად ვიხილო ვარდის გაუჩინარება და შემდეგ კვლავ მობრუნება სიცოცხლისკენ“.

პარაცელსუსმა ვარდი გამოართვა და ხელში აათამაშა:

– „შენ გჯერა ჩემი და ამბობ, რომ მე ვარდის განადგურება შემიძლია“.

– „მისი განადგურება ყველას შეუძლია“. – გამოეპასუხა მოსწავლე.

– „შენ ვერ გაიგე... ნუთუ გგონია, რომ შესაძლებელია არყოფნაში დაბრუნება?! ნუთუ გგონია, რომ ადამს სამოთხეში თუნდაც ერთი ყვავილის, თუნდაც ბალახის ერთი ღეროს განადგურება შეეძლო?!“

– „ჩვენ სამოთხეში არ ვართ. – დაჟინებით იმეორებდა ჭაბუკი – აქ, მთვარისქვეშეთში, ყველაფერი მოკვდავია“.

პარაცელსუსი ადგა.

– „მაშ, სად ვართ ახლა, თუ არა სამოთხეში?! ნუთუ შენ გგონია, რომ უზენაესს შეეძლო შეექმნა რაიმე, გარდა სამოთხისა?! გესმის, თუ არა, შენ ის, რომ ცოდვიანობა სწორედ იმის ვერშეცნობაა, რომ ჩვენ სამოთხეში ვიმყოფებით?!“

– „ვარდი შეიძლება დაიწვას“. – ჟინიანობდა მოსწავლე.

– „....ბუხარში კი ცეცხლი დარჩება“ – ჩაილაპარაკა პარაცელსუსმა.

– „სცადე, შეაგდე ეს ვარდი ბუხარში და თავად დარწმუნდები, რომ მას ცეცხლი შთანთქავს და დარჩენილი ფერფლი ნამდვილი იქნება“.

– „მე ვიმეორებ, რომ ვარდი უკვდავია და მხოლოდ მისი იერი იცვლება. ერთი ჩემი სიტყვა იქნება საკმარისი საიმისოდ, რომ შენ კვლავაც იხილო ვარდი“.

– „ერთი სიტყვა?! – დაეჭვდა მოსწავლე – შენი კოლბები და სინჯარები მტვრითაა დაფარული... როგორ შეძლებ, ვარდს სიცოცხლე დაუბრუნო?!“

პარაცელსუსმა მას სიბრალულით შეხედა.

– „კოლბები და სინჯარები მტვრითაა დაფარული... მე ჩემს ხანგრძლივ ცხოვრებაში ბევრი საშუალება მიცდია, ახლა კი მათ გარეშეც ვაღწევ მიზანს“.

– „მაშ, რა ხელსაწყოებს ხმარობ ახლა?“ – უეცარი მორჩილებით იკითხა სტუმარმა.

– „იმას, რასაც უზენაესი იყენებდა, როცა ქმნიდა ცას, მიწას და ამ უჩინარ სამოთხეს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და რომელიც იმ პირველი ცოდვისგანაა ჩვენი მზერისთვის გაუჩინარებული... მე ვგულისხმობ სიტყვას“.

მოსწავლე სრული გულგრილობით შეხვდა ამ განცხადებას:

– „მე შენ გთხოვ, ვარდის გაუჩინარება და მკვდრეთით აღდგომა მაჩვენო და სულერთია, რას გამოიყენებ საამისოდ – სინჯარას თუ სიტყვას“.

პარაცელსუსი ჩაფიქრდა, მცირა ხანში კი ეს წარმოთქვა:

– „მე რომ ეს საქციელი ჩავიდინო, შენ იტყვი, რომ ნანახი მხოლოდ და მხოლოდ მხედველობის მოტყუებაა. საოცრება ვერ მიგიყვანს შენ საძიებელ ჭეშმარიტებასთან, ამიტომ დავეხსნათ ამ ვარდს“.

ჭაბუკი კვლავაც უნდობლობით უმზერდა, ამიტომ მასწავლებელმა ხმამაღლა უთხრა:

– „მაინც ვინ მოგცა შენ უფლება, რომ შეხვიდე მასწავლებლის სახლში და საოცრება მოითხოვო? რით დაიმსახურე შენ ამგვარი წყალობა?“

სტუმარს მღელვარება დაეუფლა, ბოლოს ძლივს ამოღერღა:

– „მე ვგრძნობ ჩემს ახლანდელ არარაობას... და მაინც.... მომავალში ჩემი მრავალწლოვანი მორჩილების თავდებით გთხოვ, მაჩვენო ფერფლი და შემდეგ მისგან აღმდგარი ვარდი. მე სხვა არაფერი მინდა... საკუთარი თვალით ნანახი საოცრება შენი ოსტატობის დასტური იქნება...“.

ჭაბუკი სწრაფი მოძრაობით სწვდა პარაცელსუსის მიერ პიუპიტრზე დადებულ ვარდს და ბუხარში შეაგდო.

ყვავილი დადნა და დარჩა ფერფლის პატარა გროვა.

ჭაბუკი ერთხანს სიტყვას და საოცრებას ელოდა.

პარაცელსუსი წარბშეუხრელად იდგა და ბოლოს მოულოდნელი პირდაპირობით თქვა:

– „ბაზელის ყველა ექიმი და აფთიაქარი მე შარლატანს მიწოდებს. როგორც ჩანს, ისინი არ ტყუიან. აი, ფერფლი, რომელიც იყო ვარდი და აღარასოდეს დაიბრუნებს პირვანდელ სახეს“.

ჭაბუკს შერცხვა. პარაცელსუსი ან მატყუარა იყო, ან უბრალოდ – ფანტაზიორი, იგი კი შემოიჭრა მასთან და მოითხოვა, რომ მას მთელი თავისი ჯადოქრული მეცნიერების უძლურება ეღიარებინა.

ჭაბუკმა მუხლი მოიდრიკა და თქვა:

– „მე დანაშაული ჩავიდინე, საკმარისი რწმენა არ აღმომაჩნდა, რის გარეშეც უფლის სიდიადეს ვერ შეიცნობ. დაე, ჩემმა თვალებმა ახლა ფერფლს უმზირონ, მე კი დავბრუნდები მაშინ, როცა სულიერ სიძლიერეს ვპოვებ... მაშინ გავხდები შენი მოსწავლე და გზის ბოლოს ვიხილავ ვარდს“.

მის ხმაში გრძნობათა არანაირი სიყალბე არ შეიმჩნეოდა და უფრო თანაგრძნობა ალაპარაკებდა მოხუცი მასწავლებლისადმი... ასე ღირსეულისადმი, ასე ტანჯულისადმი, ასე უჩვეულოსადმი და ამიტომაც ასე არარაობისადმი. როგორ ბედავს იგი, იოჰან გრიზებახი, თავისი უღირსი ხელით ჩამოჰხადოს პარაცელსუსს ის ნიღაბი, რომელიც ფარავს სიცარიელეს?!

დატოვებული ოქროს მონეტები მათხოვრისადმი გაღებული წყალობა იქნებოდა, ამიტომ წასვლისას სტუმარმა წაიღო ისინი, პარაცელსუსმა იგი კიბეებამდე მიაცილა და უთხრა, რომ მის სახლში იგი მუდამ სასურველი სტუმარი იქნებოდა. ორივე შესანიშნავად გრძნობდა იმას, რომ ერთმანეთის ნახვა აღარ ეწერათ.

პარაცელსუსი მარტო დარჩა.

სანამ სანთელს ჩააქრობდა და სავარძელში მოხერხებულად ჩაეშვებოდა, მან მიმობნეული ფერფლი ერთად შეაგროვა, წარმოთქვა სიტყვა...

...და ვარდი აღდგა!

თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა

*** პარაცელსუსი (Paracelsus) – ნამდვილი სახელი ფილიპ აურეოლ თეოფრასტ ბომბასტ ფონ ჰოგენგემი (1493-1541). აღორძინების ეპოქის შვეიცარიელი ექიმი, ნატურფილოსოფოსი, და ალქიმიკოსი. მან პირველმა სცადა ქიმიური პრეპარატების დანერგვა მედიცინაში.**

ᲐᲠᲗᲣᲠ ᲚᲚᲐᲠᲘᲘ (1917-2008)

ინგლისელი მწერალი

ღმერთის ცხრა მილიარდი სახელი

– უჩვეულო შეკვეთაა. – დოქტორი ვაგნერი ცდილობდა ელაპარკა მაქსიმალური სიდარბაისლით. – რამდენადაც ვხვდები, ჩვენ პირველი საწარმო ვართ, რომელსაც ტიბეტის მონასტრიდან მოუვიდა თხოვნა, რომ იქ ავტომატური გამომთვლელი მანქანა დაგვემონტაჟებინა. მეტისმეტ ცნობისმოყვარეობაში ნუ ჩამითვლით, მაგრამ ძალზედ ძნელი წარმოსადგენია, თუ რად უნდა თქვენს... ე.... ე.... დაწესებულებას ასეთი მანქანა. არ შეგიძლიათ განგვიმარტოთ, თუ რის გაკეთება გსურთ მისი მეშვეობით?

– სიამოვნებით, – უპასუხა ლამამ, რომელიც აბრეშუმის მოსასხამის ნაკეცებს ისწორებდა და თან ჯიბეში ლოგარითმულ სახაზავს იღებდა, რის საშუალებითაც ფინანსურ გამოთვლებს აწარმოებდა. – თქვენი ელექტრონული მანქანა, „მოდელი ხუთი“, ასრულებს ნებისმიერ მათემატიკურ ოპერაციას, ათნიშნა რიცხვებითაც კი. ჩვენი ამოცანის გადასაწყვეტად კი საჭიროა არა რიცხვები, არამედ ასოები... ასე რომ გადააკეთეთ გამომავალი რგოლები, როგორც ჩვენ გთხოვთ, და მანქანა დაბეჭდავს სიტყვებს და არა ასოებს.

– მაინც ვერ გავიგე...

– საქმე ეხება პრობლემას, რომლის გადასაჭრელად ჩვენ ვშრომობთ, აგერ, უკვე სამი საუკუნეა, ანუ ჩვენი მონასტრის დაარსების დღიდან. თქვენი აზროვნების სტილის მქონე ადამიანისათვის ამის გაგება ძნელია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მიუკერძოებლად მიუდგებით ჩვენს საკითხს და ბოლომდე მომისმენთ.

– რა თქმა უნდა.

– არსებითად ეს უბრალო საკითხია. ჩვენ ვადგენთ სიას, რომელშიც ეწერება ღმერთის ყველა შესაძლებელი სახელი.

– მაპატიეთ...

– ჩვენ გაგვაჩნია იმის საფუძველი ვფიქრობდეთ, რომ... – განაგრძო ლამამ აუღელვებლად, – რომ ყველა ეს სახელი შეიძლება ჩაიწეროს მხოლოდ იმ ცხრა ასოს გამოყენებით, რომლებიც ჩვენს მიერ გამოგონილ ანბანშია თავმოყრილი.

– ...და სამასია წელია, ამით ხართ დაკავებულნი?

– დიახ. ჩვენი გამოთვლების თანახმად, ამ საკითხის გადასაჭრელად დაახლოებით თხუთმეტი ათასი წელია საჭირო.

– ოჰო! – დოქტორი ვაგნერი აშკარად გაოცდა. – ახლა მესმის, თუ რისთვის გჭირდებათ გამომთვლელი მანქანა. მაგრამ თავად არსი რა არის ამ თქვენი წამოწყებისა?!

ლამა წამიერად აიმღვრა. „შეურაცხოყოფა ხომ არ მივაყენე?“ – საკუთარ თავს ჰკითხა ვაგნერმა. ასეა თუ ისე, სტუმარი კვლავ რომ ალაპარაკდა, მის ხმაში რაიმე უკმაყოფილებას ვერავინ შენიშნავდა.

– გნებავთ, რიტუალი უწოდეთ ამას, მაგრამ საქმე ეხება ჩვენი აღმსარებლობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. ჩვენს მიერ ხმარებული სახელები უზენაესი არსებისა – იაჰვე, ალაჰი და ასე შემდეგ – მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის მიერ შეთხზული იარლიყებია, რაც საკმაოდ რთულ ფილოსოფიურ პრობლემას წარმოშობს... არ ღირს

ახლა ამ პრობლემის შესახებ მსჯელობა, მაგრამ ასოთა ყველა შესაძლებელ კომბინაციას შორის, ასე ვთქვათ, არის ნამდვილი სახელები ღმერთისა... აი, სწორედ მათი პოვნა გვსურს ასოთა სისტემატური გადანაცვლების საშუალებით.

– მესმის. თქვენი ასეთი კომბინაციით დაიწყეთ – ااااااا... და შეადგენთ კომბინაციებს მანამ, სანამ არ ჩახვალთ ههههههه-მდე.

– ზუსტად ასეა. ოღონდ განსხვავება იმაშია, რომ ჩვენ ვსარგებლობთ ანბანით, რომელიც თავად შევქმენით. საწერ მოწყობილობაში ლიტერების შეცვლა, რა თქმა უნდა, ადვილი საქმეა. ბევრად უფრო რთულია იმ სქემის შექმნა, რომელსაც შეეძლება ძირშივე უაზრო კომბინაციების გამორიცხვა. ასე მაგალითად, არცერთი ასო არ უნდა მეორდებოდეს ერთმანეთის გვერდით სამჯერ.

– სამჯერ? თქვენ, ალბათ, უნდა გეთქვათ ორჯერ.

– არა, ზუსტად სამი. ვშიშობ, განმარტება ყოველივე ამისა დიდ დროს წაიღებს, ჩვენი ენაც რომ იცოდეთ.

– ეჭვი არ მეპარება, – სწრაფად დასთანხმა ვაგნერი. – განაგრძეთ.

– საბედნიეროდ, თქვენი ავტომატური გამომთვლელი მანქანა ადვილად მიესადაგება ჩვენს ამოცანას. საჭიროა მხოლოდ სწორი პროგრამის შექმნა, მანქანა კი თავად შეამოწმებს ყველა ასოთშეთანხმებას და ამობეჭდავს შედეგს, ანუ ას დღეში გაკეთდება საქმე, რასაც ჩვენ თხუთმეტი ათას წელიწადს მოვანდომებთ.

სადღაც შორს და ქვემოთ მანჰეტენის ქუჩები იყო განფენილი, მაგრამ ვაგნერის ყურთასმენას საქალაქო ტრანსპორტის ყრუ გუგუნი აღარ სწვდებოდა. იგი გონებით გადასახლდა სხვა სამყაროში, ნამდვილი მწვერვალების სამყაროში და არა ისეთში, სადაც ადამიანის ხელითაა აჩონჩხილი ცამდე აწვდილი ნაგებობები. იქ, ღრუბლებს ზემოთ გადაშლილ სივრცეში, ეს ბუდისტი ბერები თაობიდან თაობამდე შრომობენ, რათა შექმნან უაზრო ასოთშეთანხმებათა ცხრილები... ნუთუ გააჩნია საზღვარი ადამიანურ უგნურებას?! მაგრამ არ შეიძლება ამ ფიქრების გამომჟღავნება – კლიენტი მუდამ მართალია!

– უეჭველად, – თქვა დოქტორმა, – ჩვენ შეგვიძლია „მეხუთე მოდელის“ ისე გადაკეთება, რომ ის თქვენთვის საჭირო ცხრილებს ბეჭდავდეს. მე სხვა რამ მაღელვებს –

მანქანის მონტაჟი და მოხმარება. ჩვენს დროში ტიბეტში მოხვედრა არცთუ ისე ადვილია.

– ჩვენი იმედი იქონიეთ. მანქანის ნაწილები არც ისე დიდია, მათი გადატანა თვითმფრინავითაც შეიძლება. თქვენ ეს ყველაფერი ინდოეთამდე ჩამოიტანეთ, დანარჩენს კი ჩვენ მივხედავთ.

– თქვენ ჩვენი ფირმის ორი ინჟინრის დაქირავებაც გინდათ?

– დიახ, სამი თვით, სანამ პროგრამა არ დასრულდება.

– დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ ისინი გაუძლებენ ამას. – დოქტორმა ვაგნერმა რაღაც ჩაიწერს ბლოკნოტში. – დაგვრჩა კიდევ ორის საკითხის გარკვევა...

ვიდრე დოქტორი ფრაზას დაასრულებდა, ლამამ ქაღალდის ვიწრო ზოლი გაუწოდა მას: – აი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ჩემი ანგარიშის ოდენობას აზიის ბანკში.

– გმადლობთ. თითქოს... არა, ყველაფერი რიგზეა. მეორე საკითხი კი იმდენად ელემენტარულია, რომ არც კი ვიცი, როგორ გითხრათ. მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხშირად ავიწყდებათ ადამიანებს ყველაზე ელემენტარული საკითხები. მაშ ასე – ელექტროენერგიის როგორი წყარო გაგაჩნიათ?

– ორმოცდაათკილოვატიანი დიზელგენერატორი, ძაბვა – 110 ვოლტი. ის ხუთი წლის წინ დავდგით და საკმაოდ საიმედოდ მუშაობს. მისი წყალობით ჩვენი ცხოვრება მონასტერში ბევრად უფრო საამო გახდა. საერთოდ კი ეს გენერატორი იმისათვის დადგეს, რომ ენერგიით მოამარაგოს ძრავები, რომლებიც სამლოცველოს ბორბლებს ატრიალებენ.

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა დოქტორი ვაგნერი – მე ეს კარგად მესმის.

* * *

აივნიდან თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა, მაგრამ ადამიანის თვალი დროთა განმავლობაში ყველაფერს ეჩვევა. შვიდასმეტრიანი უფსკრული, რომლის ფსკერზე ღობეებით შემოფარგლული ნაკვეთები ჭადრაკის უჯრედებივით მოჩანდა, უკვე აღარ იყო შთამბეჭდავი ჯორჯ ჰენლისთვის. გლუვი ქვების პარაპეტზე იდაყვებით დაყრდნობილი ჯორჯი პირქუშად გასცქეროდა შორეულ მთებს, რომელთა სახელების შეტყობა ერთხელაც არ უცდია.

„ამას ჰქვია მახეში გაბმა! – უთხრა საკუთარ თავს ჯორჯმა. – ამაზე დიდი სისულელე არავის მოუგონია!“

რამდენიმე კვირის განმავლობაში „მეხუთე მოდელი“ აბდაუბდებით აჭრელებული ქაღალდების ზვინებს ბეჭდავდა. მანქანა დიდი მოთმინებით ახდენდა ასოთა გადასმას, შემდეგ ამოწმებდა ყველა ვარიანტს და ასოთა ერთი ჯგუფის ამოწურვის შემდეგ მეორეზე გადადიოდა. მანქანის მუშაობის პარალელურად ბერებიც თავდაუზოგავად შრომობდნენ და ამობეჭდილ ქაღალდებს დიდ წიგნებად კინძავდნენ.

მადლობა ღმერთს, ერთი კვირაც და ყველაფერი დასრულდება. ჯორჯმა არ იცოდა, თუ რა გამოთვლებმა დაარწმუნეს ბერები, რომ არ არის საჭირო ათი, ოცი, ასასოიანი კომბინაციების ძიება. ამის გარეშეც საშინელი ღამეული ზმანებები აწუხებდნენ მას, თითქოს ბერებმა გეგმაში ცვლილებები შეიტანეს და უმაღლესმა ლამამ განაცხადა, რომ პროგრამა 2060 წლამდე გრძელდება... რატომაც არა! ამ ბერებს სულ ადვილად შეუძლიათ აზრის შეცვლა.

ხის დიდი კარი ხმაურით გაიღო და ჯორჯის გვერდით უმალ აღმოჩნდა ჩაკი. ჩვეულებისამებრ, იგი თავის ერთ-ერთ სიგარას აბოლებდა, რის წყალობითაც მან ბერების კეთილგანწყობა დაიმსახურა. ლამები ნამდვილად არ იყვნენ იმის წინააღმდეგნი, რომ ცხოვრების ყველა, დიდი თუ პატარა სიამე, თავადაც განეცადათ. შესაძლოა, უაზრო იდეებით არიან შეპყრობილნი, მაგრამ პურიტანებს ნამდვილად ვერ უწოდებ. ისინი ხშირ-ხშირად ქვემოთ, სოფელშიც კი დაიარებოდნენ...

– მისმინე, ჯორჯ, – აღელვებული ხმით დაიწყო ჩაკმა. – ცუდი ამბებია.

– რა მოხდა? მანქანა გაჭირვეულდა?

ამაზე ცუდი ამბის წარმოდგენა ჯორჯს არ შეეძლო. მანქანა მწყობრიდან რომ გამოსულიყო, – ჰოი, საშინელებავ! – ეს მათი გამგზავრების დროს უფრო შორს გადასწევდა. ახლა ჯორჯისთვის ტელერეკლამაც კი ციური მანანად ჩანდა, რადგან რაღაც ახლობელი მაინც იყო მასში...

– არა, მანქანა არაფერ შუაშია. – ჩაკი პარაპეტზე ჩამოჯდა და ეს მის მხრივ უცნაური საქციელი გახლდათ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქარაფები შიშის ზარს სცემდა მას.

– მე ახლა გავიგე, თუ რატომ წამოიწყეს მათ ეს საქმე.

– არ მესმის?! ეს ჩვენც ხომ კარგად ვიცით...

– ჩვენ ვიცით, თუ რა ამოცანა დაისახეს ბერებმა, მაგრამ არ ვიცით მისი მიზანი.... ეს რაღაც სიგიჟეა!

– მერედა ეს ახლა გაიგე?! – ამოიკვნესა ჯორჯმა.

– მცირე ხნის წინ მათმა უხუცესმა ლამამ ჩემთან გულწრფელი საუბრის გამართვა ისურვა. შენ ხომ იცი, როგორ უყვარს მას ყოველ საღამოს იმის ცქერა, თუ რამდენ ქაღალდს ახვავებს მანქანა. ჰოდა, დღეს რომ მოვიდა, აშკარად აღელვებული იყო, თუ საერთოდ შეიძლება მისი აღელვების დანახვა. როცა მე აკუხსენი მას, რომ უკანასკნელი ციკლის მომზადება მიმდინარეობს, მან თავისი დამტვრეული ინგლისურით მკითხა, დავფიქრებულვარ თუ არა მე ოდესმე იმის შესახებ, თუ საერთოდ რა მიზანი აქვთ დასახული მათ და შემდეგ იცი, რა მითხრა?!

– თქვი, მეც გავუძლებ როგორმე.

– მისმინე, ჯორჯ: მათ სჯერათ, რომ როცა ხელთ ექნებათ ღმერთის ყველა სახელი, რომლის რიცხვი, მათი გამოთვლებით, ცხრა მილიარდს უახლოვდება, ასრულდება მათი ღვთიური განჩინება, ანუ ადამიანთა მოდგმა აღასრულებს იმას, რისთვისაც შეიქმნა ის და დასვამს საბოლოო წერტილს. ეს ყველაფერი მე მკრეხელობად მიმაჩნია.

– ჩვენგან რაღას ელიან? ჩვენც ხომ არ უნდა დავასრულოთ სიცოცხლე თვითმკვლელობით?!

– ამის საჭიროება არ იქნება. როგორც კი სია დასრულდება, ღმერთი თავად გამოგვეცხადება და ყველაფერს მოსპობს... მორჩა და გათავდა!

– გავიგე. ესე იგი, როგორც კი ჩვენს საქმეს დავასრულებთ, დადგება ქვეყნის აღსასრული?!

ჩაკმა ნერვიულად ჩაიღიმა.

მათს უხუცესს მეც იგივე ვუთხარი. და იცი, რა მოხდა? მან ისეთი თვალით შემომხედა, თითქოს ყველაზე უგნურ არსებას უმზერსო – „რა სისულელები გიტრიალებსო

თავში“.

ჯორჯი ჩაფიქრდა.

– ვერაფერს იტყვი, მოვლენათა საკმაოდ ფართო ხედვაა, – აღმოხდა მას ბოლოსდაბოლოს. – ჩვენ რა შეგვიძლია მოვიმოქმედოთ? შენი აღმოჩენა არაფერს ცვლის. ჩვენ ამის გარეშეც მშვენივრად ვიცოდით, რომ ისინი გადარეულები არიან.

– სწორია, მაგრამ ნუთუ არ გესმის, რით შეიძლება დამთავრდეს ეს ყველაფერი? ჩვენ დავასრულებთ პროგრამას, განკითხვის დღე კი არ დადგება და მათ ისღა დარჩებათ, რომ ჩვენ დაგვადანაშაულონ. მანქანა ხომ ჩვენია! არა, არ მომწონს მე ეს ყველაფერი.

– გვიგე, – წყნარად თქვა ჯორჯმა. – მგონი, შენ მართალი ხარ. მაგრამ არც ეს არის ახალი ამბავი, ასეთი რამ ადრეც მომხდარა. მახსოვს, ბავშვობაში ჩვენთან ლუიზიანაში ერთი ჭკუაშერყეული მქადაგებელი გამოჩნდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მომავალ კვირას ქვეყნის აღსასრული დადგება. ასობით ადამიანმა დაუჯერა მას, ზოგმა სახლ-კარიც კი გაყიდა, მაგრამ როცა არაფერი მოხდა, აღშფოთება არავის გამოუთქვამს. უბრალოდ თქვეს, რომ ის მქადაგებელი შეცდა თავის გამოთვლებში და კვლავაც თავდაჯერებულ ღვთისმოსავებად დარჩნენ. არ გამიკვირდება, ზოგი მათგან თუ დღემდე ელის ქვეყნის აღსასრულს.

– შეგახსენებ, ჩემო ბატონო, რომ ჩვენ ლუიზიანაში არ ვართ; რომ ჩვენ ორნი ვართ, ეს ლამები კი ასობით. მართალია, მშვიდი ხალხია და ეს მოხუციც მებრალება, რადგან მისი ცხოვრების მთავარი მიზანი არ გამართლდება, მაგრამ მე მაინც ვარჩევდი, რომ მათგან მოშორებით ვიყო.

– ამაზე მეც, დიდი ხანია, ვოცნებობ. მაგრამ ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ, სანამ კონტრაქტი არ დასრულდება და ჩვენს წასაყვანად არ ჩამოფრინდებიან.

– რაღაც რომ გვეშმაკა.

– რას ამბობ?! – უარესი იქნება.

– ნუ ჩქარობ, მისმინე: დღევანდელი ტემპის მიხედვით, როცა მანქანა დღეღამეში ოც საათს მუშაობს, საქმე ოთხ დღეში დასრულდება. თვითმფრინავი ერთი კვირის შემდეგ ჩამოფრინდება.. ასე რომ, რაღაცის მომიზეზებით მანქანა ორიოდე დღით უნდა გავაჩეროთ და დრო გავწელოთ. და თუ ჩვენ ყველაფერს ზუსტად გავთვლით, ჩვენ უკვე აეროდრომზე ვიქნებით მაშინ, როცა მანქანა უკანასკნელ გვერდს ამობეჭდავს და ჩვენც ვეღარავინ დაგვეწევა.

– არ მომწონს ეს შენი გეგმა. – უპასუხა ჯორჯმა. – არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემი საქმე ბოლომდე არ მიმეყვანა. ისიც გაითვალისწინე, რომ ისინი რაღაც ეჭვს აიღებენ. არა, საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო... რაც მოსახდენია მოხდეს.

* * *

არც ახლა ვამართლებ ჩვენს გაქცევას, – თქვა შვიდი დღის შემდეგ ჯორჯმა, როცა ისინი მთაში ნავალი მუხლმაგარი ცხენებით დაკლაკნილი ბილიკებით ქვემოთ ეშვებოდნენ. – აზრადაც არ გაივლო, რომ შიშის გამო გამოვიქეცი. უბრალოდ მეცოდებიან ეს საბრალო არსებები, არ მინდა ვნახო მათი იმედგაცრუება, როცა დარწმუნდებიან, რომ ამაოდ იცხოვრეს ამქვეყნად. ნეტავი მათი უხუცესი როგორ გადაიტანს ამას?

– რაღაც უცნაურობა შევატყე მას, – შეეხმიანა ჩაკი, – უკანასკნელად რომ ვნახე, მომეჩვენა, რომ ეჭვის თვალით მიმზერდა, თუმცა კი მანქანა ჯერ მუშაობდა და საქმის დასრულებასაც აღარაფერი აკლდა, რის შემდეგაც... თუმცა „შემდეგ“ მის ცნობიერებაში არ უნდა არსებულიყო.

ჯორჯი უნაგირზე შეტრიალდა და მაღლა აიხედა. ამ ადგილიდან უკანასკნელად შეიძლებოდა მონასტრის დანახვა. შენობის კუთხოვანი კედლები და შვერილები ცხადად იკვეთებოდა დაისით შეფერადებული ცის ფონზე, აქა-იქ კი, თითქოს საოკეანო ლაინერის ილუმინატორებიაო, სინათლე გამოკრთოდა. ეს იმ ნათურების შუქი იყო, რომლებსაც ელექტროენერგიით იგივე წყარო ამარაგებდა, რითაც „მეხუთე მოდელს“ ამუშავებდა. „მაინც რამდენ ხანს გაგრძელდება ბერების და მანქანის თანაცხოვრება!“ – ჰკითხა საკუთარ თავს ჯორჯმა. „იმედგაცრუებული ბერები წამიერად დაამსხვრევენ მანქანას, თუ მშვიდი იერით კვლავაც განაგრძობენ თავის გამოთვლებს?“

ჯორჯს ცხადად შეეძლო წარმოედგინა ის, თუ რა ხდებოდა იმ წუთებში მთაზე. უხუცესი ლამა და მისი თანაშემწენი აბრეშუმის მოსასხამებით სხედან, ჩასცქერიან ცხრილებს, რომლებსაც რიგითი ბერები შემდეგ წიგნებად კინძავენ. არავინ არაფერს ამბობს, ხმაურს არღვევს მხოლოდ საბეჭდი მოწყობილობის კაკუნი. თავად „მეხუთე მოდელი“ თავის ათასობით გამოთვლას წამიერად ახორციელებს. „სამი თვე!“ – გაიფიქრა ჯორჯმა. – „ან ვინ არ გაგიჟდებოდა ასეთ ყოფაში?!“

– აგერ, შეხედე! – დაიძახა ჩაკმა და თითი ქვემოთ, ველისკენ გაიშვირა. – ხომ ლამაზია?

„ლამაზია“, – გონებაში დაეთანხმა ჯორჯი. ძველი, ბევრის მნახველი თვითმფრინავი ვერცხლის ჯვარივით იყო დასვენებული პატარა მდელოზე. ორი საათის შემდეგ ეს თვითმფრინავი თავისუფლებისა და გონიერებისკენ წაიყვანს მათ. ამ აზრს ისევე აგემოვნებდა ჯორჯი, როგორც ძვირფასი ლიქიორით სავსე სირჩას. დიახ, ჯორჯი ტკბებოდა ამ აზრით და უნაგირზე ირწეოდა.

* * *

ჰიმალაის ღამე თითქმის წამოწია მათ. საბედნიეროდ, გზა ცუდი არ იყო და მაშხალებიც ჰქონდათ მზად. საფრთხე არსად ჩანდა, მხოლოდ სიცივე აწუხებდა მათ. საოცრად მოწმენდილ ცაზე ნაცნობი ვარსკვლავები კიაფობდნენ. „ყოველ შემთხვევაში – გაიფიქრა ჯორჯმა – ამინდის გამო არ შევყოვნდებით“.

იგი ამღერდა, მაგრამ მალევე დადუმდა. ბუმბერაზი, თეთრქუდიანი მთები ნამდვილად არ იყვენენ ხალისიან ემოციათა მიმართ კეთილგანწყობილნი. ჯორჯმა საათს დახედა.

– კიდევ ერთი საათი და აეროდრომზე ვიქნებით, – ამცნო მან ჩაკს და მცირე ხნის შემდეგ დაამატა: – საინტერესოა, რას შვება იქ, ზემოთ, მანქანა – უკვე დაასრულა? დროის მიხედვით ასეც უნდა იყოს.

ჩაკმა არაფერი უპასუხა და ჯორჯი მისკენ შებრუნდა. მან ძლივს დალანდა მეგობრის სახე, რომელიც თეთრი ლაქასავით მისჩერებოდა ცას.

– შეხედე, – ჩაიჩურჩულა მან და ჯორჯმაც მიმართა თავისი მზერა ტატნობისაკენ...

ოდესმე ყველაფერი უნდა მოხდეს უკანასკნელად.

მაღლა, მათს თავზემოთ, ერთი მეორის მიყოლებით უხმაუროდ ქრებოდნენ ვარსკვლავები.

თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲔᲚᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲚᲣᲛᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲨᲘ“

იმ საკითხმა, რის შესახებაც უნდა გესაუბროთ, დიდი ხნის წინ დამაინტერესა და ჩემს ბლოგში მცირეოდენი ჩანაწერიც გავაკეთე, მერე ამის შესახებ რამდენიმე ლექციაზეც ვისაუბრე.... საქმე ეხება ისეთ პლანეტარულ მოვლენას, რასაც „აღლუმი“ ჰქვია და რაც პერიოდულად მეორდება მზის სისტემაში, ოღონდ ეს ხდება დედამიწიდან დამკვირვებლის თვალში, ანუ არის ოპტიკური ილუზია... დიახ, პლანეტების განლაგება დედამიწიდან და სხვა პლანეტიდან სხვადასხვაგვარად ჩანს და ეს არის ილუზია ჩვენი მზერისათვის, როცა გვგონია, რომ, ვთქვათ, იუპიტერი და ვენერა ერთმანეთის გვერდით არიან განთავსებულნი.

ლაპარაკია პლანეტების ორ აღლუმზე, რომლებიც 1186 წლის აგვისტოსა და სექტემბერში დაფიქსირდა; ასტრონომიული ცხრილებისა და სხვადასხვა დროის ასტრონომთა ჩანაწერების მიხედვით დავადგინე, რომ 1186 წელს ევრაზიის ცაზე (ეს არის ჩვენთვის საინტერესო რეგიონი, ვთქვათ, საფრანგეთიდან ირანის ჩათვლით) ნამდვილად იხილეს ადამიანებმა „პლანეტების აღლუმი“ (ანუ პლანეტების ერთად თავმოყრა ცაზე) არსებობს ასეთი ჩანაწერი: A fine example was a case in 1186 A.D. when an unusual gathering of the five planets visible to the naked eye resulted in a near-panic across the whole of Europe after religious leaders predicted that worldwide disasters would result (თარგმანი: კარგი მაგალითი იყო 1186 წლის შემთხვევა, როცა ხუთი პლანეტის ერთად თავმოყრამ, რაც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, მთელ ევროპაში განგაშის მიზეზად იქცა მას შემდეგ, რაც რელიგიურმა ლიდერებმა ეს ფაქტი კატასტროფების წინაპირობად იწინასწარმეტყველეს).

მაშ, 1186 წელს ევროპელები პლანეტების აღლუმს უმზერდნენ... მე ისღა დამრჩა, რომ ჩამერთო პროგრამა შტელლარიუმ, რომელსაც შეუძლია გვაჩვენოს პლანეტების და ვარსკვლავების განლაგება დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან ნებისმიერ ეპოქაში. ჰოდა, 1186 წლის და, ვთქვათ, საფრანგეთის მითითებით, მეც დავაპირე დამენახა ის, რასაც ევროპელები უმზერდნენ რვა საუკუნის წინ; წელი ცნობილი იყო, უბრალოდ ქვეყნის სამი მხარის (დედამიწის ცის ჩრდილოეთის მიმართულებით პლანეტები თავს არ იყრიან), 12 თვის და 12 საათის (ტექსტში ნათქვამია, რომ ხედავდნენო თვალით, ესე იგი ღამის საათები იყო) ყველა პარამეტრის გადამოწმება იყო საჭირო და ამას დიდი დრო დასჭირდა.... ბევრი ძებნის შემდეგ, 1186 წლის აგვისტოს დასაწყისში, ერთი კვირის განმავლობაში, დაახლოებით საღამოს 9-10 საათზე, პარიზის ცის დასავლეთი მიმართულებით ჩემმა ასტრონომიულმა პროგრამამ დახატა აღლუმი, რომელიც დიაგონალურად, ზემოდან ქვემოთ, ასეთი თანამიმდევრობით იმართებოდა: სატურნი. იუპიტერი, მარსი, ვენერა, მერკური.

ეს იყო 1186 წლის პლანეტების პირველი აღლუმი, ოღონდ საღამოს საათებში, როცა ადამიანის თვალს შეეძლო პლანეტების დანახვა.

ახლა წავიკითხოთ „ვეფხისტყაოსანში“ ის ეპიზოდი, როცა ავთანდილი ფრიდონთან მიდის და გზადაგზა მნათობებს მიმართავს (იმ ეპოქაში შვიდი ისეთი ციური სხეული იყო ცნობილი ადამიანებისთვის, რომელთა მოძრაობას ცის თაღზე თვალით ხედავდნენ):

966

აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა

967

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,

968

ჰე მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა ბრჭესა, ღმრთელსა,

969

მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა,

970

მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,

971

ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა.

972

მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები

ჯერჯერობით მზისა და მთვარისადმი მიმართვის თანამიმდევრულ განლაგებას თავი დავანებოთ და დავაკვირდეთ სხვა ცთომილთა თანამიმდევრობას: ზუალი (სატურნი) – მუშთარი (იუპიტერი) – მარიხი (მარსი) – ასპიროზი (ვენერა) – ოტარიდი (მერკური).... ეს პლანეტები ავთანდილის მიმართვაში მზიდან დაშორების მიხედვით ზუსტად ისეთი თანამიმდევრობით არიან განთავსებულნი, როგორც ამას რეალური ასტრონომიული სინამდვილე მოწმობს.

დავსვათ კითხვა:

საიდან იცოდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა მე-12 საუკუნეში ის, რომ სატურნი-იუპიტერი-მარსი-ვენერა-მერკური სწორედ ასეთი თანამიმდევრობით არიან განთავსებულ-დაშორებულნი მზიდან?!... ეს ყველაფერი მხოლოდ 3-4 საუკუნის შემდეგ დაადგინეს კოპერნიკმა,

კეპლერმა თუ გალილეო გალილეიმ

ნუთუ შოთამ ინტუიციით დაალაგა ეს პლანეტები ისე, როგორც სამყაროშია თუ ავთანდილმა საკუთარი თვალით იხილა ეს?

ახლა მეორე აღლუმზე ვისაუბროთ:

1186 წლის 2 სექტემბრიდან, დილის საათებში, თითქმის ორი კვირის განმავლობაში, პლანეტები ასევე ერთად იყრიდნენ თავს, ოღონდ ვერტიკალურ ხაზზე; ამას მოწმობს ასტრონომიული ცხრილი, სადაც აღლუმის თარიღად მითითებულია 1186 წლის 17 სექტემბერი. ამ ცხრილის ნახვა ინტერნეტში ყველას შეუძლია, ის მოიცავს პლანეტების აღლუმთა თარიღებს, რაც თითქმის რვა ათასი წლის განმავლობაში ფიქსირდებოდა დედამიწიდან დამკვირვებელთა მზერაში... მაგრამ აქ ერთი რამ გვიშლის ხელს: 1186 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში მიმდინარე აღლუმის დროს მზე უკვე ამოსულია, დილაა და, ცხადია, დღის სინათლეზე ადამიანი ცთომილთა დანახვას ვერ შეძლებდა, თუმცა არსებობს სხვა საშუალება იმის დამტკიცებისა, რომ მე-12 საუკუნის ხსენებული დღის აღლუმის, თუნდაც მზის სხივებით შენიღბულის, არსებობა ასტრონომებმა იცოდნენ და ეს ელემენტარული მათემატიკური გამოთვლებით ხდებოდა: აბუ ალი იბნ სინას, ბირუნის, ომარ ხაიამის, ალ ჯაზარის და მათი მიმდევრების მეშვეობით ყოველთვის იქმნებოდა და იწერებოდა შესაბამისი ასტრონომიული ცხრილები, რომელთა გაცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსაც შეეძლო...

ასეა თუ ისე, 1186 წლის აგვისტო-სექტემბრის ორი აღლუმის არსებობა ასტრონომიული კალენდრების ცხრილებშიც დასტურდება და ეს კონკრეტული თარიღი ირეკლება „ვეფხისტყაოსანში“ მიმდინარე მოვლენებშიც.

* * *

ახლა ეჭვების შესახებ ვისაუბროთ:

1.პირველი კითხვა:

იქნებ ის ზუსტი თანამიმდევრობა პლანეტების განლაგებისა, რაც პოემის 967-971 სტროფებშია მოტანილი, შემთხვევით მოხდა. ანუ ავტორმა ეს მწკრივი – ზუალი, მუშთარი, მარიხი, ასპიროზი, ოტარიდი – უნებლიედ შექმნა? ამ კითხვაზე ორი პასუხი გვაქვს:

ა) ხუთი რიცხვის თანამიმდევრობის განლაგების 120 ვარიანტი არსებობს და საეჭვოა, რომ ავტორს მისდა უნებურად, ლატარიის წესით, სწორედ ის ერთადერთი აერჩია, რაც მზის სისტემის აგებულებას ემთხვევა.

ბ) 973-ე სტროფში კიდევ ერთხელაა ნახსენები პლანეტების მწკრივი:

აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან.
მას გააგონნენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან.

დააკვირდით, აქაც ემთხვევა პლანეტების თანამიმდევრობა მზიდან დაშორების მიხედვით არსებულ სინამდვილეს, ოღონდ ამჯერად ქვემოდან ზემოთ, ორ „ბლოკად“ დალაგებული: 1) ოტარიდი-მუშთარი-ზუალი და 2) ასპიროზი – მარიხი... არც ის იქნება მიზეზი ასეთი მიმდევრობისა, თითქოს ლექსის საზომმა განაპირობა ამგვარი მწკრივი.... შეგიძლიათ გადააადგილოთ ეს სახელები ლექსში და დარწმუნდებით, რომ 16-მარცვლიანი დაბალი შაირის წყობა არ დაირღვევა....

ესე იგი პლანეტების განლაგების დამთხვევა არსებულ სინამდვილესთან შემთხვევით არ მომხდარა.

2. მეორე კითხვა:

პოემაში რომაული ღმერთების სახელებია გამოყენებული პლანეტების დასახელებებში და ამიტომ ხომ არ მიიღო ასეთი მწკრივი: დიდიდან პატარამდე?...

დიახ, ოტარიდი-მერკური ყველაზე პატარა და უმნიშვნელო ღმერთია (ვაჭრობისა და მოგზაურობის) ხსენებულთა შორის და ამიტომაცაა ბოლოში, მაგრამ მწკრივი რატომ არ იწყება პანთეონის უზენაესი სუბიექტით მუშთარი-იუპიტერით? მის წინ ზუალი-სატურნი რატომ დგას?.... ასე რომ, ეს არგუმენტიც უსაფუძვლოა.

3. მესამე კითხვა:

მომდევნო საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ ვიღაც გადამწერებმა თავად ხომ არ ჩაამატეს ხსენებული სტროფები ასტრონომიაში უკვე აღმოჩენილი რეალური მონაცემების მიხედვით?....

აქაც ვაწყდებით წინააღმდეგობას თუნდაც იმით, რომ შოთას მსგავს მაღალმხატვრულ ლექსს ვერანაირი გადამწერი ვერ შექმნიდა და თუნდაც შეექმნა ეს ვინმეს მე-17 საუკუნეში (სწორედ ამ საუკუნიდან შემოგვრჩა პოემის პირველი ხელნაწერი), ძალზედ საეჭვოა, რომ ამ ქართველ გადამწერს პირდაპირი კავშირი ჰქონდა ევროპელ ასტრონომებთან და ერკვეოდა მათ აღმოჩენებში...

ან რა ასტრონომიულ ცოდნაზეა ლაპარაკი მე-17 საუკუნის საქართველოში, როცა დღეს ხალხის გარკვეულ ნაწილს, საქართველოშიც და ევროპაშიც, არ სჯერა, რომ დედამიწა მრგვალია და მზის გარშემო ბრუნავს...

4. იქნებ ეს ვარიანტია მისაღები?

კოპერნიკ-კეპლერის ჰელიოცენტრული სისტემის აღმოჩენა-დადგენამდე მთელ მსოფლიოს სჯეროდა, რომ პტოლომეუსის მიერ შექმნილი „გეოცენტრიული“ მოსაზრებები იყო სწორი, ანუ მზე, მთავარე და ხუთი ცთომილი დედამიწის გარშემო მოძრაობდნენ... ეს, ცხადია, იცოდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმაც, მაგრამ ხსენებული გეოცენტრიული სისტემა ამგვარი აგებულებისაა (დედამიწიდან დაშორების მიხედვით): მთვარე, მერკური, ვენერა, მზე, იუპიტერი, სატურნი. როგორც ხედავთ, ეს თანამიმდევრობა არ ემთხვევა ჩვენს პოემაში არსებულ რიგს, რადგან აქ მთვარეა პირველ ადგილზე, ხოლო მზე – მეოთხეზე, რუსთველთან კი მზეა პირველ ადგილზე, ხოლო მთვარე მეშვიდე პოზიციაზეა განლაგებული.

ეს საკითხები დეტალურად არის განხილული გიორგი თევზაძის წიგნში „რუსთაველის კოსმოლოგია“, რომელიც 1979 წელს გამოიცა; აქვე მოხსენიებული და გაანალიზებულია სხვა ცნობილი მეცნიერების მოსაზრებები ე.წ. „შვიდთა მნათობთა“ თეორიის შესახებ და ყველას შეუძლია ამის წაკითხვა. მხოლოდ ერთ ფაქტზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომელიც ოტარიდის (მერკურის) შესახებ არის გამოთქმული და წიგნის ავტორს ისეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას აძლევს, რაც ზოგადად კაცობრიობის ასტრონომიული ცოდნის ეტაპების განვითარებას

ეწინააღმდეგება.

ვნახოთ 971-ე სტროფი

„ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა:

მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა“.

აქ პირდაპირაა ნათქვამი – „მზე მაბრუნვებსო“ – და თავისთავად იბადება ის ეჭვი, რომ რუსთაველი კოპერნიკამდე სამიოდე საუკუნით ადრე იზიარებდა „ჰელიოცენტრიული სისტემის“ პრინციპებს, ანუ იმას, რომ პლანეტა (და პლანეტებიც) ბრუნავენ მზის გარშემო. აქედან გამომდინარე გიორგი თევზაძემ შექმნა ასეთი, ერთგვარად შეჯერებული – გეოცენტრიულ-ჰელიოცენტრიული თეორია „ვეფხისტყაოსანში“ არსებული მონაცემების საფუძველზე: ე.წ. „შიდა პლანტები“ (მერკური და ვენერა) მზის გარშემო ბრუნავენ, ხოლო მზე ხსენებულ ორ ცთომილთან ერთად ბრუნავს დედამიწის გარშემო. ამის შესახებ აკაკი შანიძემ დაწერა: „გ. თევზაძის დებულება, რომ შ. რუსთველი გეო-ჰელიოცენტრისტია და რომ მან ამ მხრივ რამდენიმე საუკუნით გაუსწრო თავის თანამედროვეებს, ეს ისეთი მშვენიერი და მომხიბვლელი ამბავია, რომ იგი სასიამოვნოდ ჟღერს ქართველი კაცის ყურისთვის და აღვივებს მისი ეროვნული სიამაყის გრძნობას. კერძოდ, ჩემთვისაც მეტად სასიამოვნო იქნებოდა, რომ ეს დებულება დამტკიცებული ფაქტი იყოს, მისაღები არა მარტო გრძნობისთვის, არამედ გონებისთვისაც. მართალია, „ვეფხისტყააოსანი“ პოეზიაა და არა მეცნიერული გამოკვლევა, რომ შიგ ყოველი დებულება დამტკიცებას მოითხოვდეს, მაგრამ გ. თევზაძის აღძრული საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია და სათანადო დასკვნა იმდენად საპასუხისმგებლო, რომ უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ მეტი საბუთიანობა, რომ მისი დასკვნები სხვებისთვისაც მისაღები იყოს. ოღონდ უნდა, გულახდილად აღვიარო, რომ უაღრესად კმაყოფილი ვიქნები, თუ შემდგომი კვლევა-ძიების წყალობით ჩემი ეჭვი უსაფუძვლო აღმოჩნდება და უდიდესი მგოსანი შოთა რუსთველი დაიმკვიდრებს უდიდესი მეცნიერის სახელსაც.“

ერთი სიტყვით ეს ოტარიდ-მერკურის შესახებ ნათქვამი „მზე მაბრუნვებს“ ისეთ ეჭვებს აღძრავს, რომ შოთა რუსთველმა კოპერნიკამდე ბევრად უფრო ადრე იწინასწარმეტყველა ის, რომ პლანეტები ბრუნავენ მზის გარშემო (თუნდაც ორი მათგანი, თუმცა ვენერა-ასპიროზი რატომ მიათვალა მერკურისებრთა რიგს, ჩემთვის გაუგებარია).

საქმე იმაშია, რომ ჩვენი დიდი პოემის ავტორს ნამდვილად გამჭრიახი თვალი ჰქონია და კარგად იცოდა ის, რომ პლანეტა ოტარიდი-მერკური ძალიან მცირე ხნით ჩანს ცის თაღზე, ის მცირე რკალს მოხაზავს და რაწამს მზე გამოჩნდება, მაშინვე იკარგება თვალთახედვიდან, ანუ სულ არ არის საჭირო იმის ცოდნა, თუ რეალურად სად მდებარეობს ეს პლანეტა, რადგან ჩანს, რომ მისი ყოფნა ცის თაღზე პირდაპირ კავშირშია მზესთან... ეს ჩვეულებრივი ოპტიკური ილუზიაა, რაც ძველად ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, რადგან მაშინ ცის თაღზე ციური სხეულების მოძრაობა და ზოგადად მათი ადგილმდებარეობა ერთადერთი საშუალება იყო ღამით გზის გასაკვლევად, ჩვენგან განსხვავებით – დღეს ადამიანთა დიდი ნაწილი არც კი იყურება ცისკენ, რადგან ახლა უამრავი სხვა საშუალება არსებობს სივრცეში ორიენტირებისათვის... არადა, სრულიად სარწმუნო ვარაუდის თანახმად, ზღვის ცხოველები ახლაც კი ციური სხეულების მიხედვით იკვლევენ გზას, როცა ათასობით კილომეტრის გადალახვა უხდებადათ მსოფლიო ოკეანეთში....

* * *

ბევრს აღარ გავაგრძელებთ და ორგვარ დასკვნას შემოგთავაზებთ:

ა) 1186 წლის ადრეული შემოდგომის პლანეტების აღლუმის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს თავისი თანამედროვე ასტრონომების ნაშრომებიდან ჰქონდა ინფორმაცია მიღებული, მაგრამ ამ ინფორმაციის მიღებამდე დიდი დრო გავიდოდა: სანამ დაიწერებოდა, სანამ საქართველომდე ჩამოაღწევდა და ა.შ. ამას ათწლეულები დასჭირდებოდა, ალბათ....

უფრო სარწმუნოა მეორე ვერსია:

ბ) შოთა რუსთველმა საკუთარი თვალით იხილა ხუთი პლანეტის დიაგონალური განლაგება ცაზე და ეს ფაქტი არის ძალიან მნიშვნელოვანი შემდგომი კვლევისთვის.... „ვეფხიტყაოსნის“ გეოგრაფიის და მოვლენათა ქრონოლოგიური სიზუსტის დადგენას ასეთ ვარაუდამდე მივყავართ: ავტორმა ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა და საკუთარი ფეხით მოიარა (გეოგრაფიაზეც დაწვრილებით ვისაუბრებთ მომავალში)... ამის თქმა მსურს ამ სტატიით და არა იმის, თუ ვინ უფრო ადრე მიხვდა, რომ პლანეტები ბრუნავენ მზის გარშემო: შოთა რუსთველი, ჯორდანო ბრუნო თუ ნიკოლა კოპერნიკი, მით უმეტეს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ მე-4-3 საუკუნის ზღვარზე ძველბერძენმა მეცნიერმა არისტარქე სამოსელმა უკვე შექმნა ჰელიოცენტრული სისტემის თეორია.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ 1186 წლის აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში მომხდარი ორი აღლუმიდან ერთ-ერთი აისახა შოთა რუსთაველის პოემაში.

ნუ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ხსენებული ფაქტის დამტკიცებით და ახლა პოემაში მიმდინარე მოვლენებს დავაკვირდეთ... ასევე „ასტრონომიულ ჭრილში“.

როგორც ვთქვი, ჩემი მიზანია ვარაუდებიდან სარწმუნო გავხადო ის, რომ ამბავი, რაც ავთანდილს უკავშირდება – მისი მოგზაურობა A პუნქტიდან B პუნქტამდე და უკან – გარკვეულ სინამდვილეს შეესაბამება.

რა თქმა უნდა, მე კარგად მესმის, რომ მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ფაქტებში რეალური მონაცემების ძიება არცთუ სახარბიელო საქმეა და ეს თითქმის იმას ჰგავს, რომ დათა თუთაშხია მთაწმინდის პანთეონში გადავასვენოთ, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში სიმართლის ელემენტები მაინც არის ხოლმე და ზოგჯერ ეს ალეგორიულად, შენიღბულად არის გადმოცემული,....

ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“, ამა თუ იმ ასტრონომიული საკითხით, უკავშირდება 1186 წელს (პლანეტების პირველ აღლუმს თუ მეორეს, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს).

ახლა გავარკვიოთ ის, ავთანდილის ვოიაჟი გულანშაროში და უკან, ქვაბისაკენ, რამენაირად ხომ არ უკავშირდება ციური სხეულების ზემოთხსენებულ აღლუმს და დროის მოძებულ მონაკვეთს: აგვისტო-სექტემბერს.

...მოგეხსენებათ, ტარიელს რომ შორდებოდა, ავთანდილმა პირობა მისცა, რომ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდებოდა

და ნესტანდარეჯანის ამბავსაც ამცნობდა; ერთი წლის განმავლობაში მან ინახულა ფრიდონი, ჩავიდა გულანშაროში, ფატმან-ხათუნთან სიამტკბილობაში გაატარა გარკვეული დრო, შეიტყო ნესტანდარეჯანის ადგილსამყოფელი და ერთი წლის ამოწურვამდე მცირე ხანი რომ იყო დარჩენილი, დაბრუნდა ქვაბში...

პოემაში, რეალური ასტრონომიული მოვლენების მოშველიებით, ზუსტად წერია, თუ როდის წავიდა ავთანდილი ქვაბიდან მულღაზანზარისკკენ და როდის დაბრუნდა გულანშაროდან ქვაბში:

945

ამის მეტსა არას გნუკვ: წელიწადსა ერთსა მსგეფსსა
აქავ ქვაბსა მომნახევდი მე, ამბავთა ყოვლგნით მკრეფსა;
ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა,
ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითა-მცა ძაღლი ყეფსა.

ანუ:

ზუსტად ერთი წლის შემდეგ – უთხრა ავთანდილმა ტარიელს – მომნახავო აქ, ქვაბში, როცა „ვარდიეფობა“ (ვარდების სიმრავლე) იქნება და როცა „ძაღლი“ დაიწყებსო ყეფას... ძაღლი აქ შემთხვევით არ არის ნახსენები, რადგან ეს არის ძაღლის (ქოფაკის) თანავარსკვლავედის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი სირიუსი, რომელიც ყოველი წლის ზაფხულის ბუინობისას (21 ივნისს) გამოჩნდება ხოლმე ევრაზიის ცაზე...

1337

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა.
სულთქვნა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა.

ანუ:

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, როცა ზაფხული „მიწურვილ“ კი არა, „მოწურვილ“ იყო, ანუ როცა იწყებოდა ასტრონომიული ზაფხული ბუნებაში, ვარდის ფურცლობის დათქმულ დროს, ავთანდილი დაბრუნდა ქვაბში და მზემავ მაშინ შეიცვალა ეტლი, ერთი ზოდიაქოდან მეორეში გადავიდა... ეს ხდება 21 ივნისს, როცა მზე „სარატანის“ ანუ კირჩხიბის თანავარსკვლავედში გადადის.

ესე იგი: რომელიღაც წლის ივნისის ბოლოს გმირები შეხვდნენ ერთმანეთს და შესაბამისად ზუსტად ერთი წლის წინ მოხდა მათი დაშორება იმ დიდი ზღვის ნაპირზე, სადაც ტარიელმა მიიყვანა ავთანდილი და უთხრა: „აღმოსავლითკე წადიო“...

ვიმეორებ, მხატვრული ნაწარმოები ავტორის ფანტაზიის ნაყოფია და არ არის გამართლებული მასში ზუსტი თარიღების და მანძილების ძიება, მაგრამ როცა ავტორი თავად იცავს ამ სიზუსტეს და დიდი სკრუპულოზურობით გვიამბობს, თუ ვინ სად, რამდენი ხნის განმავლობაში იარა და იმოგზაურა, უნებლიეთ იბადება ეჭვი, რომ ეს ყველაფერი არის გაკეთებული შეგნებულად.... ან უბრალოდ **მან ეს თავად გაიარა, ნახა, იცის და აქვს სურვილი, რომ თავის მკითხველსაც აცნობოს...** რომ არა ეს სურვილი, რატომ იტყოდა პოემის ავტორი, რომ მისმა პერსონაჟმა სამოცდაათი დღე იარა „დიდი ზღვის“ ნაპირ-ნაპირ სანამ ფრიდონის მენავეებს შეხვდებოდა და მერე კიდევ ათი დღე რომ უნდა ევლო მულღაზანზარამდე? საიდან იცოდა მან ეს?! დამეთანხმებით, რომ საქართველოში მყოფი ავტორი მე-12 საუკუნეში, Google-ის რუკების მეშვეობით სხვა გეოგრაფიულ სივრცეში მანძილს ნამდვილად ვერ გაზომავდა... კი ვხუმრობ, როგორც შემიძლია, მაგრამ ფაქტი სახეზეა: „ვეფხისტყაოსანში“ დრო და მანძილი ზუსტად არის დასახელებული იქ, სადაც ავთანდილია საქმეში ჩართული, ინდოეთის და ტარიელის ამბების თხრობისას კი მხოლოდ იმას თუ იტყვის ავტორი, რომ „პაშტაი ხანი“ (ცოტა ხანი, პატარა დრო) იარაო....

მაგალითად (ამ სტროფების მიღმა ყველგან ავთანდილი იგულისხმება):

(152) ოც დღე იარა, ღამეცა დღეს ზედა წაჰრთო მრავალი
(978) ყმა მტირალი სამოც-ათ დღე ზღვისა პირსა მივა გზასა;
(1037) ჰკითხის მის მზისა ამბავი; დღენი ვლნა გაასებულნი (ასი დღე)
(1441) ფატმან ჰყავს თანა, იარა სავალი დღისა ათისა
(1586) სამ თვე ვლეს, – ღმერთმან მათებრი სხვა ნურა ნუ დაჰბადოსა

ზოგადად მხატვრული ნაწარმოების ავტორს არავინ ავალებს, ზუსტად თქვას, თუ ვინ სად, რა დრო დაჰყო და რა მანძილი იარა, მკითხველისთვის დიდ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენს ის, ოცი დღე იარა მავანმა პერსონაჟმა თუ ოცდახუთი და ა.შ. შოთა რუსთველი კი ამას რატომღაც დიდი სიზუსტით, საგანგებოდ აღნიშნავს.

მაშ, ასე: რომელიღაც წლის ივნისის ბოლოს, ტარიელს რომ დაშორდა ავთანდილი და აღმოსავლეთით, ზღვის ნაპირზე რომ იარა, ფრიდონთან მისასვლელად ოთხმოცი დღე დასჭირდა... მოდით, ახლა გადავთვალოთ ივნისის ბოლოდან 80 დღე და მივიღებთ აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისს, ანუ იმ პერიოდს, რომლის შესახებაც პირველ და მეორე ნაწილებში ვისაუბრეთ პლანეტების აღლუმის აღწერით.

როგორ გგონიათ, ეს შემთხვევითი ფაქტია, რომ, პოემაში განვითარებული ამბების თანახმად, ავთანდილის „გაბაასება პლანეტებთან“ სწორედ იმ 80 დღის განმავლობაში მოხდა, როცა ავთანდილი ფრიდონთან მიდიოდა?

ა) 1186 წლის ზაფხულის ბუნიობის პერიოდში ხომ არ დაიწყო ავთანდილმა თავისი მოგზაურობა ქვაბიდან მულღაზანზარისკენ?

ბ) ზაფხულის დასასრულის ერთ ღამეს ავთანდილმა თავისი თვალით ხომ არ იხილა პლანეტების აღლუმი, რაც პოემაშიც დაფიქსირდა?

გ) ერთი წლის შემდეგ, 1187 წლის „ვარდისფურცლობისას და ქვეყნად მწვანის ამოსვლისას“, ანუ ივნისის ბოლოს, ხომ არ დაბრუნდა ავთანდილი ქვაბში ტარიელთან სასიხარულო ინფორმაციით?

დაბოლოს:

პოემის ავტორმა თავად ხომ არ მოიარა, იხილა და განიცადა ეს ყველაფერი, რის შესახებაც ვილაპარაკეთ და მერე, აიღო რა მთელ აღმოსავლეთში მოარული (ინდური! – „რამაიანას“ ამბავი) ამბავი ავსულთაგან მავანი გმირის სატრფოს გატაცებისა და დაურთო მას „ავთანდილის სიუჟეტური ხაზი“, შექმნა სრულიად დამოუკიდებელი პოემა?

* * *

თუ ამ თარიღებს (1186 წლის ივნისიდან 1187 წლის ივნისამდე) სარწმუნოდ მივიჩნევთ და შემდგომი კვლევისას გავითვალისწინებთ, შეიძლება ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები აღმოვაჩინოთ.

დავით ჯელიძე

ძიუდოისტების პაპა – ბიძინა მაზიაშვილი

ბიძინა მაზიაშვილი და მე დიდი მეგობრები ვიყავით! ჩვენი მეგობრობა მაშინ დაიწყო, როცა ჩემი წიგნისთვის ვამზადებდი ბატონ ბიძინაზე ნარკვევს!

„დინამოს“ სპორტული შალის პიჟამო მაჩუქა. ხშირად ვურეკავდით ერთმანეთს, ვუზიარებდით დარდსა თუ სიხარულს, უფრო მეტად, დარდსა და წუხილს. „ეს დანჯღრეული მანქანა იაპონელებმა მაჩუქეს, ჩვენებმა კი მხოლოდ ერთ ოლიმპიადაზე გამიშვეს. ზედ ოლიმპიადის წინ მომხსნიდნენ და ჩემი შეგირდები უპატრონოდ რჩებოდნენ ამხელა შეჯიბრებაზე. იმიტომაც ვერც ერთი ვერ გახდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, თუმცა ისეთი ძლიერი ბიჭები იყვნენ, რომ თითქმის ყველა გახდა პრიზიორი. ეს მანქანა კი თბილისი-მაჩხაანის გზაზე დაინჯღრა, სად აღარ მიტარებია, რა არ მომიზიდია ამ მანქანით!“

ბიძინა მაზიაშვილი ქიზიყში, სოფელ ზემო მაჩხაანში დაიბადა. მამამისი დიმიტრი და მისი სამი ძმა თავიანთი ოჯახებით ერთად ცხოვრობდნენ. დაბალი სახლი იყო, ძველებური. უფროსი კაცები შირაქში მუშაობდნენ, საკუთარი მიწები ჰქონდათ და ეკონომიურადაც არ უჭირდათ, თუმცა სოფელი, რა თქმა უნდა, მაშინ ღარიბი იყო, რაც მთავარია, წყალი არ ჰქონდათ, მოსახლეობა ქვემო მაჩხაანში დადიოდა წყლის ამოსატანად.

დაწყებითი სკოლის პირველ-მეორე კლასელებს გაკვეთილები ნანობაანთ სახლში უტარდებოდათ, მესამე-მეოთხე კლასებს კი „კულაკების“ ჩამორთმეულ ბინებში (იოლი სათქმელია არა, კულაკები – ხალხი წელებზე ფეხებს იდგამდა და ასე შოულობდა ორი კაპიკით მეტს და პუჭურა ილიჩი და ბაყბაყდევიით სისხლისმსმელი ორჯონიკიძე კულაკებად ნათლავდნენ და ყველაფერს ართმევდნენ – საქონელს, სახლკარს – უნდოდათ, რომ ყველა ფენა გათანაბრებულიყო, არც მდიდარი ყოფილიყო და არც მშიერი, ანუ ყველას ერთნაირად საშუალოდ ეცხოვრა). მეხუთე კლასიდან უკვე ახალგახსნილ საშუალო სკოლაში გადავიდნენ, იმ ადგილზე ახალი სკოლა შენდება.

ონავარი ბიჭები ზამთრობით თავდაღმართზე თვითნაკეთი ციგებით სრიალებდნენ. ბიძინა ძალიან ჯანმრთელი, აქტიური, მოუსვენარი ბიჭი იყო, ტოლს არავის უდებდა. აბა, კახეთში რომ ბიჭი არ იჭიდავებს, ის რა ვაჟკაცია! უფროსი ბიჭები მოედანზე ნახერხს მოაყრიდნენ, მუსიკოსებს დაუძახებდნენ და იწყებოდა ზურნა-დუდუკის ფონზე ვაჟკაცური შერკინებები. აბა, ბავშვებს იქ ვინ მიუშვებდა საჭიდაოდ, მაგრამ იქვე, ზედ მოედანთან რკალად მოკალათდებოდნენ და ხარბი თვალებით შესცქეროდნენ ვაჟკაცთა ჭიდილს. ისინი მხოლოდ შებინდებულზე თუ გავიდოდნენ წრეში სამიძგილაოდ. უბანშიც ჭიდაობდნენ, მერე სკოლის ეზოში გადადიოდნენ. განსაკუთრებით ეკლესიურ დღესასწაულებზე იმართებოდა მუდამ ჭიდაობა და ბიჭები ადრევე დაიჭერდნენ თადარიგს – გაემზადებოდნენ დიდი ჭიდაობის მოლოდინში.

ბიძინას კოჭობანას თამაშიც ძალიან უყვარდა, ამხანაგებში ძალიან აქტიური იყო, ყოველთვის გამოირჩეოდა. უბანში მისი თანატოლი სულ ოთხი-ხუთი ბიჭი იყო. უფროს ბიჭებთანაც შეეძლო საერთო ენის გამონახვა.

ნადირობა ბიძამისმა, კოლამ შეაყვარა, მას სანადირო თოფი ჰქონდა და პატარაობიდანვე დაჰყავდა ძმისწული სანადიროდ. მერე კი, მე-7 თუ მე-8 კლასელი ბიჭი მარტო დადიოდა, აიღებდა ბიძის თოფს, მხარზე გადაიდებდა და ტყისკენ გაემართებოდა. დედამისი სულ მის ძებნაში იყო, მაგრამ ყოველთვის უვნებლად ბრუნდებოდა ხოლმე, ზოგჯერ ნანადირევსაც კი მოიტანდა შინ.

სამეგე ბიძა რომ სამამულო ომში გაიწვიეს (მამამისი ფეხის ტრავმის გამო დაიწუნეს), დიმიტრის მოუწია ოთხი ოჯახის რჩენა – საკუთარის და თავისი ძმების. ერთი ცხენი და ერთიც „ტაჭკა“ ჰქონდათ და 13 წლის ბიძინამაც მამას მოხმარება გადაწყვიტა. სამი სეზონი შეშას ეზიდებოდა და ვენახშიც საქმიანობდა.

ხიზანას ეძახდნენ, ბიჭებმა შეარქვეს. მისი ნამდვილი ნათლია კი უფროსი და, მერი გამოდგა. „გასული ვიყავი, ბავშვები ვთამაშობდით. შინ რომ დავბრუნდი, ბიძინა დაბადებული დამხვდა და ტიროდა. აბა მე რა ვიცოდი და მეზობლის ბავშვი მეგონა. ბებიას ვკითხე, ბიძინაა-მეთქი (სწორედ ეს სახელი ერქვა მეზობლის ბავშვს)? აი, ასე გავხდი ჩემი ძმის ნათლია“.

თვალი სულ გარეთ ეჭირა, ხან რას მოიგონებდა და ხან რას, ბიჭებთან თამაში და ძიძგილაობა რომ მობეზრდებოდა, იქვე, თავის ეზოში, ჩრდილში წამოგორდებოდა ხოლმე და ბავშვურ ფიქრებს მიეცემოდა. ცელქი კი იყო, მაგრამ ეს უზრდელობაში არასდროს გადაზრდილა. პირიქით, უფროსების პატივისცემა ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, შინ რომ ვინმე ესტუმრებოდათ, წამოხტებოდა და სკამს მიუჩოჩებდა, სკოლაშიც ყველა მის ზრდილობიანობასა და წესიერებაზე ლაპარაკობდა. მაგრამ წიგნზე ცოტა განაწყენებული ყოფილა. თუმცა სმენითი ნიჭი ჰქონდა განვითარებული, კლასში რასაც ახსნიდნენ, წიგნში ჩახედვა არ სჭირდებოდა, უკვე იცოდა.

ნასრაანთ გიორგის მიაბარეს, დურგლობა ასწავლეო. დაბარვაც ეხერხებოდა, მაგრამ ვერც ამას დაუდო გული. მერე, 14-15 წლისამ, ცხვარში წასვლა მოითხოვა. ურმის კოფოზე შემოჯდებოდა და შირაქისკენ გასწევდა, მამას და ბიძებს ეხმარებოდა.

მჭედლობაც შეისწავლა, ვიღაცას მიებარა. ინტერესიანი იყო, მოუსვენარი, ყველგან რაღაცას ეძებდა, მაგრამ ბოლომდე გულს ვერ უდებდა. რაღაცა არ მოეწონებოდა, წამოვი-

ბიძინა მაზიაშვილი

დოდა, გასაბრაზებლად სულ ცოტა ყოფნიდა. პროტესტის უზარმაზარი გრძნობა ბავშვობიდან ჰქონდა.

ცოტა რომ წამოიზარდა, ხელობის სწავლა მოინდომა და მშობლებს მოსთხოვა, ან აქ მასწავლეთ, ან სადმე გამგზავნეთ და იქ ვისწავლიო. ოჯახში ეს ერთი ბიჭი იზრდებოდა და არსადაც არ გაუშვიათ, აქ უნდა ისწავლო და აქ დაამთავრო სკოლაო.

მოუსვენარი იყო და მასწავლებლებს ნერვებს უშლიდა. ერთხელაც მშობელი დაიბარეს, მაგრამ შინ სიტყვა არ დასცდენია. მეორე დღეს გაკვეთილზე რომ აღარ დაუშვეს, იკადრა და უთხრა დედამისს, გიბარებენო.

დედამისი დირექტორთან რომ შესულა, იმას უკითხავს, რატომ მობრძანდით, ქალბატონოო. ახლა გავიგე, რომ მიბარებდით და მოვედიო. ბიძინაც იქა დგას. თურმე ბიჭს უთქვამს, აბა, მშობელი როგორ მოვიყვანო, დედინაცვალი მყავს და არ ვიცნობო. დირექტორმა წარბი შეყარა – კი მაგრამ, რომ გათხოვდით, არ იცოდით, თქვენს ქმარს შვილები რომ ჰყავდაო. გაგიჟდა ქალი. ჯერ ვერაფერში გაერკვია, მერე კი, როცა მიხვდა შვილის ოინებს, კაი დღეც აყარა.

მერე ჭიდაობამ სერიოზულად გაიტაცა, ქართულმა, ჩვენმა, მამაპაპურმა, ზურნა-დუდუკიანმა. მე-8 და მე-9 კლასელები სოფელი სოფელს ეჯიბრებოდნენ, რაიონის პირველობაზეც გადიოდნენ ხოლმე. მშობლებს არ უნდოდათ, ჭიდაობას რომ გაჰყოლოდა. რაღაცას მოიტეხავ, რაღაცას იტკენო.

თავს არავის გაალახვინებდა, მაგრამ ერთხელ შინ მაისურშემოფლეთილი მოსულა და დედამისს შეუცხადებია, ეს რა დღეში ხარ, ბიჭო! ბიძინამ წაიტრაბახა: ჩემზე უფროსს დავეჭიდე, მაგრამ მაინც ვერა მცემა, ვერ მომერიაო.

ჩაცმა, სიკოხტავე უყვარდა. გარეთ ისე არ გავიდოდა, თმა არ მოეწესრიგებინა, ფეხსაცმელები საგულდაგულოდ არ გაწმინდა, ტანისამოსი გაწკრიალებული, გარეცხილ-დაუთოვებული თუ არ იქნებოდა.

მე-8 კლასი რომ დაამთავრა, სწავლა უნდა გავაგრძელო ქვემო მაჩხაანის ზოოვეტინსტიტუტშიო. დედა ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ბიჭმა თავისი არ დაიშალა. მაინც წავიდა და ტექნიკუმი დაამთავრა.

მერე სავალდებულო სამხედრო სამსახურმა მოუწია, თბილისში, მილიციის ნაწილში გაგზავნეს, დაცვით ფუნქციებს ასრულებდნენ. „დინამოს“ სპორტსაზოგადოება ხომ მილიციას ეკუთვნოდა და იქ დაიწყო ჭიდაობა. თავდაპირველად სამბოს ჭიდაობდა.

ჯარი რომ მოითავა, ერთი წელიწადი შირვანში, ცხვარში გაატარა, მშობლები წუხდნენ, სამი წელიწადი, ფაქტობრივად, შვილი არ უნახავთ, მეორე ის იყო, რომ მართლა გაუჭირდათ და ბიძინას დახმარება სჭირდებოდათ. დეპეშა დეპეშაზე მოსდიოდა შირვანში, ბოლოს თვითონაც შეწუხდა და შინ დაბრუნდა, ცხვარში მინდოდა ყოფნა და რად არ მომასვენეთო. აბა, ბიძინა დაუბრუნდათ იმას უკან, ცხვარში გაუშვებდნენ?

თუმცა ერთხელაც ისეთი დეპეშა მოუვიდა, რომ მშობლებმა შინ ვეღარ გააჩერეს – „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობისთვის იბარებდნენ.

ჯირკვით ბიჭი იყო, აქტიური, მოძრავი... ბევრს, თავდავიწყებით ვარჯიშობდა, 1953 წლის ოქტომბერში ხარკოვში საბჭოთა კავშირის სამბისტთა გუნდური ჩემპიონატი იმართებოდა და აქ მონაწილეობის შანსი ხელიდან არ უნდა გაეშვა. ეს ხომ საქართველოდან მისი პირველი გასვლა იქნებოდა და რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გუნდში უნდა მოხვედრილიყო.

თუ არა ტრავმამ, რამ შეიძლება ასე მომზადებულ ახალგაზრდას ხელი შეუშალოს და ბიძინამ, როგორც საქართველოს ნაკრების სრულუფლებიანმა წევრმა და თავის წონაში ლიდერმა, გაბედულად იასპარეზა, ბუნებრივი სასტარტო მღელვარება თავისუფლად დასძლია და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: საქართველო – 318 ქულა, მოსკოვი – 314 (ხედავთ, რა დაძაბული ბრძოლა ყოფილა!), ლენინგრადი – 305,5. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში მაზიაშვილის გარდა გამოდიოდნენ: ოთარ შინჯიკაშვილი, ტარიელ იაკობიშვილი, ავთანდილ ქველიძე, სულხან ბახტაძე, კაკო ნინიაშვილი, გურამ სიმონიშვილი და ქუჩუ ინასარიძე. ბიძინა მაზიაშვილისთვის ეს იყო პირველი დიდი წარმატება.

შეჯიბრების შემდეგ თბილისში რომ დაბრუნდა, უკვე ამათ აღარ გაუშვეს სოფელში, ერთადერთი ადგილი იყო „დინამოს“ სტადიონის საერთო საცხოვრებელში და იქ გაამწესეს.

შემდეგ მისაღები გამოცდები ჩააბარა ფიზკულტურის ინსტიტუტში, მწვრთნელის სპეციალობით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, დღედაღამ ვარჯიშობდა, შეჯიბრებებზე დადიოდა და მუდამ დაღლილი ბრუნდებოდა შინ, მისაღები გამოცდებისთვის ძალიან სერიოზულად მოემზადა და ყველა გამოცდაში მაღალი ნიშნები მიიღო. საერთოდ, მის ხასიათში არ იყო ზარმაცობა, საქმის ზერელედ გაკეთება. რა მიზანსაც დაისახავდა, ის ბრწყინვალედ უნდა შეესრულებინა. საკუთარი თავისადმი ხომ ასეთი მომთხოვნი იყო, ვერც თავის გვერდზე მყოფების ზერელობებს იტანდა და პირდაპირ, მოურიდებლად მიუთითებდა. მერე და მერე ვნახავთ, რომ ამ ხასიათმა ბევრი ფათერაკი შეამთხვია მას, მაგრამ რა ექნა, დიპლომატობა არ შეეძლო, სუფთა კაცი იყო, ალალი, მართალი!

ამ დროს ბიძინა შეყვარებული იყო და თავის სატრფოს მიუძღვნა ეს ბრწყინვალე და მისთვის ფრიად დასამახსოვრებელი გამარჯვება! 1954 წლის ბოლოს დაინიშნა, მომდევნო წლის იანვარში კი დაქორწინდა. მეუღლე ანაგაში ცხოვრობდა. ქალის მამიდა გათხოვილა ზემო მაჩხაანში, ბიძინას კარის მეზობლად და მომავალ მეუღლეს, მედიკოს, ბავშვობიდან იცნობდა. გოგონა მამიდასთან რომ ჩამოდიოდა ხოლმე, მაშინ

გაიცნო... და კიდეც დაადგეს ერთმანეთს თვალი, მერე და მერე კი სიყვარულიც გაჩნდა, ურთიერთპატივისცემაც და 26 წლის ბიძინამაც გადაწყვიტა ოჯახის შექმნა. სიყვარულშიც გამოუტყდა თავის მომავალ მეუღლეს და სულ მალე ახალგაზრდები შეუღლდნენ.

ქორწილი ზემო მაჩხაანში გაიმართა, ნიკოლოზ მაზიაშვილი, ბიძინას ბიძა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კარგი მჭერმეტყველი კაცი თამადობდა, დიდი სუფრა გაიშალა, მთელი სოფელი დაპატიჟეს, თბილისიდანაც ჩამოვიდნენ ბიძინას მეგობრები. ჩინებული თამადა, გადასარევი ღვინო, უხვი პურმარილი, უნიკალური ხალხური სიმღერები მშვენიერი მომღერლების შესრულებით, ლამაზი ცეკვა-თამაში, ულამაზესი ნეფე-დედოფალი – მეტი რა უნდა საქორწილო სუფრას! და სტუმარ-მასპინძელმაც კარგა გვარიანად მოილხინა! ლამაზი და დასამახსოვრებელი ქორწილი გამოვიდა. აბა, მაშინ სად იყო ან ვიდეო, ან კინოკამერა, ეს ძვირფასი სუფრა ფირზე რომ აღებეჭდა!

მაგრამ სპორტსმენი კაცისთვის განცხრომით ყოფნა მოსაბეზრებელიც იყო და ამიტომაც იგი ძალიან მალე შეუდგა ვარჯიშს და მომავალი შეჯიბრებებისთვის მზადებას. მაგალითად, უკვე იმავე წლის აპრილის ბოლოს თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა (იმ პერიოდში, 50-60-იან წლებში არ იკრძალებოდა მოჭიდავეთა სხვადასხვა სახეობაში ასპარეზობა. ამიტომ ბიძინაც მზად იყო ქართული და თავისუფალი სტილის ჭიდაობებისთვის და სამბოსთვისაც. ყველა ჭიდაობაში ხომ ქართულის ილეთები გამოიყენება, ქართული ჭიდაობა ხომ ყველა ჭიდაობის აკვანია). ქორწილიდან, ანუ იანვრიდან აპრილამდე ორი თვეა და მაზიაშვილმაც განაგრძო თავდაუზოგავი ვარჯიში, ახლა უკვე თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატისთვის, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა. იმ დროს ხომ ჩვენ ქვეყანაში მხოლოდ დედაქალაქში შეიძლებოდა სერიოზული ტურნირების გამართვა.

ბიძინას ახლაც დაუფასდა გარჯა – ამჯერადაც მოიპოვა შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება. ის კი არადა, ქვესაშუალო წონაში ყველა მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგა და სპეციალისტებისა და ჟურნალისტების მოწონებაც დაიმსახურა. გაგაცნობთ პატარა ამონარიდს 1955 წლის 27 აპრილის „ლელოში“ მიხეილ თიკანაძისა და ნოდარ გუგუშვილის წერილიდან: „...ქვესაშუალო წონაში გამოირჩეოდა ახალგაზრდა მაზიაშვილი, რომელმაც ადვილად აუღო ალღო მოწინააღმდეგეების სუსტ ადგილებს და სწორედ ამ მიმართულებით წარმართა ყველა ბრძოლა“.

ბიძინა მაზიაშვილის გარდა საქართველოს ჩემპიონები გახდნენ მირიან ცალქალამანიძე, შურა მაისურაძე, გურამ სიმონიშვილი, ნიკოლოზ მუზაშვილი, გურამ გობეჯიშვილი, ბათო თედეევი და ოთარ კანდელაკი.

ცოტათი წინ გავიჭრები და აქვე ვიტყვი, რომ 1959 წელს ბიძინამ კვლავ თავისუფალ ჭიდაობაში იასპარეზა – ახლა უკვე საკავშირო შეჯიბრებაში – ვილნიუსში გამართულ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში და იქაც პირველობა მოიპოვა. მას ძალიან უნდოდა, თავისუფალ ჭიდაობას გაჰყოლოდა, ჯერ ერთი, სამბოზე გაცილებით პრესტიჟული სახეობაა, და მეორეც, ეგებ უმთავრესიც – ოლიმპიური სახეობაა. სამბოს კი მხოლოდ სსრ კავშირში და სოციალისტურ ქვეყნებში თუ იჭიდავებდი.

მაგრამ (ოჰ, ეს მაგრამ), მაინცდამაინც მის წონაში გამოდიოდა ჩვენი ბეჭდაუდებელი ფალავანი ვახტანგ ბალავაძე, რომელმაც ჯერ საბჭოთა კავშირში მოიპოვა უძლიერესის სტატუსი (ზედიზედ ოთხჯერ – 1952-55 და მერე 1957 წელს მოიგო საბჭოთა ჩემპიონატები), თან ნახეთ, 1954-ში მოიპოვა ვახტანგმა პირველი მსოფლიოს ჩემპიონობა და კი არ ითაკილა სსრ კავშირის ჩემპიონატებში გამოსვლა, პირიქით, ხალისითაც გამოდიოდა და კარგადაც ივარჯიშა, იმდენად კარგად, რომ სამი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ჩამოიკიდა კისერზე მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი. მართალია, 1956 წელს, მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში არ გაუმართლა, მაგრამ საპრიზო ადგილზე ხომ გავიდა, ბრინჯაოს მედალი ხომ მოიხვეჭა! ისე, სხვათა შორის, ვახტანგ ბალავაძემ სამბოთი დაიწყო – 1951 წელს საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა, მომდევნო წელს კი ორმაგი ჩემპიონობა იზეიმა – თავისუფალშიც და სამბოშიც მოიგო სსრკ ჩემპიონატი.

ჰოდა, ბიძინამაც გადაწყვიტა, მხოლოდ სამბო ეჭიდავა.

იმ პერიოდში ქართველები, და შესაძლოა, სხვა რესპუბლიკების მოჭიდავეებიც, ინტენსიურად არ ვარჯიშობდნენ. მხოლოდ მოახლოებული შეჯიბრების წინ თუ მივიდოდნენ დარბაზში, თორემ დანარჩენ დროს საკუთარი საქმეებით იყვნენ დაკავებულნი და მით უფრო სასახელოა, რომ ამ ვითარებაშიც კი საქართველოს მოწინავე მოჭიდავეები მუდამ გამარჯვებულები გამოდიოდნენ რესპუბლიკის თუ საკავშირო ჩემპიონატებში. თუმცა, ბიძინა მაზიაშვილი აქაც გამორჩეული იყო სხვებისგან. აკი ვთქვით, ხალტურა, ზერელობა, ზარმაცობა მისგან ძალიან შორს იყო – წლების განმავლობაში ყოველ დღე, ინტენსიურად ვარჯიშობდა.

ერთი სიტყვით, საბჭოთა სპორტსმენები მუდამ თავის წვენში იხარშებოდნენ, საზღვარგარეთ ჩვენებს ნაკლებად უშვებდნენ და არც აქ ჩამოსვლით იკლავდნენ თავს უცხოელები. კიდევ კარგი, ოლიმპიური თამაშებისკენ რომ გაგვიხსნეს გზა და 1952 და 1956 წლების თამაშებში მიგვაღებინეს მონაწილეობა.

და აი, მოხდა სასწაული და 1957 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირში, კერძოდ მოსკოვში ჩამოვიდნენ უნგრეთის კლუბ „დოჟას“ ძიუდოისტები, რომლებიც ჯერ სსრკ-ს „დინამოს“, შემდეგ კი „ბურევესტნიკის“ სამბისტებს დაუპირისპირდნენ. ჩვენთან ძიუდო ჯერ არ იყო შემოსული და სტუმრებსაც მეტი რა ჩარა ჰქონდათ, დაგვითმეს და სამბო გვეჭიდავეს. ორივე მატჩი სსრკ-მ მშრალი ანგარიშით, 8:0 მოიგო. საკავშირო „დინამოს“ შემადგენლობაში ბიძინა მაზიაშვილი არ დააყენეს, თორემ ისე, მიწვეული იყო გუნდის შემადგენლობაში.

იმავე წლის დეკემბერში საპასუხო მეგობრული ვიზიტით საბჭოთა დინამოელები ეწვივნენ უნგრეთს და კვლავ „დოჟას“ კლუბის ძიუდოისტებს შეეჯიბრნენ. ახლა უკვე ჩვენებმა დაუთმეს მასპინძლებს და მათ ძიუდოს წესებით ეჭიდავეს, თავად კი კვლავ სამბოს ჩოხებში იჭიდავეს, რადგან ძიუდო არ იყო ჩვენში შემოსული და კიმონოებსაც, რა თქმა უნდა, არავინ შეკერავდა. ისევ „ლელოს“ დავესესხოთ (1957 წლის 24 დეკემბერი): „...სპორტული მარშის ხმაზე საჭიდაო სარბიელის ირგვლივ მწკრივდებიან მოწინააღმდეგე გუნდები. ჟღერს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ჰიმნები. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ვ. ფრაერი, ს. ივანოვი, გ. სიმონიშვილი, ა. ბოგოლიუბოვი, ბ. მაზიაშვილი, ი. ფედოტოვი, შ. დაუშვილი და ო. შინჯიკაშვილი.

პირველი შეხვედრიდანვე ცხადი გახდა, რომ უნგრელმა მოჭიდავეებმა კარგად გაითვალისწინეს მოსკოვის შეხვედრებში დაშვებული შეცდომები და ამასთან, კარგად გამოიყენეს ძიუდოს უპირატესობანი. საჭიდაო ხალიჩაზე თავიდან დაძაბული ბრძოლები წარიმართა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა სპორტსმენებმა პირველ ოთხ წონით კატეგორიაში ქულებით გამარჯვება „გამოგლიჯეს“ ხელიდან მოწინააღმდეგეებს, სარბიელზე გამოვიდა საქართველოს წარმომადგენელი ბ. მაზიაშვილი. მან აგრესიულ, შემტევ სტილში წარმართა შეხვედრა და უკვე

მესამე ილეთის შემდეგ მსაჯებმა შეწყვიტეს ბრძოლა საბჭოთა მოჭიდავის აშკარა უპირატესობის გამო...“

იმდენად დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ბიძინას ბრძოლამ და გამარჯვებამ, რომ 1958 წლის 30 იანვრის „ლელოში“ უფრო დაწვრილებითაა აღწერილი უნგრეთში გამართული ერთი ბრძოლა.

„გასული წლის ბოლოს ბუდაპეშტს ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ეწვია საბჭოთა კავშირის სამბისტთა გუნდი. ჩვენმა მოჭიდავეებმა ფრაერმა, ივანოვმა, სიმონიშვილმა, ბოგოლიუბოვმა, მაზიაშვილმა, ფედოტოვმა, დაუშვილმა და შინჯიკაშვილმა ძლიერად ჩაატარეს ყველა შეხვედრა და საპატიო გამარჯვება მოუტანეს თავის გუნდს.

ქვესაშუალო წონაში მასპინძლების სპორტულ ღირსებას იცავდა ფიზიკურად ძლიერი, გამოცდილი პრაცნერ კოლმანი. მისი მოწინააღმდეგე იყო ახალგაზრდა სპორტის ოსტატი ბ. მაზიაშვილი. ბრძოლამ მაყურებელთა ცხოველი ინტერესი გამოწვია. ორივე მოჭიდავე ენერგიულად, ძალების დაუზოგავად იბრძოდა.

... მე-7 წუთზე მაზიაშვილმა ჩაატარა ხერხი ფეხის ჩავლებით. უნგრელი წამით ჰაერში აღმოჩნდა და შემდეგ ბეჭებით შეეხო ხალიჩას. ყველაფერი ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ კოლმანი დიდხანს ვერ გამოერკვა. მას შეხვედრა უკვე წაგებული აქვს, მაგრამ დაბნეულობისგან ხელს არ უშვებს მეტოქეს.

შეხვედრა დამთავრდა. კოლმანის სურვილით გამარჯვებულმა და დამარცხებულმა ერთად გადაიღეს სურათი:

– ეს ფოტო მწარე, მაგრამ მაინც სასიამოვნო იქნება ჩემთვის. – განაცხადა უნგრელმა, როდესაც ფოტორეპორტიორმა გადასცა მას ეს სურათი“.

დიდად, სამწუხაროდ, ბუდაპეშტის ფოტოებს ვერ განახებთ. შეიძლება, არსებობდა კიდეც, მაგრამ ბიძინას ოჯახში მათ ვერ მოვაკვლიეთ. არც ფედერაციაში აღმოჩნდა ისინი. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია ჩვენი წერილის გმირის დიდოსტატობაში, ბეჭდაუდებლობაში დაგარწმუნოთ!

საბოლოოდ საბჭოთა სამბისტებმა კვლავ მშრალი ანგარიშით, 8:0 სძლიეს უნგრელ ძიუდოისტებს. მეორე შეხვედრაც იგივე ანგარიშით დასრულდა, ოღონდ ამჯერად მაზიაშვილმა ქულებით იმარჯვა თავის მეტოქეზე.

როგორც ვხედავთ, ბიძინა მაზიაშვილმა ორივე შეხვედრაში იმარჯვა, ხოლო მოსკოვშიც რომ ეჭიდავა დინამოელთა შემადგენლობაში, დარწმუნებული ვარ, სხვების დარად, მასაც სამიდან სამი მოგება ექნებოდა.

ამრიგად, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ბიძინა მაზიაშვილი თავის – ქვესაშუალო წონაში აშკარა ლიდერი იყო საკავშირო ნაკრებისა.

ამ ამხანაგურ მატჩებს მხოლოდ სპორტული მნიშვნელობა არა ჰქონია, მას პოლიტიკური სარჩულიც ედო. 1956 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ჯარებმა ხომ უნგრელთა აჯანყება სისხლში ჩაახშეს, რამაც სპორტზეც საგრძნობლად იმოქმედა. ეს ამბები ხომ მელბურნის ოლიმპიური თამაშების დროს მოხდა, რის გამოც ზოგიერთი უნგრელი სპორტსმენი შინ აღარ დაბრუნდა და სხვა ქვეყნებში იპოვა თავშესაფარი. დასავლეთის ქვეყნებმა ამ დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყნის ჩამოშორებაც მოინდომეს ოლიმპიური თამაშებიდან. აბა, რა ამ ქვეყნის ბრალი იყო საბჭოთა ტანკების გრიალი უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე!

ის კი არადა, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს კრიფში ლასლო პაპს იტალიის ვიზა არ მისცეს, რის გამოც ჩაიშალა დიდი ხნით ადრე დაგეგმილი მისი პირველი ბრძოლა პროფესიულ რინგზე იტალიელ კარლო მოლასთან. გარდა ამისა, სწორედაც რომ პოლიტიკური მოტივით ჩაიშალა ფეხბურთელთა რამდენიმე საერთაშორისო მატჩი, რომლებშიც უნგრელ ფეხბურთელებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კოლორადო-სპრინგში მოწყობილ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასვლა აუკრძალა უნგრეთისა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონებს, და-ძმა მარიანა და ლასლო ნადებს.

სწორედ ამ ამბების გამო იყო, საბჭოთა კავშირის სპორტულ კავშირს რომ დაევალა კონტაქტების გაფართოება უნგრეთის სპორტულ სამყაროსთან. სწორედ ამ პროგრამის ნაწილი იყო საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სამბისტ-ძიუდოისტთა ოთხი მატჩის გამართვა მოსკოვსა და ბუდაპეშტში.

საერთოდ კი, 1957 წელი შედარებით უიღბლო გამოდგა მაზიაშვილისთვის – საქართველოს სამბისტთა ჩემპიონატშიც ფინალისტი გახდა და თბილისში გამართულ სამბისტთა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატშიც, სამაგიეროდ მომდევნო წელს დაიბრუნა საქართველოს ჩემპიონობა. ისე, 1957-ში ნახევარფინალში წუთსა და 20 წამში სძლია თავის თანაგუნდელ მამაცაშვილს, თუმცა ფინალში ასე გულიანად ვეღარ იჭიდავა... მას სხვა ფიქრი აწუხებდა და ცოტა დარდიანიც იყო...

ისევ „ლელო“, კვლავ 1958 წელი, ოღონდ ამჯერად 2 მარტის ნომერი. ამირან ბარნოვის წერილი „დინამო“ პირველ ადგილზე“ საქართველოს სამბისტთა 1958 წლის პირად-გუნდური ჩემპიონატის შეჯამებაა. ამჯერად მხოლოდ მცირე ამონარიდს შემოგთავაზებთ: „... ქვესაშუალო წონის მოჭიდავეთა შეხვედრები სპორტის ოსტატ ბ. მაზიაშვილისა („დინამო“) და ბერიაშვილის („კოლმეურნე“) ბრძოლით დაიწყო. მაზიაშვილმა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო... შემდეგი შეხვედრები მაზიაშვილმა კვლავ დიდი მონდომებით და აღმავლობით ჩაატარა და ჩემპიონის სახელი მოიპოვა“. გუნდური ტურნირი „დინამომ“ (მწვრთნელი ქრისტეფორე ნინიაშვილი) 30 ქულით მოიგო და მხოლოდ ორი ქულით აჯობა „კოლმეურნეს“, რომელსაც ქრისტეფორე ნინიაშვილის ძმა ნიკოლოზი (აკაკი) წვრთნიდა.

გაგვიტაცა სპორტულმა მიმოხილვებმა და სულ დაგვიწყდა გვეთქვა, რომ 1957 წლის 9 მარტს ბიძინასა და მედიკოს პირველი დიდი სიხარული მოელინათ, ქალიშვილი შეეძინათ, რომელსაც მანანა დაარქვეს. აი, რა სადარდებელი ჰქონდა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ბიძინას – ერთი სული ჰქონდა თავის 7 თვის მანანუკა კისერზე შეესვა და ასე ეცეკვებინა, რაც ძალიან უყვარდა ბავშვს... ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ორი წლის შემდეგ, 1959 წლის 25 იანვარს მაზიაშვილების ოჯახს უკვე ბიჭი გაუჩნდათ – დავით მაზიაშვილი და ბიძინას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა! გოგო ხომ ბედნიერებაა, მაგრამ გვარის გამგრძელებელი მაინც სულ სხვაა – შენი ოჯახიდან მაზიაშვილების გვარი სულ ცოტა, ერთ თაობას კიდევ იარსებებს, ხოლო თუ ვაჟს ერთი ბიჭი მაინც შეეძინება, უკვე ორ თაობას, და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გასტანს შენი გვარი. ეს ხომ ყველა მამის ოცნებაა!

1959 წელს ბიძინამ თბილისის სამბისტთა ჩემპიონატში იასპარეზა და ჩემპიონობაც მოიპოვა, თან ორმაგად გახარებული იყო – მანაც გაიმარჯვა და მისმა „დინამომაც“, თუმცა ქვეყნის ჩემპიონატში ისევ მეორე იყო, ამჯერად „დამნაშავე“ მანანას უმცროსი ძმა, დათუნა იყო. გარდა იმისა, რომ დიდხანს იზეიმა ვაჟკაცის გაჩენა, უკვე დაფიქრდა კიდეც ჭიდაობის მინებებაზე, რადგან ოთხსულიან ოჯახს მარტო ჭიდაობით ვერ შეინახავდა... მაგრამ გული მაინც ერჩოდა და ერთ-ორ წელიწადს მაინც გამოვიდა ზოგიერთ ტურნირზე.

მაგალითად, 1961 წლის 15-16 აპრილს კასპში იასპარეზა – საქართველოს მე-40 საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სამბისტთა ტურნირზე, რომელიც საქა-

რთველოს ჩემპიონატს უდრიდა. და თუმცა უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა ჭიდაობისთვის თავის დანებება, ისეთ საუცხოო ფორმაში იყო, რომ სულ თამაშ-თამაშ მოიგო თავისთვის ეს ბოლო შეჯიბრებაც, რომელშიც გუნდური პირველი-მეორე ადგილები თბილისის გუნდებს დარჩათ, ხოლო მესამე კასპის ნაკრები იყო. და „დინამოში“ მწვრთნელად დაიწყო მუშაობა.

და მაინც, ერთხელ მაინც მოუწია საჭიდაო ჩოხის ჩაცმა, როცა მისი ერთი მძიმეწონოსანი შეგირდი ავად გახდა და შემცვლელი კი არ ჰყავდა. იჭიდავა და შავი დღეც აყარა მეტოქეს – კიდევ ერთხელ, უკვე 40 წლისამ მოიპოვა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა! და ეს ტურნირი სახუმარო არ გეგონოთ – ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს უდრიდა, რადგან ყველა უძლიერესი სამბისტი „დინამოს“ წევრი იყო.

ისევ „დინამო“, კვლავ „ლელო“ – 1963 წლის 31 ოქტომბერი. ამჯერად საგაზეთო წერილს თავად სპორტის ოსტატი ბიძინა მაზიაშვილი წერს, რომელმაც სათაურად „ათგზის ჩემპიონები“ დაარქვა. გთავაზობთ მცირე ამონარიდს:

„ამას წინათ ტალინში მოწყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივები. გუნდურ ჩათვლაში წარმატებას მიაღწიეს საქართველოს მოჭიდავეებმა, რომლებმაც მეათედ მოიპოვეს ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის ტიტული. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის, ხოლო მესამეზე ესტონეთის სპორტსმენთა კოლექტივი“.

პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ გოდერძი ნონიკაშვილი (ქვესაშუალო წონა), გ. თევზაძე (საშუალო წონა), შოთა ლომიძე (ქვემძიმე წონა; ავადმყოფობის მიუხედავად) და ანზორ კიკნაძე. მართალია, ქვემსუბუქ წონაში ვლადიმერ არსენიანმა წაუგებლად გაიარა მთელი ტურნირი, მაინც მესამე ადგილი ერგო (იმ დროს ასეთი იდიოტური სისტემა იყო – როგორც ჩანს, არსენიანს მეტი საჯარიმო ქულები დაუგროვდა – ავტ.). მეორე ადგილს კი ნ. ანთაძე დასჯერდა, რომელმაც ფინალი გ. თევზაძესთან დათმო.

დამეთანხმებით – ბრწყინვალე შედეგია – 8 წონით კატეგორიაში 4 ჩემპიონი და ორი პრიზიორი! მხოლოდ ორი მოჭიდავე დარჩა უმედლოდ! დაუკვირდით, ვლაპარაკობთ არა სამბოზე, არამედ თავისუფალ ჭიდაობაზე. ხომ გახსოვთ, ბიძინა მაზიაშვილი თავისუფალშიც გახდა საქართველოს და ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი. ამრიგად, საქმე გვაქვს უნიკალურ მოვლენაზე – ჩვენი წერილის გმირი უნივერსალური პიროვნებაა – თავისუფალი ჭიდაობა, სამბო, ქართული ჭიდაობა... ერთია, სპორტსმენობა, როცა რამდენიმე სახეობაში გამოდიხარ, რადგან ქართული ჭიდაობიდან მოდიხარ, ყველაფერი შედარებით იოლად გამოგდის, და გაცილებით ძნელი საქმეა მწვრთნელობა. რა თქმა უნდა, ამ ბიჭებს დინამოელთა მწვრთნელთა საბჭო ავარჯიშებდა, მაგრამ მათ შორის ბიძინაც ხომ იყო, რომელიც გააყოლეს კიდეც გუნდს, როგორც უფროსი მწვრთნელი.

მაგრამ ბიძინა მაზიაშვილს სხვა რამ უფრო აინტერესებდა. ისე მოეწონა უნგრელების ნაჭიდავები ძიუდო, რომ გადაწყვიტა, რაც შეიძლებოდა კარგად შეესწავლა იაპონელთა ეროვნული ჭიდაობა, რომ მერე სხვებისთვისაც ესწავლებინა და თანდათანობით საქართველოში დაენერგა ეს სახეობა. მაგრამ არ გინდა, იაპონური ტექსტების გარჩევა! მე შენ გეტყვი, იმ დროს ინტერნეტი იყო თუ რა? ჩაკეტილ ქვეყანაში ვცხოვრობდით და უბრალო ადამიანს რომ სდომოდა საბჭოთა კავშირის გარდა სხვა ქვეყნების დათვალიერებაც, მხოლოდ სოცქვეყნებში – ბულგარეთში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თუ მოხვდებოდა, ისიც, აუცილებლად უნდა გაევლო ინსტრუქტორების, ანუ „კგბ“-ს დეტალური ახსნა-განმარტებები, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო უცხოეთში, თუნდაც სოცქვეყნებში, რომ საბჭოთა კავშირის სახელი არ შეერცხვინა!

ბიძინამ უცებ მონახა იაპონურის მცოდნე და ძლივს ნაშოვნი ძიუდოს წესები ათარგმნინა. მაგრამ ერთიც იყო – ქართული ჭიდაობის ხერხებიც არ უნდა დავიწყებინა და ქართული და იაპონური ჭიდაობები უნდა შეეზავებინა. არ იყო ეს ძნელი საქმე, თუ ძიუდოს კარგად შეისწავლიდი.

როდესაც მაზიაშვილმა ჩოხა საბოლოოდ გაიხადა და მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი, პირველ ყოვლისა, ფიზკულტურის ინსტიტუტში სამბოს სპეციალიზაცია გახსნა, მერე კი ძიუდოს სპეციალიზაცია და იქ მოაწყო მაგარ-მაგარი ბიჭები, რომლებიც თვითონ იპოვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

უღალატო კაცი იყო, კაცის და საქმის ერთგული. თუ საჭირო იყო, ოჯახსაც მოაკლებდა ყურადღებას, დროს, ფულს, საქმეს კი – არასოდეს არაფერს. მისი მთავარი საქმე ქართული ძიუდო იყო და მისთვის არაფერი ენანებოდა. ქალაქელებმა ჭიდაობა არ იციანო, ასე სჯეროდა. ცოდნაში სიყვარულსა და თავგანწირვას გულისხმობდა. ამიტომ მთელ საქართველოში კუთხე-კუნჭული არ დარჩენილა, ბატონ ბიძინას რომ არ დაეთვალიერებინა, სკოლებში ფიზკულტურის მასწავლებლები ჰყავდა გაფრთხილებული, თუ შეატყობთ, რომ ბავშვი ჭიდაობით დაინტერესდა, ან სათანადო მონაცემები აქვს, მაშინვე მაცნობეთ, დეპეშა გამომიგზავნეთ და იმ დღესვე ჩამოვალო. თვითონაც ეძებდა, მხოლოდ მასწავლებლების იმედზე კი არ იყო, ბავშვების ძიძგილაობას აკვირდებოდა, თუ ვინმე თვალში მოუვიდოდა, იქვე, სკოლის ეზოში დააჭიდებდა. თუ მოეწონებოდა, ოჯახში მიაყვანინებდა თავს, მშობლებს დაელაპარაკებოდა, კარგი მოჭიდავე თუ ვერ დადგა, კაცად მაინც გავზრდი, ჩემთან ვაცხოვრებ, მისი კბილა ქალ-ვაჟი მყავს და როგორც იმათ არ მოვაკლებ არაფერს, ისე თქვენ შვილსაც. ვისაც იპოვიდა, თბილისში მოჰყავდა და წვრთნასთან ერთად, მისი ყველა ყოფითი პრობლემის მოგვარებასაც თვითონ ითავსებდა: სახლი, სწავლა, სამსახური, ურთიერთობები, ყველაფერი მისი საზრუნავი იყო. ამას ისეთი ხალისითა და პასუხისმგებლობით აკეთებდა, როგორც მოსიყვარულე მრავალშვილიანი მამა. როცა შეკრებაზე წასული ერთი თვის თავზე შინ დაბრუნდებოდა და მათ ყოველდღიურ ამბებს დაწვრილებით მიამბობდა. „ჩემი გაზრდილია!“ – ამის თქმაც ძალიან ეამაყებოდა. გაზრდილები ასობით იყვნენ. ამიტომ არსად არაფერი უჭირდა, თავისი ამაგი და სიკეთე ყველგან წინ ხვდებოდა.

ჩამოიყვანდა ამ ბიჭებს თბილისში, თავის ბინაში ჩაწერდა და ვინც ვერ დაეტეოდა მის ერთი ბეწო სახლში, ანუ, შინაურულად თუ ვიტყვით, სსრკ-ის ცეკას გენერალური მდივნის, ნიკიტა ხრუშჩოვის ხათრით, ამერიკის პრეზიდენტს რომ ფეხსაცმელი დაუბრახუნა მაგიდაზე, „ხრუშჩოვკაში“, რომელიც მას სწორედ ხრუშჩოვის დროინდელმა აქაურმა მთავრობამ გადასცა, „დინამოს“ საბჭოში აწევრიანებდა და ამ საზოგადოების საერთო საცხოვრებელში ათავსებდა. ცოვ ნიავს არ აკარებდა ბიჭებს. გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ტოტალური ფინანსური პრობლემები იყო, მათ შორის, სპორტის დეპარტამენტშიც, სპორტულ შეკრებებს თავისი ხარჯით და ახლობლების დახმარებით აწყობდა. ჩავიდოდა კახეთში, მიადგებოდა ნათესავს, მეგობარს, კარგ ნაცნობს, ჩაუწყობდნენ, სურსათ-სანოვაგეს, პროდუქტებს, იმდენს, მადაზე მყოფ მოჭიდავეებს ერთი თვე რომ ეყოფოდა. ავიდოდა ბაზალეთის სპორტულ ბაზაზე, იქ კარგი ხალხი მუშაობს, ბევრს არ გადაგვახდევინებენო და იწყებოდა მისთვის ყველაზე

საყვარელი საქმე – შეკრება. და არა მარტო შეკრებებზე. კარგად ნავარჯიშებ ბიჭებს ფაფები და ერთი ბეწო კატლეტ-პიურე ეყოფოდათ! დიდ ქვაბში ხორცს ჩაყრიდა და ხაშლამას მოუხარშავდა ბიჭებს. უკვე წამოზრდილ-მოღონიერებულ ვაჟკაცებს თითო ჭიქა ლუდსაც, ხანდახან ღვინოსაც კი დაალევინებდა.

ჩამოვთვალო მისი ნაპოვნი ვაჟკაცები? კი ბატონო, ოღონდ მხოლოდ უძლიერესებს, საუკეთესოებს დავასახელებ: გენადი გიორგაძე, მალხაზ ბერუაშვილი (ორივე – სამბო), ანზორ მარტყოფლიშვილი, ჯიბილო ნიჟარაძე, გივი ონაშვილი, რამაზ ხარშილაძე, ფარნაოზ ჩიკვილაძე, გურამ გოგოლაური, ამირან მუზაევი (ყველა – ძიუდო). ორი ხელის თითებიც ვერ შეავსო ამ ჩამონათვალმა. არადა, ასი და მეტი ახალგაზრდა აქცია კაცად, სიტყვა-პასუხი ასწავლა, ინსტიტუტებში, სამსახურებში მოაწყო. ნათელ-მირონობით დაინათესავა.

ბატონი ბიძინას ქელეხში ზღვა ხალხს თამადამ მიმართა: „ბიძინა მაზიაშვილის გაზრდილები, პატივისცემის ნიშნად, მის სულს ფეხზე წამოვუდგეთო“. მთელი დარბაზი ფეხზე იდგა, აქა-იქ თითო-ოროლა ჭირისუფალიღა იჯდა გაუნძრევლად და წამომდგარ გოლიათებს შორის აღარც ჩანდნენ.

სხვათა შორის, ამ ბიჭებიდან ერთმა, და საერთო რაოდენობის მოწაფეებიდან რამდენიმემ შემდგომში „ძალიან ოვაჟკაცა“ და ნერვებიც დააწყვიტა თავის უერთგულეს მასწავლებელსა და მწვრთნელს, რომელმაც გვერდში ამოიყენა და დიდ გზაზე დააყენა...

ანზორ მარტყოფლიშვილი ბიძინამ თავისი სოფლიდან, ზემო მაჩხაანიდან ჩამოიყვანა, გივი ონაშვილი პატარძეულიდან „მოიტაცა“.

დიდ ჯიხაიშში ხშირად იმართებოდა ქართული ჭიდაობა და უმეტესად ბიძინა მაზიაშვილი იყო ამ შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

საერთოდ, ტექნიკუმის დირექტორი, ბატონი პალიკო მიქაძე ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა ფიზკულტურასა და სპორტს, როგორც ახალგაზრდების ჰარმონიულად განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ წყაროს. ამდენად, ტექნიკუმში სპორტის რამდენიმე სახეობა იყო განვითარებული. და აი, ჭიდაობის მეორე დღეს ფრენბურთელთა ტურნირი მოეწყო, სადაც მოჭიდავეებიც მიიწვიეს. და ბიძინა მაზიაშვილმა, ფრენბურთის თამაშს რომ უყურებდა, ერთ ჭაბუკს დაადგა თვალი. იგი აღმოჩნდა ჯიბილო ნიჟარაძე, რომელიც დიდი ჯიხაიშის ტენიკუმში სწავლობდა.

დავითაშვილების ოჯახი ბიძინა მაზიაშვილს ოჯახის მწვრთნელს უწოდებს. სამივე ძმა მან ახმეტიდან ჩამოიყვანა და სხვადასხვა ინსტიტუტში მოაწყო. ერთ-ერთი ძმა, ალექსანდრე, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა.

გიორგი რევაზიშვილიც ბიძინას ნაპოვნია. სხვათა შორის, ლევან თედიაშვილიც მაზიაშვილმა ჩამოიყვანა საგარეჯოდან და ძიუდოს წრეში ჩარიცხა, მაგრამ მერე ლევანი თავისუფალ ჭიდაობაში გაექცა, თუმცა, ერთხელ, როცა სამბისტებს მის წონაში კაცი დააკლდათ, მას სთხოვეს ჭიდაობა. ასე გახდა თედიაშვილი სამბოშიც მსოფლიოს ჩემპიონი.

აი, მაგალითად, სპორტის დამსახურებული ოსტატი ანზორ კიკნაძე (93 კგ) 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისა და 1967 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, ევროპის ოთხგზის აბსოლუტური ჩემპიონია (1962, 1964, 1965, 1966), ასევე ევროპის ოთხგზის ჩემპიონია გუნდურ შეჯიბრებებშიც (1963-66), საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონია სამბოში (1961-65), საქართველოს ხუთგზის აბსოლუტური ფალავანია ქართულ ჭიდაობაში (1959-62, 1964 წლები).

როგორც ხედავთ, ანზორმაც ქართული ჭიდაობიდან დაიწყო და ოლიმპიურ წელსაც კი მოირგო ქართული ჭიდაობის ჩოხა და მეხუთედ მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონობა. ალბათ, იმისაც მიაქციეთ ყურადღება, რომ კიკნაძემ სამბოთი დაიწყო თავისი კარიერა. 1961 წელს ძიუდო ჯერ არ იყო საქართველოში ფესვგამდგარი, არც შეჯიბრებები იმართებოდა და მანაც სამბო იჭიდავა და გახდა ჩემპიონი. და მერეც, როცა საბოლოოდ ძიუდოისტად ჩამოყალიბდა, სამბოს მწვრთნელებსაც ვერ გაუტეხა ხათრი და კიდევ ოთხჯერ მოიგო საკავშირო პირველობა.

ფარნაოზ ჩიკვილაძეს დიდი კარიერა არა ჰქონია, არადა, მასზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ, ისიც, როგორც ანზორ კიკნაძე, ავტოავარიაში დაიღუპა. მაგრამ თუ ანზორს საჭიდაო კარიერა დამთავრებული ჰქონდა, ფარნაოზი სულ 25 წლისა იყო. და მან მაინც მოასწრო თავის დამკვიდრება საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

ანზორ კიკნაძის მსგავსად ისიც ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორია 80 კგ წონით კატეგორიაში, ევროპის 1965 წლის ჩემპიონია, გუნდურ შეჯიბრებაში კი ოლიმპიურ წელს მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. იგი ორჯერ იყო იმავე ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1964-65). ჩიკვილაძე 1966 წელს, ოენისში დაიღუპა, მაგრამ მაინც მოასწრო სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების მოპოვება. და ეს მაშინ, როცა (განსაკუთრებით იმ დროს და უფრო ადრე), საბჭოთა სპორტის მესვეურები ძალიან ძუნწად არიგებდნენ ტიტულებს. მისმა ასე უდროო გარდაცვალებამ ძალიან დაამწუხრა თავისი გაზრდელი და მწვრთნელი, ბიძინა მაზიაშვილი. ბავშვობის შემდეგ პირველად მაშინ აუცრემლდა თვალი ამაგდარ ადამიანს, როცა იგი ჯერ კიდევ არ ყოფილა ასე პოპულარული პიროვნება.

ანზორ ქიბროწაშვილი ამ რამდენიმე წლის წინ ამაღლდა ცაში, დიდებული პიროვნება და ჩინებული სპეციალისტი. მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებაც მიღებული აქვს, საქართველოსა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელიც იყო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯიც.

ანზორი 93 კგ კატეგორიაში ასპარეზობდა და 1965 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტია, ევროპის ორგზის ჩემპიონია პირად ტურნირში (1962, 1965) და ოთხგზის გუნდურ შეჯიბრებაში (1962-63, 1966-67), სამგზის მეორე (1963, 1967, 1969), მესამე (1966) პრიზიორია. სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონია სამბოში (1966, 1969).

ხედავთ, ქიბროწაშვილსაც სამბოში უჭიდავია. და ეს უფრო იმიტომაც ხდებოდა, რომ 1972 წლამდე ძიუდო და სამბო ერთ ფედერაციაში იყვნენ გაერთიანებული, მერეღა გაიყარნენ, 1972-ში.

ბიძინა მაზიაშვილი შინ და გარეთ საქმეს ეძებდა. არც თვითონ დაისვენებდა და არც სხვას მოასვენებდა. „შენ დასაქმების ბიუროს უფროსად ვინ დაგნიშნა?“, ბრაზობდა ხოლმე მისი მეუღლე. „მუშაობით მკვდარი არავინ მინახავს, უსაქმობით გაფუქსავატებული, რამდენიც გინდაო“, უპასუხებდა. ზარმაცებს ვერ იტანდა და ცდილობდა, თავის გარშემო ასეთი არავინ გაეჩერებინა.

ერთხელ თბილისის საავიაციო ქარხნის დირექტორისთვის მიუკითხავს, დიდი სათხოვარი მაქვსო. დირექტორმა, რომელსაც ახლოს იცნობდა, იხუმრა, თვითმფრინავის აწყობა ხომ არ უნდა მთხოვოო?! „ორი პატარა თოხის პირი უნდა გამომიჭედო, შვილიშვილებისთვის მინდა. მთელი საბჭოთა კავშირი შემოვიარე და საბავშვო თოხები ვერსად ვიშოვე. ტარები არ მინდა, მაგას კახეთშიც გამომითლიანო“, უთქვამს ბატონ ბიძინას. მერე კახეთში ჩასული სადაც წავიდოდა, ბაღჩაში, ვენახში თუ შირაქში, ყველგან თან დაჰყავდა ბიჭები საავიაციო ქარხანაში გამოჭედილი თოხებით. იქაურები სიცილით იხოცებოდნენ, ბიჭო, მაგ ქალაქელ ბალღებს რას აწვალებ, თოხი რაში გამოადგებათო. „ათი წლის მერე მკითხეთ, რაში

გამოადგათო და გიპასუხებთ“, – ათ წელს კიდევ ათი მიემატა, კიდევ ცოტა მეტი... დღეს ბიჭებმა ზუსტად იციან, რათ „აწვალებდა“ ბალღებს პაპა და როგორ გამოადგათ მისი გაკვეთილები.

ბატონი ბიძინას მეორე დიდი სიყვარული მშობლიურ სოფელში ყოფნა და მიწაზე მუშაობა იყო. სადაც უნდა წასულიყო, მსოფლიოს რომელ კუთხეში, ყოველთვის უკან, მაჩხაანში ბრუნდებოდა და ყველაზე ბედნიერი იქ იყო. რომ გარდაიცვალა, ფუნქციონერებს თბილისში დაკრძალვა მოუფიქრებიათ, არადა, ყველაზე დიდი პანთეონი თავისი სოფლის საგვარეულო სასაფლაოა. „ეგეთები ვართ, ყველა მაზიაშვილი ბოლოს აქ ბრუნდებაო“, იტყოდა ხოლმე და არც თუ უმიზეზოდ. მაზიაშვილებს მთელ საქართველოში ეძებდა. ყველა ჩემი სისხლი და ხორციაო. გაიცნობდა, დაინათესავებდა, ჰქონდა ერთი მისვლა-მოსვლა და მერე შვილები ვეღარ არჩევდნენ, ვინ ალალი ბიძაშვილი იყო და ვინ, გვიან ნაპოვნი.

ერთ-ერთი ასეთი, დარბაზში „ნაპოვნი“ ქართველი ორესტი გორდელაძე იყო. იგი პირველი თაობის ემიგრანტის ოჯახში თურქეთში დაიბადა. მერე საფრანგეთში დამკვიდრდა, პარიზში ცხოვრობდა საქართველოსა და ქართველებზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი. როცა გაიგებდა, ევროპის რომელსამე ქალაქში სპორტული შეჯიბრება იმართება და ქართველებიც მონაწილეობენო, მაშინვე იმ ქალაქში გაჩნდებოდა და არც ერთ მათ გამოსვლას არ გამოტოვებდა. უფრო ხშირად ძიუდოისტებთან უხდებოდა მისვლა, რადგან, როგორც წესი, მაშინდელი საბჭოთა კავშირის ნაკრები ქართველებით იყო დაკომპლექტებული. ბიძინაც ერთ-ერთი ასეთი ჩასვლის დროს გაიცნო. დამეგობრდნენ. 1975 წელს, როცა საქართველოში პირველად ჩამოვიდა, ბიძინამ შინ დაპატიჟა, პატარა, მოცუცქნულ ბინაში.

ორესტი გურული კი იყო, მაგრამ გუდის ყველზე გიჟდებოდა. ბიძინაც თავს ვალდებულად თვლიდა, მეგობრისთვის ეს სიამოვნება არ მოეკლო. ევროპაში წასვლის წინ, სოფელ ალვანში საგანგებოდ დაამზადებინებდა ხოლმე გუდის ყველის მოზრდილ თავს, იმოდენას, ერთი კაცი რომ ვერ ატარებდა. ყველს თვალის ჩინივით უნდა გაფრთხილებოდა, რომ არ დაშლილიყო. ამიტომ ყოველთვის თვითმფრინავის სალონში აჰქონდა. იქამდე მიტანაში თავისი ბიჭები ეხმარებოდნენ და მთელი გუნდისთვის ევროპაში გუდის ყველის ჩატანა ერთგვარ პატრიოტულ რიტუალად იქცა. ერთხელაც, როგორც ჩანს, ნახელავი ხარისხიანი არ გამოუვიდათ ალვანელებს და პარიზისკენ მიმავალი თვითმფრინავის სალონში ისეთი სუნი დადგა, სტიუარდესებმა მიზეზის გარკვევა დაიწყეს. ბიძინა არ იმჩნევდა, ოჯდა სერიოზული სახით, ვითომ ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა. საკარძლებში თაეჩარგული ძიუდოისტები კი ტყუილად ცდილობდნენ სიცილის შეკავებას, როცა ხედავდნენ, შეშფოთებული ბორტგამცილებლები აქეთ-იქით როგორ დარბოდნენ და ყველა ფუთას საგულდაგულოდ როგორ ყნოსავდნენ. ბევრი წვალების შემდეგ, გახარებული სტიუარდესა, აქაოდა, მიზეზს მივხვდიო, ქართველებს მიადგა და გამოაცხადა: „товарищи грузини, это вы вониаете!“ – ეს თქვენ აგდით საშინელი სუნიო.

ეს რა გვაკადრე ქართველებსო, ახლა ბიძინამ შეიცხადა და ისევ სერიოზული სახით, რუს სტიუარდესას „დაემუქრა“, უკან რომ დაებრუნდებით, ეროვნული ღირსების შეურაცხყოფისთვის ცენტრალურ კომიტეტში გიჩივლებთო. მერე თვითმფრინავის დაფრენამდე მთელი გუნდი ფერწასულ გოგოს აწყნარებდა, ვიხუმრეთ, სად უნდა გიჩივლოთ, ჩვენი მწვრთნელი კახელია და მძიმე, მძიმე ხუმრობები უყვარსო. შეშინებულმა სტიუარდესამ, ბუნებრივია, ვერც კახელობისა გაიგო რამე და ვერც სუნიანი ყველისა, მაგრამ იმას კი მიხვდა, არ მატყუებენ, ალბათ, საქართველოში ასეთი უცნაური იუმორი აქვთო.

ძიუდოს ფუძემდებლებმა, იაპონელებმა, 1988 წლის სეულის ოლიმპიურ თამაშებზე განცდილი სრული კრახის შემდეგ, ამომავალ ქვეყანაში ქართული ჭიდაობის შესასწავლად ორი თვით ბიძინა მაზიაშვილი მიიწვიეს?! დასხდნენ იაპონელები, ითათბირეს, შეისწავლეს სხვადასხვა ქვეყანაში ძიუდოს განვითარების საქმე და სტაბილურად ყველაზე მაღალი შედეგები ვისაც ჰქონდა, მას მიმართეს. ბიძინამ კი უპასუხა, ეს შედეგები ჩვენი ძირძველი ქართული ჭიდაობის მადლით მოდისო. არიქა, გვიშველე, გვასწავლე ეს ქართული ჭიდაობა, ჩაგვაწვდინე მის საიდუმლოებებში და რა გინდა, შენი ხმალი და ჩვენი კისერიო!

საქართველოში თუ მაზიაშვილებს ეძებდა, საქართველოდან გასული – ქართველებს და მიაჩნდა, რომ უცხო ქვეყნებშიც საკუთარ სისხლსა და ხორცს დაეძებდა... მიუხედავად იმისა, რომ გუნდს, როგორც წესი, საბჭოთა კაგებე-ს წარმომადგენელი თან მიჰყვებოდა და ყველა მათგანს აკონტროლებდა. ახლობლების გაფრთხილებებს ასე პასუხობდა: „კაგებე რომ დაგვყვება, თან ოცი წელია, იმიტომაც იციან ზუსტად, ვინ რისი გამკეთებელია. რა უნდა მითხრან? დარბაზში მოსულ ქართველს თუ დაველაპარაკები, ჩემს ქვეყანაზე კარგის მეტს რას ვეტყვიო“. ამ ოპტიმისტურ გამოსვლას ხშირად მეუღლის რეპლიკა მოსდევდა: „ძალიან კახურად კი გამოგდის. რასაც უნდათ, იმას გეტყვიან, ვინ დაუშლით, მაგრამ მგონი, მართლა კარგად გიცნობენ, იციან, მაჩხაანს იქით წამსვლელი რომ არა ხარო“.

ბიძინა მაზიაშვილს ძიუდოს მერე, ისე არაფერი უხაროდა, როგორც ზემო მაჩხაანში, თავის სოფელში ასვლა. თავისი ბავშვობის მეგობრების ნახვა – ტოტას, ბაიდოს, პაწას – და მათთან პურის გატეხვა არაფერი ერჩივნა. დროთა განმავლობაში აკლდებოდათ მეგობრები, ერთმანეთსაც კარგავდნენ და ახლა სულ მარადჟამს ერთად იქნებიან.

ბიძინა მაზიაშვილი გადაყოლილი იყო თავის შეგირდებზე – მათი გულისთვის ვისთან, რომელ თანამდებობის პირთან არ შევიდოდა და არ მოუყვებოდა მათ გასაჭირს, რაც არა ერთხელ და ორჯერ მომხდარა. და მანამ არ მოისვენებდა, სანამ ამა თუ იმ პრობლემას არ მოუხსნიდა თავის მოწაფეებს.

რამდენჯერმე შევსწრებივარ ბატონი ბიძინას შეკრებას ბაზალეთში თუ ბაკურიანში. ეს იყო მისი სტიქია! კარგი დირიჟორი ხომ გინახავთ, თავისი ორკესტრი რომ ჰყავს ხელში აყვანილი და ერთი ყალბი ნოტიც რომ არ გამოვა ორკესტრიდან! აი, ასე ჰყავდა აყვანილი თავისი ბიჭები. თუმცა სიმკაცრით და ყვირილით კი არ დაუყენებია საქმე! როგორ

გეკადრებათ! სიყვარულით, სითბოთი ექცეოდა თავის ლომებს. გაეხუმრებოდა კიდეც, ანეკდოტებსაც მოხსნიდა გუდას. თავის დროზე საუზმე, სამხარი, სადილი, ვახშამი, დასვენება, ძილი, და, რა თქმა უნდა, ვარჯიში – ძუნძული, რომელიც სირბილში გადაიზრდებოდა, ტრენაჟორები, სამძიმეების აწევა და ამ სიმძიმეებით ძუნძული, ბურთით ვარჯიში, ცრუმოძრაობები... ერთი სიტყვით, ყველა ის ვარჯიში, რაც მოჭიდავეებს, კერძოდ, ძიუდოისტებს სჭირდებათ.

არ დაგავიწყდეთ, რომ ბიძინა მაზიაშვილმა ყამირზე დაიწყო მუშაობა, არანაირი კურსები არ გაუვლია – აკი ვთქვით, ვიღაცას ათარგმნინა წიგნი, მერე გვარიანად დაამუშავა, ქართული ჭიდაობის ილეთები დაუმატა, რომლებიც კარგად ესადაგებოდა ძიუდოს წესებს. ინსტიტუტშიც ბევრი სტუდენტი გამოდგა ძიუდოს შესწავლის მსურველი, გარდა ამისა, ჯერ თბილისში, მერე კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ძიუდოს ათობით ჯგუფი ჩამოაყალიბა. ძიუდომ ფეხი მოიკიდა ახმეტაში, გორში, კასპში, ქარელში, მესტიაში, ლენტეხში, ქუთაისში, საგარეჯოში, დუშეთსა და გარდაბანში. ამდენ ჯგუფს სულ ცოტა ამდენივე მწვრთნელი სჭირდებოდა. მაზიაშვილმაც სრულყოფილად შეასწავლა მწვრთნელთა ფაკულტეტს ძიუდოს წესები, უშურველად გადასცა ქართულად კუსტალურად ნათარგმნი იაპონური ჭიდაობის წესების კრებული და მთელ საქართველოში მუშაობა მთელი ტემპით გაჩაღდა. გარდა ამისა, ბატონი ბიძინა პირველი იყო ქართველი მწვრთნელებიდან, რომელმაც მეცნიერებს, ფსიქოლოგებს მიმართა და მათი თითოეული რჩევა გაითვალისწინა.

ნეტა, ჩვენ ეროვნულ ჭიდაობასაც გამოსჩენოდა ბატონ ბიძინასნაირი გულშემატკივრები, როგორც ძიუდოს გამოაჩნდა.

ბიძინა მაზიაშვილი ოცი წლის მანძილზე საქართველოს ძიუდოისტთა თავკაცი იყო – ნამდვილი მწვრთნელ-სელექციონერი. ოცი წლის განმავლობაში ქართულმა ძიუდომ არნახული მწვერვალები დაიპყრო, საქვეყნოდ გაითქვა სახელი ჩვენშიც, უცხოეთშიც. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ოთხ ოლიმპიადაში ქართველ ძიუდოისტებს რვა ყველა სინჯის მედალი აქვთ მიღებული. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში ძიუდო პირველად 1975 წელს შეიტანეს. რესპუბლიკის ნაკრები, რომელსაც სათავეში ბიძინა ედგა, ამ პირველი, დამფუძნებელი ტურნირის ჩემპიონია. ერთი წლით ადრე ანალოგიურ წარმატებას ახალგაზრდულმა გუნდმა მიაღწია, მთავარი მწვრთნელის დამსახურება და ღვაწლი აქაც დიდი იყო. ბიძინა მაზიაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებს (მოზრდილებშიც და ახალგაზრდებშიც) საკავშირო თასის პირველი გათამაშება აქვს მოგებული.

ყველგან – პირველი, ყველგან გამარჯვება და... ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ამ კაცის ხალისი და ენერგია გაოცებს. ხშირად უთქვამს: თუ გინდა საქმე გააკეთო, არც თავი უნდა დაზოგო და არც სხვა მოასვენოო. თავი რომ არ დაუზოგავთ ბიძინას და მის მსგავს ენთუზიასტებს, იმიტომაცაა ჩვენში ძიუდო ასე დაფასებული.

თავი არ დაზოგა, სხვაც ბევრჯერ შეაწუხა და კიდევ ერთ სანუკვარ მიზანს მიაღწია. 1965 წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის მსგავსად სამბოსა და ძიუდოს სპეციალიზაციაც რომ გაიხსნა, მისი დიდი დამსახურებაა. ათი წელი ინსტიტუტში მასწავლებლად მუშაობდა და სპეციალური კურსიც მიჰყავდა, ამ ახალმა სპეციალობებმა ინსტიტუტის კედლებში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოიზიდა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ორ გვარს დავასახელებთ – ლევან თედიაშვილს და გენადი გიორგაძეს.

რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ძიუდოს სპეციალიზებული სასახლის გახსნა. ბიძინა მაზიაშვილი ამ იდეის ავტორიც გახლდათ და მისი ხორცშესხმის მთავარი ორგანიზატორიც. სათქმელად თითქოს იოლია, ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი სპორტული ნაგებობა შეემატაო, მაგრამ რა რთული იყო იყო ამ საქმის ბოლომდე მიყვანა? რა ნერვებისა და ენერგიის ფასად დაჯდა ეს მშენებლობა?..

თბილისში და კახეთში თუ ბიძინა და მისი ლომები იცავდნენ ძიუდოს პრინციპებს, გორში, ქართლში არანაკლებ დიდი კაცი და პედაგოგი, ბატონი გურამ პაპიტაშვილი წვრთნიდა იქაურ ლომებს. და რა ბედნიერებაა, რომ ორივენი – ბიძინაცა და გურამიც დიდსულოვნები გამოდგნენ, ანუ ერთმანეთში ქიშპობა კი არ დაუწყიათ, პირიქით, ერთმანეთს ედგნენ მხარში და ერთად ხარობდნენ ერთმანეთის ლომების გამარჯვებებს.

უნგრელებთან მატჩის ორი წლის თავზე სსრ კავშირის ნაკრები გდრ-ის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) გუნდს შეხვდა ამხანაგურ შეხვედრაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ანზორ კიკნაძე, დურმიშხან ბერუაშვილი და ოთარ შინჯიკაშვილი. ქართველმა სპორტსმენებმა ყველა ბრძოლა მოიგეს. სპეციალისტებმა კიდევ ერთხელ მიაქციეს ყურადღება ქართული ჭიდაობისა და ძიუდოს ილეთების მსგავსებას.

ძიუდოთი ცოცხლობდა და ცხოვრობდა, ადამიანებთან ურთიერთობა კი აბედნიერებდა და საქმეზე მორჩენილი დრო მხოლოდ მათთვის ემეტებოდა. ამიტომაც ააშენა სოფლის სახლში „ძმობის მარანი“, ფაქტიურად, ქიზიყის ეთნოგრაფიული მუზეუმი. არც ერთი შაბათი და კვირა არ გაუცდენია, რომ ამ მარანში ვინმე გამორჩეული სტუმარი, ან სტუმრები არ ჰყოლოდა. ბატონი ბიძინას ქალიშვილი, ჩემი მეგობარი მანანა იხსენებს: „ერთ წელიწადს, ოქტომბერი იქნებოდა, რთველი გვქონდა. მამას წყალობით, ეს დღეც ტრადიციული რიტუალი იყო ჩვენს ოჯახში – – ვინც სად უნდა ყოფილიყო, ყველა მაჩხაანში ჩამოდიოდა და როგორც წესი, უახლოესი მეგობრებიც თან ჩამოჰყავდა. ასე რომ, გვარიანად ბევრნი ვქუჩდებოდით ხოლმე. იმ დღესაც ვენახიდან რომ ამოვედით, ყურძენი დავაბინავეთ, დავწურეთ და ლხინიც დაიწყო. ეზოს ჭიშკარს არასოდეს ვკეტავდით, რადგან აზრი არ ჰქონდა, მაინც სულ ვიღაც მიდი-მოდიოდა. ის იყო, ქეიფი გახურდა და ვხედავთ, ეზოში დიდი, შინდისფერი „იკარუსი“ შემოვიდა, უცხოელი ტურისტებით სავსე. ავტობუსიდან ჯერ მაშინდელი კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი ჩამოვიდა და მოგვიბოდიშა, ჩვენი სტუმრები არიან, დედოფლისწყაროში მივდივართ და ძალიან გვთხოვეს, ვინმეს ოჯახში მისვლა და აქაური ყოფის გაცნობა. გზაში ვისაც ვკითხეთ, ყველამ ბიძინა მაზიაშვილთან მოგვასწავლა, უკეთესთან ვისთან მიხვალთო და ჩვენც ასე უნებართვოდ მოგადექითო. სამოცი კაცი მაინც იქნებოდა. ზოგი მარანში ქვევრებს შემოუსხდა, ზოგს არყის

სახდელი ფაცხა მოეწონა, ზოგსაც – მაყალი და სამწვადე, ნაწილსაც აივანზე გავუშალეთ სუფრა და ალაზნის ველის ყურებით ტკბებოდნენ. დედოფლისწყარო აღარავის გახსენებია. დილამდე გაგრძელდა ლხინი. სტუმრები ბევრნი იყვნენ, მამა ერთი იყო, მაგრამ ყველასთან ახერხებდა მისვლას, ურთიერთობას, გამხიარულებას და ზეიმის მოწყობას, თან ისე, დარწმუნებული ვარ, იმ უცხო ადამიანებსაც არასოდეს დაავიწყდებოდათ ის დღე“.

ახლა, რა ხდებოდა იმ „ძმობის მარანში“. რომ შეხვალთ, თვალწინ გადაგეშლებათ მთელი საქართველო შუა საუკუნეებიდან დღემდე. აქ მასპინძელს ჭერში ჩამოუკიდია XII-XIII საუკუნეებისა და შემდგომი პერიოდის უღელი, ტაბიკი, გუთანი, ჯარა, გოგროხა, კაჩო, გოდორი, ტიკჭორა, აკვანი...

„მთელი ცხოვრება გადაყოლილი ვიყავი სვანებზე, – მეგზურობას გვიწევს ბატონი ბიძინა, – ჰოდა, მოვაწყობდი თუ არა ინსტიტუტში, დიმიტრიჩ, ყანწი უნდა ჩამოგიტანოო, მეტყოდნენ და მართლაც ჩამოჰქონდათ“.

53 წყვილი ყანწი დაუგროვდა. სად წაეღო? პირამიდის პრინციპით რკინა დადგა, რომელსაც ოთხივე მხარეს, ძირიდან, კაუჭები აქვს და მათზეა აჩონჩხლილი ეს ყანწები. ამ რკინას ექვსსართლიანი შანდალი აქვს წამოცმული. არაჩვეულებრივი სილამაზეა, სანთლები რომ დაინთება.

„ძმობის მარნის“ მარჯვენა შეწეულ კუთხეში მამაპაპური ღრმა ბუხარი გიზგიზებს, შუაში სამი დიდი კასრია ერთმანეთს მიბჯენილი, ისინი მაგიდების მაგივრობას სწევენ, გარშემო ტაბლის 25 უზურგო სკამია შემოწყობილი, ესე იგი, სუფრა 25 კაცზეა გათვალისწინებული.

თითოეულ კედელს თავისი დანიშნულება აქვს – ერთ მხარეს სპორტული მედალ-სიგელებია გამოფენილი, რომლებსაც ფოტოები უმშვენებთ გვერდს; აგერ, მადლიერების გრძნობით იაპონელებს გამოუგზავნიათ ფოტო, რომელზეც იაპონიის ძიუდოს მთელი ელიტაა აღბეჭდილი; ბატონ ბიძინას დუშეთში ანზორ კიკნაძის, ფარნაოზ ჩიკვილაძისა და დურმიშხან ბერუაშვილის დიდი ფოტოები აუტანია და იქაურ ქალებს ფოტოების ზომის სურათები მოუქსოვიათ, ეს ნაჭრის ფოტოებიც იქვეა დაკიდებული.

„ანდროპოვის დროს, არყი ქვაბები რო წაართვეს ხალხსა, ჩემ ეზოში გავაკეთე ნამდვილი კახური ზავოტი – განაგრძობს ბატონი ბიძინა, – რასა შვრები, კაცო, გაილანძღებიო, შემომიჩნდნენ ჩემები. ფეხებსაც ვერ მამჭამენ-მეთქი!“.

ახალი აშენებული იყო ეს მარანი და მაზიაშვილებს სტუმრები ეწვივნენ – რაიონის მილიციის უფროსი ელგუჯა ჯანყარაშვილი და მისი მეგობარი ინდიკო ბენაშვილი („გაანათლოს იმათი სული ღმერთმა“ – ბიძინა მაზიაშვილი), ჰოდა, ამ ბენაშვილს შეურქმევია – შენ ეგეთი კაცი ხარ, ამ მარანს „ძმობის მარანი“ უნდა შაარქვაო...

ვის არ უქეიფია ამ „ძმობის მარანში“, შინაურს თუ გარეულს?! მათ შორის, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ იაპონელი ძიუდოისტები, რომლებმაც ბიძინამ ქართული ჭიდაობა შეასწავლა და მათ ისე დაიმეგობრეს ქართველი მწვრთნელი, რომ თავისთან კიდევ ხომ მიიწვიეს, ერთი სული ჰქონდათ საქართველოში ყოფნისას, „ძმობის მარანში“ ექეიფათ!

სახლის წინ ბატონ ბიძინას კარგა მოზრდილ ფართობში, რომელიც ბრეზენტით იყო გადახურული და საზაფხულო საპურისჭამო ადგილად ჰქონდა გამიზნული, მაგიდები იყო გაწყობილი. ჩვენი შესანიშნავი მსახიობი, ჯემალ მონიავა გვახლავს და მასპინძელს ჰკითხა, რამდენი კვადრატული იქნებაო. აბა, ბიძინა რას უპასუხებდა, როგორ გგონიათ? კვადრატებ რა თავში ვიხლი, ის კი ვიცი, ასორმოცდაათი კაცი ხალვათად ეტევაო.

ბიძინა მაზიაშვილს ძალიან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა უცხოური სასტუმროების პატრონებთან. ლამის უცხოეთის ყველა სასტუმროდან არის გამოძევებული. „კაცო, ველარ გამიგია, მოჭიდავეები მიმყავ თუ ბალერინები, იმათი საჭმელი ეყოფათ ამ ლომებს! ჰოდა, ყველა ქვეყანაში ჯერ ბაზარში შევდივარ, ხორცს, მწვანილსა და დიდ ქვაბს ვყიდულობ და აბა ხაშლამა სად მოვხარო, თუ არა სასტუმროს ნომერში“. და კახური ხაშლამის სუნით მთელი უცხოეთის სასტუმროებია გაჯერებული. ისე, მართლაც რა ქნას ძიუდოისტების პაპამ, როცა მის ლომებს სენდვიჩები ვერ ანაყრებთ!

წლეულს, 9 მაისს, 92 წელი შეუსრულდებოდა საქართველოში სამბოს, ძიუდოს, ქართული ჭიდაობის ერთ-ერთ პიონერს ბიძინა მაზიაშვილს! მან სულ 76 წელი იცოცხლა – მაკანმა და მაკანმა სიცოცხლე გაუმწარეს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორთა აღმზრდელი მხოლოდ ერთხელ გაუშვეს ოლიმპიურ თამაშებზე. პირში მთქმელი, უპატიოსნესი კაცი იყო და ამიტომაც გაუმწარეს სიცოცხლე. ნათელში იყავი, ჩემო ბატონო ბიძინა, ჩემო დიდო მეგობარო...

დალი ბალაშვილი

სადაურსა სად წაიყვან...

ჩვენი რაიონის საამაყო შვილების – თამარ და ფარნაოზ ლაპიაშვილების შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა. თამარი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი იყო, მისი ბიძაშვილი ფარნაოზი კი – საქართველოს სახალხო მხატვარი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. თუმცა, დღეს მკითხველს გვინდა გავაცნოთ ლაპიაშვილების შტოს კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენლის, თამარის მამის, ვასილ ლაპიაშვილის ცხოვრების ზოგიერთი უცნობი დეტალი.

ლაპიაშვილების წინაპრები ქიზიყში საინგილოდან გადმოსულან და სოფელ მირზაანში დასახლებულან. მამულის წინაშე დამსახურებისთვის XVII საუკუნეში ერეკლე მეფის

ვასილ ლაპიაშვილი

მიერ მათ აზნაურის ტიტული ებოძათ.

ვასოს მამას, მალხაზ ლაპიაშვილს, იმ დროინდელ წარჩინებულ და შეძლებულ აზნაურს, სამი ვაჟი ჰყავდა: ნიკო, ვასო (თამარის მამა) და გიორგი, იგივე გიგო (ფარნაოზის მამა).

უმცროსი ვაჟი – გიგო, ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილის გამო დახვრიტეს. არსებობს ვარაუდი, რომ წერილი, რომელიც მას აღმოუჩინეს, წაკითხულიც არ ჰქონდა, რადგან „ჩეკისტებს“ დაუკავებიათ ის ბიჭი, რომელსაც მასთან წერილი მიჰქონდა, შემდეგ შეუშვიათ ეს ბავშვი მასთან, თვითონაც უკან მიჰყოლიან და დაუჭერიათ. იგი ე.წ. რევოლუციური „სამეულის“ ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე სასამართლოს გარეშე დახვრიტეს.

რაც შეეხება მალხაზის უფროს ვაჟს – ნიკოს, მას იმ დროისთვის სათავადაზნაურო ბანკის მმართველის თანამდებობა ეკავა. რევოლუციის დროს სოციალ-დემოკრატებმა ბანკის გატეხვა შესთავაზეს, რაზედაც უარი მიიღეს. ერთ დღეს, ვახშმის შემდეგ, ნასვამი შესვეს სხვის ცხენზე, შინ მიმავალს კი გზაში ესროლეს და დაჭრეს. თავის ცხენზე რომ მჯდარიყო, ცხენი სახლში მიიყვანდა და უშველიდნენ, რადგან ჭრილობა სასიკვდილო არ იყო, მაგრამ უცხო ცხენმა მთელი ღამე ატარა და სისხლისგან დაიცალა.

ცოცხალი მხოლოდ საშუალო ძმა – ვასო გადარჩა და ფაქტობრივად 12 ბავშვის – 3 ნიკოს, 4 – გიგოს და 5 თავისი შვილის მზრუნველობაც მას აუღია თავის თავზე. სწორედ მათ გამო იტანდა იგი ხელისუფლებისგან ზეწოლას. რომ გაქცეულიყო, ამდენ ბავშვს ვინ მიხედავდა?!

ვასოს ოჯახი მატერიალურად ძლიერი ყოფილა. საკმაოდ მდიდარ გლეხად ითვლებოდა, მისდევდა მესაქონლეობას, მაგრამ საქართველოს „გასაბჭოების“ შემდეგ ფარაც, ორ სართულიანი სახლიც სოფელ მირზაანში ჩამოართვეს, ყველაფერი გაუყიდეს და ცარიელი კედლებიღა დაუბრუნეს.

ცნობისათვის: ვასო და ნიკო ფიროსმანი კარის მეზობლები ყოფილან, ერთი ღობე ჰყოფდათ თურმე. ვასომ თავიდან მოაწყო სახლი და საცხოვრებლად ისევ ვარგისი გახადა. მერე ისევ ჩამოართვეს... ბოლოს, თბილისში იყიდა რამდენიმე სახლი და საცხოვრებლად იქ გადავიდა. მისი დატოვებული სახლებიდან მხოლოდ ერთიღაა შემორჩენილი – გოგოლის ქუჩაზე, სადაც ვასოს ძმის – გიგოს ოჯახი ცხოვრობს.

ვასილ ლაპიაშვილი საბჭოთა მეურნეობაში დასაქმდა. მუშაობდა ზოოტექნიკოსად. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ხირსის საბჭოთა მეურნეობა. საზეიმო გახსნაზე ლავრენტი ბერიაც ჩამოსულა. ვასოს დაუნახავს, როგორ ჩამოდიოდა ვაგონიდან და მისი მოკვლა განუზრახავს. ხელი ჯიბისკენ წაუღია (მაუზერი მუდამ ჯიბეში ჰქონდა). ბერიას შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი მოძრაობა და უკან შებრუნებულა. თუმცაღა, კარგად დაუმახსოვრებია მისი სახე. მზვერავისთვის 20 დავალება მიუცია, ერთ-ერთი ვასოს მოკვლაც ყოფილა. მკვლელი ჩასაფრებია კიდეც, მაგრამ ბოლო მომენტში გადაუფიქრებია. უთქვამს – 19 დავალება შეეასრულე და ამ ერთის შეუსრულებლობას ბერია მაპატიებსო. რადგან ტყვიას გადაურჩა, განიზრახეს მისი დაჭერა. ერთ დღეს მეურნეობაში კაცი მისულა და უწყება ჩაუბარებია, – „ჩეკაში“ გიბარებენო. ვასოს მწყემსებისათვის ხელფასი ჰქონია დასარიგებელი და უთქვამს – ფულს დავარიგებ და მოვალო. რაღაც თანხა ამ კაცისათვისაც უჩუქებია. სანაცვლოდ მას გულახდილად უთქვამს – კარგ საქმეზე არ გიბარებენო. ვასომ საქართველოს დატოვება განიზრახა. თურქეთის საზღვრამდე იგი მწყემსმა მიიყვანა. ვასომ მწყემსს გარკვეული რაოდენობის ოქრო აჩუქა, უკან გამოაბრუნა და თავისი ცხენიც გამოატანა, რომ არ ეთქვათ, – მეურნეობის ქონება საზღვარგარეთ გაიტანაო.

თურქეთში ვასოს მეგობრები ჰყავდა და მათი იმედი ჰქონდა, მაგრამ თურქეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით, თურქეთის მთავრობა ვალდებული იყო, ის დაეჭირათ და რუსეთისთვის გადაეცათ. მეგობრების რჩევით ვასო ირანში გადავიდა (ფიქრობდნენ, იქ უფრო უსაფრთხოდ იქნებოდა). გარკვეული სიმდიდრე მან იქაც დააგროვა, კარგად იცოდა აღმოსავლური ენებიც. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საშუალება ჰქონდა უმდიდრესი ადამიანი გამხდარიყო (მაგალითად, ავსტრალიაში წასულიყო, სადაც მეცხვარეობა კარგად იყო განვითარებული და წარმატებისთვის მიეღწია), ირანიდან არსად წასულა – ერჩივნა საქართველოსთან ახლოს ყოფილიყო. თუმცა, ხიფათს ვერც იქ გადაურჩა. ირანელებმა დაიჭირეს, კომუნისტობა დააბრალეს და დახვრეტა მიუსაჯეს. აქაც ფულმა უშველა, ქამარში ჰქონდა ჩაკერებული, მოიხსნა და მკვლელებს გადაუგდო. ასე გადაურჩა სიკვდილს.

სიბერეში ვასო ირანში, საბჭოთა კავშირის საელჩოში, მებაღის დამხმარედ მუშაობდა. ელჩთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ის ეუბნებოდა თურმე – აქ დარჩი, საქართველოში რა გინდა, იქ ვის ახსოვხარო? – ვასოს თავისი

მამა-შვილი, ვასილ და თამარ ლაპიაშვილები

ქალიშვილის, თამარის გაგზავნილი სურათი უჩვენებია, სადაც მთელი ოჯახი ყოფილა გადაღებული, – აი ამდენი ადამიანი მელოდებაო.

თამარი ბავრს ცდილობდა მამის ჩამოყვანის უფლება მიეღო. მოხუცებულიც იხვეწებოდა საქართველოში დამაბრუნეთო.

მანამდე საინტერესო ამბავი მოხდა – მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943 წელს თეირანის კომფერენციაზე ოპერიდან საკონცერტო ბრიგადა წავიდა. თამარი, როგორც ცნობილი სოლოსტი, სიაში იყო ჩაწერილი, მაგრამ, როდესაც გაიგეს, რომ მამა ირანში ჰყავდა, სიიდან ამოიღეს.

1954 წელს თამარმა პირველი წერილი გაგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც ითხოვდა მამის რეაბილიტაციას. პასუხი დამცინავი იყო-ერთი წლის შემდეგ მოგვმართეთო. თამარი აგრძელებდა წერილების წერას. ასე გრძელდებოდა 1960 წლამდე. ბოლოს მან სამ მისამართზე გაგზავნა განცხადება – სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ორგანიზაციაში „საერთაშორისო კომიტეტი სამშობლოში დაბრუნებისათვის“. ეს კომიტეტი ბერლინში იყო განთავსებული. ერთ კვირაში მოვიდა პასუხი მოთხოვნით – გამოგზავნეთ ცნობები საცხოვრებელი ადგილის ფართისა და იმის შესახებ, რომ ვასო ლაპიაშვილი მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნებოდა. ცნობები გაიგზავნა და კვლავ პასუხი – ვ.ლაპიაშვილი ამ დღეებში სამშობლოში დაბრუნდება და დახვდითო. ეს იყო 1960 წლის 17 მარტი. დახვდნენ შვილები და შვილიშვილები ნავთლუხის სადგურზე. ვასო 30 წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, საკმაოდ მოხუცებული. დაბრუნებულს პასპორტი მანამდე არ მისცეს, სანამ მთელი დოკუმენტები არქივს არ ჩააბარა. ჩამოსვლიდან წელიწად ნახევრის შემდეგ გარდაიცვალა. მას დარჩა 4 ქალიშვილი: ეკატერინე, თამარი (ოპერის სოლისტი), ელენე, მარიკა და ერთი ვაჟი – ნიკო. ნიკო საკმაოდ ცნობილი არქიტექტორი გახლდათ ე.წ. „ბორჯომის ვაგზალი“ მისი დაპროექტებულია და ამის გამო სახელმწიფო პრემიაც კი მიიღო.

აქვე გარკვეულ ინფორმაციას მოგაწვდით ვასილის ქალიშვილზე ცნობილ საოპერო მომღერალზე – თამარ ლაპიაშვილზე და მის ძმისშვილზე,სახალხო მხატვარ – ფარნაოზ ლაპიაშვილზე.

თამარ ლაპიაშვილის სახელი სამუდამოდ დამკვიდრდა თბილისის საოპერო თეატრის ისტორიაში. იგი დაიბადა 1914 წელს, სოფელ მირზაანში. 1931 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორ ბახუტაშვილ-შულიგინას კლასში. სტუდენტობის პერიოდშივე მიიჰყრო მუსიკალური საზოგადოების ყურადღება. თამარით დაინტერესდნენ კომპოზიტორები ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი, რომლებიც მისთვის ნაწარმოებებს წერდნენ. მან მონაწილეობა მიიღო ოპერაში „ფიგაროს ქორწინება“, 1936 წელს იმღერა ეთერის პარტია ა. წუწუნავას მიერ დადგმულ სპექტაკლში „აბესალომ და ეთერი“. მისით იმდენად მოიხიბლა დირიჟორი ევგენი მიქელაძე, რომ ოპერის თეატრში სოლისტად მიიწვია. თამარს წამყვანი პარტიები აქვს შესრულებული ოპერებში „დაისი“, „ლატავრა“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „პატარა კახი“, „ამბავი ტარიელისა“, „კაკო ყაჩაღი“.

აღსანიშნავია, რომ სცენური მოღვაწეობის მანძილზე თამარმა ორიათასჯერ იმღერა ეთერის და მაროს პარტიები, გასვენების დღესაც მან დაამღერა „მაროს ტირილი“ ზაქარია ფალიაშვილს.

თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე 30 წლის მანძილზე ჟღერდა თამარის „წკრიალა ხმა“ – როგორც ეს ერთხელ აღნიშნა ი. სტალინმა ქ. სოჭში ტრიუმფალური გასტროლების დროს მისი მოსმენისას.

თამარ ლაპიაშვილი კონცერტებით გამოდიოდა დიდი სამამულო ომის დროს სამხედრო ნაწილებში, ჰოსპიტალებსა და მესაზღვრეებთან. დაჯილდოებულია ქების სიგელებით, მედლებით, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

რაც შეეხება საქართველოს სახალხო მხატვარს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ **ფარნაოზ ლაპიაშვილს** იგი 1917 წელს 9 მაისს კახეთში, სოფელ მირზაანში დაიბადა. მამა – გიორგი ლაპიაშვილი იმ დროს წარჩინებული და შეძლებული აზნაური (ლაპიაშვილების წინაპრებს მამულის წინაშე დამსახურებისათვის XVII საუკუნეში ერეკლე მეფის მიერ აზნაურის ტიტული ებოძათ), ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მეგობრობის გამო ოციანი წლების კახეთში განხორციელებულ სადამსჯელო ოპერაციებს შეეწირა. 1922 წელს გიგო (გიორგი) ჯერ დააპატიმრეს, მოგვიანებით – დახვრიტეს ე.წ. „სამეულის“ ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე.

1922 წელს ლაპიაშვილების განკულაკებული ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. მირზაანში დიდი მამული ჩამოართვეს და ოთხი შვილის ამარა დარჩენილმა ოლღა ნარინდოშვილმა გოგოლის ქუჩაზე, ერთ პატარა ოთახში დაიდო ბინა. მას მარტოს ოთხი ბიჭის – მალხაზის, ფარნაოზის, თაზოსა და გოგის მოვლა-პატრონობა მოუწია. მათ ოჯახს ხშირად ჩხრეკდნენ და სახლიდან ყველაფერი გაჰქონდათ. მხოლოდ რამოდენიმე ნივთი შემორჩათ და ერთ-ერთი იყო გიორგის ნაქონი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი დამბაჩა, რომელსაც ოლღა ჩვილის გახვევის დროს საფენებში მალავდა. ერთხელ, როცა ფილიპე მახარაძე რეპრესირებულთა ოჯახებს ათვალიერებდა, ნახა, როგორ ხატავდა ოთხი წლის ფარნაოზი იატაკზე კურტნის მუშას. ფილიპეს აღუნიშნავს ბავშვის ნიჭი და ფარნა სამხატვრო სასწავლებელში გაამწესეს. როგორც ჩანს, ფარნაოზი უკვე იმ ასაკში ინტენსიურად ხატავდა. ფილიპე მახარაძის დახმარებით ოლღა სკოლის სასადილოში მოქწყო და ოთხ შვილს იქ გამომუშავებული თანხით არჩენდა. ოლღა აღარ გათხოვილა. 1923 წ. ფარნაოზმა თბილისში წარჩინებით დაამთავრა სკოლა და მე-4 პედაგოგიური ტექნიკუმი, მოგვიანებით, 1941 წ. თბილისის სამხატვრო აკადემია (ფერწერის ფაკულტეტი). ომისა და გაჭირვების წლებში მას ძალიან დაეხმარა ლადო გუდიაშვილი. მისი ხელშეწყობით ფარნაოზი ჯარში არ წაიყვანეს, ის ბატიკაზე მუშაობდა და ალბათ ეს ნივთები იყიდებოდა.

იგი ბავშვობიდან მეგობრობდა იოსებ სუმბათაშვილთან. ისინი სამხატვრო აკადემიაშიც ერთად სწავლობდნენ და თე-

ატრში ერთად მუშაობდნენ. ჯერ გორის თეატრში „უნიადაგონი“ გააფორმეს, შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში – „ჟამთაბერის ასული“, სადაც ისინი შალვა ღამბაშიძემ მიიწვია. ასევე ერთად მუშაობდნენ ვახტანგ ტაბლიაშვილთან. სწორედ ვახტანგმა მიიწვია ფარნაოზი თავის ფილმში „ქეთო და კოტე“. ფილმის ტიტრებში ფარნაოზი კოსტუმების მხატვრად წერია, თუმცა მან ფილმის ინტერიერისა და ექსტერიერის ესკიზებიც შექმნა. მან კინოში მუშაობა ამ ფილმით დაიწყო და შემდეგ ამას კიდევ ხუთი ფილმი მოჰყვა. ის „მაგდანას ლურჯაზეც“ მუშაობდა, მაგრამ ტიტრებში არ არის დაფიქსირებული. იმ პერიოდში ფარნა დაკავებული იყო ძალიან და თავად მიიყვანა ფილმზე სამუშაოდ ახალგაზრდა მხატვრები კახი ხუციშვილი და გივი გიგაური. ფარნაოზი, ასე ვთქვათ, მათ მუშაობას კურირებდა. როდესაც ფილმის პერსონაჟი, რომელსაც აკაკი კვანტალიანი ასახიერებს, სასამართლოში ამბობს, – მიტუა ვარ, ლაპიაშვილიო, ეს გვარი ფარნაოზ ლაპიაშვილის გამო ახსენეს.

ფარნაოზ ლაპიაშვილი საკმაოდ გვიან, 38 წლის დაოჯახდა, მეუღლე ეთერ სიჭინავა გახლდათ. ფარნაოზი ბრწყინვალე მხატვარი იყო.

ესკიზები და კოსტიუმების უმეტესი ნაწილი ფარნაოზ ლაპიაშვილის სახელოსნოში ინახება. ნაწილი თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმშია თავმოყრილი.

იგი პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. თბილისის სამხატვრო აკადემიაში მან თეატრალურ-დეკორაციული სახელოსნო დაარსა.

ფარნაოზ ლაპიაშვილი 77 წლის ასაკში, 1994 წელს გარდაიცვალა. მას ფილტვის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. გარდაცვალების წინა დღეს არ ეძინა, ლაპარაკობდა და „ხედავდა“ გარდაცვლილ მეგობრებს, დედამისიც მოელანდა და თქვა „დედა, ნანა მიმღერეო“, მეორე დღეს კი გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ნანა ჭიჭინაძე

გიორგი შენგელაია

1960-1963 წლებში ელდარ შენგელაია იღებდა ქართულ მხატვრულ ფილმს „თეთრი ქარავანი“. ამ ფილმის გადაღება წითელწყაროში (დღევანდელი დედოფლისწყარო) მიმდინარეობდა. ელდერ შენგელაია და მისი პირველი მეუღლე არიანდა შენგელაია ჩვენი კარის მეზობლად ცხოვრობდნენ. მე მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი და თანაკლასებელს გატაცებით ვუყვებოდი მათ შესახებ. არიანდა ძალიან კარგად კერავდა და ლამაზი კაბა შემიკერა. მიხაროდა, რომ დედას საკერავი მანქანის გამო ხშირად მოდიოდა ჩვენს სახლში და როცა გადაღება არ ჰქონდა, ელდარის მოსვლამდე ჩვენთან იყო.

ელდარს ძალიან ხშირად სტუმრობდა მისი უმცროსი ძმა გიორგი შენგელაია, რომელსაც მაყურებელი უკვე იცნობდა ქართული მხატვრული ფილმებიდან: რეზო ჩხეიძის ფილმში „ჩვენი ეზო“ დათოს როლი შეასრულა, მიხეილ ჭიაურელის მიერ გადაღებულ ფილმში „ოთარაანთ ქვრივი“ — გიორგი და „რაც გინახავს ვეღარ ნახავში“ კი — გოგია.

გიორგი შენგელაია და ჩემი ერთადერთი და ლამარა ასაკით ტოლები იყვნენ; გიორგის უყვარდა ლამარას გამოცხობილი ხორცის და კარტოფილის ღვეზელები. არიანდა წინასწარ გვაფრთხილებდა გიორგის ჩამოსვლის შესახებ. ჩემი ოჯახის წევრები დედა, მამა, ჩემი ერთადერთი და და მეც უღრმეს პატივს ვცემდით ძმებს, რომლებსაც ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. მათი მშობლები ძალიან ახალგაზრდები დაიღუპნენ და ძმური სიყვარული უძლიერესი გრძნობა იყო მათში.

ელდერ შენგელაიას ფილმში მონაწილე მსახიობები: იმედა კახიანი, დოდო აბაშიძე, სპარტაკ ბაღაშვილი და სხვები ვარაზი ექიმის ოთახში იკრიბებოდნენ და კარტს თამაშობდნენ. ვარაზი ექიმი მდგმურად ცხოვრობდა იმავე სახლში, სადაც ელდარ შენგელაია და არიანდა იყვნენ; ეს სახლი ეკუთვნოდა მოხუც რუს ქალბატონს პოლიას, რომელიც ყოველთვის აქირავებდა ოთახებს. ვარაზი ექიმი ყველაზე „სტაჟიანი“ მდგმური იყო. როცა პოლიამ ბინის გაყიდვა გადაწყვიტა, მამას უთხრა, შენ ვინც გინდა მეზობლად იმას მივყიდი ბინასო. მამამ თავის დის შვილს აყიდვინა ეს ბინა და თხოვა, ელდარ შენგელაია ფილმს იღებს და ამ ბინაში იცხოვროს, სანამ ფილმის გადაღება დასრულდებაო, რადგან ჩემს შვილებს ლამარას და ნანას ძალიან უყვართ ხელოვანები, მწერლები, პოეტები, მსახიობებიო. მართლაც საოცარ მოგონებად დაგვრჩა მე და ჩემს დას მათთან მეზობლური ურთიერთობა.

ერთხელ, ელდერ შენგელაიას ვუთხარი, სკოლის დირექტორს, ნასყიდა ალადაშვილს, ვთხოვ თქვენი გადამღები ჯგუფის სკოლაში მიწვევას მეთქი და გავაფრთხილე იმედა კახიანი, სპარტაკ ბაღაშვილი და დოდო აბაშიძე რომ აუცილებლად ყოფილიყვნენ ამ შეხვედრაზე.

წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის დირექციამ სკოლის სააქტო დარბაზში მართლაც შთამბეჭდავი შეხვედრა მოუწყო „თეთრი ქარავანის“ გადამღებ ჯგუფს. მაღალი კლასის მოსწავლეებიც ვესწრებოდით პედაგოგებთან ერთად. ამ შეხვედრაზე მოსწავლეები ხანგრძლივი აპლოდისმენტებით შეხვდნენ გამოჩენილი კინომსახიობის ნატო ვაჩნაძის და და

კინო რეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას სიყრმის შვილს ელდერ შენგელაიას, ცნობილ მსახიობებს სპარტაკ ბაღაშვილს, დოდო აბაშიძეს, იმედა კახიანს და სხვებს.

აქვე არ შემიძლია არ გავიხსენო 1984 წლის 5 ივნისი. ამ პერიოდში თბილისში 45 დღიან ცეკას კურსებზე ვიყავი, როგორც პარტორგანიზაციის მდივანი. მე ჯგუფხელი ვიყავი. ერთი ლექცია დათმობილი ჰქონდა გამოჩენილ ადამიანთან შეხვედრას. კურსის ხელმძღვანელმა მე დამავალა, რომ ვინმე ცნობილი პიროვნება მომეწვია. ელდერ შენგელაიას მოვიწვევ მეთქი შევთავაზე. ელდარი ძალიან დაკავებულია და ვერ მოვაო. მე რომ ვთხოვ აუცილებლად მოვა, რადგან მას ძალიან ახლოს ვიცნობ მეთქი. მართალაც ბატონმა ელდარმა არ გამაწბილა 5 ივნისს მოვიდა ცეკას კურსებზე და ძალიან საინტერესო ლექცია ჩაგვიტარა. გაიხსენა სკოლის წლები და მოგვიყვა სკოლაში ძალიან ცუდად ვსწავლობდიო, ერთერთ მეოთხედში სულ ორები მყავდა, მხოლოდ რუსული ენის მასწავლებელს დაეწერა სამიანიო, მე რომ დერეფანში შევხვდი იმ მასწავლებელს, ვუთხარი: პატივცემულო მასწავლებელო, ნიშნები რატომ გამიფუჭეთ მეთქი? იგი შეცბა და მითხრა — ახლავე ოთხიანად გადაგიკეთებო. პირიქით მეთქი, ვუთხარი, სულ ორიანები მყავს და თქვენი ერთი სამიანი ორიანად გადამიკეთეთ. ამის გამო დედას არ უყვარდა სკოლაში კრებაზე მოსვლა. შემდეგ მოსკოვის კინომატოგრაფიის ინსტიტუტში ჩავაბარე. იქ კი ძალიან კარგად ვსწავლობდიო და კიდევ ბევრი სახალისო ამბები მოგვიყვა. ასევე, გაიხსენა წითელწყაროში გადაღებული ფილმის „თეთრი ქარავანის“ შემოქმედებითი ჯგუფის შეხვედრა ჩვენს სკოლაში.

ჩემი თაოსნობით 7 ივნისს სასტუმრო „ევერიის“ საბანკეტო დარბაზში კურსების დასრულების აღსანიშნავად გავმართეთ ბანკეტი. 40 ლარი სტიპენდია მოგვცეს. მე კურსელებს ვუთხარი ამ თანხით თითოეულმა ჩვენგანმა სახლიდან რამე ჩამოვიტანოთ და ბანკეტზე კურსის ხელმძღვანელობა დავპატიჟოთ მეთქი. ასიდან ოცდათექვსმეტმა გამოთქვა სურვილი. პედაგოგების ჩათვლით სულ ორმოცდაათი ვიყავით. ჩემმა მეუღლემ — მურთაზ პოპიაშვილმა, ორი შემწვარი გოჭი ჩამომიტანა. კურსელებმა გაიცნეს და თხოვეს რომ ბანკეტზე დარჩენილიყო, მაგრამ მან უარი თქვა და მალევე გაბრუნდა. ერთი კვირის შემდეგ მურთაზი სამსახურის კუთვნილი დიდი ავტობუსით აგარიაში მოყვა და მთელი კურსელების ჯგუფი ჩამოვიდა თბილისიდან. მისმა მოულოდნელმა ტრაგიკულმა გარდაცვალებამ დიდი დაღი დაასვა ჩემს ცალუღელად დარჩენილ ოჯახს.

17 თებერვალს ქართულმა სატელევიზიო არხებმა გადმოსცეს გიორგი შენგელაიას გარდაცვალების ამბავი. ბევრმა ნაცნობმა დამირეკა და მკითხა გავიგეთ გიორგის გარდაცვალების ამბავი და იქნებ გაგვიგო საიდან ასვენებენ და სად კრძალავენო. მე იმავე დღეს დავუკავშირდი ელდერ შენგელაიას მეუღლეს ნელი შენგელაიას, რომელმაც მითხრა, რომ გამოსვენება 20 თებერვალს 3 საათზე იქნება ფიქრის გორიდან და დაიკრძალება დიდუბის პანთეონში მშობლების გვერდითო.

20 თებერვალს გიორგის დაკრძალვის დღეს ვერიკო ანჯაფარიძის და მიხეილ ჭიაურელის სახლ-მუზეუმში მობრძანდნენ პრემიერ მინისტრყ გიორგი გახარია, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და სხვა ხელმძღვანელი პირები, ასევე მისი ნიჭის დამფასებლები, მსახიობები და მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე იქიდან გამოასვენეს, საიდანაც მისი პირველი სიყვარული — სოფიკო ჭიაურელი. გიორგი შენგელაიამ დიდუბის პანთეონში დაივანა. მათმა შვილმა — ნიკუშა შენგელაიამ და რძალმა ეკა ჭიჭინაძემ 40 წლის შემდეგ მშობლები შეარიგეს. დიდუბის პანთეონში ელდარი

გიორგი შენგელაია

ძმის ცხედარს დაეკონა. გამახსენდა გასული საუკუნის სამოციანი წლები, როგორ უყვარდათ ძმებს ერთმანეთი. „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“. ბრწყინვალე რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ ქართული კინოინდუსტრია გაამდიდრა მხატვრული ფილმებით: „ალავერდობა“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „მაცი ხვიტია“, „ფიროსმანი“, „ვერის უბნის მელოდიები“, „სიყვარული ყველას უნდა“, „სიყვარული ვენახში“, „ხარება და გოგია“, „მიდიოდა მატარებელი“ და სხვა, რომელშიც მონაწილობდა ქართველ კინომსახიობთა ცნობილი კოჰორტა: სოფიკო ჭიაურელი, გივი ბერიკაშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე, გურამ ფირცხალავა, გიორგი გეგეჭკორი და სხვები. ზეციურ სასუფეველს, დღეს 20 თებერვალს, მედეა ჯაფარიძის დაბადების დღეს, გიორგი შენგელაიაც შეუერთდა, რომელიც ამოიმართა ჩემს გონებაში განასკუთრებულად თბილი დამოკიდებულებით და დიდი ადამიანობით.

ცოტა ხნის წინ ბატონ ელდარს სახლში ვესტუმრე ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ მერვე ნომერი უნდა გადამეცა. ამ შეხვედრის დროს მან კიდევ ერთხელ ძალიან თბილად გაიხსენა თავისი ძვირფასი ძმა — გიორგი:

„მთელი ჩემი ცხოვრება ჩემს ძმებთან გავატარე, თბილისშიც და მოსკოვშიც ჩემს გვერდით იყვნენ. თენგიზი ჩემზე შვიდი წლით უფროსი იყო, გიორგი — ოთხი წლით უმცროსი. თენგიზი საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლობდა. მე და გიორგი „ვგიკში“ (მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი), როცა გიორგი ჩასაბარებლად ჩამოვიდა მოსკოვში, მას უკვე ნათამაშები ჰქონდა რეზო ჩხეიძის ფილმში „ჩვენი ეზო“. გიორგიმ რომ ნახა დახეული პალტო მეცვა, მკერავთან წამიყვანა. ძალიან კარგი პალტო შემიკერეს. უმცროსმა ძმამ ასე მომიარა და ჰონორარიდან აღებული თანხა მე დამახარჯა.

გიორგის ფილმებს დიდი წარმატება ჰქონდა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საერთაშორისო კინოფესტივალებზე. მისი „ალავერდობა“, სადაც მთავარ როლს გეიდარ ფალავანდიშვილი ასრულებს, ქართული კინოს საეტაპო ფილმია და გიორგის უდიდესი წარმატება. მისმა „ფიროსმანმა“ ჩიკაგოს საერთაშორისო კინოფესტივალზე გრან-პრი — „ოქროს

გიორგი და ელდარ შენგელაიები

ჰიუგო“ მიიღო, ბრიტანეთის კინოინსტიტუტმა კი თავისი უმაღლესი ჯილდოთი აღნიშნა.

„ვერის უბნის მელოდიები“ სან-სებასტიანის კინოფესტივალზე საუკეთესო ფილმად აღიარეს, სოფიკო ჭიაურელს კი გადასცეს პრიზი, როგორც საუკეთესო მსახიობს.

„ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე „ვერცხლის დათვით“ დაჯილდოვდა საუკეთესო რეჟისურისათვის.

ძმები ერთმანეთის შემოქმედებაში არ ვერეოდით და სხვადასხვა ხელწერა გვაქვს, მაგრამ რჩევას კი ვითვალისწინებდით. ასე, მაგალითად „ცისფერ მთებში“ სოსოს როლში ოთარ ლითანიშვილის გადაღება მინდოდა. გიორგიმ რამაზ გიორგობიანი მირჩია. მისმა რჩევამ გაამართლა და რამაზმა ბრწყინვლედ ითამაშა.

ჩემი მიკრძალებული წერილი მინდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია მეორეს სიტყვებით დავასრულო: „გახსოვდეთ, რომელ დღესაც ვერ შეძლებთ სიკეთის ქმნას, ის დღე დღე დაკარგულია..

გიყვარდეთ დედა და მამა და დაიმსახურეთ მათი ლოცვა-კურთხევა, რადგან მშობელთა ლოცვა ღვთის ლოცვაა.

გიყვარდეთ სამშობლო, ჩვენი მრავალჭირნახული საქართველო, რადგან „სამშობლო როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა“.

კარგად შეისწავლეთ ქართული ენა და საქართველოს ისტორია, მათში დიდი საიდუმლო და სულიერი ძალაა.

კადრი კინოფილმიდან „თეთრი ქარავანი“. მსახიობები: ვალენტინ დონღუზაშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, იმედა კახიანი, სპარტაკ ბაღაშვილი, არიადნა შენგელაია

აკაკი წერეთელი – 180

## ვ	ეული

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა.

ნუ მკითხავ, მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა:
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.

ეს გული, სარკედ ქცეული,
ბუნების ნათავხედია,
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია;

ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუზომ-აუწონია!

თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუაკაცი ვარ უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.

ISSN 2346-822X
9 772346 822004 >